ეროვნული
ბიბლიოთეკა

განათლება

სამეცნიერო, პედაგოგიური და სალიტერატურო
ჟურნალი.

წელიწადი პირველი.

№ 7—8

1908 წ.

ტფილისი

სტამბა „ძმობისა“ მოსკოვის და ჯუნიბის ქუჩების კუთხე № 5—2.

1908

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი:

		გვერ.
1.	ედმონდ-დე ამიჩისი. ლ. ბ-ნისა.	1— 3
2.	მასწავლებლის თავ-გადასავალი დე-ამიჩისის თხზულებიდან ლ. ბ-ძისა	3— 26
3.	წითელი სარჩული, მოთხრობა **ძველი გურულისა**	27— 87
4.	მთების ერთობა ლექსი **ვაჟა-ფშაველასი**. .	79— 88
5.	ცხოვრება და ხელოვნება, ქართული ენის დაცემა **კიტა აბაშიძისა**	89—101
6.	ომის შემდეგ (საფრანგეთის წარსულიდამ) ლექსი **ი. ევდოშვილისა**	102—203
7.	თავისუფალი აღზრდა ბავშვის პსიხოლოგიის მიხედვით **კახაბერისა**	104—134
8.	აკაკის პედაგოგიური აზრების მოკლე მიმოხილვა **ლ. ბოცვაძისა**	135—155
9.	ლ. ნ. ტოლსტოის პედაგოგიური აზრები Ignotus ისა.	156 —163
10.	პროფესორი პეტრიაშვილი და ოდესის უნივერსიტეტი **ს. ავალიანისა**.	163—165
11.	პროფესორ პეტრიაშვილის ხსოვნას **გ. ჯავახიშვილისა** . . . . . , . . .	165 —173
12.	სქესობრივი საკითხი ბავშვის ცხოვრებაში **ნიკოსი**	173—180
13.	**ბიბლიოგრაფია**: 1. დახასიათებანი სკოლაში, გამოკვლევა ლაზურსკისა—ხანისა . .	181—183
	2. ელენ კეჰი. „დედა და შვილი“ **ს. ავალიანისა**	183—187
14.	წერილი რედაქციის მიმართ **ი. ფანცხავასი**.	187—192
15.	**რედაქციისაგან**	

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქციისაგან

ამ წიგნით ვათავებთ ამ მიმდინარე წლის ჟურნალ „განათლების“ გამოცემას. მრავალი დაბრკოლება შეგვხვდა წლის განმავლობაში, რომელმაც ხელი შეგვიშალა და ჟურნალის ყოველთვიურად გამოცემა შეუძლებელი შეიქმნა. ვისაც კი თვალ-ყური უდევნებია ჩვენი ჟურნალისათვის და წარმოდგენილი აქვს ის პირობები, რომელშიაც ჩვენ მოგვიხდა მუშაობა, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ არავითარი ძალღონე არ დაგვიზოგავს, მაგრამ ამ გვარ ჟურნალს ჩვენში, როგორც ჩანს, ჯერ-ჯეროობით, სამწუხაროდ, გასავალი არ აქვს.

ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს და კიდევ ვიმეორებთ, რომ ერი, რომელ!საც ერთი მაინც სერიოზული სამეცნიერო ჟურნალი არ მოეპოვება, არ ცდილობს დედა-ენაზე მეცნიერების აყვავებას და კმაყოფილდება უცხო ენით, ან სხვისი ნასუფრალით, შორს ვერ წავა. ენასაც, თუ მეცნიერულ განვითარებას და გამდიდრებას არ მიჰყო ხელი, ხეირი არ დაეყრება. ამის მიხედვით ჟურნალისათვის კერძო სპეციალური ხასიათი არ მიგვიცია, პირიქით, ვცდილობდით ჟურნალი მრავალ შინაარსიანი ყოფილიყო და ყველა მკითხველისათვის საინტერესო და ხელმისაწვდენიც. მართალია ზოგმა ისიც გვიკიჟინა, რომ ჟურნალს მარტო პედაგოგიური ხასიათი უნდა ჰქონდესო და „საქართველოს სახალხო განათლების ორგანო უნდა იყოსო“ („ამირანი“ № 155), მაგრამ ჩვენ ეს ვიწრო შეხედულობად მიგვაჩნია, რადგანაც დარწმუნებული ვართ, რომ ყოველი სამეცნიერო და ბელეტრისტიული ნაწარმოებიც ხალხის განათლებას უწყობს ხელს და მასვე ემსახურება.

მიუხედავად მრავალ გვარი დაბრკოლებისა „განათლების“ რედაქცია იმედს მაინც არ ჰკარგავს და მომავალი წლიდანაც აპირებს შეძლების დაგვარად ჟურნალის გამოცემას მხოლოდ მომავალ წელში ჟურნალი გამოვა დრო გამოშვებით

მასალის შეგროვებისა და სახსრის მოპოვების მიხედვით და გაიყიდება ცალკე წიგნებად. იმ ორმოცდა ათს წლიურ ხელის მომწერთ, რომელთაც ხუთი მანეთი გადახდილი აქვსთ, ჟურნალი მომავალ წელშიაც გაეგზავნებათ.

რედაქცია გულითადს მადლობას სწირავს ჟურნალში თანამშრომლებს, ვინც უსასყიდლოთ აწვდიან მასალას ჟურნალში დასაბეჭდად, ადგილთბრივ ქართულ-რუსულ გაზეთების რედაქციებს, რომელთაც მიუდგომელი აზრი გამოთქვეს ჩვენი ჟურნალის თითოეული ნომრის შესახებ და იმ პირთაც ვისი ნივთიერი და ზნეობრივი დახმარება ხელს უწყობდა ჟურნალის არსებობას.—

შენიშვნა: ჩვენი მგზავსის ვაჟა-ფშაველას მოთხრობა „ტრუბენტელა ადმზრდელი“, რომელიც დაბეჭდილი იყო „კანათლების“ № 2, 5—6-ში და ლექსი „მოების ერთობა“, რომელიც ამ ნომერშია დაბეჭდილი, ავტორის სიტყვით, დაუსრულებელია და მათი გაგრძელება იქნება შემდეგ ნომრებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ედმონდო დე—ამიჩისი.

† 12 მარტს 1908 წ.

ცნობილი იტალიელი მწერალი ედმონდო დე—ამიჩისი დაიბადა 1846 წელს, გარდაიცვალა 12 მარტს 1908 წელს. სწავლა მიიღო სამხედრო სკოლაში მოდენში, 1865 წლიდან ათიცრად



მსახურებდა და გარიბალდიელებთან მონაწილეობას იღებდა იტალიის ერდგენისათვის ატეხილს ბრძოლაში. სხვათაშორის დეამიჩისი 1866 წელს მონაწილეობას იღებდა ავსტრიის წინააღმდეგ კომო-

წვეულს ომში. დეამიჩისმა ათიტრობის დროსვე დაიწყო წერა. მისმა ნაწერებმა „სამხედრო ცხოვრებიდან“ “Bozzetti della vite militare“ (1869 წ.) საზოგადოების საერთო უურადღება მიიპყრო და მალე რამდენიმე გამოცემათ დაიბეჭდა. 1870 წელს დე—ამიჩისმა სრულიად დანება თავი სამხედრო სამსახურს და მწერლობას მიჰყო ხელი. დე—ამიჩისი ბევრს მოგზაურობდა ევროპაში, ათრიკაში, ჩრდილო და სამხრეთ ამერიკაში. ამ მოგზაურობამ აურებელი მდიდარი მასალა შესძინა მას. ამ მასალით დე—ამიჩისი საგანებით სარგებლობდა, როგორც „მგზავრის წერილებში“, აგრეთვე ბელეტრისტიულ ნაწარმოებებშიაც. აურებელს რომანებში, რომელიც სისწრაფით მოჰყვებოდა ერთი მეორეს, დე—ამიჩისი ეხებოდა პოლიტიკურს და სოციალურს საკითხებს. დე—ამიჩისი იყო პოლიტიკური რადიკალი და დემოკრატი. 1890წელს იგი მიეკედლა სოციალ დემოკრატებს. მიუხედავად ამისა რაიმე შესანიშნავი აქტიური როლი პოლიტიკურ ცხოვრებაში მას არ აუსრულებია. ერთი სასაცილო შემთხვევა დე—ამიჩისის ცხოვრებაში ძლიერ დამახასიათებელია იტალიის პოლიტიკური წეს-წყობილებისა; 1896 წელს დე—ამიჩისი გამორიცხეს საამრჩევნელო სიიდან, რადგანც მას კომისიაში, რომელიც განაგებდა იმ სიის შედგენას, არ წარადგინა საბუთი წერაკითხვის ცოდნისა. (იტალიაში წერაკითხვის ცოდნა ცესზად ითვლება ხმის მიცემაში) ეს გახდა საბუთად წერა კითხვის ცენზის წინააღმდეგ, რომელიც იძლევა შემთხვევას მრავალ ბოროტ მოქმედებაში. უნდა აღვნიშნოთ, რომ დე-ამიჩისის დემოკრატიზმი რამდენადმე სხვანაირია, მას ატუვია ძლიერი ნიშანი ნიცშეს მოძღვრებისა.

საზოგადოთ დე—ამიჩისს დიდი ცხოველ მეოფელი გავლენა ჰქონდა მოზარდ თაობაზედ, რომელსაც უღვიძებდა გულში მამულიშვილობის იდეალს. დე—ამიჩისის თხზულება „მოწაფის დღიური“ მარტო იტალიაში 450 ჯერ იქმნა დაბეჭდილი, იგი გადათარგმნილია ყველა ევროპიულს ენებზედ. ეს წიგნი ქართულადაც არის ნათარგმნი კარგის ენით, ქართულადვე არის დაბეჭდილი მისივე პატარა გრძნობიერი მოთხრობა “დედა შვილის თავ-გადასავალი“ (აპენინის და ანდის მთები); მაგრამ, სამწუხაროდ, არც ერთს და არც მეორეს ჩვენში გასავალი არ აქვს, ისე უძრავად აწევია წიგნების მაღაზიის თაროებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქვე მოგვაგს მოკლედ ამ ცნობილი მწერლის ერთი რომანის შინაარსი, რომელსაც ორგინალში სათაურად აქვს „რომანი მასწავლებლისა". გაცნობა ამ რომანის შინაარსისა სინტერესოთ და საყურადღებოთ მიგვაჩნია ეველა ჩვენებურ ედმ ხრდელთა და მასწავლებელთათვის.

ლ. ბ.

მასწავლებლის თავგადასავალი.

რასაც მასწავლებელი განიცდის საზოგადოთ დამოუკიდებლად ბავშვებთან ყოფნის დროს, განსაკუთრებით მისი შეცდომები და წარმატება მოწაფეზე საუკეთესოდ გავლენის მხრით, საზოგადო დამახასიათებელია მასწავლებლის მოქმედებისა, ქართველი იქნება ის, რუსი თუ იტალიელი. ქართველი მასწავლებელიც, ქალაქად თუ სოფლად, ეწევა თავისს მძიმე უღელს და, უეჭველია, მასაც არა ერთხელ განუცდია ის, რაც თავსგადახვედია ახალგაზდა იტალიელ მასწავლებელს. აი ამ მხრით დიდად საინტერესოა გავიცნოთ იტალიელ ცნობილი მწერლის დე—ამიჩისის მოთხრობა, რომელიც სინამდვილით გვიხატავს სკოლას და მასში მომქმედ პირთ.

გრძნობიერად და მარტივად არის მოთხრობილი თუ როგორ გამოვიდა ცხოვრებაში კარგი ჭაბუკი სახალხო სკოლის მასწავლებლის ასპარზზე, როგორ გზა დაბნეულად მიდიოდა იგი პირველად, როგორ სცდებოდა პირდაპირ გზას, უხვევდა აქეთ იქით და როგორ დაადგა ბოლოს ნამდვილს გარკვეულს გზას. ამ ჭაბუკს ჰქონდა კეთილი მისწრაფებანი, გულში ბავშვებისადმი წრფელი სიყვარულის ცეცხლი უღვივოდა, მაგრამ მას თავდაპირველად აკლდა საკმაო ცოდნა ბავშვის ბუნებისა; საკვირველიც არ არის, რომ ამის გამო მას შეცდომებიც ბლომად მოსდიოდა და თავის თავს ბევრჯელ უხერხულ მდგომარეობაში აყენებდა. ჭაბუკი საშუალო დონეზე მაღლა იდგა, მაგრამ არ იყო აღჭურვილი მაღალის ნიჭით, მტკიცე ხასიათით, არ შეეძლო სულის სიმ-

ტკიცე გამოეჩინა, უპირდა სხვის დაუხმარებლად ეკლიანს გზაზე სიარული და ამის გამო მოღვაწეობაც გასაჭირი იყო მისთვის.

დე—ამიჩისმა გამოიკვლია ის ქვეყანა, რომლის დიდება—მწუხარებაში ბევრს ეჭვი შეჰქონდა, მაგრამ ბევრისათვის იგი უცნობიც იყო, ვისაც კი შიგ ცხოვრება არ განეცადა. გაბედულად ჩამოგლიჯა მან ჩამოფარებული ფარდა; გამოამზეურა ქვეყნად იტალიის სკოლების შინაგანი ორგანიზაცია, სკოლების მდგომარეობა ქალაქებში, სოფლებში, მივარდნილს კუნჭულებში და თითქმის მიუწვდომელს, მიკარგულ მთის ხეობებში, სადაც ყველასგან მივიწყებული, არვისგან ნახსენები ადამიანები ყოველ დღე საგმირო საქმეებს სჩადიან.

სამასწავლებლო ინსტიტუტში კურს დასრულების შემდეგ რატტის მოუხდა მასწავლებლობა სოფელ გარასკაში, სადაც სკოლისათვის ბინა მოთავსებული იყო მონასტრის ძველ სადგომში, საკლასო ოთახი მოგრძო იყო, ორი მრგვალი სარკმლით. ცხოველთა და მცენარეთა რამდენიმე დაძველებული სურათი, ჩონჩხი და გეოგრაფიული რუქა შეადგენდა დაკვირვებითი სწავლებისათვის ხელსაწყო საგნებს. ორ რიგად ჩამწკრივებული სკამები, დანით ამოჭრილი ათასნაირი ფიგურებით, წარმოადგენდა ისეთს სურათს, თითქოს ეს სკამები „ათი წლის განმავლობაში რამდენიმე პირთათვის საჩუქურთმო სავარჯიშო საგანს წარმოადგენდაო“. უყურადღებობის გამო მივიწყებული იყო არა მარტო სკოლის შენობა და მისი მორთულობა, არამედ თვით სკოლაში მოსიარულე მოწაფენიც.

პირველი შთაბეჭდილება სკოლის მოწაფეებზე არა სასიამოვნო იყო. მწვირიანს, თმა გაწეწილს, ტანისამოს ჩამოფხრეწილს ბავშვებს ველურად ეჭირათ თავი სკოლაში. მუშტკრივით ეცილებოდნენ ერთმანეთს დასაჯდომ ადგილს, თითებს პირში იყოფდნენ, წამდაუწუმ იქექავდნენ სხეულს თითქოს ბღერი შეყრიათო; გაოფლიანებულს პირის სახეს მოიითხუპვნიდნენ ტალახში და მელანში დასვრილი თითებით. ერთმა შავრვალი მუხლებამდის აიწია თითქოს მდინარეში გასვლას აპირებსო, მეორე ბრახუნით ისროდა იატაკზე თავისს ორჩო-

ფეხებს, მესამე ფრჩხილებს იჭრიდა ფეხის თითებზე. რატომ ვერ წარმოედგინა, რომ ბავშვები ასეთი თავ-გასული და ჩამორჩენილი იქნებოდნენ. ბავშვების უმრავლესობის უვიცობა, ველურობა საოცრად ეხატებოდა მას თვალწინ. იყვნენ იმათში ისეთები, რომლებმაც არც თავისი და არც მშობლების სახელი არ იცოდნენ. ერთმა მათგანმა შეკითხვაზე —რას გეძახის მამაშენიო—მიუგო: "აბა, შენ," ალბად ბავშვს ეგონა, რომ ეს იყო იმისი სახელი. მოწაფეებში რატტი ამჩნევდა უკიდურესს თავხედობას და ერთმანეთის უნდობლობას. როცა საუბარს ჩამოაგდებდა იმათ ცხოვრებაზე, ოჯახზე—ყველას პირში ენა გაუშეშდებოდა. პირველ დღეებში პატარებს სრულიად არ უნდოდათ კლასში შესვლა, ატუზული იყვნენ სკოლის კარებთან, შიშისაგან კანკალებდნენ, ეგონათ ალბად მასწავლებელი რაღაც საზარელი გველეშაპიაო. უეჭველია სახლში ბავშვებს სკოლითა და მასწავლებლით აშინებდნენ. უეჭველია არც წინა მოადგილეს ჰქონია სასურველი გავლენა, რომ სკოლაში კარგი წესიერება დაემყარებინა.

პირველი უსიამოვნო შთაბეჭდილების მიუხედავად, რატტი მაინც მთელი თვისის არსებით მიეცა სკოლას და ცდილობდა მომეტებულად თავისი მოწაფეების ზნეობრივად აღზრდას. ამასთან ის ხელმძღვანელობდა არა რაიმე წინ და წინ უკვე მოფიქრებული პრინციპებით, არამედ მარტივად თავისი ბუნების ხმით, სიკეთით და კეთილი სურვილებით. გათავდა იმით, რომ რატტიმ ბავშვების მქისე კანს ქვეშ აღმოაჩინა რაღაც ისეთი სასიყვარულო და სიმპატიური სიმკვირცხლე, რაც, ყოვლის მიუხედავად, საყვარლად ჰხდიდა მათ. ხშირად რატტის მოულოდნელი დაბრკოლება და სიძნელეც წინ ეღობებოდა. მართალია ზოგჯერ დიდი სიკეთისა და მოთმინების გამოჩენით უღვიძებდა ზოგიერთს ბავშვს კეთილშობილურ მომხიბლავ გრძნობებს, მაგრამ ამას ყოველთვის ვერ ახერხებდა. როგორც არტისტისათვის, აგრეთვე რატტისათვისაც საჭირო იყო ნერვებისა და სულის ზოგიერთი მდგომარეობა. სარწმუნო სიტყვები, რომელსაც რატტი წარმოსთქვამდა ზოგჯერ, ცივს ამოძახილს ჰგვან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დნენ და სრულიად არ არყევდნენ მსმენელთა გულის ყურს. რატტიმ შენიშნა პირიქით, რომ ამ მდგომარეობაში წარმოთქმული სიტყვები უფრო ავნებს საქმეს მომავალში, როცა მას ამ სიტყვების წარმოსთქმა გულის სიცხოველით შეეძლო. ზოგჯერ იმასაც ამჩნევდა თითქო ვისმე კლასი შეუცვლიაო: ყველა ისე უსიამოვნოდ, ნადირივით გამოიყურებოდა თავიანთ ადგილებიდან, რომ არავითარ კეთილ გავლენას მაშინ ადგილი არ ჰქონდა. ეს ისეთი პსიხოლოგიური მოვლენა იყო, რომელსაც რატტი ანგარიშს ვერ უწევდა... მაგრამ ყველა ეს იმას სრულიად არ უკარგავდა იმედს. „ბავშვები მას წარმოდგენილი ჰყავდა რაღაც წმინდანებად. იმის ღრმა რწმენა ბავშვობის სისპეტაკისა იყო დაუშრეტელი წყარო, რომ სინაზით და მუდამ ალერსით მოპყრობოდა პატარებს. რატტის ერთს წუთს უნდა წარმოედგინა თვალ წინ აუარებელი ბავშვები სიცივით, შიმშილით, ცემისაგან დალურჯებული, მიგდებული და შეურაცხყოფილი: წარმოედგინა ამ სუსტ არსებათა მთელი ოჯახი, რომლისთვისაც ერთად ერთს ნუგეშს ცრემლები შეადგენდნენ, და ეს ცრემლები იღვრებოდა ადამიანის ყველა ბიწიერების გამო; წარმოედგინა ბავშვებიანი ოჯახი, სადაც ისინი იზრდებიან, თრთიან და კანკალებენ სამარცხვინო და გულშემზარავ პირობებში, როცა ათასი ხელი გადისვრის მათ ქუჩებში, ორმოებში, თავშესაფარ სახლებში და სამარეში. მაშინვე ბავშვები, რომელთაც იგი შესცქეროდა, იმის აზრში და გონებაში უერთდებოდნენ სხვა აუარებელ მასსას, რომელიც წარმოუდგებოდა თვალწინ ადამიანის სისუსტის გამომხატველ სურათად. ეს სურათი იწვევდა მის გულში დაუსრულებელს გულშემატკივრობას და საყოველთაო შენდობის აუარებელს მოთხოვნილებას. მაშინ მას ჩვეულებრივის ალერსით შეეძლო განეგრძო გაკვეთილები.“ —

სკოლების ინსპეკტორის პირველმა რევიზიამ რატტისათვის მარჯვედ ჩაიარა; მოწაფეების პასუხებიდან სჩანდა, რომ მასწავლებელი გატაცებული იყო საქმით და მას ბევრი რამ კარგი ჩაენერგა სამუდამოდ ბავშვების სულში; მაგრამ ინსპეკტორის კლასიდამ გასვლის შემდეგ ბავშვებმა თავისი მონა-

წილობა ამ გამარჯვებაში ისეთის ხმაურობით წარმოსთქვეს მასწავლებელთან, რომ არ შეეძლო არ გაეგონა ინსპეკტორ-საც.

ინსპეკტორმა შემდეგი რჩევა მისცა მასწავლებელს: „მეც ერთს დროში ისე მიყვარდა და ვაღმერთებდი ბავშვებს, როგორც თქვენ. ეს ძალათა საწინდარია, წყარო უმაღლესის სიამოვნებისა. ეს პირველი სათნოებაა ყველა დიდებული აღმზრდელისა. მაგრამ ეს გრძნობა მასწავლებელმა პირდაპირ არ უნდა დაანახვოს მოწაფეს; მოწაფე მხოლოდ უნდა მიხვდეს იმას, ის უნდა დარწმუნებული იყოს, რომ მისთვის საჭიროა ჯერ მოიპოვოს სიყვარული, ვიდრე სარგებლობდეს იმით, თქვენ თუ დაუთმეთ ბავშვს, იმას ეგონება, რომ ამის უფლება აქვს და რომ ხელიდან არ გაუშვას ეს უფლება შფოთს ასტეხს. იცოდეთ: ბავშვი, რომელსაც შეწყნარებით ეპყრობიან, არას დროს არ იტყვის: „მე ასე იმიტომ მეპყრობიან რომ უკეთესი გავხდეო“. პირიქით, ის ფიქრობს: „ასე მექცევიან იმიტომ, რომ ასე უნდა მოიქცნენ“. ამ შემთხვევაში ბავშვი არავითარს მადლობას არა ჰგრძნობს. ბავშვი ამბობს თავისთვის: „მასწავლებელი თუ მემუქრება დასჯით და არ მსჯის, ეს იმიტომ რომ მე არ ვარ ღირსი სასჯელისაო, თუ მთხოვს გავაკეთო რამე იმის მაგიერ, რომ მიბრძანოს, ეს იმიტომ, რომ ბრძანების უფლება არ აქვსო“, ამიტომ ნუ დაემუქრებით, დასაჯეთ, ნუ სთხოვთ, უბრძანეთ, შემდეგ, შერჩეულს დროს გამოიჩინეთ სიყვარული, რომელ ც ყველაფერს გაასწორებს, აჯილდოვებს, ამშვიდებს და ბრწყინვალეთ ხდის, როგორც მზის შუქი წყვდიადში. მერწმუნეთ, რომ მეც ისე დავიწყე თავდაპირველად, როგორც თქვენ, მაგრამ ბოლოს იძულებული გავხდი სისტემა შემეცვალა. ითქოო ორად გავიყავი, ჩემში ორი ადამიანი იყო: ერთი შინაგანი — ბავშვების მოყვარული — იტანჯებოდა იმათი მწუხარებით და დამცირებით, სიამოვნებდა მათი სიმკვირცხლით და გულ უბრიყველობით, ეალერსებოდა ყველას და შეუნდობდა მათ. მეორე, გარეგანი — მკაცრი, არ მისდევდა ქებას, ხანდისხან რამდენადმე სისასტიკესაც იჩენდა, მაგრამ ყოველთვის თანასწორი იყო. სცადეთ ეს მეთოდი. პირველად,

უეჭველია, თქვენგან იგი ბევრს ძალას მოითხოვს და რამდენიმე უსიამოვნო წუთებსაც გამოგაცდევინებს, მაგრამ, როდესაც თავის თავს დასძლევთ, დაინახავთ, რომ არა თუ დაგიკარგავთ რამე იმ შინაგან კმაყოფილებიდამ, რომელსაც ბავშვებისადმი სიყვარული იძლევა, არამედ მოიპოვებთ კიდევ ახალს კმაყოფილებას—უფრო ნაზს, მიტომ რომ ის იქნება დაფარული და უფრო ძლიერი, იმას ვერ მოსპობენ უკიდურესი შეწყენარების ცუდი შედეგები.“—

როდესაც რატტი გადიყვანეს სხვა ადგილზე, ახალს სკოლაში იგი ცდილობდა ინსპექტორის რჩევას დასდგომოდა. მაგრამ ეს მეთოდი ექსპანსიური ბუნებისათვის ერთ გვარ სიძნელეს წარმოადგენდა: მისი გამოყენება უფრო ძნელდება მაშინ, როცა თავს იჩენს პირველი ნაყოფი: როცა ბავშვები წესიერებას შეეჩვევიან და მითუ ფრო საყვარელი ჰხდებიან. რატტისარა ერთხელ მოუხდა ძალა დაეტანებინა თავისი ნებისათვის რომ არ გამოეამჟღავნებია,არ გამოეშკარავებინა თავისი გულკეთილობა. დიდს სიძნელეს შეადგენდა მისთვის შეეჩერებინა ხელი მტირალი ბავშვის წინ, არ მიალერსებოდა მას, ან მიეცა ხმისთვის ბრძანებითი კილო, რაც არ შეესაბამებოდა მისს ბუნებას. ზოგჯერ თავს ღალატობდა და გული მოსდიოდა თავის თავზე. გული ეუბნებოდა – მისი მეთოდი მკაცრია და დაგაკარგვინებს საუკეთესო მოწაფეებში სიყვარულს, გულით მიდრეკილებას. მაგრამ გონება ძალას ატანდა ეარნა იმ გზით, რომელიც უჩვენებდა მოწაფეთა გულის მონადირებასა, მათში თავისი თავისადმი პატივის ცემის აღძვრით, ვიდრე დაეკარგა ყველაფერი მათი თავგასულობით. გული მაინც თავისას არ იშლიდა და გონებას ეკამათებოდა: თუ წარმატება არ იყო პირველ სკოლაში, ეს იმიტომ კი არა, რომ გამოაშკარავებული იყო ძლიერ ბევრი გულ კეთილობა ბავშვებთან, არამედ იმიტომ, რომ იგი გამოაშკარავებული იყო არა საკმარისად. ასე ფიქრობდა რატტი.

რამდენიმე ხნის შემდეგ სკოლაში მივიდა წინანდელი ინსპექტორი. „აბა, რა,—იკითხა მან,—როგორ მიდის საქმე ახალის მეთოდით? კარგად? მე დარწმუნებული ვიყავი. გული რას გეუბნება?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გული ისევ ურჩობს. უკმაყოფილოა.“

— ძლიერ კარგი; გული რომ არ გეურჩოდეს, ეს იმის ნიშანი იქნებოდა, რომ თქვენ ბავშვების სიყვარული გულიდან ამოგეღოს. გავიდა წელიწადი. ეხლა, ძველი ინსპექტორის ნაცვლად, სკოლაში მივიდა ახალი რევიზორი, რომელიც მშრალი მანერებით, მკვახე სიტყვა-პასუხით ბევრად განირჩეოდა პირველისგან.

— თქვენ კითხვა- პასუხის მეთოდს მისდევთ?

— დიაღ, და კმაყოფილიც ვარ.

რევიზორმა თავი გაიქნია. იგი სრული მოწინააღმდეგე იყო ამ მეთოდისა, რადგანაც, იმის აზრით, ეს მეთოდი ბავშვებს ყბედობას აჩვევს. ეს დაკარგული დროა. მასწავლებელმა თვითონ უნდა მისცეს გაკვეთილი და არა მთელმა კლასმა იმასთან ერთად კითხვა პასუხის ფორმით, რომელიც მოაგონებს მას ხმის ამოძახილთან ლაპარაკს. მასწავლებელი უნდა ლაპარაკობდეს მარტო და იმისი სიტყვებიდან უნდა სწავლობდენ მოწაფეები: სახელმძღვანელოები, ხელნაწერები- ყველა ესენი უნდა მოისპოს.

— უეჭველია თქვენ ბავშვების ხასიათის შესწავლასაც სცდილობთ? მოქმედებთ ბავშვის გულზე? — ჰკითხვას რევიზორი. — ეს სრულიად უადგილოა. მასწავლებელი მამა არ არის, არც დედაა, არც სულიერი მოძღვარი. იგი ჭკუის მჭედელია და არა სულის, ხასიათის. ადამიანის გასავითარებლად საჭიროა ცხოვრება თავისი ვნებითი და ბრძანებითი მოთხოვნილებით, არაფერი ამის მსგავსი სკოლაში არ არის.

ყველა ამან ძლიერ იმოქმედა რატტიზე და გაუგრილა გული. პირობის ძალით, რომელიც შემოღებულია იტალიაში სახალხო მასწავლებლების სამსახურის შესახებ, სადაც მასწავლებელს ორი წლის ვადით დაიქირავებენ, რატტი გადადის ისევ ახალს ადგილზე, ალტარანში. სკოლის მოწყობილობა აქ უფრო უარესი იყო, ვიდრე გარასკოში. სწავლის დაწყების დროს სკოლაში გამოცხადებიან 53 მოწაფე 74 მაგიერ. რატტიმ გადასწყვიტა ჩამოეარა ოჯახები და შთაეგონებია

ეროვნული

მშობლებისათვის ეტარებინათ ბავშვები სკოლაში. მაგრამ მისი ილუზია უცებ გაჰქრა. ყველგან ცუდად მიიღეს ზოგმა პირდაპირ განაცხადა, რომ არ გაგზავნიან ბავშვებს სკოლაში, რადგანაც ისინი სახლშია საჭირო; ზოგი სკოლის სიშორეს ასახელებდა მიზეზად, ზოგიც ბავშვის ავადმყოფობას იგონებდა, თუმცა ღა ის თავისუფლად დარბოდა მთებში სხვა ბავშვებთან ერთად და სხ.

ალტარანში რატტიმ გაიცნო ახალგაზდა მასწავლებელი ქალა ფაუსტინა გაჯდი, რომელსაც ძლიერ უყვარდა ბავშვები. იგი ხშირად უზიარებდა რატტის თავისს მწუხარებას, რასაც გრძნობდა ის ერთი მოწაფე ქალის ცუდი ყოფა-ქცევით, ის ამბობდა: „რაკი 7—8 კარგი მოწაფე ქალი მყავს, ჩემთვის ესეც საკმარისია. ერთი ბავშვის კეთილი მოძრაობა დამავიწყებს სხვა ათის გაუგონრობას. მე ბავშვები მიყვარს, ეს ერთად ერთი გრძნობაა, რომელიც მამის სიყვარულთან ერთად დამრჩენია ოჯახურ სიმწუხარისა და უბედურების შემდეგ. რამდენადაც მეტს ვხედავ თავმოყვარე დედებს და ულმობელ მამებს, მით უფრო აღმენთება გულში ბავშვების სიყვარული, როცა მოვიგონებ თუ რა გადახედიათ მათ თავს, რა გადახდებათ კიდევ და რამდენი მათგანი გაუბედურდება მშობლების წყალობით. პატარები ჩემთვის მთელი პოეზიაა. ისინი რომ გაჰქრნენ, მგონია, ყველა ადამიანები მხეცებად გადიქცეოდნენ. მე ის მაშფოთებს და მაღელვებს, რომ მილიონი დიდების წყალობით არიან მილიონი პატარები მშიერ ტიტველნი. მე მგონია, რომ უგულო დედაზე უსასტიკესი არა არის რა. როცა ვხედავ, რომ ბავშვებსა სცემენ მე თვითონ ავად ვხდები. დაუფიქრდით მხოლოდ მას, რომ სცემენ სრულიად უსუსურს ბავშვებს. როცა ბავშვები ავად ხდებიან, ექიმსაც არ ეძახიან, ჰკლავენ საქონელსავით. რა საზიზღრობაა... ყალბი ფულის მჭრელებს სჯიან, მართალია? რატომ არ სჯიან ისეთს მშობლებს, რომლებიც საზოგადოებაში გარყვნილ ბავშვებს უშკებენ? არის ოჯახი, მე თვითონ მინახავს, რომელიც ავაზაკთა ბრბოს წარმოადგენს, ბავშვები სრულიად უგულონი და ჯავრის ამომყრელნი არიან. ხშირად

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეჯავრება ხალხი, მაგრამ, როცა დავინახავ, რომ გლეხი თავისი მწვირიანი ხელით აიყვანს ბავშვს და მიეალერსება მას, მე მთელი დღე დამშვიდებული ვარ, ამ დღეს საკმაო სიმხიარულე შემიპყრობს, მაგრამ რამდენი ბოროტებაა! არიან მშობლები, რომელთაც ეზიზღებათ შვილები იმიტომ, რომ ლამაზები არ არიან. მე მყვანდა კლასში ორი პატარა და ერთი მოდიოდა სკოლაში მოკაზმული, როგორც სეფე წული, ჯიბეები კანფეტებით ჰქონდა გატენილი, მეორე კი თვალცრემლიანი, დაგლახაკავებული, ცემისაგან დადაღული. იმათი მშობლები შეძლებულები იყვნენ და პატივიც ჰქონდათ მთელს ოლქში. მე ვერ მოვითმინე ეს. მთელი აურ ზაური ავტეხე... დამითხოვეს კიდეც სამსახურიდან,—მაგრამ არაფერს ამის მსგავს მოკლენას ალტარანში მე მაინც თავს არ გავუყადრებ."

რატტი მოხიბლოლი იყო ახალგაზდა მასწავლებელი ქალით. მან წრფელ ს გულით შეიყვარა ეს ქალი და წინადადება მისცა ცოლად გაჰყოლოდა, მაგრამ უარი მიიღო იმ მიზეზის გამო, რომ დიდი მოვალეობა აწევს კისერზე თავისი სნეული მამისა, რომელიც ითხოვდა მისგან მზრუნველობასა.

ამ პიროვნულმა დაბრკოლებამ მთლად დაუბნია დავთარი რატტის. მიატოვა სკოლა, მაგრამ თავ-გამოდებით უბრუნდება ისევ თავის საქმეს, იმ იმედით, რომ მოიპოვოს ნუგეში და სიმშვიდე. სამწუხაროდ გვიან იყო. „სკოლა აჯილდოვებს მხოლოდ იმათ, ვინც გულ.დადებით ემსახურება მას, მაგრამ სასტიკად სჯის იმას, ვინც სტოვებს და არ უფვარს იგი." რატტის სკოლა ჯერ მისივე და შემდეგ მთავრობის მოხელეების წყალობით მთელს უწესობას წარმოადგენდა. სინდიკმა შეიძულა რატტი და მიჰმართა ისეთს ულირს ზომებს, რომლითაც უნდოდა რატტის სკოლიდან გაძევება. ბავშვებმა იცოდნენ, რომ მასწავლებელს დათხოვნას უპირებენო და ამიტომ უფრო მეტს უზრდელობას იჩენდნენ. როდესაც, მაგალითად, რატტი ეტყოდა ბავშვებს: „მომავალ წელში ამას-და ამას გავაკეთებთო", ისინი ერთმანეთს მუჯლუგუნს წაჰკრავდნენ და სიცილს მოჰყვებოდნენ, რასაც მასწავლებელი მოთმინებიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოჰყავდა. სკოლაში იყო ერთი ყველაზე უფრო ცელქი ბავშვი—მიკიტნის შვილი. როცა მასწავლებელი დაიწყებდა ლაპარაკს, ეს ბავშვი ისე აამოძრავებდა თავისს კანს, რომ თმები ძირს დაეშვებოდა, თითქოს პარიკი აქვს თავზეო. ეს მოძრაობა ბავშვებში დაუსრულებელ სიცილს იწვევდა. რატ-ტის არ შეეძლო ამ ბავშვის დასჯა, რადგანაც ეგონა, რომ ეს ბუნებრივი ნაკლულევანებაა, რომელიც ბავშვს თანდაყო-ლილი აქვსო". ერთხელ მოთმინებიდან გამოსულმა რატტიმ ბავშვი კლასიდან გარეთ გამოაგდო; მეორე დღეს ეს ბავშვი ისევ მივიდა სკოლაში და მამაც თან მიიყვანა. ამას უსია-მოვნო სცენა მოჰყვა. ბოლოს მასწავლებელი იძულებული გახდა დაეთმო ბავშვისთვის და ხელ ახლად მიეღო იგი სკოლა-ში. ამან მთლად დაუკარგა ავტორიტეტი მასწავლებელს. „მაშინ იგი შეეცადა ავტორიტეტი ძალდატანებით დაებრუ-ნებინა. მან დაიწყო ხელის გაქნევიდან, თითქოს შემოკვრას უპირებსო და მართლაც ბოლოს ხელი მიჰყო ბავშვების ცე-მასაც. ჯერ ძლიერ იტანჯებოდა ამის გამო, მაგრამ ბოლოს მიეჩვია კიდეც. ამ ნაირი გამასწორებელ მეთოდის შედეგმა მალე იჩინა თავი. მთელი ძალა ეხლა მაწავლებლის ხელში იყო. იმის ერთს გადახედვას და სიტყვებს დაეკარგა სრული მნიშვნელობა. როცა რატტი რასმე უსაყვედურებდა მოწაფეებს, ისინი მასწავლებლის ხელს შესცქეროდნენ, თუ ის აუწეველი დარჩებოდა, ბავშვები თავისუფლად განაგრ-ძობდნენ სიცილს და თავნებობას. რატტი ხედავდა, რომ ბავშვებს ხასიათი უფუჭდებოდათ, ჰკარგავდნენ ყოველს ღირ-სებას და დასჯილი ბავშვების შემოხედვა ცხადად ეუბნებო-და მას, რომ ერთად ერთი მკვიდრი გრძნობა, რომელსაც ცემა გამოიწვევდა, ეს იყო სიძულვილი და სამაგიეროს გა-დახდის სურვილი. ბოლოს რატტი იქამდინაც მივიდა, რომ თვითონვე შეიზიზღა ბავშვები. როდესაც სვინიდისი ჰქეჯნიდა, მასწავლებელი ცდილობდა დაბრუნებოდა ძველს გზას, შეე-ცვალა მეთოდი, ხედავდა, რომ ბავშვები მაშინვე მხიარულ სახეს იჩენდნენ, როგორც მშიშარა მტრის წინაშე, რომელ-საც თავისი იარაღი ძირს დაეწყო. და ეს გარემოება უფრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტს სიბრაზეს ჰგვრიდა მას. ამნაირად მიდიოდა რატტი ისევ იმ დამღუპავი გზით, რომელზედაც ფეხი შესდგა, იგი უბედური იყო, მისი წამება ყოველ დღე მატულობდა, რადგან თვითონ სკოლა მისთვის ეხლა ნამდვილ ულმობელ ტანჯვას შეადგენდა.

რაკი დაინახა, რომ ყველაფერი ხელიდან ეცლება, რატტიმ მიჰყო ხელი ლოთობას. იგი თანდათან ფიცხდებოდა და ეშვებოდა ძირს. გააფთრებული რატტი წაეჩხუბება მიკიტანს, რომელიც დადიოდა სკოლაში, როგორც „სურინტენდანტის“ მოვალეობის დროებით აღმასრულებელი. საქმის გამოსარკვევად რატტი მიიწვია სკოლების დირეკტორმა, რომელიც აღმოჩნდა მისი ყოფილი მასწავლებელი ინსტიტუტში, მეგარი. ეს ისეთი კაცი იყო, რომელსაც დიდი სახელი ჰქონდა მოხვეჭილი მოწაფეთა შორის. რატტისთვის მეგარის უფრო მეტი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც რატტის დედამ სიკვდილის წინ წერილით თავისი შვილი მეგარის ჩააბარა. ეს წერილი მეგარიმ ჩაუდო რატტის იმ წიგნში, რომელიც მან მიიღო საჩუქრად ინსტიტუტში კურს დასრულების შემდეგ. რატტიმ არ იცოდა ვინ იყო სკოლების დირეკტორადროცა თავის გასამართლებლად მიდიოდა მასთან, რომ უფრო მეტი გამბედაობა გამოეჩინა, გზაზე კარგად გადაჰკრა და მთვრალი გამოცხადდა. მეგარის დანახვაზე რატტი მთლად დაიბნა, დაიწყო გრძლად და არეულად უსიამოვნო ამბავის შესახებ ლაპარაკი, მაგრამ ბოლოს შეჩერდა დაუსრულებელ ფრაზაზე, შერცხვა, თავი ძირს ჩაქინდრა და იატაკს მიაჩერდა.

დირეკტორი მიუახლოვდა და რამდენიმე წუთის სიჩუმის შემდეგ ნაღვლიანის ხმით უთხრა:

— რატტი! სანამდის მივედით ჩვენ? როგორ იქცეოდი ამ დროს განმავლობაში? როგორს საზოგადოებაში ატარებდი ცხოვრებას? როგორ მოხდა ასეთი ცვლილება თქვენში?

დედაც რომ ადგომოდა საფლავიდან და საყვედურით მიემართნა შვილისთვის, იმისი ხმა ისე ღრმად არ ჩასწვდებოდა გულში, როგორც ამან გააცოცხლა რატტის გულში

ეროვნული

ყველა ის ტკბილი მოგონებანი, რაც ერთს დროს ძვირფასი იყო მისთვის და ეხლა კი დაკარგულად მიაჩნდა: ცოდნის სიყვარული, აღფრთოვანება, რომლითაც—იგი ჰკიდებდა ხელს ყოველს საქმეს, ადამიანური ღირსების გრძნობა.. სიტყვასაც ვერ პოულობდა საპასუხოდ.

— წადი,—უთხრა მეგარიმ, — და მობრუნდი, როცა გონებაზე მოხვალ. ეხლა არ შეგიძლიან ყური დამიგდო.

— ყმაწვილი, თითქოს ცულის ყუა დაჰკრეს თავშიო, თავჩაქინდრული გამობრუნდა კარებისაკენ. როცა გარეთ გამოდიოდა, გადახედა თავისს ყოფილს მასწავლებელს; ამ შეხედვაში ისეთი ტანჯვა იხატებოდა, რომ აღელვებულმა მეგარიმ ხელის დაქნევით შეაჩერა.

— როგორ გადაწყვიტე ამ სახით მოსულიყავით ჩემთან?— ჰკითხა მან.—ჩემს თვალებს არ ეუჯერებდი, როცა თქვენ დაგინახეთ. მე ვიცნობდი ინსტიტუტში პატიოსანს, მშვენიერს ყმაწვილს, ერთს იშვიათს ადამიანს, რომელიც მეგონა კეთილშობილურად შეასრულებდა პირველ-დაწყებითი მასწავლებელის საქმეს. მე იგი მიყვარდა, მინდოდა კიდევ მენახა იგი. მაგრამ თქვენ ის კაცი არა ხართ. რა ხანია რაც სწავლას თავი მიანებე? ამ სახით ეჩვენებით მოწაფეებსაც? მითხარ მაინც სანამ წახვიდოდე, რომ დიდი ხანი არ არის, რაც სიკეთის გზა მიატოვე და ეს სხვა არ არის რა თუ არ გარდამავალი ხანა თქვენს ცხოვრებაში.

ყველა ეს სიტყვები არღვევდა მძიმე ფარდას, რომელიც ახალგაზდა მასწავლებლის სულს გადაფარებოდა. იმას უნდოდა პასუხი მიეცა, მაგრამ სირცხვილი და მღელვარება უდუნებდა ენას.

დერეკტორი მიუახლოვდა და უთხრა:

— სურინტენდატთან საქმე—უბრალოა. მაგას მე მოვახერხებ. მაგრამ რაც ნამდვილ სერიოზულია—ეს ისა, რომ ამის შემდეგ თქვენ მასწავლებელი არა ხართ. თქვენი გონება ისეთი არ არის, რაც წინად იყო. თქვენი ცხოვრება არეულია და თქვენი სკოლაც დაცემული უნდა იყოს იმიტომ, რომ თქვენ იგი არ გიყვართ ამის შემდეგ. ეს მე უთქვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოთაც ვიცი. ამისთანა პასუხი მიეცით თქვენ დედის უკანასკნელ ანდერძს? რა უყავით მისი წერილი? დაჰკარგეთ?

— არა—ის მუდამ თანა მაქვს!—წამოიძახა რატტიმ და თვალები ცრემლებით აევსო. ოჰ, მაპატიეთ, რომ ამ სახით მოველი თქვენთან. ნუ გაიფიქრებთ ჩემზე ბევრს ცუდს. წაიკითხეთ ინსპექტორების ანგარიშები: იქიდან დაინახავთ, რომ მე ამ ხუთი წლის განმავლობაში თავისს მოვალეობას ვასრულებდი. მე ცოდნას ვეძებდი, მაგრამ დამიწყეს დევნა. მე შემხვდა საკუთარი მწუხარება, მინდოდა თავი დავიწყებას მიმეცა. ეს იქნება ორი თუ სამი თვე. მაგრამ კიდევ შემიძლიან გზას დავადგე. დაუკვირდით ჩვენს ცხოვრებას ზოგიერთს სოფელში. ჩვენ თუ შურის ძიებით გვდევნიან, არავინ არის ქომაგობა გაგვიწიოს, რჩევა მოგვცეს. ჩვენ წინააღმდეგ ბავშვებს ალაშქრებენ, სიცოცხლეს გვიშხამავენ; ჩვენთვის არც გართობაა, არც ბიბლიოთეკები, არც არაფერი. და აი ძირს ეშვები. მაგრამ მოგახსენებთ: სინიდისი წმინდა მაქვს. მე შემიძლიან ყველას პირდაპირ შევხედო. ბოლოს თქვენ გნახეთ—ესეც საკმარისია ჩემთვის. თუ მაპატიებთ, ისეთივე გავხდები, რაც წინად ვიყავი. დედა ჩემი მეტს ვერაფერს მოგწერთ თქვენ. მაგრამ მე შემიძლიან, რომ არ შევურაცხვყო მისი ხსოვნა, გთხოვთ თქვენ შენდობას და პატიებას. უცებ მოისვა ხელი შუბლზე და თვალებზე, თითქოს უნდა მოიშოროს ცუდი წარსულის ნიშნებიო და დაუმატა:

— მადლობა ღმერთს... ყველაფერი აღსრულდა...

დირეკტორმა ერთს წუთს შეხედა მას, გაუწოდა ორივე ხელი და უთხრა:

— მე მჯერა თქვენი და დარწმუნებულიც ვარ. თქვენ მპირდებით დაუბრუნდებით იმ აზრებს, რომლითაც აღჭურვილნი იყავით ინსტიტუტიდან გამოსვლის დროს, მართალია არა? თქვენ უბრუნდებით ისევ ძველ გზას, ხელახლად შეიყვარებთ ბავშვებს, შეიქნებით კვლავ ამაყი თავისი მოწოდებით, თამამად აიტანთ დევნას, შეიქნებით ნამდვილი ღირსებით აღსავსე. კვლავ შეუდგებით თვითგანვითარების საქმეს.

ეროვნული

— დიახ, წარმოსთქვა ყმაწვილმა გარდაწყვეტილის ხმით.

— კეთილი, სთქვა მეგარიმ. მე დავივიწყებ ყველას რაც მოხდა. ვიფიქრებ თქვენზე წინანდელის სიყვარულით. მე ბევრი მესმის და ბევრსაც გაპატიებ. დაბრუნდით თქვენს სოფელში, ენერგიულად და მოთმინებით შეუდექით საქმეს და მალე დაინახავთ როგორ დაგიბრუნდებათ კვლავ ბედნიერი დღეები. მშვიდობით და გახსოვდეთ დედა თქვენი!

— არც თქვენ დამავიწყდებით, ვიდრე ცოცხალი ვარ— წამოიძახა რატტიმ და ბრწყინვალე სახით გამობრუნდა უკან.

ახალ ადგილზე, კამინში, რატტიმ გადასწყვიტა დაბრუნებოდა ისევ პირველ მეთოდს—ალერსით ემოქმედნა ბავშვებზე.

„ბავშვის ღირსების პატივისცემა, ალერსით გაფრთხილება, რჩევა, მსჯელობა, ცდა ყოველის ღონისძიებით განაღვიძოს ბავშვში სიყვარულის გრძნობა, მტკიცე ხასიათით შეიკავოს თვითონ თავი და არ მიეცეს სასოწარკვეთილებას— ასეთი იყო იმისი მოქმედების პროგრამა, რომლის შესრულება მისთვის ძნელი არ იყო.

კლასში არ იყო, ან არც შეუმჩნევია მას არც ერთი ცუდი ხასიათის ბავშვი, რომელზედაც შეუძლებელი ყოფილიყო ალერსით მოქმედება. წინანდელ მასწავლებლის ხელში დატუქსული ბავშვები განცვიფრებულნი იყვნენ ახალი მასწავლებლის მოპყრობით. როდესაც ხედავდნენ, რომ მასწავლებელი მიუახლოვდებოდა ცელქ ბავშვს, რომელსაც იგი, ცემისა ან კარში გაგდების მაგიერ, მხარზე ხელს დაადებდა, მშვიდად და ალერსიანად დაუწყებდა ლაპარაკს, ბავშვები ერთმანეთს ღიმილით გადახედავდნენ და თითქოს თავის გულში ამბობდნენ: „ეს რა გიჟი ვინმეაო?“ ასეთმა მოპყრობამ წრეს განაშორეს ბავშვები. მშვიდად მოპყრობამ ეჭვი დაჰბადა მოწაფეებში მასწავლებლის ხასიათის სიმტკიცის შესახებ, რომელიც თავს იჩენს, როცა გადამეტებულ ალერსს ბოროტად ხმარობენ. მაგრამ მასწავლებლის მწუხარე სახის გამომეტყველება, როცა ბავშვი ცუდად იქცევოდა, უფრო მეტს პატი-

ვისცემას აღძრავდა მათში, ვიდრე სისასტიკე, თუმცაღა ბევრისათვის, თუ რა გრძნობა იხატებოდა მასწავლებლის მწუხარე სახეზე, გაუგებარი იყო. მასწავლებელი, კმაყოფილი იმისი, რომ თავისი პროგრამის შესრულებაში ბევრს დაბრკოლებას არ ხედავდა, სიამოვნებით, აღტაცებით და ცოცხლად ესაუბრებოდა ბავშვებს, ხშირად პოულობდა ისეთს საგუთებს და სახეებს, რომელნიც აღელვებდნენ და არწმუნებდნენ მოწაფეებს. რამდენიმე დღის შემდეგ ათობით მოწაფეები თავისი სიმპატიური გულისყურით და ყოფაქცევით საუკეთესოდ ამტკიცებდნენ ამ მეთოდის კარგს გავლენას... მართალია ბევრნი ჯერ კიდევ ქვასავით იყვნენ. ერთმანეთს მუჯლუგუნს წაჰკრავდნენ, თითქოს წასჩურჩულებდნენ ერთმანეთს: დარიგებას გვიკითხავსო, მაგრამ ეს იყო გარდამავალი მანიფესტაცია, რომელიც კლასში სიმშვიდეს არ არღვევდა.

რატტის ამხანაგ მასწავლებლებსა და სკოლის გამგებელთ შორის ჩამოვარდება უსიამოვნება, ეხებიან ერთურთის თავმოყვარეობას, მაგრამ რატტი ამას ყურადღებას არ აქცევს. ის მთლად გაება თავისს საქმეში. „იგი სავსებით ეკუთვნოდა სკოლას. იგივე გატაცებული იყო საკუთარის მუშაობით. არასდროს მას ისე არ უგრძვნია სულით ერთობა თავისს საყვარელ პედაგოგთან, დიდებულ შვეიცარიელ მასწავლებელ პესტალოციისთან, როგორც ეხლა. ის გრძნობდა, მთელი თვისი სულის ძლიერებით შეგნებული ჰქონდა მას, რომ ყველაზე უფრო წმიდა და დიდებული საქმე, რაც კი არსებობს ქვეყნად, ეს არის ბავშვის გულის ავსება წმინდა და კეთილშობილური აზრებით. ხშირად რატტისაც ემართებოდა ის, რაც ემართება ყველა ნამდვილს მასწავლებელს — აღელვება, ციებ შეყრილივით კანკალი გაკვეთილების დასაწყისში. ღრმად დარწმუნებული, რომ სკოლის წესიერება და მასწავლებლის მიერ მომზადება გაკვეთილებზე ერთმანეთზეა დამოკიდებული, იგი ყოველ დღე ბეჯითად ემზადებოდა გაკვეთილებისათვის. ლაპარაკობდა კლასში მკაფიოდ, მოკლედ და მხურვალედ, უნებლიეთ აღძრავდა, აამუშავებდა ბავშვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულისყურს და გაკვეთილის შემდეგ კმაყოფილი გამოდიოდა კლასიდან. რატტიმ იცოდა, რომ ბევრი ოჯახი არ ემადლიერებოდა მას ბავშვებთან შებრალებით მოპყრობის გამო; უჩივოდნენ, რომ მათი შვილები დაუდეგარი, ცელქები არიან და სკოლაში კი არ სჯიანო. მაგრამ რიტტი თავს ინუგეშებდა იმ აზრით, რომ ამასვე განიცდიდა დიდებული პესტალოციც. რატტიმ იცოდა, რომ მისი მეთოდი სრულიად არ მოსწონდა სინდიკსაც. უკანასკნელმა დაინახა ერთხელ, რომ რატტიმ ხელი ჩამოართვა ერთს ცუდს მოწაფეს და ალერსით დაუწყო ლაპარაკი, სინდიკი მიუბრუნდა მასწავლებელს და უთხრა: „ამასაც ეალერსებით?“ აიღეთ დიდი კეტი და მერწმუნეთ უკეთესი წარმატება გექნებათო“. მაგრამ რატტი იმდენად დარწმუნებული იყო სიკეთით გავლენის ძლიერებაში, რომ ეს შენიშვნა ვერავითარ ცვლილებას ვერ შეიტანდა მისს რწმენაში. რატტი ხშირად დადიოდა ავადმყოფ ბავშვებთან-მშობლებს დარიგებას აძლევდა, თუმცაღა ბევრი არა კეთილი თვალით შეჰყურებდა მას. განსაკუთრებულ მზრუნველობას რატტი უწევდა თავისი მეცადინეობით სწავლაში ჩამორჩენილ ბავშვებს. ადგილის სიმშვენიერე, შეუდარებელი ფირუზივით მწვანე ცა, თეთრი გვირგვინით მორთული ალპების მწვერვალები, მწვანე მდელოთა შორის ვერცხლის ფრად მოჩხრიალე ნაკადულები, მომხიბლველი გაზაფხულის კეთილ სურნელოვანება— ყველა ეს უკარნახებდა მას სიცოცხლეს და ძალას. რატტი ხშირად ეუბნებოდა თავის თავს, რომ მას ჯერ კიდევ საქმე აქვს ამ ქვეყნად, შეუძლიან კიდევ რამედ გახდეს. ჩვეულებრივის სიცხოველით მოჰკიდა მან ხელი მეცადინეობას. ეხლა უსაქმოდ საღამოებს არ ატარებდა. ოთახში ჩაკეტილი კითხულობდა თავისს რვეულებს, წიგნებს, სწავლობდა ფრანგულ ენას“ და სხ

მეზობელ მემამულისაგან რატტიმ შეიძინა სურათებიანი ალბომი, რომელიც წარმოადგენდა 1848—1849 წლის ეროვნულ ბრძოლისათვის თავგამოდებისა და გმირობის აქტებს. ყოველ კვირაში მოჰქონდა სკოლაში თითო ამისთანა სურათი და სიამოვნებით ატყობდა, რომ საუბარი ამ საკვირველ გმირობის შესახებ, სიცოცხლით და ძალით

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკვეთ სურათთან ერთად, დიდს შთაბეჭდილებას ახდენდა ბავშვების სულზე. შენიშნა აგრეთვე, რომ გაკვეთილებზე დასწრების აღკრძალვა, როცა ის ახალს სურათს უჩვენებდა, შეადგენდა ბავშვებისათვის ნამდვილს დასჯას იმიტომ, რომ დასჯილი ბავშვები არა ერთხელ მიდიოდნენ რატტისთან და მორჩილებით თხოულობდნენ ნება მიეცათ მათთვის გაკვეთილებს დასწრებოდნენ, რომ მათაც ამხანაგებთან ერთად შეძლებოდათ თხზულების დაწერა იმის შესახებ, რასაც მასწავლებელი აუხსნიდა მოწაფეებს. გაკვეთილების შემდეგ იმას ბედნიერად მიაჩნდა თავისი თავი და სიამოვნებით ამბობდა თავის გულში, რომ საქმე კარგად მიდისო.

მაგრამ ამისთანა უშფოთველი ბედნიერებაც ხანგრძლივი არ იყო; რატტის წინააღმდეგ გამოილაშქრა ადგილობრივმა კაცთ მოსისხლე დელეგატმა, რომელსაც არ ესმოდა არავითარი სისპეტაკე, იგი იყო გულღვარძლიანი პატარა სოფლელი იეზუიტი, როგორც ახასიათებს მას დე-ამიჩისი.

მასწავლებელი გრძნობდა, რომ რაღაც ქარიშხალი ტრიალებდა მის გარეშემო, მაგრამ ვერ წარმოედგინა თუ რა მიზეზს იპოვიდნენ მისდა საწინააღმდეგოთ. „მისს კეთილ მიდრეკილებით მოპყრობას სკოლაში? მაგრამ საკლასო წესიერება უკეთესი არ შეიძლებოდა. სწავლების ცუდს შედეგებს? შეუძლებელი იყო. იგი დარწმუნებული იყო თავისს სიმართლეში. მაგრამ ამავე დროს რაღაც ცუდი ნიშნები შეუმჩნეველი არ რჩებოდა.

ერთხელ, როდესაც რატტიმ დასტოვა სკოლაში ყმაწვილი დასასჯელად, შენიშნა, რომ დელეგატი ფანჯარაში იყურებოდა. მეორეჯერ შენიშნა, რომ სინდიკი ვიღაცას უდარაჯებდა სკოლასთან. უფრო საზარელი ის იყო, რომ მოწაფეთა შორისაც რაღაც არა სასურველმა მოვლენამ იჩინა თავი. ყოველ შეხვედრის დროს მცხოვრებლები რაღაც ეჭვით უცქეროდნენ, თითქოს ეხლა რაღაც წუნს ამჩნევდნენ მას, რასაც წინად ვერ ხედავდნენ.

დაღონებულმა რატტიმ ექიმს მიმართა. ექიმი ყმაწვილი კაცი იყო, რომელთანაც მას კარგი განწყობილება ჰქონდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატტის შეკითხვაზე ექიმი გაწითლდა. სჩანდა, რომ ძლიერ აღშფოთებული იყო, ბოლოს უპასუხა:

— არ ვიცი სწორედ. ასე რაღაც საეჭვოა. თქვენ ძლიერ კეთილი ხართ. დამერწმუნეთ, რომ სიყვარულით და სიკეთით ვერას გახდებით გაქსუებულ ხალხთან. მათ ეს თვისება არ ესმისთ. ეს იმათ ან სისუსტედ, ან სხვა რამედ მიაჩნიათ... მოეპყარით ბავშვებს უფრო სასტიკად.

მეტი არა უთქვამს რა.

სიკეთე? სისუსტე? ეს იგივე საყვედურია, რაც არა ერთხელ სმენია მას სინდიკისაგან. ტოტა სიტყვებით ამბობდა ის. მაგრამ რატომ არ უნდა სთქვა ეს გულახდილად? რა საჭიროა ეს საიდუმლოება? რად აიცრუეს გული ბავშვებმა და მტრულად შესცქერიან მას? უეჭველია სხვაც რამე იყო.

მეორე დღეს, როდესაც რატტიმ მიუალერსა ერთს დამფრთხალ ბავშვს, ბავშვებმა რაღაც საძაგელი სიცილი ასტეხეს. „მასწავლებელმა შენიშნა თუ როგორ გაუცივდა მას გული და პირის სახეზედაც შეიცვალა“. „რად იცინით?“ — ჰკითხა მან. სიჩუმეა. „აბა მითხარი შენ“, მიუბრუნდა ერთს მოზრდილ მოწაფეს. „რაზედ გაიცინე“? რას ფიქრობდი? რას გეუბნებოდნენ?

რატტი საშინლად გაფითრდა. მოწაფე შეშინებული ეგონა, მაგრამ ხმას არ იღებდა. ერთს წუთს შეჩერდა და შემდეგ უთხრა მოწაფეებს:

— გაკვეთილი გათავდა. წადით!

ყველანი გამოვიდნენ. რატტიმ აიღო ქუდი და მიიჭრა კანცელარიაში სინდიკთან, რომელიც მაგიდასთან თავჩაქინდრული იჯდა და რაღაცას სწერდა; გვერდში დელეგატი ედგა ქაღალდებით იღლიაში ამოჩრილი. მან თავისი ყვითელი თვალებით გადახედა მასწავლებელს და დიდხანს არ მოუშორებია თვალები მისთვის. სინდიკმა თავი ზევით ასწია. რატტიმ დაილაპარაკა პირველად აღელვებულის ხმით:

— მე მოვედი, ბ-ნო სინდიკო, თქვენთან, რომ ამიხსნათ .. უეჭველია თქვენ გამაგებინებთ. ხდება რაღაც, რაც მე არ მესმის. ყველაფერი შეიცვალა ჩემს გარშემო. მე ვასრუ-

ლებ ჩემს მოვალეობას, როგორც მესმის, როგორც სვინდი-
სი მამხილებს. მაგრამ ვიღაც ძირიდან ორმოს მითხრის.
მოწაფეებს, რომელნიც დღემდის მოწიწებით მიყურებდნენ,
ეტყობათ აღელვების ნიშანი. რას მისაყვედურებენ? რა არ
შევასრულე? აქ რაღაც გაუგებრობაა, ან ცილის-წამება და
მე უფლება მაქვს ვიცოდე ეს. ბრძანეთ, ბატონო სინდიკო,
მე თქვენ ყურს გიგდებთ.

სინდიკს რაღაც არეულობა დაეტყო, მაგრამ არ შეეძლო
პასუხი არ გაეცა. გადაისო ხელი შუბლზე და უპასუხა.

— დიახ, არავითარი ცილის-წამება არა .. დამშვიდდით...
მხოლოდ არა ერთხელ მითქვამს თქვენთვის, რომ სუსტი
ხართ. რაც შემეხება მე თქვენი საწინააღმდეგო არა მაქვს რა...
დიახ, მგონია...

— დიახ, მგონია... შეუძლებელია რომ სხვა არა იყოს
რა—სთქვა რატტიმ.—მე ვასრულებ ჩემს საქმეს, როგორც
სვინდისი მამხილებს. კლასში ყოველთვის სრული წესიერება
იყო. ჩემი გულ-კეთილობის გამო სრულიად არ დაუკარგავს
ბავშვებს ჩემდამი პატივისცემა. აქ რაღაც სხვა რამეა. არის
რაღაც ბეზღება, ცილისწამება და გთხოვთ ამიხსნათ ეს.

კედელს მიყრდნობილმა სინდიკმა უცებ მიიხედა დელე-
გატისაკენ, თითქოს ეკითხებაო — ეს თქვენ შეგეხებათ და
სთქვითო.

— დიახ, — დაუმატა რატტიმ და შეაცქერდა დელეგატს —
არის ცუდი ადამიანი, რომელიც ჩირქსა მცხებს.

დელეგატი მიუბრუნდა თავის გაყვითლებული სახით
რატტის და უთხრა:

— თქვენ ძალიან ეალერსებით ბავშვებს.

— რა გინდათ ამით სთქვათ—ჰკითხა ფერწასულმა რატ-
ტიმ.

— თქვენ, მგონია გაიგეთ რაც უნდა მეთქვა—მიუგო
მან-

რატტი რამდენიმე წუთს მეხდაცემულივით იდგა, უცებ
ელვასებრ სისწრაფით გააქნია თავისი ხელი და ისეთის ძა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლით სტულიშა ყბაში სილა თავისს მოწინააღმდეგეს, რომ ამ უკანასკნელის სათვალეები და ქუდი ჰაერში აფრინდა.

— მიიღო, უსირცხვილო მატყუარავ, საძაგელო! უყვიროდა მას. სინდიკი უნდა მივარდნოდა რატტის, მაგრამ უცებ წააწყდა გონება დაბნეულს დელეგატს და ორნივე იატაკზე გაიშხლართნენ. მასწავლებელი გარედ გამოვიდა. ეგონათ, რომ ამ საქციელის გამო რატტის კატორგაში გაგზავნიდნენ. მაგრამ საქმე რატტისთვის სასარგებლოდ დაბოლოვდა.

სიმართლის განმარტება, საზიზღრობით ათრთოლებული ხმა, რომლითაც რატტი უამბობდა დირეკტორს მომხდარ ამბავს, სრულიად საკმარისი იყო, რომ ყველა დარწმუნებულიყო მისს გულწრფელობაში. ის შეურაცხყოფა, რაც მასწავლებელს მიაყენეს, იმდენად ძლიერი იყო, რომ არც გასაკვირველი იქნებოდა თუ საპასუხოდ იკი მიმართავდა რაიმე სასტიკ ზომებს. ინსპეკტორი, რომელიც გამოგზავნილი იყო საქმის გამოსაძიებლად, დარწმუნდა მასწავლებლის სიმართლეში და დელეგატი, რომელიც დამტვრეული სათვალეების ანაზღაურებას ფიქრობდა, იძულებული გახდა რამდენიმე ხნით მოშორებოდა იქაურობას და დამალულიყო. მაგრამ არც მასწავლებლის დატოვება შეიძლებოდა იმ სოფელში, სადაც ეს ამბავი მოხდა და წინადადება მისცეს მას გადასულიყო დროებით მასწავლებლად ერთს პატარა ქალაქში.

თუმცალა ეს შემთხვევა რატტის სასარგებლოდ დაბოლოვდა, მაგრამ იმას გული მაინც განგმირული ჰქონდა. წყარო იმის სიკეთისა მოშხამულად მიაჩნდა. რაღაც უძლეველი ძალა აჩერებდა, როცა უნდოდა მიალერსებოდა ბავშვს და ხელი მხარზე დაედო მოწაფისათვის. ასეთი გულის აზრი დიდხანს შერჩა მას.

მაგრამ ეს მძიმე მდგომარეობა თანდათან გაჰქრა, უფრო მის შემდეგ, როცა ახალს ადგილზე გაიცნო მასწავლებელი ლელი, რომელიც იყო ცოტა სასტიკიც, მაგრამ ბუნებით პედაგოგი. ლელი ჩინებულად წრთკნიდა ცუდი ხასიათის ბავშვებს სკოლაში. შენიშნავდა თუ არა, რომ კლასში გამოერეოდა 5—6 ცუდი თვისების ბავშვი, რომელნიც ერთ-

ნაირი ცუდი თვისებით იყვნენ შეპყრობილნი, პირველადვე ასწრობდა და აფრთხილებდა მათ, რომ არ ჩაედინათ ცუდი რამ საქციელი. ეს გაფრთხილება, ნიღაბის ახდა ისეთს შთაგონებას ახდენდა მოწაფეებზე და ამტკიცებდა მასწავლებლის შორსმჭვრეტელობას, რომ თითქმის ყველაზე უფრო თავზე ხელაღებულებიც კი დიდხანს ისხდნენ მშვიდად. რაც შეეხება სკოლაში წესიერების დაცვის მეთოდს—ამ მხრით დელლის აზრი მთლად ეთანხმებოდა გარასკას ძველი ინსპექტორის იდეებს ის ხშირად სჯიდა გაუფრთხილებლად. იმას უნდოდა განევითარებინა ბავშვებში ის რწმენა, რომ ყველა ცუდს საქციელს სასჯელი მოჰყვება, როგორც ხელის დაწვას—ტკივილი. იმის აზრით მასწავლებელი არაოდეს არ უნდა აღელვდეს. ის უნდა მშვიდი და აუღელვებელი იყოს, რომლითაც ბავშვები შეიგნებენ, რომ სკოლა სხვაა, ვიდრე ოჯახი, მასწავლებელიც სულ სხვაა, ვიდრე მამა, რომ სკოლაში თვითონ ბავშვები ხდებიან მოქალაქეებად და ასრულებენ ამა თუ იმ მოვალეობას სახელმწიფოსადმი და ამიტომაც მათ არავითარი უფლება არ აქვთ არც პრივილეგიისა და არც დაყვავებისა. იმისი აზრით სკოლის ოჯახად გარდაჰქმნა შეცდომაა იმიტომ, რომ იგი შეიქმნება უწესრიგო ოჯახად. მასწავლებელს ხელთ არ აქვს ის ზომები, რასაც მშობლები მიმართავენ ხოლმე ცუდი საქციელის მოსასპობად პატიებით. აი ამიტომაც იგი მოითხოვდა თავდაპირველად სრულს სიჩუმეს და სიწყნარეს კლასში, რომ მასწავლებლებს გაკვეთილზე ხმა არ უნდა აემაღლებინათ, რაც მასწავლებლის დიდ სისუსტედ მიაჩნდა. ცოტ-ცოტათი ყველა მოწაფეები ეჩვევოდნენ ჩუმად და წყნარად გამოსვლას და შესვლას კლასში ისე, როგორც ტაძარში. იგი მეტს სიტყვებს არ ხმარობდა არც ქებისა და არც ძაგების დროს. ერთი გადახედვა, ერთი სიტყვა, ან ნიშანი საკმარისი იყო მისთვის. ამისთანა მეთოდით ხელ-მძღვანელობდა მორალის სწავლების დროსაც. იგი ადამიანის მოვალეობას რამდენიმე სიტყვით უხსნიდა, არ მისდევდა გრძელ განმარტებას რისთვის და რატომ, რადგანაც ეს სრულიად უსარგებლოდ მიაჩნდა ბავშვებისათვის. უფრო მეტიც,—ყოველივე კამათი

მორალურ პრინციპების შესახებ, რომელსაც სვინდისი მოიწონებდა, პროფანაციად მიაჩნდა.

რატტი ყურს უგდებდა დელლის, გრძნობდა თუ როგორ იზრდებოდა მასში პატივის ცემა დელლისადმი. ხანდისხან როდესაც რატტი დელლის უყურებდა, თავის თავს ეკითხებოდა: განა ნამდვილად არ არიან ადამიანები, რომლებიც პედაგოგად იბადებიან, ისე როგორც პოეტები იბადებიან? დელლის კითხვა, დაკვირვება, ლაპარაკი—ყველა ერთი საგნისკენ, ერთი მიზნისკენ იყო მიქცეული: მისი კლასის ინტერესისკენ.

რატტი უკვირდებოდა დელლის მოქმედებას და რწმუნდებოდა, რომ მისი გასაოცარი გატაცება სკოლის საქმეებით მომდინარეობს არ მარტო თავის მოწოდებაზე მაღალ წარმოდგენიდან, არამედ მოვალეობის ცოცხალი გრძნობიდანაც-ყველაზე მაღლა იგი სვინდისს აყენებდა". მოვალეობის ადამიანი იყო იგი თავისი კერძო ცხოვრებაშიაც და სახელოვანადაც გამოვიდა მძიმე განსაცდელისაგან, რასაც ბედი უმზადებდა მას. ამ იშვიათ ადამიანთან დაახლოვებამ რატტიზე ფრიად კეთილი გავლენა მოახდინა.

რატტის დაუსრულებელს ხეტიალს ბოლო ეღება საკონკურსო გამოცდაზე, რის შემდეგაც ადგილს აძლევენ ტურინში. სოფელ სოფელ და პატარ-პატარა პროვინციის ქალაქებში ხეტიალს მორჩა. ის ხვდება გონებითს ცენტრში. აქ ადვილად შეუძლიან მას თავისი ცოდნის წყურვილი დააკმაყოფილოს. აქ მას შეუძლიან იაროს არა მარტო ბიბლიოტეკებში და სხვა განმანათლებელ დაწესებულებებში, არამედ დაუახლოვდეს უფრო განათლებულ პირებს და საუკეთესო მასწავლებლებს. არ იქნება მძიმე მარტოობაში. პირად ბედნიერებისათვისაც იმედი უღიმის. ფაუსტინა გალლისთან ნაცნობობა განახლდება. იმისი მამა გარდიც ალა. ისიც ადგილს შოულობს ტურინში, და ეჭვს გარეშეა, რომ ეხლა უარს არ იტყვის თავისი ბედის რატტის ბედთან შეერთებაზე.

დე—ამიჩისი არ სწყვეტს პედაგოგიურს საკითხებს, მხოლოდ წამოაყენებს მათ. უნებლიეთ, როცა კითხულობ ამ რომანს, გებადება კითხვა: რომელი მეთოდია უკეთესი—

ეროვნული ბიბლიოთეკა

„გულის მეთოდი“, რომელსაც ადგა უმეტესს შემთხვევაში რატტი, თუ „გონების მეთოდი“, რომელსაც ურჩევდა ინსპექტორი? ამაზე პასუხს იძლევა რომანში გამოყვანილი გმირების მოქმედება. კარგია ის მეთოდი, რომელშიაც ადამიანი დახელოვნებულია. რატტის მეთოდს შეუძლიან თავ-აშვებულად გახადოს კლასი, შეუძლიან მთელი კლასი მასწავლებლით ერთად მიიყვანოს საერთო მეგობრულ და სასიყვარულო მუშაობამდინაც. დასაწყისში ახალგაზდა მასწავლებელს არ შეეძლო გარკვეულიყო ბავშვის სულში, არ შეეძლო გამორკვევა ბავშვის ინდივიდუალობაში, ანგარიშს არ უწევდა არც კლასის გულის აზრს: რომელიც ყოველთვის ცვალებადია და არც თითოეული მოწაფის განკერძოებულ თვისებებს. ყველასათვის ყოველ დროს ერთი და იგივე ზომა იყო ხმარებაში. გული სიყვარულს და ალერს უკარნახებდა, მაგრამ ეს სიყვარული და ალერსიც უანგარიშოთ იხარჯებოდა. რასაკვირველია ამას ბავშვები არ აფასებდნენ, შედეგად მოჰყვებოდა სიცელქე, სიავკაცე და თავაშვებულობა.——

მეორე მეთოდის ხმარების ცდამ უნაყოფოდ არ ჩაიარა, მაგრამ იგი არ შეესაბამებოდა რატტის ბუნებას, ამიტომაც ის ვერ შეითვისა მან სამუდამოდ. გარდამავალ ხანის შემდეგ „გულის მეთოდმა“ ისევ პირველი ადგილი დაიჭირა, მაგრამ, გამოცდილების წყალობით, შეტანილი იქმნა შიგ საჭირო შესწორებანი. არ არის განურჩეველი ნებივრობა, როგორც წინად იყო, მაგრამ რჩება გულითადი დამოკიდებულება. რჩება ცხოველი სიყვარული, მაგრამ გონიერი სიყვარული, რომელსაც ბავშვები აფასებენ. ვითარდება ნიჭი ბავშვის ფსიხოლოგიის ნახარეების გამორკვევაში. ხმარებაში შედიან, ალერსის გარდა, სხვა ზომებიც, სადაც კი საჭიროა. და ამ შემთხვევაში თითქოს იგივე მეთოდი, რაც წინად იყო, იძლევა საუკეთესო შედეგებს, ვიდრე წინედ: შენახული იქმნა ყველა კარგი და ჩამოშორებული არა საჭირო, მავნე მხარე.

მაგრამ ეს მეთოდი სწავლა აღზრდისა რომ საქმეში გამოიყენოს კაცმა, საჭიროა ჰქონდეს მას, როგორც რატტის,

ბავშვების მოსიყვარულე გული. უამისოდ ყოველი აღერსი თაღლითია და ვერც შეარყევს ბავშვის გულს, რომელიც ყოველთვის არჩევს გულწრფელ გრძნობას არა ბუნებრივის გრძნობისაგან.

უნდა იყო მოვალეობის ამსრულებელი ადამიანი, მაგრამ იმავე დროს საჭიროა იყო გულითაც ადამიანი, ცხოვლად გიყვარდეს ბავშვები და ამ სიყვარულში შეიტანო უფრო მეტი გონიერება — აი რა აღთქმას იძლევა რომანში გმირების მოქმედება. და რას მიეცემა უპირატესობა სიყვარულით თუ საქმიანობით აღზრდას, ეს დამოკიდებულია მასწავლებლის პიროვნებაზე ისე, როგორც მოწაფეთა პიროვნებით განისაზღვრებიან ის ზომები, რომელსაც აირჩევენ მათდა აღსაზრდელად.

ლ. ბ—ძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითელი სარჩული

მოთხრობა.

(ვუძღვნი ვ. გუნიას)

I

ნუ გაგიკვირდებათ, რომ ამ ჩემის მოთხრობის გმირს სახელად იუდა ჰქვიან. ეს თავისი ბრალი არ არის: ულმობელი კალენდრისა და მამა მისის თადეოზის ბრალია; კალენდარში ეს სახელი ამოვიდა; მამა იუდასი კი ისეთი თაყვანისმცემელი იყო კალენდრისა, რომ თუმცა ელენე, ცოლი თადეოზისა, ბევრი ეხვეწა, შვილს პაპის სახელი ასლანი დავარქვათო, მაგრამ თადეოზმა თავი მოიკლა: დღეს კალენდრში იუდა მოციქულის დღეობა ამოვიდა და განგებას როგორ უნდა ვაწყევინოო.

მოგეხსენებათ, როცა იესო ქრისტემ ახალი სწავლით ქვეყანა განაახლა, ძველი აღთქმა ახალით შესცვალა, იმას სხვათა შორის, მოციქულებად ორი იუდა ჰყავდა: იუდა ისკარიოტელი და იუდა, ძმა იაკობისა, ნათესავი თვით იესოსი. რომელს იუდას—ჩამოჰგავს ჩვენი იუდა, ამას ეხლავე ვერ მოგახსენებთ, მეტიჩარობაში ჩამომერთმევა. ვიტყვი კი, რომ ჩვენი იუდა არც ისკარიოტელია, არც ძმა იაკობისა, იგია ნამდვილი ქართულის თოხუმისა, გასარევი არ არის იმ ორ იუდაში, სრულებითაც არ ჰგავს იმათა. იუდა ისკარიოტელმა მოძღვარი გაჰყიდა, შეიგნო დანაშაული, ხეზე ძაღლით ჩამოიხრჩო თავი და ამით კაცობრიობას ამცნო: „სადღაც კუნჭულში სინიდისის მიმქრალი ნაპერწკალი დამრჩა, გული დაჰწვა მხილებითა, თავი შემაზიზღა და ამიტომ თავს ვიხრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩობო". მეორე იუდა ცნობილი მქადაგებელი იყო თავისი მოძღვრის იდეებისა. ჩვენი იუდა კი.... მაგრამ წინამასწოროობას რა მსჯის. ხე ნაყოფისაგან იცნობების.

მაშ გავიცნოთ.

იუდა თადეოზის ძე ღეჭიაშვილი,—თუ შეიძლება ასე ითქვას,—სამმაგი ბუნების ადამიანია. გარეგნობით კაცია, როგორც სხვა კაცი, ხატად და მსგავსად ღვთისა შექმნილი. სახე ბადრი, მშვენიერი, სასიამოვნო. იტყვით: რადგან სახე სულის სარკეაო, ამ კაცის სულიც მშვენიერი და ნარნარი, წყაროს წყალივით ანკარა და წმიდა იქნებაო, მაგრამ ვაი, რომ ასე არ არის: იუდას შიგნით, გულში, ორი სხვა კაცი უზის და მგვარად, ვამტკიცებ მე, იუდა ჩვენი ერთია, მაგრამ სამ ბუნებიანი, ანუ სამ პიროვანი: ერთი გარეგანი კაცი, ორიც შინაგანი. ამ გვარი ადამიანები ალბად ყოფილან ქვეყანაზე, თორემ ხალხი არ გამოსთქვამდა ასეთს სიბრძნესა: „გველი გარედან არის ჭრელი, ხოლო კაცი შიგნიდანაო".

იუდა, როცა მოიზარდა, იუკადრისა იუდობა, ე. ი. სახელი ეჩოთირებოდა; ბევრი ატრიალეს, ხან ირ0დი დაარქვეს, ხან იობი; ბოლოს იმდენი იძაღლა, რომ დოკუმენტში იობ, იგივე იუდა და ირ0დე ჩააწერინა, მაგრამ ხალხში მაინც ზოგი იუდას ეძახდა, ზოგი ირ0დესა. ჩვენც მივბაძოთ ხალხსა, ნუ ვაწყენინებთ და რომელიც მოგვხვდეს, ის დავუძახოთ.

უბრალო კაცი არ გეგონოთ ბ. ღეჭიაშვილი: ჯერ ერთი ესა, რომ ტახტის აზნაურია; თუმცა ჯერ შეუწყნარებელი აზნაურია, მაგრამ მაინც აზნაურია; მეორე—დიპლომიანია. როცა უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრა რუსეთში, დიპლომი არშინახევრიან არყის ჯოხზე დაახვია და ისე წამოიღო საქართველოში, ბეჭედი არ გაუტყდეს და ქაღალდი არ დაიღეჭოსო. ნაქებმა მოხისელებმაც ერთხელ თურმე მთავარმართებელთან მისართმევი ქაღალდი ურმის ჭალებზე მიაკრეს, ყევარი ხარ კამბეჩი შეაბეს და ისე ჩამოიტანეს თფილისში, ბევრი რამე სწერია შიგა, მძიმეა, ერთი კაცი ვერ ზიდავს და ვაი თუ გზაში ქაღალდი დაჭმუჭნოსო. ღეჭიაშვილიც მოხისელებისავით მოიქცა.

ღეჭიაშვილს სწავლის ნიშანი მარჯვნივ არ აკრავს, არამედ მარცხნივ, ზედ გულთან, ძეძუს თავზე. ნიშანიც ნიშანსა ჰქვიან: სწორედ ერთი გირვანქის წონა იქნება და უფრო ვირის ნალსა ჰგავს, ვინემ ნიშანსა.

ღეჭიაშვილი ანგარიშის კაცი იყო. შეგირდობიდანვე იმის ცდაში იყო, რომ შეეძინა სარჩო-საბადებელი. ამიტომ ლიპლომი ჩამოიტანა თუ არა, მაშინვე თანამემცხედრის პოვნას შეუდგა, იპოვნა კიდეც მზითვიან-მამულიანი ქალი. თუმცა ცხოვრებაში ვერა რიგდებოდნენ, მაგრამ მაინც ხომ იშოვნა.

იუდა ზოგიერთებისავით სამშობლოს სამსახურს არ გაჰყვა. თავის ცხოვრების დევიზად გაიხადა შემდეგი: „ისე უნდა ვიცხოვრო, რომ ერთის ხელით, გინა პირით, სამი კურდღელი დავიჭირო“. ამ დევიზს ხშირად იმეორებდა.

— შენ გენაცვალოს ჩემი თავი, იაშო!—ცოლი ასე ეძახდა; თავი ნუ მამაბეზრე მაგ შენი უგუნურის დევიზითა. არ გაგიგონია: ორი კურდღლის მდევარი მწევარი ვერც ერთს ვერ დაიჭერსო. შენ კი სამ-ს დაჭერას აპირებ. კაცი ერთს რამე განსაზღვრულ საქმეს უნდა დაადგეს და პირნათლად და შეგნებულ-დ მიიყვანოს ბოლომდე, უთხრა ერთხელ ცოლმა.

— ჰმ!... ვინა სთქვა, დედა-კაცი იგივეა, რაც მამაკაცი; უნდა გავათანასწოროთო... ერთს დროს ქალების ემონსიპაციით ყურები გამოგვიჭედეს... აბა, ჩემო კარგო, რას ჩმახავ! მწევარი ძაღლია, პირუტყვია; ორის კურდღლის დაჭერას ერთად ვერ მოახერხებს. კაცი კი ძაღლზე ძაღლია: თუ ცხოვრებაში გაიწაფა, სამს კი არა, ოთხსაც დაიჭერს...

— არა მაგას ვინ მოგახსენებს! თუ ნამუსსა და სინიდისზე ხელი აიღო, იქნება მეტიც დაიჭიროს, მაგრამ ნამუსი, სინიდისი?!....

— ნამუსი, სინიდისი?!.... ჰმ!... ნამუსსა და სინიდისს ისეთს სქელ ფარდას ჩამოვაფარებ, რომ თვალითაც ვერა ვინ დაინახოს. აი ნახავ, ჩემო ნინუცა, თუ რა ვქნა: ერთის მხრივ ჩემს ხალხს ვასიამოვნებ, მასთან სახელს გავიკეთებ.... უკვე ჩავყარე ამისი საძირკველი ხალხის გულში... ღმერთმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომცა გონება, ჭკუა და გარეგნობა, ყველა ეს სწავლით შევაზავე; „ჭკვა სწავლით მოიხმარებისო“, „ჭკვა უხმარ არს ბრიყვითვისო“, ამბობს დავით გურამიშვილი. მეორეს მხრივ ჩემს მთავრობას ფეხქვეშ გავერთხობი, მის წინ დავდგ-ებ-დავ-ხორავიქდები. თავს ანგელოზად მოვაჩვენებ. თუ ასე არ მოიქცევი, წინ არ წაგწევენ და დერეფანში გდებით და ხოხვით სულს ამოგართმევენ. მესამე მხრივ, არაფერს და არა ვის არ დავზოგავ, ყველას ცეცხლ-ნავთში გავატარებ, ვინც კი ჩემი სურვილების შესრულებას წინ გადაეღობება... აი, დღეს მე პატარა ჩინოსანი ვარ, ხვალ დიდი კაცი შევიქნები; რა სალდათია ის სალდათი, რომელიც გენარლობას არ მოელის. აი, ამ ჩემს პალტოს, მიუთითა იუდამ საკიდელზე ჩამოკონწიალებულს პალტოზე... გესმის? აი, ამ ჩემს პალტოს-მეთქი წითელ სარჩულს გამოვაკრავ. მივიდა გაბრაზებული, ჩამოიღო საკიდლიდან პალტო, მიუტანა ცოლს თვალებთან: შენ შხამიანად გეღიმება ჩემის რწმენის გამო, მაგრამ გეუბნევი: კაცი არ ვიქნები, თუ აი ამ ჩემს პალტოს წითელი სარჩული არ გამოვაკრა, წითელი, და აქ იუდამ ისეთი დაიყვირა, დაბდღვრიალა თავის მსხვილი თვალები და ისე მაგრა დაჰკრა იატაკს ფეხი, რომ თითონვე შეკრთა, ყური წაუგდო, თავი წანაბა, სახლი ხომ არ დამეცა თაკზეო..

უნდა მოგახსენოთ, რომ „იაშა“ ფაფხურთან საშინელი მხდალიც გახლდათ.

— ეგ არის შენი ცხოვრების პროგრამა? აი, შენი ვაჟკაცობის ჭირიმე, შენი!!... ზიზღით უთხრა ცოლმა. მცოდნოდა ეგ შენი საძაგელი პროგრამა, ცოლად არ გამოგყვებოდი, მაგრამ ახლა რა ვქნა, რა ვუყო შვილებს, გაგშორდე და შენ დაგიტოვო, რომ მაგ საძაგელ პროგრამაზე აზარდო? შე უბედურო, შენა! უფროსებისა ისე გეშინიან, როგორც თაგვს კატისა, შენი აჩრდილისაც კი გეშინიან და კვეხულობ კი, სამი კურდღელი უნდა დავიჭიროვო. ხალხიც შეიძინო, უფროსებიც მოინადირო და წითელი სარჩულიც ამოუდო შენს პალტოსა, გენარლობა მიიღო. რაღა!... მე ხალხის სიბრძნით გაგცემ პასუხსა: ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებსო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგ შენს პროგრამას მამალივით დიდი ბოლო აქვს და ვაი თუ ვერსად მიაფარო... იაშა, როცა შენ მაგ გზით, რასაც შენ ადგიხარ, სამი კურდღელი დაიჭირო უვნებლად, სულის აუშფოთებლად, საფლავში ჩამომძახე... მე შენს ხელში დიდი დღე არა მაქვს, არ შემიძლიან შენს იუდობას ვუყურო, მუდამ მისი მოწმე ვიყო... თუ ღმერთმა ნებით არ ამომხადა სული, ძალით ამოვიხდი.

იუდას ცოლის მხილება და კიცხვა ბაიბურშიაც არ მოსდიოდა, თვალწინ ედგა თავისი დევიზი, რომლის თავი და ბოლო წითელი სარჩული იყო.

— ნამუსი, სვინიდისი?!... იმ ნამუსს და სვინიდისს რომ მივყვე, რომელსაც ფილოსოფოსები „ვიქადაგებენ, შიმშილით სული ამოგვძვრება. ეხლა გამეფებულია სხვა გვარი ნამუსი და სვინიდისი, ქვეყანა მას მისდევს, მას ადგია. სვინიდისი მეუბნევა: ხალხს უანგაროთ ემსახურეო; სხვა გვარი სამსახური ნუ გინდაო, მაგრამ მე ამნაირი სვინიდისი მოვღრიკე, წელში მოვკაკვე და ახლა ასე ვალაპარაკებ: ხალხს თვალები აუბი, თვალში ნაცარი ჩააყარე, უფროსების წინ მოიკაკვე, ხელ-ფეხი გაულოკე, იფლიდე, იცრუე, ანგელოზად ეჩვენე, იმის წინ ქვემძრომივით იხოხე.

— მაგისთანა საქციელისათვის ბევრი მოგხვდება, გააწყვეტინა ცოლმა.

— ოჰოჰო!... ბევრს ვინაღვლი... ძაღლი უსვინიდისობას სჩადის, როცა ჯამში წვენს ენას ამოჰკრავს და სუფრიდან ლუკმას მოგტაცებს, ან ღორი რომ წიწილებს ჩასანსლავს, ან ცომს შეუჭამს გლეხის ცოლსა. ძაღლს სახრით გვერდებს აუჭრელებენ ხოლმე, ღორს დრუნჩს მიუჩეჩქვენ ამისთანა საქციელისათვის, მაგრამ მაშ რა ჰქნას ან ძაღლმა, ან ღორმა, ცხოვრება უნდათ; ცხოვრებამ ისე მიმართა და მიდრიკა იმათი სვინიდისი, რომ თუ ერთმა ენა არ ამოჰკრა სადმე და მეორემ დრუნჩი არსად წაჰყო, მეტი გზა არა აქვთ. ადამიანიც ასეა: ბევრი მოხვდება ცხოვრებაში; ზოგან ქიმუნჯს წაჰკვრენ, ზოგან წკიპარტს, იქნება სახრეც მოხვდეს, მაგრამ აწინდელ ცხოვრებას მაინც არ უნდა ჩამორჩე. უნდა

იწიო მაღლა-მაღლა და ახვიდე სამსახურის კიბის ზემო-საფეხურზე.

ცოლმა ხმა აღარ გასცა. იაშამ ამაყად გაიარ გამოიარა დარბაზში, ერთს წამს სიამოვნებით ულვაშები იგრიხა და მაგიდას მიუჯდა სამუშაოდ.

II.

— მოდის, მოდის! მათი მაღალღირსება მოდის!.... სუუთ!.... ფეხის თითებზე შემდგარი იუდა შემოვარდა კარიდორიდან დარბაზში და პირზედ ხელს იფარებდა „სუს“ ნიშნად.

დარბაზში მყოფთ სერთუკები შეიკრეს, მიისწორ-მოისწორეს ტანსაცმელი, გაჭკრეს სუნგალი, გაიკრძალნენ. იაშა ხომ გაშეშდა ერთს ალაგას ქანდაკებასავით და როცა მათი მაღალ ღირსება შემოხძანდა დარბაზში, გული ისე აუბაგუნდა, რომ ამხანაგებს ბაგუნი იმის გულისა შეესმათ და ცალი თვალით გადახედეს-

— უნდა მოვახსენო კრებას, რომ საქმე მძიმე საკითხს შეეხება, დაიწყო მისმა მაღალ ღირსებამ, ბატონმა

ეროვნული

ჩემი სახელმძღვანელოები უნდა იხმაროთო; მეორე ჩამცივებია —ჩემი საყმაწვილო ჟურნალი გაავრცელეთო.... ყმაწვილებო, სად ვცხოვრობთ ჩვენა? ნუ თუ მთვარეზე? სახელმწიფო სახელმწიფოში ვაგონილა?... ადგილობრივი ენები რუსეთში!?... სწორედ არ მესმის, სისხლი მეყინება ძარღვებში, როცა ამ სისაძაგლეს წარმოვიდგენ.

— თქვენო მაღალღირსებავ, წამოდგა იაშა ღეჭიაშვილი, ხელები ჩამოღშვა, თავ-კისერი ისე წაიგძელა, თითქო სურს ტანს მოაშოროსო, წელში გაიდრიკა, თითქო საცაა გადაიმტვრევაო, —ქართული ენა არის ერთი...

— რაო? გადმოხედა გვერდზე მისმა მაღალღირსებამ და ზიზღით ჩაეკითხა.

იუდას მაღალღირსების თვალითგან გამოტყორცნილი ისარი გულს დაესო და ცხლად გაუარა ფეხების ფჩხილებამდე. შიშის ზარმა და ძაგძაგმა აიტანა, ფერი ძალზე ეცვალა.

— ბრძანეთ, ქართული ენა არის ერთი.... მაინც რის თქმა გნებავს?...

იუდა სულ ერთიან წახდა. უღალატა სინდისის ნაკარნახევს, ნამუსს ფარდა ჩამოაფარა და მოწიწებით მოახსენა:

— თქვენო მაღალღირსებავ, სიტყვა ტუჩზე შემეყინა....

— იუდა თადეოზის ძეს, გააწყვეტინა სიტყვა იუდას და ჩაერია ლაპარაკში ბ. ჩუბაროვი, რომელსაც ღეჭიაშვილის ორპირობა არ მოსწონდა, სურს სთქვას, რომ ქართული ენა არის ერთი იმ გავრცელებულ და კულტურულ ენათაგანი, რომლის სწავლება არავისთვის ხელსაყრელი არ არის.... რა? ამისი თქმა გინდოდათ, არა!...

— დიაღ, დღეგრძელი ბრძანდება ბ. ჩუბაროვი, სწორედ ეგ მაქვს სათქმელი!... თქვენო მაღალღირსებავ, ვისთვის რა საჭიროა ეს რაღაც ადგილობრივი ტლანქი ენები; იწირება, ილოცება მადლიანად იმ ენებზე? ლიტერატურა არის? ძალიან კარგი, თუნდ იყოს ლიტერატურა, ერთი მიბძანეთ: ვინ უნდა იკითხოს? ენა ტლანქი, გაუჩორკნავი, ისეთის ასოების მექონი, რომ კაცს იმათი გამოთქმით ენა მოსტყდება, ამიტომ... ჰო, ის უნდა მეთქვა: ვისაც მაინცა და მაინც

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურს ისწავლოს ქართული, ისწავლოს თავისითა... მხეცებსაც აქვთ თავისებური ენა, რომლითაც ერთმანეთის გულის პასუხს ატყობინებენ...

მისმა მაღალღირსებამ სიამოვნებით პირი ააჭლაპუნა, მაგიდაზე თითები აათამაშა ისე, თითქო ფორტოპიანოს კლავიშებს ათამაშებსო.

— მწარედ სტყუის ბატონი ღრეჭიაშვილი, დაიწყო ჩუბაროვმა, ქართული ენა კულტურულია, წარმატებულია; ქართველებს მშვენიერი სიტყვა-კაზმული ლიტერატურა აქვთ. პოეტები? მე სიამოვნებით წამიკითხია ქართულ პოეტთა ნაწარმოებნი, რუსულად თარგმნილი. ჯერ ერთი მარტო შოთა რუსთაველი რად ღირს!...

— ძაღლებიც ჰყეფენ, თქვენო მაღალღირსებავ! ენის სანსარით წარმოსთქვა იაშამ.

— დიაღ, ჰყეფენ!... მე ყველა აზიური ენები ძაღლის ენებად მეჩვენება... მართალი იყო ის დიდებული გვამი, რომელმაც ამას წინად ქართულს ძაღლური ენა უწოდა, დაფიქრებით წარმოსთქვა მაღალღირსებამ.

— დიაღაც ჩაუდასტურა იუდამ.

— რა პადლეცია!!.. წასჩურჩულა ამხანაგებს ჩუბაროვმა-

— მაინც და მაინც ყოველს შემთხვევაში,—ახლა უფრო თამამად დაიწყო იუდამ, მაღალღირსებისაგან წახალისებულმა,—მისაღები არ არის ის საყმაწვილო ჟურნალი, რომელიც ერთმა პედაგოგმა წარმოადგინა. იქ, ბატონო ჩემო, იბეჭდება ლექსები წყეული აკაკისა, იმ შხამიანი პატრიოტ-სეპარატისტისა, რომლის ენის შეხება შაქარსაც კი, ბატონებო, შაქარსაც კი ძიწარედ ჰხდის... იმან დასწერა სარევოლიუციო ლექსი „ხანჯალი“... აი დასტკბით... და აქ მაღალღირსებას გადასცა თარგმანი ამ ლექსისა.

— ძვირფასი კაცია ჩემთვის, ძვირფასი! გულში ჩაილაპარაკა და ალერსიანად შეავლო მაღალღირსებამ თვალი იუდასა.

— დიაღ, იმას მოგახსენებდით, ის ჟურნალი ხომ არ მიიღება და არ მიიღება; მეორე პედაგოგის სახელმძღვანე-

ლოები სულ კოკონზე დასაწველია; იმისი წიგნები სეპერატისტული ლექსების კონაა და სხვა არაფერი.

— ძვირფასი კაცია, ძვირფასი! დიდი რამ განძია! კვლავ გუნებაში ჩაილაპარაკა მაღალღირსებამ. ჩემს იდეებს ამის შემწეობით ადვილად გავასაღებ ხალხში; ადგილის კურდღელი ადგილობრივ მწევარს უნდა დააჭერინო.... დიაღ მე მაგას შევმოსავ უფლებითა; ამ უფლებით თვალებს დავუყენებ და მოვიხმარ გაწვრთნილ ძაღლივითა.

ბევრი სჯა-ბაასის შემდეგ სადაო საგანი ისე გადასწყდა, როგორც, რასაკვირველია, მისს მაღალღირსებას სურდა და როგორც დაუდასტულალა ბ. ღეჭიაშვილმა.

დარბაზში აიშალნენ, ხმაურობა და ფაცა-ფუცი ჩამოვარდა; კარიდორისაკენ გაეშურნენ, ყველა გაჩქარებით იცვამდა პალტოსა. ღეჭიაშვილი მაღალღირსებას აეტორღიალა, ალარ აცალა შვეიცარს, ეცა წითელ სარჩულიან ანაფორას მაღალღირებისას, ცხვირი და თვალები ზედ დააკერა და კოხტად მიართვა ანაფორა; მათმა მაღალღირსებამაც შეიფერა იუდას ლაქიობა.

— რა კოხტად ჩააცვი პალტო მაღალღირსებას; როგორი სუნი უდის ბატონის პალტოსა? სიცილ-ხარხარით ჩაეკითხნენ ქუჩაში ღეჭიაშვილს ამხანაგები, მაგრამ იმან ისე აჩვენა თავი, ვითომ დაცინვა არც კი გაუგონია.

III.

იმის შემდეგ, რაც ღეჭიაშვილს თავის ნინო გადაეცვალა, იმან ნამუსს სრულიად ჩამოსხნა ფარდა, აშკარად სჩანდა მისი უადამიანობა, თუმცა კი ხოხობივით თავს მალამდა; ხელის შემშლელი ალარავინ ჰყავდა. წვრილ შვილებს თავის იდეებზე ზდიდა მუნჯურის მეთოდის საშუალებით; თუ მამა ცხოვრებაში სამი კურდღლის დაჭერას ლამოდა, სამს შვილს სამჯერ სამის დაჭერას უქადაგებდა. მაგრამ ქართველ საზოგადოებისათვის რომ თვალი აება, და არ ეფიქრნათ, რომ იმას გულში მოღალატე იუდა უზის, თავის სამშობლოს სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაროში ხელუკუღმა ცოტა ოდენი წვლილი შეჰქონდა. ამით მეგობრებს თვალებში მტვერი შეაყარა, თვალები აუბნია და შეძლება აღარ მისცა კბილები გაეშინჯათ იმ მოღალატისათვის, რომელსაც ის გულში ზდიდა სამშობლოს საგმობლად. ამიტომ ღეჭიაშვილს თვალის ასაბმელად მაგიდაზე გადაშლილი ჰქონდა სხვა და სხვა ქართული წიგნები, წითელ-ყვითელი კარანდაშებით აჭრელებული და ჩამოხაზულები; აქეთ იქით ეყარა ქართული ნაწერების ფურცლები, შენიშვნები და ზედ ებნია თამბაქოს ბეწვები და სიგარის ფერფლი.

დილით, კრების შემდეგ, იაშამ ხალისიანად გაიღვიძა, მარჯვენა ფეხზე ადგა. სიამოვნებდა, რომ წუხელის მოხიბლა მისი მაღალღირსება იროდიონ ფროხოროვიჩ ვოროტილოვი. — ჩემი საქმე კამათლების მღერასა ჰგავს; კაი მონარდესავით სულ დუშაშ-დუბეში მომდის; უფროსებთან კი სულ დუშაშს ვისვრი. შინ, ვითომდა მეგობრებთან, ჩემ დოყლაპია მემამულეებთანაც ნაკლები კამათელი არ მომდის; დალოცვილი კამათლებიც მემორჩილებიან, ამბობდა იუდა გუნებაში და სიამოვნების ღიმილი ნიავქარივით მიმოურბოდა სახეზე.

ამ სასიამოვნო ფიქრებში რომ იყო და მომავალი ცხოვრება წინ ათასფეროვან ია-ვარდის კონებად ეშლებოდა, უცებ ზარის წკარუნი გაისმა. შეწუხდა, რომ ზარამ სასიამოვნო ოცნებიდან გამოიყვანა და ხელი შეუშალა ხანგრძლივად დამტკბარიყო ამ ოცნებითა.

ბიჭმა შემოურბევინა კონვერტში გახვეული წერილი. — ოჰ, ღმერთო ჩემო!... იროდიონ ვოროტილოვის ხელია!... თვით მისი მაღალღირსებისა!.... ოჰ, ნეტავ თუ რა სწერია!... შესდეგ გულო ჩემო, რა ყელში მომბჯენიხარ!!..

იუდას ხელები ძალზე აუკანკალდა, მუხლებმა თახთახი უწყეს, ბოლოს მთლად უმუხთლეს და იუდა უნიებლიედ ჩაეშვა სავარძელში. თავში ათასნაირი ფიქრები აუქოთიალდა: ვაი, თუ წუხანდელი ჩემი ლაპარაკი ორპირობად მიიჩნია და დავიღუპე; ვაი, თუ იმის თვალში ღამურად არა ვარ დასახული და ისევ წუწკ თაგვად დავრჩი!? ვაი, თუ ამხანაგებმა ჩემი ტყავის შიგნითა პირი უჩვენეს?!... მაგრამ იმათ ხომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ იციან ჩემი იდეალი, ხომ არ იციან, თუ მე რა დევიზი მაქვს გაღმერთებული ცხოვრებაში?... მწ! ტყუილია სულ-თქმა, ვიში!—უნდა გავხსნა ხომ მაინც! რაც იქნება, იქნება!

გადასწყვიტა, გული გაიმამაცურა. წერილი ჯერ სინათ-ლეზე ააპროწიალა, უპოვნა ნაწიბური და ფრთხილად გახსნა. მე არ ძალ მიძს ჩემის მცირე კალმით გადავცე მკითხველს ის მომენტები და პოზები, რომლებიც წერილის კითხვის დროს იუდამ მიიღო. უნდა ფოტოგრაფი ჰქონოდა ადამიანს და სხვა და სხვა მომენტები წერილის კითხვის დროს და პოზები იუდასი დაესურათებინა, მაგრამ რაც ძალი შემწევს, ვეცდები, მკრთალად მაინც დავასურათხატო ეს შესანიშნავი ეპიზოდი იუდას ცხოვრებისა.

—„დიდად პატივცემულო იუდა თადეოზის ძევ!—ასე იწყებოდა რუსული წერილი მისი მაღალ ღირსებისა.

ეს რომ წაიკითხა, ღეჭიაშვილი სავარძლიდგან წამოდგა, ცოტა მომაგრდა, თავის კაბინეტს თვალი მიავლ-მოავლო, შუბლიდან სევდის ბურუსი გადაეყარა და ცალ ლოყაზე წითელი ფოლაქი ააჩნდა..—

„დიდი ხანია თქვენს მსჯელობას, მიმართულებას, ყო-ფა-ქცევას დიდს გულ-მოდგინებით თვალყურს ვადევნებ; თქვენი დიადი ნიჭი, ნიჭი განსაკუთრებითი უფროსთა მორ-ჩილებისა, რომელსაც თვით სახარებაც გვასწავებს, მე ყო-ველთვის მაკვირვებდა, მაგრამ გული მაინც უცებ ვერ დავა-ჯერე შენს ჩემდამო ერთგულებაში; წუხელის კი სრულიად მომხიბლეთ!!...

იუდამ თავი ველარ შეიკავა, დაპროწიალდა რეტიანივით, ჯერ გულზე ჩიისვმოისვა ხელი, მერე თავზე გადისვა, შვებით ამოიქშინა და სიამოვნების ღიმმა სახეზე და განსაკუთრებით ზედა ტუჩზე ციმციმი დაუწყო; მეორე ლოყასაც ააჩნდა წითელი ფოლაქი და მთლად სახემ სამხიარულო გამომეტყველება მიიღო.

....„მე დიდი ხანია დავეძებ იმისთანა ადგილობრივ მკვიდრსა.... такого преданнаго, подходящаго для намѣченной цѣли туземца, რომელსაც შეეძლოს ჩემი იდეალის

ეროვნული ბიბლიოთეკა

განხორციელება. და აი თქვენა გპოვეთ, განგებამ თქვენი-
თავი მიწყალობა“...

ღეჭიაშვილს სისხლი აუჩქროლდა, ნაკადულივით ეცა
თავში; ის გაქანდ-გამოქანდა კაბინეტში, ხელები გაშალა,
თვალები გააჭყიტა, ფეხის თითებზე შედგა და თითქო ჰაერ-
ში აფრენას ლამოდა; აქოთებულმა სისხლმა გააქანა, კედელს
მიანარცხა და სავარძელში თავდაყირა ჩავარდა; გრძნობს,
რომ ირჩობა, სიკვდილად იწურება და შორდება დიდებას,
რომელსაც მალალ-ღირსება ჰპირდება... ღეჭიაშვილმა უკანას-
კნელი ძალი მოიკრიბა, გულზე მაგრა მოიჭირა ხელი,
ფრჩხილები ხორცში ჩაუყარა, წამოვარდა, ეცა მაგიდაზე
მდგარ სურას და მთლად თავპირზე ჩამოიქცია ცივი წყალი.
მოცნობილდა იუდა, სისხლმა წალმა უწყო კვლავ ბრუნვა,
გამოერკვა, დარწმუნდა, რომ ცოცხალია და ხელის ცახცა-
ხით შეუდგა წერილის დათავებასა.

....„ამიტომ, უძვირფასესო იუდა თადეოზიჩ, მე თქვენ
გნიშნავთ ჩემ მარჯვენა ხელად; რათა განახორციელოთ ჩემი
იდეები“...

აქ კი ღეჭიაშვილი მთლად გადაირია, ვეღარ მოითმინა,
მძლავრად დაარტყა მაგიდას მუშტი ყელში უხვად მოწოლი-
ლის სიამოვნების ნიშნად და საშინლად დაიღრიალა—ეს
ერთი და ღმერთი!.... დავიჭირე!....

ღრიალმა და ბრახუნმა ღეჭიაშვილის ბავშვები შეაშფო-
თა; შემოვარდა ჯერ უფროსი შვილი ქლოშინითა; მიიხედ-
მოიხედა, ჰხედავს მამას არა უჭირვს-რა.

— რა იყო, მამა, რა დაიჭირე? ჩაეკითხა შვილი.

— სულელო, რამ შეგაშინა? შენ როგორც უფროსი
შვილი ხომ ჩაგახედე ჩემს გულში, ჩემი იდეალები ხომ იცი?

— ერთი კურდღელი დაიჭირე?... ჰოო? ჩაეკითხა შვი-
ლი მამასა და იმასაც სიამოვნების ღიმმა უწყო ტუჩებზე
ციმციმი... როგორ, მამილო, როგორ? მითხარი ჩქარა.

— მეხუთე ხარისხის ჩინოვნიკი ვარ, უფროსი მთელის
ორის ქვეყნისა.

ორ პატარა შვილს იუდასას კარებიდან ციყვებივით გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოეყოთ თავები და ყურს უგდებდენ მამა-შვილის ლაპარაკსა...

— წადით, წადით ყველანი, თადა გეტყვით, რაც ამბავი იყო... ვაი, შენ ჩემო თავო! შემოიწკაპუნა ლოყაში ხელი იუდამ, თავი და თავი კი ვერ ჩავათვალიერე—წერილის ბოლო. აიტაცა საჩქაროდ წერილი მაგიდადან და ხმა მაღლა წაიკითხა:

...„მაქვს პატივი ყოფნად თქვენდამი მუდამ მოყვარული და მზა სასამსახუროდ იროდიონ ფროხოროვიჩ ვორფოლოვი“.

„მუდამ მოყვარული და მზა სასამსახუროდ“! რამდენჯერმე ჩაიმეორა ეს სიტყვები გუნებაში და რამდენჯერმეც ზედ დააყოლა შორისდებული: „ჰმ!“... შემდეგ წამოდგა და ბიჭს მუნდირის გაწმენდა უბრძანა:

— წავალ, წავალ, ვეთაყვანები იროდიონ ფროხოროვიჩსა, გავულოკ ფეხებს, ხელებს და... მთლად გავლოკ თავიდან ფეხებამდე.....

მივიდა სარკის წინ, ულვაშები გადიგრიხა, თვალწარბი აიჭიმა.

— მე უნდა გენერალი გავხდე, წითელ სარჩულიანი პალტო ვაფრიალო.... ა�ა! ახლა კი ვეღარ წაუვლენ ჩემს ბრჭყალებსა ჩვენებური სეპარატისტები, ჩემი დაუძინებელი მტრები!... იმ ბაიყუშს, იმ დიდს სეპარატისტის სახელ მძღვანელობს სულ ძირიანად ამოვაგდებ; იმ საყმაწვილო ჟურნალს, რომლის რედაქტორს თვალის დასანახავად ვეჯავრები, დღეს მოვუსპობ; ხოლო ქართულ მარსელიეზის დამწერს ციმბირს იქით გავაცილებინებ... მაცადონ, მაცადონ, ახლა!!... იმუქრებოდა სარკის წინ მუნდირის მოლოდინში; მერე გაბრუნდა და კოწიაწით დაიწყო ოთახში სიარული.

IV.

— აქნამდე ალმართ ალმართ მივდიოდი, დიდი ჯაფა და გაჭირვება გამოვიარე; დღეს კი მინდვრად გაველ, გავივაკე-ვაკე-ვაკე ვივლი, ცოტა ამოვისუნთქავ და ჩემს საქმეებს მო-

ვაწყობ. თუ უნდა თავისი იდეები განახორციელოს, მე მაგრა უნდა ჩამჭიდოს ხელი, მეც იმას დავეკიდები კალთაზე და ფონს უფრო ადვილად გავალთ შეერთებულის ძალითა... ბიჭო, მუნდირი! დაუყვირა ბიჭსა... უნდა ეხლავე გავიქცე და მუხლები გარდვუკოცნო.... ღმერთო, რა დიდებული კაცია, რა ჭკუიანი, ნაკითხი, მომზადებული! მე უმაღლესი სასწავლებელი გამითავებია და იმას საშუალო, ან კიდევ სხვებსა, ახლა შეადარეთ და! ისე ვერ დასწვდებიან ისინი იროდიონს, როგორც ცა დედა მიწას. არა, სად გამოიცადა და გასალმასტერდა! ეხლა ჩემისთანა „ზნაჩოკიანები“ მუხლს ვულოკავთ, თავს ვივლებით... აჰ, ბიჭო ისიდორე, მუნდირი მეთქი! და გაჯავრებულმა ზარის ღილს თითი მაგრა დააჭირა.... ჩუ! ზარის წკარუნია... ერთიც ვნახოთ, იროდიონ ფროხორიჩ ვოროტილოვია!.... მაგრამ რას ვბოდავ, ის ხომ ჩემზე დიდია ხარისხით, ადგილით, თანამდებობით, რად მოვა იგი ჩემთან. მე თვით უნდა ვიახლო ბაბს რიგში, მე!!...

— ვიღაც გახლავს და თქვენი ნახვა სურს, უთხრა ბიჭმა.

— რა უყავ მუნდირი?.. ეი, ისიდორე! გამიგონე, მე დღეიდან ის აღარ ვარ, რაც ვიყავი!... მაღრიალებ აქ მსისხო კაცსა! მილიონჯერ დაგიყვირე — მუნდირი მეთქი! იმდენი ჰქენი, ვიღაც კაცი მომაყენე კარსა.... მოვიდეს.

იუდა თადეოზიჩი უცებ ავგუნებად შეიქმნა. რა ხუმრობა იყო! კაცს მეხუთე კლასის თანამდებობა ზურგზედ წამოჰკიდეს და ვინც წამოჰკიდა, ლამის იმ დილით უნახავი დაურჩეს და მოდი და ავგუნებად ნუ შეიქნება, ჯერ ტრფიალით კაცი არ გამაძღარიყო და ვიღაც ოხერმა ხელი შეუშალა. სწორედ თავი ჰქონდა მოსაკლავი, კიდევაც გაუელვა, ამ ბოროტმა აზრმა თავში, მაგრამ მომავალმა დიდებამ მალე წაშალა მისი კვალი. მინამ ზარის დამწკარუნებელი შემოვიდოდა, იუდა სულ კბილებს აკრაჭუნებდა. მე სწორედ მეგონა, ეცემოდა დაუპატიჟებელ სტუმარს და კბილებ-ფრჩხილებით მთლად გაჰფათრავდა, მაგრამ სტუმარის დანახვაზე ღეჭიაშვილმა კარგი არტისტივით პოზა გამოიცვალა, მალაყი გააკეთა და თავი მხიარულად მოაჩვენა.

— კაცოს, ბიჭოს! ამას ვის ვხედავ? კაცო, რა ზარის რეკვა ასტეხე, პირდაპირ ვერ შემოხვიდოდი. ყველა ლიტერატორს, ყველა მამულიშვილს ჩემთან, როგორც ლიტერატორთან, შუამავალი რად უნდა. პირდაპირ, ძმაო, პირდაპირ ბრაგვანი უნდა გააყრევინოთ დარბაზში... ჩემო ძვირფასო აპოლოს გივიჩ, როგორ გიკითხო, ჰა! მიეგება გალესილის ენით ბ. იუდა ღეჭიაშვილი აპოლოსსა.

— დიდი კაცი ხარ, შვილოსა! ამიტომ პირდაპირ შემოსვლა ვერ გავბედე. ყური მოვკარ ამ დილით, ვითომ დიდ ადგილს უნდა გაძლევდენ, ვითომ მლიქვნელობით და ხელის ლოკვით მიგეღოს...

— აი ესა ვართ ქართველები, ჩემო აპოლოს! ერთმანეთისათვის პირში სული გვშურს, ერთმანეთს პირიდან ლუკმას ვაცლით. თუ მე მივიღებ მაღალ ადგილს, მაშინ ხელთა ლოკვით და მლიქვნელობით იქნება, თუ სხვა ვინმე, მაშინ არა?... მე ტყუილად მდევნით....

— მე შენ სულაც არ გდევნი... ძმაო იუდა, მე.... ფუჰ, დასწყევლოს ღმერთმა.... კაცო, ქვეყანაზე სახელი გაგიწყვათ რომ ასეთი უბედური სახელი დაურქმევიათ. ძველებურად ისევ იაშას დაგიძახებ, და თუ ღმერთი გწამს, გამოაცვლევინე ეს სახელი, ითხოვე და კონსისტორია იაკობად გადაგიკეთებს...

— მე ხომ ვერ დავირქმევდი და კალენდარმა ეს მარგუნა... მაგრამ ბოლოს ბევრი ვატრიალეთ ეგ სახელი და ირიოდეთი გამოვიტანე მეტრიკა....

— აი კაი მოგცა ღმერთმა!... ერთი ქრისტეს გამყიდავი იყო, მეორე ყრმათა ამომწყვეტი, რომელიც ცდილობდა ქრისტე იესოც მათში მოეყოლებინა. არა, ძმაო, შენ ისეთი სახელები აგკვიატებია, რომ კეთილი ბოლო არ გექნება, ეგ სახელები გადაგიტანებენ თანა...

— საქმე სახელი არ არის, სიტყვა სახელი, ფუჭია, უმნიშვნელოა, თუნდა ძაღლუა დამარქვი, აკი ჰქვიანთ სამეგრელოში პირუტყვების სახელები, მაგალითად ჯოლორია, რაიც ძაღლს ნიშნავს. ჩემი მოსახელე იუდა ისკარიოტელი კი არ იყო, არამედ ხორციელი ნათესავი იესო ქრისტესი, ძმა ია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კობ მოციქულისა, თვითცა მოციქული, დამწერი ეპისტოლეს, მქადაგებელი მადლის ზნეობისა; „გძულდინ ხორცთაგან შეგინებულიცა იგი სამოსელი“, ამბობს ის თავის ეპისტოლეში, ჰხედავ, ის იყო ლიტერატორი, მეც ლიტერატორი ვარ, ჩემი მოსახელის კვალს ვადგივარ.... მე ჩემი საუკეთესო დღენი შევალიე სამშობლო ლიტერატურასა, აი, შეხედე! რამოდენი მასალა მაქვს შეკრებილი. ვიკვლევ წმიდა ნინოს ვინაობას, სულ ახალი-ახალი, სულ კეწკეწი საბუთები მიპოვნია და შენ-კი რაღაც სახელზე ნელაპარაკები, სახელს მიწუნებ... მგონი, შენ სიზრმადაც არ მოგსვლია, თუ რა დღეს იყო ნინოსაგან ჩვენი ქრისტიანად მოქცევა. შენ დღესაც გგონია, რომ 14 იანვარს იყო, არა?... მაგრამ სცდებით ყველანი; 14 იანვარს, შუაგულ ზამთარში, მტკვარში რომელი ოხერი ჩავიდოდა შიშველ-ტიტველი მოსანათლად... რას მიყურებ ეგრე გაოცებული? გამოგარკვევ გაოცებიდან: ჩვენი მოქცევა ყოფილა მაისში...

მე გაოცებით მაგიტომ არ გიყურებ. ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ როდის გავქრისტიანდით: იანვარში, თუ მაისში; ჩემთვის მხოლოდ ფაქტს აქვს აზრი და მნიშვნელობა: ფაქტი კი ასეთია: ჩვენ მივიღეთ ქრისტეს აღსარება წმიდა ნინოსაგან მეოთხე საუკუნეში... მე მოაცებს შენი გადაცემ-გადმოცემით ლაპარაკი.... მე ჯერ საბუთი არ მომიცია მაგნაირის ლაპარაკისა. შენ, გატყობ, რაღაცა გწვავს გულსა, რაღაც ხინჯსა ჰხედავ შენს გულში, თორემ რად წამართვი პირიდან სიტყვა, რად წიწმატობ... მე თაყვანსა ვცემ შენს მოღვაწეობას; შენ ერთობ წინ წასწიე ჩვენი ისტორიის საქმე, ეკლიანი გზა ამ ისტორიისა გაჰკვალე და გაუადვილე შენს შემდეგებს „სავალი გზა“. მე პირში ბურთს ჩავჩრი ხოლმე იმათ, ვინც შენ ცუდად გიხსენიებს. მაგრამ ისტორიის კვლევა სხვა არის, კაცური კაცობა კიდევ სხვაა, შუა დიდი ზღვარი უდევთ. რად მინდა შენი ისტორიკოსობა, თუ დღევანდელს დღეს პირნათლად არ ემსახურები. თუ შენ ახალ თაობას ჩაჰკლავ, ენას მოჰგლეჯ და წმიდათა წმიდას შეუგინებ. შენ გწამებენ, რომ მოღალატე ხარ სამშობლოსი, უთხრა მტკიცედ აპოლოსმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, არა! მე ცუდად სახსენებელი არა ვარ. თავდადებული ვარ ქართველ მოღვაწეთათვის. აი მაგალითად: წარმოიდგინეთ, ჩვენს საბჭოში ვიღაც ოხერს, უნამუსო და გულხავსს ადამიანს წარმოუდგენია, ყმაწვილო, ჩვენი დიდებული პოეტის აკაკის ლექსი „ხანჯალი“. ეს ლექსი ქართული „მარსელიეზაა“. აშფოთდა ყველა, მე დამიწყეს ცქერა, თვალით გამხვრიტეს. იტყუა იუდამ და სახეც არ შეცვლია ამ ტყუილ ლაპარაკის დროს; იტყუა იმიტომ, რომ აპოლოსმა კუდზე ფეხი დაადგა, გულში სიმართლის ისარი მიარტყა. დიახ, მე თვალით გამხვრიტეს, დაიწყო კვლავ იუდამ და თან თვალს ადევნებდა აპოლოსს, აბა როგორ იმოქმედებს იმაზე ჩემი ლაპარაკი, მაგრამ ამ დროს იუადას რაღაც უცნაურმა ხმამ ამოსძახა:

— „სირცხვილი შენთვის!“

ალბად სადღაც კუნჭულში კიდევ ჰქონდა თავი შეფარებული სინიდ-სის ნატამალსა.

იუდა შეაძაგძაგა ამ ხმამ, ყური წაუგდო.

— კაცო, რას შეკრთი და შეჩერდი, უთხრა გაოცებით აპოლოსმა.

თითქო რაღაც ხმა შემომესმა ქუჩიდან... ჰო, იმას ვამბობდი... მე თამამად წავდეგ კრების წინაშე და ამაყად მოვახსენე: რის „მარსელიეზა“ — მეთქი; შინაარსი ამ ლექსისა შახ-აბაზის დროიდან არის აღებული. შახ-აბაზმა მძლავრად შეარყია საქართველოს ძლიერება; ის გაბოროტებული იყო საქართველოზე განსაკუთრებით იმიტომ მეთქი, — აქ მე კრების წინაშე ლოგიკურად ავიმაღლე ხმა.... იმიტომ მეთქი, რომ საქართველომ იმ ხანებში ერთობ გაახშირა რუსებთან კურკური მეთქი.

— ვაჰ, ვაჰ! ბაშხადუნ იაშავ, ბაშხადუნ!... ეგრე სთქვი, სწორედ ეგრე?... მე კი როგორღაც არ მეჯერება — და!

დიაღ!... ვსთქვი და ეგრე!... აქ იუდამ დოინჯი შემოიყარა, ცალი თითი შუბლზე მიიდო და ტრაგიკული პოზა მიიღო.

— „სტყუის!„

კვლავ შემოესმა იუდას სინიდისის ხმა, და ტრაგიკური მდგომარეობიდან კომიკურში ჩავარდა.

— აპალოს, შენც გაიგონე? უთხრა თვალებ დაჭყეტილმა იუდამ.

— რასაკვირველია, გავიგონე; ყრუ ხომ არა ვარ, მერე ეგრე მაღლა ლაპარაკობ.... ჰო მართლა, მისი მაღალღირსება იქ არ იყო? ჩაეკითხა აპოლოსი.

— მისი მაღალღირსება ირودიონიც იყო, დავითიც, ნიკიტაც და თვით სულელი „პოპკაც“... მაშ? იმათ პირები დააღეს და ჩემ მძლავრ არგუმენტების წინაშე მუხლი მოიდრიკეს.... მე ისინი მუჭში მყავს დაჭერილი, იმათთვის საჭირო კაცი ვარ; უნდა ჰყავდეთ ვინმე ჩვენთაგანი თუ არა; თუმცა ჩვენ იმათ ვეზიზღებით, მაგრამ ერთბაშად ხელს ხომ ვერ აიღებენ ყველა ჩვენზე და აი მე იმიტომ ვყევარ მიჩნეული; ჩემი შიშიც აქვთ; რიდიც და პატივისცემაც

მამალმა მესამედ შემოჰყივლა იუდას გულში, მაგრამ ყური შაეჩვია სინიდისის მხილებას და აინუნშიაც აღარ ჩაიგდო.

— შენს ლიტერატურულს მოღვაწეობას კი არ აფასებენ ისინი, ალბად რაიმე ხელმოსაჭიდი იპოვეს შენს გულში... ისინი თან გიქოლიებენ, თავს გიქონავენ, ხელს გჭიდებენ, თან გულში ზიზღის საკმეველს აღვივებენ და შენ გიბოლებენ; მინამ საჭირო იქნები მოგიხმარებენ, გამოქფიტავენ და მერე, როცა ვეღარ შესძლებ იმათ იდეების სამსახურს, დაგაგორებენ სამსახურის მაღალ საფეხურიდან და ძირამდე სულ რიხინ-რიხინით ჩამოხვალ. სავსეა ისტორია ამ გვარის ფაქტებითა. დაჩაგვრელი დაჩაგრულს მუდამ და ყველგან ასრე უშვრება.

— ქართველები კი სხვანაირად სჯიან, ჩინ-ორდენებს ემსახურებაო, განაგრძო ღეჭიაშვილმა ისე, ვითომ ვერ გაიგონა აპოლოსის პასუხი... რას დააშავებს, ჩემო აპოლოს, ჩინ-ორდენებიც გამოვიკრა და ჩემს ქვეყანასაც გამოვადგე.

— ეგ რომ ორთა უფალთა მონება გამოდის. „ვერ ხელეწიფების ღმრთისა მონებად და მამონასი? ამბობს მაცხოვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აი მაგას კი შენგან არ მოველოდი. რა უშავს, რომ ორს უფალს ემსახურო, ორთავე მადრიელი გყავდეს...

— ყოვლად შეუძლებელია, გააწყვეტინა აპოლოსმა: ეშმაკს რომ კელეპტარს დაუნთებ, ანგელოზს ეწყინება; ანგელოზს დაუნთებ, ეშმაკი თვალებს დაგიბრიალებს... თავი მახეში ჩაგიგდია, ძმაოჯან, მახეში!... მართალია, შენ გარემოება გაიძულებს ორთა უფალთა მონებას, მაგრამ გასწყვიტე ეგ ჯაჭვი მონებისა, შენ ლიტერატურული შრომითაც შეგიძლიან ცხოვრება. სხვა სახსარიცა გაქვს ცხოვრებისა. მოდი, იაშა, რაც გახდეს და გახდეს, შეაფურთხე იმ შენს სამუშაოს, მოშორდი იმ მყრალ ჭაობს რომელსაც შენი დახრჩობა, აშმორება და მოწამვლა სურს; სურს არა მარტო შენი, არამედ შენით მთელის ქვეყნის მოწამვლა... ძალიან კარგი! ვსთქვათ, შენ შენი არ დაიშალე, ჩაები იმათ ფერხულში; გაიმსე ჩინ-ორდენებითა და შენს ხალხს, შენს ქვეყანას კი პირზე ტყავი ჩამოაცალე, ულალატე, ბოლოს და ბოლოს, როგორც წელანაც გითხარი, მიბძანდის გეტყვიან, კინტოს თქმისა არ იყოს, „ჟესტს" შეგაბმენ; სამშობლოს ხომ ველარ გაექცევი, სიბერე გელის, დაჩაჩანაკება, რა პირით უნდა უცქირო შენს ქვეყანასა. სჯობიან, კაცი მარტოდ მარტო ქვეყანას ეშსახუროს...

— ხა, ხა, ხა! ჩაიცინა იუდამ, რაებს ჩმახავ, აპოლოს ჩემო! მე დიდება მწყურიან, დიდება!... ჩემი ქვეყანა რა ლუკმას შემაჭმევს.

დიდების სურვილმა ისე გაიტაცა ბ. ღეჭიაშვილი, რომ გაუშალა აპოლოსს თავისი გულის ბოჭჩა და რაც კი რამ დამპალი ფართალი ელაგა შიგ, სულ გადმოუშალა.—

მგლის თავზე სახარებას ვკითხულობ, სთქვა თავისთვის აპოლოსმა და ლაპარაკის კილო შესცვალა. ღმერთმა შეგაძლებინოს ორთა უფალთა სამსახური. გაფთხილდი კი, ბევრი მტრები გყავს; არც მოყვრები გაკლია; ერთი მათგანი აგერ შენს წინა დგას; ხომ იცი, ამჟამად სათავეში ვუდგევარ ქართულს ლიტერატურას, ყველას კრიჭას შევუკრავ, შენზე ხმას არ ამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალებინებ, მხოლოდ შენ ხანდისხან... და აპოლოსმა თითებით უჩვენა, ხანდისხან ფულით დამეხმარეო.

— კაცო, გაიკეთ, დარწმუნდით, რომ მე ჩემის ქვეყნის სიკეთისათვის წყლებზე ფეხს ვიდგამ... აი ამ ორს დღეში დავათავებ წმ. ნინოს შესახებ ახალს გამოკვლევასა, შემდეგ უნდა შევუდგე ვახტანგ გორგასლანის ხანას და ჩვენის ეკლესიის ავტოკეფალობის ამბავსა.

— ჩემი ჟურნალისათვის მამეცი, მაინც მინდა კლერიკალურ ჟურნალად ვაქციო. არა გამოდის-რა, რომ თანამედროვე აზრებით თავი იტეხოს კაცმა.

— დიდის სიამოვნებით... აპოლოს ჩემო, უკაცრავად, რომ თავი უნდა დაგანებო, კრებაზე წასვლა დამიგვიანდა. დღეს სწყდება უდიდესი საკითხი: მეგრელები ქართველები არიან, თუ მეგრელები, ე. ი. ცალკე ერს წარმოადგენს თავის ყოველივე ეროვნულის ელფერით, თუ არა... დღეს უნდა გუდანაბადი დავაბერტყო კრებას... ბიჭი, მუნდირი!

— მერე ჩინ-ორდენები!? ეშმაკურად ჩაეკითხა აპოლოსი... ნახვამდის!... გახსოვდეს, წმიდა ნინოზე წერილი ჩემია, ისიც არ დაგავიწყდეს, და თითებით კვლავ ფულები მოაგონა და გავიდა.

— წადი, წადი, შე გუდამშიერო ლიბერალო, შენა! დაბალის ხმით მიაძახა ღეჭიაშვილმა.. მოგცემ წერილსაც და ფულსაც... აქაც მომხრეები მყავს, აქაც თვალებს ვუბრმავებ... უნდა კაცმა ყველგან და ყოველთვის მელასავით კუდი იქნიოს ხან აქეთ, ხან იქით. მამწონს მე მოლჩალინის მოძღვრება: მეეზოვის ძაღლსაც კი პატივი უნდა სცეო, „чтобы ласкова была“.

ბიჭმა მუნდირი მოართვა, გამოეწყო სარკის წინ; მესამე ხარისხის ორდენებს—ანას და სტანისლავას სახელო გადაუსვა და ბზინვა დააწყებინა.

— პატარა კიდევ დამაცადეთ, ჩემო ვარდებო!... ეხლა მოწყენით ხართ, არა! მალე ამხანაგებს გიშოვნი და მაშინ უყურეთ!... იაშამ თითები ამოუცაცუნა ორდენებს ალერსის ნიშნად, ერთი კიდევ გადაუსვა ხელი და გასწია კრებისაკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

V.

ტყვიის ფერი, ცვარებით დატიკნილი ღრუბლები სქლად გადმოჰფარებოდა ხმელეთს და თითქოს ლამოდა იმის შესანსვლას, ან ცაში ატაცებასა. ცა გაცხარებით გრგვინავდა და წვიმა ღაპალუპით ჩამოდიოდა დედამიწაწე. პირუტყვი თუ მეტყველი არსება—ყველა შეყუჟულიყო თავის ბინაში; ძაღლები მორკალული იწვნენ მყუდრო ადგილას, ცხვირები ღრმად წაეყოთ ფეხებ შუა, თვალებს კრუტავდნენ და ძილს ეპირებოდნენ. ნისლი დაჰქროდა მთა-ბარზე; ხან თავს გადაუვლიდა მთა-ტყესა, ხან წყლის პირს დაეკროდა და მდინარე—ნის ჭალა მინდვრებს ეკონებოდა. ბუნება მთლად დარჩენოდა წვიმას და ღრუბელ-ნისლსა; დაღვრემილ-მოღუშული ცა ადამიანს გულს უწყალებდა; სიჩუმე იყო ყველგან, მხოლოდ ხანდისხან მოწყენილობასა და მდუმარეობას ბატები და იხვები არღვევდნენ; რომის მხსნელები მხიარულად ჭყუმპალაობდნენ წვიმისაგან შემდგარ გუბეებში, ფთებს იკორტნიდენ, ხტოდენ, ყიყინებდენ, კივკიობდენ, ფთებს სცემდნენ გუბეს და წყლის წინწკლებს აქეთ-იქით ჰფანტავდნენ. სიმხიარულესამოვნებაში ბატებსა და იხვებს არც მინდორ-ველი და ხეხილი ჩამორჩენოდათ: წვიმისაგან დაბზენილ-დაწმენდილი ფოთლები ხეხილისა და მდელო ლაჟვარდის ფერად გამოიცქირებოდა; სიცოცხლე სჩქეფდა მათში; ხის ტოტებს თავები მაღლა აეღირათ, იმათი ფოთლები ზედ შემდგარ ცვარებს ეთამაშებოდნენ; ცელქი ცვარებიც დასრიალებდნენ ფოთოლ-ფოთოლ, ძირს წკაპა-წკუპით ჩადიოდნენ, მიძვრებოდნენ ჭიებივით მიწის გულში, საიდანაც ისინი ამას წინად მზემ ცაში ღმერთთან ორთქლად აიტანა.

ამ მოშავბედებულ დღეს ს—იის სადგურზე, სადაც მუდამ ხალხის ჭედვაა ხოლმე მატარებლის მისვლის დროს, თითოოროლა კაცი ღივღივებდა, ისინიც ალბად საჭირო საქმეს თუ გამოეყვანა გარედ, თორემ ამ ძანძახ დღეში უსაქმოდ იმ სადგურთან ვინ ამოვიდოდა. იმ დღეს სადგურთან ყველას ყურადღებას იქცევდა ერთი კაცი როგორც მოუთმენელის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახის გამომეტყველებით, ისე უცნაური ტანსაცმელითაც. თავზე ეხურა უცნაური, განიერი და მაღალი ჩალის შლიაპა, რომელიც თვალებამდე ჰქონდა ჩამოფხატული და ოქროს სათვალეებს დანდობოდა; ზემოდან ტანზე ეცვა გძელი თხელი, შავი ანაფორასებური პალტო, რომელსაც სოფლად კლოკს უძახიან; პალტოს სახელოების მაგივრად მკლავების გამოსაყოფი ჰქონდა, ზემოდან მოკერებული იყო იმავე ფარჩის განიერი, ბეჭებამდე გადმოკიდებული საყელო, რომელიც ქარისაგან ფრიალებდა, ხან თავზე გადაეფარებოდა და მთლად დამალავდა პატრონს და ხან ყელზე შემოექნებოდა. ეს ვაჟბატონი მოუთმენლად დადიოდა ამ საშინელ წვიმაში გარედ, პლატფორმაზე, არ ეპუებოდა წვიმის შხაპუნსა, მალიმალ დაჰყურებდა საათსა და გაჰყურებდა რკინის გზის ლიანდაგს აღმოსავლეთისაკენ. სულ წასულ ბავშვივით ცმუკავდა ლოდინის გამო, ეტყობოდა, რომ მატარებელს ელოდა. ყველამ შეამჩნია, რომ ეს კლოკიანი კაცი ან ერთობ სასურველს კაცს მოელის, ან გულის სატრფოსაო. სამწაირად ეცვლებოდა სახე: წამს შენიშნავდით, სახე გაუბწყინდებოდა, ულვაშებში ღიმი ააჩნდებოდა, რის გამო ულვაშის ღერები უთამაშებდა; წამს შეაჩნევდით, რომ მოიღუშებოდა და მოიბუზებოდა, როგორც იმდღევანდელი ცა, წამს გაშტერდებოდა, როგორც ერთი ვინმე ხელი.

სადგურის ზარამ ამცნო ყველას მატარებლის გამოსვლა მახლობელ სადგურიდან. სადგურის ჟანდარმები ხმლების ტლაკუნით ზარმაცად გამოპრაკუნდნენ პლატფორმაზე. ჩვენი ნაცნობიც შეიშმუშნა, მოლოდინისაგან გამოწვეულმა გულის ღრღნამ გადაუარა, ხალისიანად დაიწყო სიარული პლატფორმაზე და ჯოხს აპროწიალებდა თამამად ჰაერში, რაკი დარდი არ ჰქონდა მოხვედრიყო ვისმეს.

სადგურის უფროსის ღორიც, თითქო აღდო აღდო, რომ მატარებელი მოვაო, კუდის პრეხით. იქვე პლატფორმის გაყოლებაზე, ლიანდაგის პირად, დაღრუტუნებდა, და როცა ჩვენი ნაცნობი კლოკოსანი ჯოხის პროწიალით ჩაუვლიდა, დრუნჩს ძაღლა აიღებდა, თავს ცოტა განზე გადახრიდა, ჯო-

ხი არ მითავაზოს ამ ვაუბატონმაო, რაღაცას შეჭლრუტუნებ-და კლოკოსანს და ალმაცერად გადახედავდა ხოლმე, თითქოს ეუბნეოდა: შენ თუ ფილოსოფიურად დააბოტებ და ჩაფიქ-რებულხარ, მე რაღა შენზე ნაკლებ ვფილოსოფოსობო, ვერა მხედავ, სიბრძნე ყელში აღარ მეტევაო. თუ კლოკოსანი ვის-მეს ელოდა, ჩვენი ქუცუნიაც მოლოდინში იყო: მგზავრები მოვლენ და არ შეიძლება ვაგონიდან ჩემი საკბილო ნახორხ-ლები არა გადმოუძახონ-რა ძირსაო.

აგერ მატარებელმა მოირბინა ფეთიანივით. ჩვენი ნაცნობი დაფაცურდა და გაქანდა პირველი კლასის ვაგონისაკენ.

— Носильщикъ, носильщикъ! გაისმა ვაგონიდან ხმა, საიდანაც თავი გადმოჰყო ერთმა ოქროს სათვალეებიანმა კაცმა, რომელსაც თმა უკან ფაფარივით ჰქონდა ჩაშვებული.

ჩვენმა ნაცნობმა ამ ხმაზე მიირბინა ვაგონის ფანჯარასთან და მხიარულის ხმით შეჰღაღადა.

— აქ გახლავარ!

— ააა, იუდა თადეოზიჩ!..... დამიხვდით!.... თქვენ არ მინდიხარ, მხოლოდ გაისარჯეთ და მებარგულს დაუძახეთ.

— ნუ შესწუხდებით, მე გავწევ თქვენთვის მებარგულობას.... საჩქაროდ ავარდა ვაგონში, ურიასავით წამოიდო ზურგზე დიდი მაფრაში, პატარა ხელში დაიკავა, შველივით გადმოხტა პლატფორმაზე და წააძუნძულა ბარგი ბუფეტისაკენ.

— ძვირფასი კაცია! სწორედ განძია! სთქვა გუნებაში ოქროს სათვალებიანმა

იუდა თადეოზიჩს სახე გაუბრწყინდა, რომ მოლოდინი გაუმართლდა, თითქო რაღაცამ აიტაცა; თან შესაქანებდა ოქროს სათვალებიანს პირში, თითქო ეშინიან, ოქროები არ გადმოსცვინდეს პირიდან და სხვამ არ დასტაცოს ხელიო, თან კომპლიმენტებს ეუბნებოდა და მიჰყავდა სტუმარი ბუფეტისკენ.

ამავე დროს სადგურის უფროსის ღორიც დიდად ნასიამოვნები გახლდათ: შეღრუტუნებდა ვაგონის ფანჯრებს, ცნობის მოყვარეობით ათვალიერებდა ფანჯარაში გადმოყუდებულ

მგზავრებსა და თან თვალებს ჭუტავდა. ვიდაცამ ქუცუნიას ამოღრუტნული საზამთრო გადმოუგდო, ქუცუნიამ სიამოვნებით შეითამაშა, დრუნჩზე წამოიცვა საზამთრო და კუდის ჰრეხით გააქანა ბინისაკენ.

იუდა თადეოზიჩმაც ბუფეტის ოთახში მოიხსნა თუ არა ბარგი, მაშინვე გამოვარდა დარბაზში და რიხიანად და ხელების ფშვნეტა მტვრევით დაიძახა.

— აბა, ჩაი! ცხელ-ცხელი ჩაი!... კონიაკს ხომ არ ინებებთ ივროდიონ ფროხოროვიჩ!

— Аа! не мѣшало бы перегородку устроить!.. ჩამოისვა მუცელზე ხელი ივროდიონმა, გაიყარა თითები გრძელ თმაში, მიისწორ მოისწორა წვერ-ულვაში და გადასცეცხლა.... კარგია ამ დალოცვილი „რუსის“ ჩაყლაპვა („რუსის“ ჩაყლაპვას ივროდიონი ხუმრობით „ოტკ-ს“ დალევას ეძახდა). ამის თქმის დროს ივროდიონ ფროხოროვიჩმა აქეთ-იქით მიიხედ- მოიხედა, ულვაშებში ჩაიცინა და დაბლა უთხრა იუდა ღეჭიაშვილსა: მგონი ძალიან მაღალი ჩურჩული მომივიდა; თუ აიმ კუთხეში მსხდომმა ჩოხოსნებმა გაიგონეს, იამებათ... იქნება, იუდა თადეოზიჩ, თქვენც გიამოთ? მაინც, რაც უნდა იყოს, ქართველი ხარ, გული შეგიფუნდრუკებს „რუსის„ ჩაყლაპვაზე, ვითომ გაეხუმრა, მაგრამ მრავალ მნიშვნელოვანად ჩაასტერა თვალები იუდას და გულზე წკიპურტი მიარტყა.

— მაგას რას ბირძანებთ? ნუ თუ მართლის გულით მეუბნებით? მაშ ჯერ არ გიცვნივართ? თუ მაგისთანა აზრები გიდევთ ჩემს შესახებ, ივროდიონ ჩემო.... ნება მიბოძეთ ასე გიწოდოთ.... ამისთანა დიდს საქმეს რაღად მანდობდით. მე „რუსის“ მყლაპველი კი არა ვარ, არამედ ჩემს გულში რუსს დიდი ადგილი უჭირავს; მე დიდი ხანია ჩემის გულიდან ამოვრეცხე ყველა სხვა ერის სახელი და იგი, გული ჩემი, დავუმკვიდრე ტახტად მხოლოდ მას ერთსა. მე რუსით ვსულვდგმულობ, მისგან მოველი ყოველივე სიკეთესა აწ და მარადის და უკუნისამდე...

— ამინ, ამინ! ვიტყვი მე, გააწყვეტინა ივროდიონმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა იუდავ ჩემო... ნებას ვითხოვ, მეც ასე გიწოდოთ... Я пошутилъ.... ახლა რაკი თურმე თქვენ, ქართველები როცა ოტკას სვამთ, ამბობთ ხოლმე: რუსი ჩავყლაპე, რუსი ჩავარჩეო, მეც გავიხუმრე... ეს ქართველ სეპარატისტების მოგონილი იქნება.... მერწმუნეთ, რომ ამ თქმასა ორნაირი აზრი აქვს, მაგრამ რუსს ვერავან ჩაყლაპავს. ..

— ყვითელი საფრთხე, იაპოშკა ჰყლაპავს, გააწყვეტინა შეზარხოშებულმა სადგურის რუსმა მუშამ, რომელიც ჯაზუტით იყო შელამაზებული. ბუფეტჩიკო დაასხი პილატეს ცრემლები... აი, ასე ჰყლაპავს პატარა იაპოშკა დეევერხანა რუსსა, და გადაუსვა.

— ნუ, ძმაო, ნუ! ნუ იტყვი მაგას! მიეალერსა ირონ ფროხორიჩი და მხარზე ხელი დაადო. შენც რუსი ხარ და მეც, არ გვეკადრება ასეთი ლაპირაკი, მერე აქ, სადაც ამოდენა ქართველობამ თავი მოიყარა.

— ხა, ხა, ხა! გადიხარხარა მუშამ. Батюшка мой, ვინ უნდა მოატყუო. ეს ჩოხოსნები ჩვენზე ჭკვიანები არიან, ჩვენზედ უკედ სჯიან საქმეებზე... მუშა ჩამოეხსნა და ჩაიარა ჩოხოსნებისკენ.

ორმა მოღუღუნე მტრედმა კი ბუფეტში ჯდომას თავი ანებეს და ოთახში შევიდნენ.

— აბა, რას მეტყვი, რითი მასიამოვნებ, ჩემო კარგო! როგორ მოაწყე საქმეები? ჩაეკითხა ოთახში შესვლისას ღეჭიაშვილსა.

— გაგახარებ და როგორ გაგახარებ! ყველგან გავგზავნე ცირკულიარები სამშობლო ენის მოსპობის შესახებ სკოლებში, გავამეფე შენი გულის სატრფო ლევიტსკის მეთოდი; მოთხოვნილებისამებრ შენისა გავგზავნე მეორე ხარისხოვან სამრევლო სკოლებში რუსი—მასწავლებლები. ერთი ორგან სასწავლებლის გამგე მღვდლებმა წინააღმდეგობა გამიწიეს, მაგრამ მსწრაფლ ვუპანჩურე... დიდი ჯაფა და შრომა კი მჭირდება, ბევრი ოფლი დავღვარე და, ძლივს შევაჩვიე მღვდლები და მასწავლებლები ამ ჩვენს დიად აზრსა. ჩემი შრომა ჭირნახულს ნელ-ნელა იმკის... დეე, ჩემმა მტრებმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა იცინონ და კბილები აკრაჭუნონ, მე იმათ არ შემინიან, როცა შენი კალთა მიფარავს თავსა.

— ჩემი კალთა რაა! შენ ეფრო დიდ კალთას ამოგაფარებ: მისი მაღალ-აღმატებულება ბ. პოპკა სულ აღვაფთოვანე, ვუჩვენე შენი გამოკვლევანი ქართულის ენის კილოკავებზე, მეგრელების და თითქმის გურულებისა... სვანებისა ხომ რაღა ვსთქვათ... ჰო, მეგრელებისა და გურულების არა ქართველობა, ვაჩვენე შენი დასკვნანი ამის შესახებ... ეხლა იმის დარდში ვარ, ვინ ვიპოვნო ისეთი, რომ ფშავ-ხევსურთუშთა, გუდამაყრელთა და მთიელთა არა ქართველობაც დაამტკიცოს, ამაზე მოფიქრება გვმართებს; როცა ამ ფრთებს ჩამოვაცლით საქართველოსა, მაშინ რაღა დამჩება? არაფერი. მაშინ ამ არაფერის განადგურება ადვილია....

— აგრე მსჯელობა ფილოსოფიის წინააღმდეგია: არაფერს რაღა მოსპობა უნდა, თვით სიტყვა არაფერი ნიშნავს არაფერობას, თვით მოსპობას; როცა თავსა და ბოლოს შემოვაკვეცთ სხეულსა, იგი თავის თავად მოკვდება... მართლა, ისტორიას დავიწყებული ჰყავს ერთი კაცი, პირველი პიონერი ჩვენის აზრებისა, იგი უნდა ჩაიწეროს ჩვენს დავთარში, გამოიცეს მისი ბიოგრაფია და დაურიგდეს ბავშვებს ყველა სკოლებში, როგორც სამრევლოსა, ისე საეროში. ის კაცია მიხეილ, თუ გაბრიელ გულბანი, რომელიც გადაცვლილა 1864 წელში ქ. ტფილისს და ასაფლავია ვერის სასაფლაოზე. მისი საფლავის ქვა გვასწავებს, რომ გულბანს ულვწია დასამტკიცებლად ჩვენის დედა აზრისა, ე. ი. ამტკიცებდა სვანების არა-ქართველობასა. მე ვამზადებ იმის ბიოგრაფიას და მოკლე დროში წარმოუვუდგენ საბჭოს. ის კაცი ძეგლის ღირსია, ძეგლისა! (*)

— ძეგლიც მისი ბიოგრაფია იქნება, რომელსაც ჩვენ მრავლად გავავრცელებთ... მართლა, მართლა, იუდა თადეო-

*) ვერის სასაფლაოზე მართლაც არის საფლავი ამ გულბანისა, რომლის საფლავის ქვას წარწერა ამხელს იმის ასეთს მოქმედებასა. ავტორი.

ზიჩ! Съ тебя, братецъ, магарычъ слѣдуетъ, магарычъ! რამ გადამიგდო გულიდან: დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკობაზე წარგადგინა ბ. პოპკამ. შემდეგ მხარიღლივ წითელ ლენტს გადაგაკრავთ და დასტკბები ცხოვრებითა. აი ესე კარგია „შტატსკობა“; მე კი ჯორის კუდივით არცა ვგძელდები და არცა ვმოკლდები, სთქვა ღიმილით ირიდიონმა.

— Положимъ! .. თქვენც მალე ეღირსებით მიტრასა. მე თქვენ მოგახსენოთ, ღირსი არა ხართ თუ! არ დაგშვენდება თუ! აი ჩვენს დათას რა რიგად უხდება, სწორედ ანგელოზია!

— დიდებული კაცია, დიდებული!... დიდი ღვაწლი დასდო დავითმა შენს საქმესაც—შენს გენერლობას ბ. პოპკასთან.

— ვინ მოგახსენებთ? უმაგისოდ მე ერთ მანყულადაც არ ვეღირებოდი, ერთობ თავდადებულია ჩემთვის, განსაკუთრებით კი ჩვენი საერთო საქმისათვის.

— ჰაი, დედასა!! ყველა ქართველები თქვენისთანები რომ იყვნენ, რა მალე შევასრულებდი ჩემს მისსიასა!...

— გავხადოთ, ირიდიონჯან,—აქ იუდამ ზრდილობას გადაუხვია, ისე გაიტაცა ირიდიონის იდეამ და ამიტომ მეგობრულის კილოთი დაუწყო ლაპარაკი, რათა უფრო დაეჯერებინა თავის გულრწფელობაში, — გავხადოთ!! იმედიც არის, რომ გავხდით ჩვენისთანებად: ქართველების ტვინი უკვე გადარუსებულია აწინდელი სწავლა-აღზდის სისტემის წყალობითა... Мозгъ грузина пересталъ мыслить погрузински (უნდა მოგახსენოთ, რომ იუდა და ირიდიონი რუსულად ბაასობდენ)... მე ნამდვილად ვიცი, რომ აწინდელი ქართული გაზეთის რედაქტორები, მისი უმთავრესი თანამშრომელნი რედაქციაში სულ რუსულად ლაპარაკობენ, რუსულად მსჯელობენ; დარწმუნებით ვიცი, რომ კრებებზედაც, შინაურ ცხოვრებაშიაც მაღლა მყვირალნი პატრიოტნი რუსულად ლაპარაკობენ. ერთის სიტყვით იმათ ოჯახში რუსულია გამ ფებული, და თუ ჰყვირიან, ქართული, ქართული

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა იყოს ჩვენს ოჯახში, კრებებზე, სასამართლოებშიო, ამას პირსაფერისად ჰყვირიან, რომ ვითომ უკან არ ჩამორჩენენ თანამედროვე დრო-ჟამსა... მე შენ დაგარწმუნებ, აი დღეს რომ გამოაცხადონ: აჰაა, ქართულად იყოს ყველაფერიო, უწინ ის დიდი პატრიოტები, გაბიუროკრატებული პატრიოტები, ჩამოჰკიდებენ ცხვირსა: ვაიმე რა გვეშველება, ქართული რომ არ გვეხერხება, რა ვქნათ!... უმთავრესი გზა, იროდიონ ჩემო, გავლილია, გაკეთებულია უკვე ის, რის გაკეთებასაც ყველა ცდილობდა და ამჟამად ჩვენც ვცდილობთ .. აი ეხლა მე რუსულად ვფიქრობ და ქართულად ისე გადმომაქვს აზრები ქაღალდზე...

— ვინც რუსულ სკოლაშია გავლილი, ვისაც მუნჯური მეთოდი უწვნევია, კიდევ ჰო! მაგრამ ვისაც არა...

— იმათ ეხლა გადავუკეთოთ ტვინი, ეხლა! გააწყვეტინა იუდამ და წკიპურტი გამოჰკრა თითებითა... ორი-სამი თაობის შემდეგ ქართველობის ნიშან-წყალი აღარ იქნება.

— ეე, ჩემო იაშაჯან, — იროდიონმაც ძმურად დაუწყო ლაპარაკი, — ყველა კარგი, მაგრამ ერთი ჭია მიღრღნის გულსა: ახალი სიოსი მეშინიან, პეტერბურგის გაზეთებმა ერთობ მაღალ ტონზე დაიწყეს ლაპარაკი.... მაგრამ დავიჯერო, მეფე შეეღვა თვითმპყრობელობას?! ამას წინად ერთი საზღვარ გარედ დაბეჭდილი კარიკატურა ვნახე, ევროპასა და რუსეთს შუა ზღუდეა გავლებული; ჯუჯრუტანებში სინათლე შემომდგარა დასავლეთიდან და ზღუდის ბნელი მხარე გაუბრწყინვებია; ვნახოთ, სდგას ერთი მაღალი, აწოწვილი, ხმელი, როგორც აპუხტი, სათვალებიანი კაცი: თეთრი თმა ბეჭებამდე სცემს, პირი გახროკნილი აქვს, როგორც გოლვისაგან მოტრუსულ მდელოს, სდგას, — უჭირაკს უშველებელი ქაფჩა, ბიჭებს თაბახი თაბახზე მიაქვთ ტალახი და ლესავს ჯუჭრუტანებს, რომ სინათლე არ შემოუშვას...

— უნდა გამოგიტყდე, რომ პეტრე დიდმა დიდად დააშავა რომ ფანჯარა დასავლეთისაკენ გააღო....

— დიდს კაცს დიდი შეცდომაც მოუვა... მაგრამ ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე დიდი გვამი ფანჯარას აღმოსავლეთისაკენ აღებს და იმიტომ გულმოდგინეთ ლესავს, გამოლესავს კიდეცა.

— სწორედ გამოლესავს, მე ეჭვი არა მაქვს.

არც მე მაქვს ეჭვი, მაგრამ... მაგრამ ამ სიოსი მეშინიან, ვაი თუ ქარიშხალი მოჰყვეს.

— Даа!.... ცუდად დაჰბერა ამ სიომ, ერთობ ცუდს დროს დაიწყო ქროლვა, მაგრამ ფიქრი არ არის: როგორც ჰქუხს, ისე არა წვიმსო, ნათქვამია.... მერე ჩემი გენერლობა, მხარიღლივ წითელი ლენტი!? გაიფაქრა იუდამ და ჩიჩვირი ჩამოჰკიდა.

— აი დღეიდან იწყობა ნამდვილი ჩვენი მოციქულებრივი ხანა: ყოველივე ღონე უნდა ვიღონოთ, კანონიერი, გინა უკანონო, ოღონდ ხალხს ავაშოროთ ეს ახალი სიო, ეს გაზაფხულის სუნი, რომელმაც ზე-კარიდან დაჰკრა; უნდა შევინარჩუნოთ ეხლანდელი რეჟიმი, უნდა ამოვლესოთ დასავლეთისაკენ გაღებული ფანჯარა, თორემ..... თორემ.... აქ შესდგა ირ ოდიონ პროხორიჩ ვოროტილოვი თითზე კბილი დაიდგა და ღრმა ფიქრს მიეცა

— ვაიმე, ჩემო გენერლობავ, წითელო სარჩულო! მწარედ გაურბინა იუდას ამ აზრმა თავში, ცხვირში მწუხარების ნაპერწკლებმა წვით გაურბინეს და თვალები აუცრემლეს.

— თორემ.... საგლიჯინებლად გაგვიხდებ, საქმე..... სთქვა ღრმა ფიქრებში გართულმა ირ ოდიონმა.

— ვაი თუ ასრულდეს წყეული პოეტის წყეული სიტყვები: „მაგრამ დათვსაც მოუვა დრო: უტეხ ტყეში გლიჯინებდეს, აღარ ჰქონდეს ბინა მყუდრო"-ო...

— ჩვენ ჩვენსას მაინც ნუ მოვიშლით...

— დიახაც, ნუ მოვიშლით, დაუდასტურა იუდამ.

VI

იმ რაიონში, სადაც მისი მაღალღირსების ირ ოდიონ ვოროტილოვის ბრძანებით მათი აღმატებულება იუდა თადეოზიჩ ღეჭიაშვილი, ხოლო აღმატებულების ხარისხის მიღების

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ ღეჭოვი, მოქმედობდა, ახალმა სიომ ისე ძალუმად დაჰკრა ისე ააზვირთა თვის გარემო ყოველივე, რომ მირეგვ-მორეგვა, მილეწ-მოლეწა, შემუსრა. იუდაც აათამაშა ზვირთებმა უბრალო ნაფოტივითა და ერთ უალაგო ალაგას გარიყა. მაგრამ აქაც მოასწრო ტალღამ, წამოაწოწიალა, იუდა გაჰყვა ტალღას, რომელმაც შუა ზღვაში ამოაყოფინა თავი, აქ კი ფერი ეცვალა, როგორც იყო იბრძოლა, ჩამოვლილმა ტალღამ წამოჰკრა ხელი, გამოაქანა და ერთს კლდეზედ შეაგდო, სადაც ველარ სწვდებოდა ტალღა. ამ იმისათვის უსიამოვნო ამბავმა იუდას გულს კოწიწივით დაუწყო წიწკვნა, დაისადგურა მის გულში და სიცოცხლეს უშხამავდა....

სულ ამ ოხერმა ომმა მოიტანა ეს ჭირი, შესჩიოდნენ ხოლმე ეროდიონ და იუდა ერთმანეთსა, როცა შეხვდებოდნენ ერთმანეთს, ჩვენი ნავი სახუმაროდ არ ირყევა... ვიბრძოლოთ ბოლომდე! ღმერთი მოწყალეა! ამით ღა ინუგეშებდნენ ხოლმე თავსა.

ერთს საღამოს აწ უკვე ღეჭოვი ძლიერ დაღონებული დაბრუნდა სახლში; სახეზე შავი ალმური ასდიოდა, ჩვეულება გასტეხა და ვახშამზე უარი თქვა, საჩქაროდ გათხარა ლოკინი და ჩაწვა. დიდ ხანს იბორგა, ეწვალა და ბოლოს, როგორც იყო, ძილი მოეკიდა.

ძილში დაესიზმრა: დიდებულს სასახლეშია; გაბრწყინვალებულია იგი ათასფეროვნად; ერთი მზე და მთვარე არ არის ჩამოყვანილი და სადმე კედელზე მიკრული, თორემ სხვა აღარა აკლიარა. მდიდრულად, ოქრო-ვერცხლით მოვარაყებულ ტანისამოსში გამოწყობილმა დიდკაცობამ ამსებით აამსო დარბაზი. წითელ ყვითელ-ლურჯი ლენტები, მხარ-იღლივ გადახლართულები, ბრჭყვიალებენ და ლაპლაპებენ სინათლეზე. გუნდრუკის, საკმევლის და ათასგვარი ნელსაცხებლის სუნი უხვად ტრიალებს ირგვლივ. შუა ალაგას ამართულია ტახტი. ტახტის კვარცხლბეკებს გარს შემოსხდომიან დიდებულნი. აი შემოიყვანეს ამ დიდებულს დარბაზში იუდა ღეჭოვი. ორი ანგელოზი იმ დასისა, რომელსაც ეწოდების ენასაზედა ღვთისმეტყველურსა—„საყდარნი“ (რუსულად კი **престоли**), მხო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოდკი არა ის ანგელოსნი, რომელნიც საღმთო წერილის თქმულობით გარს ახვევიან საყდარსა, ანუ ტახტსა უფლისასა და უგალობენ დიდებასა, არამედ ხორც-შესხმულნი ანგელოსნი — ირროდიონ და დავით მარჯვნივ და მარცხნივ შემოსდგომოდნენ იუდასა, მიიყვანეს და დააჩოქეს კვარცხლბეკის წინაშე, რომელსაც მარჯვენა ხელით დაეყრდნო. უჩვეულო სანახაობამ იუდას თავბრუ დაასხა, გაარეტიანა, თვალთა წინაშე წითელ-ყვითელი, შავ-თეთრი და სხვა ათას გვარი ფეროვნების ბუშტები და რგოლები დაუცურავდა, ეხატებოდა, ებლონდებოდა. მალე გადაეყარა ბრუ და რეტი და სწორი თვალთა ხედვა დაუბრუნდა.

დარბაზში გაისმა: „შშშ!!“... და წამს ისევ სიჩუმე ჩამოვარდა, ანგელოზმა ჩამოიარა. გამობძანდა ამალით დიდი ბატონი.

— ეს არის ღირსეული მონა ჩემი? იკითხა ბრწყინვალედ გამოწყობილმა ახოვანმა კაცმა, რომელსაც თავის სარქმელზე ძვირფასი ბრილიანტის ჯვარი უბრწყინავდა. აღსდეგ, ერთგულო და კეთილო მონავ! ტალანტი კეთილად მოგიხმარების და აი ჯილდოდ შენის კეთილის საქმეებისა: ეს სისხლის ჯვარი სისხლისავე ლენტითა. შენ სწორედ სისხლით მოიპოვე და აი უზენაესად დაჯილდოვებულხარ. ირროდიონ და დავით, ანგელოზნო ჩემნო, მხარ-იღლივ მარჯვენიდან მარცხნივ გარდააცვით ლენტი ესე ღირსეულსა კაცსა ამას, სანაქებოსა მონასა ჩემსა. ჰეი, შენ, ირროდიონ, მოიღე სამოსელი იგი წითელითა სარჩულითა და ჩააცვ ამასავე, ხოლო შენ, დავით, დაადგი თავსა მისსა ნავისა მსგავსი სარქმელი თავისა.

მართლაც ოქროს სინით მოართვეს, როგორც მღვდელმთავარსა ვისაჰე, ძვირფასი ზეჩასაცმელი, ფასდაუდებელი ძოწეულისა სარჩულითა და ირროდიონმა წამოასხა; მოიღეს აგრედვე თავისი სარქმელი, ოქრო-ვერცხლით შემკობილი და დავითმა დაადგა თავსა მისსა. დიდმა ბატონმა ნელსაცხებელი სცხო შუბლსა და პირზე, აკურთხა და სამჯერ ათქმევინა: „იჯმნი ეშმაკისაგან? — „ვიჯმნი“; შემდეგ იმ გზით გაბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუნეს „საყდართა“, რა გზითაც შემოიყვანეს ბრწყინვალე დარბაზში.

უხარიან იუდას, უხარიან, რომ სულ ცას ეწევა, იცინის, ხარხარებს ძილში.

უფროსს შვილს მამის ხარხარზე გამოეღვიძა, შემოიპარა მამის ოთახში, დახედა, ნახა, რომ მამა მისი სასიამოვნო სიზრმებში უნდა იყოს გართული, რადგან იუდას პირი უცინ-ულიმოდა, და ფეხაკრებით გაბრუნდა თავის საწოლისაკენ.

კვლავ ხედავს ბ. ღეჭოვი სიზმარს. ხალხი ჯარად დასდევს იმას ქუჩა-ქუჩა, უკვირთ ასეთი მისი მოკაზმულობა; მტრებს გული უსკდებათ შურითა, მოყვრებს კი.... მოყვრებს კი.... მაგრამ იმჟამად მოყვრები არსად სჩანდნენ: ეროდიონ და დავით ჩამოსცლოდნენ.

გაეღვიძა, წამოჯდა, თვალები მოიფშვნიტა, მიიხედ-მოიხედა, ხელები აფათურა... განქრა დიდება, ველარ იხილა, ვერც ხელის ფათურით მიაგნო სადმე. მაგრამ გულში იმედი ჩაესახა; პირჯვარი გადისახა, სასოებით შეევედრა უფალსა; ამ დროს თვალწინ გაურბინეს „საყდართა“ წარმომადგენელებმა—ეროდიონ—დავითმა, იმათაც მიადევნა ლოცვა-ვედრება; შემდეგ დამშვიდებით გადაბრუნდა და კვლავ ძილს მისცა თავი. მაგრამ შენს მტერს, რაც მან მესამედ ნახა.

ჰხედავს: კიდიდამ კიდემდე მთელს საქართველოში ხალხი აზვირთებულა, გრგვინავს იგი მეხივით, თავისუფლებს დროშას აფრიალებს, დაუწყვეტია ჯაჭვები ძონობისა. გამოაცხადა საჯაროდ ძმობა, ერთობა და თავისუფლება, საჯაროდ აღიარა ეს სახარების მცნება, რომელიც მრავალ საუკუნეთა განმავლობაში არაწმიდათაგან მგლის ტყავში იყო გახვეული და აღკრძალულ ხილს წარმოადგენდა. ხალხმა მოითხოვა კანონიერება, სამართლიანობა, მოითხოვა თავისი სკოლა. აგერ ორატორი ორატორს მისდევს, ზემყრელზე ასულან (*) და იქიდან სიტყვებს ამბობენ. ხალხი ქუდს იხ-

*) ზემყრელი თამაშობა-სიმღერა: ოთხი, ან სამი ძირს სდგას, ამდენივე მხრებზე შეადგებიან, ხელიხელ გადახვეულნი დგანან, მერე ცეკვას და სიმღერას მოჰყვებიან. ავტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დის, იჩოქებს ახალის მქადაგებლის წინაშე, ახალმა სხივმა შეაშუქა ხალხის გულში და ხმა მაღლა გაიძახის: „ძირს ჩვენი დამჩაგვრელნი! ძირს მამულის მოღალატენი! ძირს ერისა და მისი ენის მგმობელნი!... გავამეფოთ ქვეყნად ციური მცნება: ძმობა, ერთობა, თავისუფლება!“...

იუდა კანკალებს, ბნედიანივით ხტის ლოგინში და კბილების კრაჭუნით წაიწკავებს:

— ვაიმე, კარზე მომდგარო დიდებავ! ვაიმე, ბრწყინვალე დღენო ჩემნო!.... არა, ტყუილია, ტყუილია! უფალი ღმერთი მცდის მე მართალი იობივითა'... ხალხი ქვევრია, ამოიძახა ჩაძახილი.... მაგრამ, ფუი, ეშმაკო! ეს ხომ სიზმარია და არა ცხადი, ამბობს ნუგეშით ძილში... დასწყევლოს ღმერთმა! ეს ვიღა წამოიკვნენ ჩემსკენ...

აგერ ვითომ მიაჩერეს იუდას ხელში ორი უყდო წიგნაკი.

აი აქ სწერია შენი განჩინება, ეუბნევიან იუდას; მაგ წითელ სარჩულიან პალტოს გაგხდით, გადმობრუნებულს ჩაგაცმევთ, პირზე მურს წაგისვამთ, ქუჩა-ქუჩა გატარებთ ღრიალითა: „მე ვარ სამშობლოს მოღალატე, მე მოვჭერ ოცი-ათასს ბავშვს ენა, დავამუნჯე, საუკუნოდ დავუხშე ჭკუა-გონება, მეფე ირودმა თოთხმეტი ათასს ნორჩ ყმაწვილებს მოულო ბოლო, მოსრნა იგინი, რომ ახლად დაბადებული ქრისტეც შიგ მოეყოლებინა: მე უარესი მოვიქმედე: მთელს ერს მოვჭერ ენა, მსურდა გამესრისა იგი, ამომეგდო ფესვიც კი იმის სახსენებელისა“.

— აი ამ ერთი წიგნაკით, ეუბნებიან იუდას, ყელს იჭრი, მეორეთი გსურს გაიმოელო ჭრილობა.

იუდას უნდა წასწვდეს, წაართვას ის წიგნაკები, დახიოს, მაგრამ ლუარსაბ თათქარიძის ყოფაშია: ის რომ სიზმარშია და არ ართმევს... ძალას ატანს თავს, იცინის, ენას უყობს ხალხსა, უჩვენებს ბ-წყინვალე მუნდირსა, წითელ სარჩულსა, მხარიღლივ გადაგდებულს წითელ ლენტსა, ემუქრება, ფეხებს უბაკუნ ბს!... მაგრამ ტალღამ ხალხში იმატა, მიუახლოვდა, გამოაცალა ფეხები და დააყურყუმელავა. დაიხრჩო იუდა. პირი შლამით აევსო და ქოჩორი ჩალაბულითა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იბრძვის იუდა ლოგინში, ბობოქრობს, ხრიალებს, წკმუტუნებს როდის-როდის გამოერკვა. ოფლი ღვარივით გასდის; წამოჯდა ლოგინზე, პირჯვარი გადიწერა, გულში სასოებით გაივლო თავისი მცველი ანგელოსის სახელები— იროდიონ-დავითისა და სასოებით წარმოსთქვა - თუ ისინი ცოცხალნი მყვანან, ვინ რას დამაკლებს!

სიზრმისაგან მოვლენილი ზარი ნელ-ნელა განქრა ანგელოზების იმედითა. მაგრამ იუდა ღეჭოვს მაინც ეტყობოდა ბრძოლის ნიშნები: სახე ალეწილი ჰქონდა, თვალები დაბორდოხებული, სახე დაძაბარებული. იმის გულს დაღი დააჩნდა, დაღი წაუშლელი, საუკუნო.

კარგა გათენებული იყო; ბიჭმა გაზეთები და წერილები შემოიტანა და თავთან მაგიდაზე დააწყო. იუდა ისე შტერივით იჯდა ლოგინზე, რომ ბიჭის შემოსვლა ვერც შეა ჩნია.

VII.

„თქვენო აღმატებულებავ,
იუდა თადეოზოვიჩ!
„წყლის კოკა წყალზე გატყდება“
თქვენებური ანდაზა.

„იძულებული ვარ,—სწერდა იროდიონ პროხოროვიჩ ვოროტილოვი იუდას,—ეს წერილი წყეული ქართული ანდაზით დავიწყო.... ოოჰ, რარიგ მეზიზღებით ყველა ქართველები; ჩემი გული ნერონის სურვილებით არის აღვსილი: რომ შემეძლოს, ერთის ხმლის შემოქნევით მოგკვეთდით თავებსა, მაგრამ რა?—თუნდ კიდევაც შემეძლოს მოკვეთა, მაინც სადმე შეგრჩებათ თავი ზღაპრული ბაყბაყ მდევივითა. თქვენ, ქართველობას, იარაღით, ფიზიკურის ძალით ვერვინ აგაწყობთ, ვერვინ აღგვით პირისაგან ქვეყანისა.... მე, ერთ-ერთი მე, გაბედვით და აშკარად დავადექ იმ გზას, რომ გადამეგვარებინეთ არა იარაღით, არამედ ტვინის გადაკეთებით. გავაბი ყველგან ობობას ქსელები, თვით ქართველებს ვაბეჭვდინებდი და ვაბმევინებდი ამ ქსელებსა, თვით თქვენის

ხელით ვთესდი თქვენ შორის ღვარძლსა; თვით თქვენის ხელით ვკრებდი ვარდსაც და ეკალსაც. თქვენ როგორც აზიელნი, რენეგატობას მისდევთ; მეც ხელი შეუწყე ამ თქვენს ხასიათსა და თქვენში გავაძლიერე ეს სენი – რენეგატობა. ის ის იყო მივახწიე კიდევაც დანიშნულს მიზანს, მაგრამ ბედმა მიმუხთლა: „წყლის კოკა წყალზე გატყდა". დიაღ! გატყდა, დაიმსხვრა ყოველივე ჩემი დაწყობილება... ეჰ, მე უნდა დავბადებულვიყავ ამ სამოც-ოთხმოცი წლის წინად, რომ მთლად ამომეგდო, გამეადგურებინა თქვენი ერი, მისი სინსილა გამეწყვიტნა, მომესპო მისი ხსენება ისე, რომ მხოლოდ არქეოლოგთა საკვლევად გამხდარიყო, ისე, როგორც დღეს ასურლთა, ქალდეველთა, ბაბილოვანელთა და სხვათა ამოწყვეტელ ერებთა ხსენებას იკვლევენ ადრევ კარგი დრო იყო თქვენის გადაგვარება-მოსპობისა. მაშინ რომ ვყოფილიყავ, თქვენს ერს ჩემსას შევუსისხლხორცებდი და ჩამოვიდოდა ძლიერი, ყოვლისფრით შემკობილი ნარევი ერი; არა, ნარევი კი არა, ნამდვილი რუსი... ეჰ, ვერ მოვესწარ ჩემის აზრების განხორციელებას: ახალმა სიომ დამკრა, დააზრო, გააყვითლა ჩემი ვარდი... თვით ჩემიანებმა მიხრიკეს; მიხრიკეს იმაიაც, ვინც ჩემის მეოხებით დღეს ლუკმას სჭამენ...

„მხოლოდ ერთად-ერთი შემრჩა მეგობრად, მხოლოდ ერთად-ერთია სულითაც და ხორცითაც ნამდვილი რენეგატი... არც გასაკვირველია: იმას თვით ბუნებაში, თვით სისხლში აქვს ბაცილა რენეგატობისა. იმისი გვარი ძველია, დიდი გვარია. დიდი გვარები, როცა ვისიმე მორჩილებაში გადადიან, რათა არ დაჰკარგონ უწინდელი დიდება, რენეგატდებიან, ჰგმობენ თავისიანებს, უერთდებიან, უერთგულდებიან დამჩაგვრელებს და ერის ჩაგვრაში აჭარბებენ ბატონს დამჩაგვრელსა. ასეთი რენეგატია თავადი დავით არობელიძე. დავითმა გაზარდა, გააძლიერა, გაამრავლა თავის არსებაში ბაცილა რენეგატობისა, უკუღმართობისა, და აი დღეს ჩემი ღვიძლი ძმაა, მხარში მიდგია... მაგრამ ეჰ! იქ, შორს, ჩრდილოეთში რას გავაკეთებთ, რის მაქნისი ვართ!... თუმცა იქაც კი არიან გადასაგვარებელნი, მაგრამ ამ წყეულმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზაფხულის სიომ ერთგვარად მოჰფინა ყველას თავისი სხივები, ყველას გული ერთგვარად გაუთბო, გაახალისა, ააფეთქა, აამოძრავა, თვალები აუხილა, და აგერ ყოველი კუთხიდან გაისმის მედგარი ხმა: „ჰკა, მაგ უკეთურებსაო!“... მაგრამ კიდევ ვიპოვი კუნჭულსა! ფიქრი არ არის, ჩემს კოჭს ალჩუზე კიდევ დავსვამ, სოფელი გონ ერია და უგუნურიცა; რაც ძალი და ღონე მაქვს კალატოზებივით ამოვლესავ იმ ჭუჭრუტანებს, საიდანაც შემოვიდა სხივი გაზაფხულის მზისა“..

„ძალიან გავები და უმთავრესი კი დამავიწყდა: მე დღეს შენთანა მაქვს საქმე, ამ წერილს შენთვის ვწერ... შენ მე მღალატობ, არა, რას ვამბობ? კი არა მღალატობ, მიღალატე კიდეცა შენ დღემდის ორს სკამზე მჯდარხარ, წაჯექ-უკუჯექობა გითამაშნია იმ ბერიკაცივით, რომელიც ბუხართან იჯდა, სახე რომ დაეწვებოდა, უკან დაიხევდა, როცა გაუგრილდებოდა, ისევ წინ წაჯდებოდა; ასე წაჯექ-უკუჯექობდა, სანამ არ გადუწყდა და ძილად არ მიიწურა. აი შენ იმ ბერიკაცსა ჰგევხარ: მეც მატყუე და შენი ერიცა; ჩვენშიც გინდოდა მეფობა, თქვენშიაცა. კიდევაც შესძელ: აი, დღეს შენ გენერალი ხარ ჩემის წყალობითა, წითელ სარჩულს დააფრიალებ, მხარს გიმშვენებს წითელივე ლენტი.... მაგრამ თუ მე იროდიონ ვოროტილოვი მქვიან და კიდევ რამე ვარ ქვეყანაზე, ოხრად დაგირჩენ მაგ დიდებასა“....

— ოჰ, სიზმარო, სიზმარო! კბილების კრაჭუნით გასწყვიტა ღეჭოვმა წერილის კითხვა, დაიბღუვლა და თვალები გიჟივით მიავლ-მოავლო ოთახსა....

შენ თურმე ისეთი ფლიდობა „ჩაიდინე“....

— ოჰ, ღმერთო, მომკალ! ღმერთო, სული ამომახდინე! ეს რა მეხი დამატყდა თავსა! კვლავ წარმოსთქვმ იუდამ.

„....რომ ორი ანგარიში შეადგინე, თუ, არ ვიცი, ერთსა და იმავე ანგარიშში ერთი ადგილი ორნაირად დაბეჭდე: ერთით მე მაამე, ვითომ თქვენ, მოწყალეო ხელმწიფევ... უკაცრავად—მოწყალეო ფლიდო, ემსახურებოდით ჩემს იდეას საქართველოს ერთის თემის შესახებ, ვითომ თქვენ ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თემის გასარუსებლად ყოველი ღონე იღონეთ. მეორეთი ყელი გამომჭერით, მომასიე მთელი ქვეყანა, ააბობოქრე ყველა ჩემს წინააღმდეგ და შენი ფლიდობა,—გესმით?—შენი ფლიდობა მე მომაწერე....

„გახსოვს, ჰაი!ჰაის რომ გაიძახოდი, პირში კატასავით შემომკნაოდი, ჩემის ჩრდილისიც კი გეკრთალებოდა, ჩემს მაფრაშებს ვირივით დაათრევდი, წუწკი ძაღლივით ფეხებს მილოკავდი. წუწკი ძაღლივითვე ლუკმისთვის შემომწკაოდი!... გახსოვს რაებს ზმიდი; რაებს მპირდებოდი, რაებს ჩადიოდი... გამომტყუვე თუ არა გენერლობა, მაშინვე შენი ფლიდობა მე ამკიდე ზურგზედ. მე მარტო როგორ გავბედავდი, ან როგორც შევძლებდი, თავს მედო დიადი სახელმწიფო აზრი—გადაგვარება ერისა და მით ჩემის ქვეყნის გაძლიერება. მაგრამ თქვენ თვით, თქვენ და თავადმა დავითმა გამაბედვინეთ. დღეს მე და დავითი გაგვისტუმრეს, შენ კი დარჩი და პარპაშობას აპირებ, მაგრამ ვერა.... მე გინასწარმეტყველებ: შენი კოკაც ისევე გატყდება და გატყდება შენისავე წყაროს პირზე, როგორც ჩემი გატყდა და დაიმსხვრა...

„ოჰ, რა გულით მინდოდა, რომ საქართველო, რომელიც ითვლება საუკეთესო მარგალიტად ჩვენის სამეფო გვირგვინისა.... თვით ხალხი კი არა, არამედ ქვეყანა, ბუნება მისი.... აღარ ყოფილიყო ნასესხებ-ნაჩუქარ მარგალიტად, არამედ გარდამექცია იგი ნამდვილ ჩვენებურ მარგალიტად... დედას დაველიე, რომ ვერ მოვესწარ ჩემის იდეების განხორციელებას....

„მე შენ უკვე აგხადე ფარდა, ყველგან გამოვფინე შენი ფლიდობის ამბავი; შენ დღეიდან გამოეთხოვე დაწინაურებას, თავის გამოჩენას. მალე შენი ქვეყანაც აგხდის ფარდას მეორე მხრიდან და მთელის სიგრძე-სიგანით დაგინახავს....

— „შორს და მშვიდობით! მოვკვდე არ მიკითხო, მოკვდები, არ გიკითხავ, ჩვენს შორის ხიდი ჩატყდა“...

იროდიონ ფროხორიჩ ვოროტილოვი.

1905 წ. 25 მარტი

ქ. თფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ოოჰ, წყეულო წერილო!!... ოოჰ, დიდებავ დაღუ-პულო!! .. ოოჰ, მართლდება სიზმარი! Сонъ въ руки! ... დაიწყო სვენებ-სვენებით ოხვრა-ვიში ბატონმა იუდა ღეჭოვ-მა. აკი ამტკიცებენ ზოგიერთნი მსწავლულნი, სიზმარი გან-გრძობაა ნამდვილის ცხოვრებისაო; რაც სიზრმივ იხილება, ის ასე თუ ისე ახდებაო.... მაგრამ ვითომ? მწ! მე არა მწამს...

ღეჭოვმა წვერ-ულვაში მოიმუჭა, ცხვირზე სალოკი თითი დაიდო და ღრმა ფიქრს მიეცა; შემდეგ უცებ წამოდგა, თითებით ჰაერში წკიპურტი გამოჰკრა და ხმა მაღლა წამოი-ძახა:

— დასაღონარი არა მაქვსრა! ეგ წყეული ვოროტილო ვი ხომ გზიდან ჩამომეცალა, დავითიც გადაიხვეწა, დარჩა ერ-თად ერთი ბ. პოპკა. ამ პოპკას ხმალი ჩემს კისერზე იყოს; მაგრამ... კიდევ მაგრამ.... მძევლად დასტოვეს ერთი ეშმაკი — ნიკიტა, ეს უარესი მოძულეა ჩვენის ქვეყნისა; დავით და ირადიონი პირღნოშები იყვნენ, ვერ დამალავდნენ საიდუმ-ლოსა; ეს ნიკიტა კი რაც ზევით დადის, ორი იმდენი ქვეით დადის, თხუნელასავით სთხრის ორმოსა, რომელშიაც, იქნება, თვითონ ჩავარდეს.... არა, მე ეხლა ტყავს გადმოვიბრუნებ, ენას მოვიქარგავ; ტკბილი სიტყვით ქართველი კაცის გულის მონადირება ადვილია; მე ქართველობას საჯაროდ დავუმ-ტკიცებ, რომ მივდევდი სამშობლოსათვის საკეთილო იდეების განხორციელებას; მე იმ სამებას მოვახვევ ყველაფერს კისერ-ზე: ირადიონს, დავითს და ნიკიტას, განსაკუთრებით პირ-ველსა. როგორც ვსთქვი, ქართველი გულ-კეთილია, მალე მოლბება, გულს მოიბრუნებს; მყვანან ლიტერატორთა შო-რისაც არა თუ მომხრენი, თაყვანისმცემელნიცა.... ააა, მარ-ჯვენა წარბმა გამითამაშა, კარგად მაქვს დაცდილი მისი თა-მაში.... ჰო, ჰო! ეგრე იფეთქე, ეგრე იფეთქე, ჩემო წარბო, ჩემო წინასწარმეტყველო.... მე კვლავ დიდებულად დავრ-ჩები....

ბ, ღეჭოვს კვლავ იმედმა გაუღიმა, დარდები გადეყარა, გულზე მოეშვა შემოწოლილი ბოღმა; მისმა სახემ გამოიდა-რა, გაბრწყინდა ისე, როგორც დიდი წვიმის შემდეგ ცა გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიყრის ღრუბელს და ლაჟვარდი ფერი მისი სასიამოდ დაიწყებს ღაჟღაჟსა და ბრწყინვასა.

მაგრამ დიდხანს არ შერჩა ბ. ღეჭოვს გულის სიმშვიდე. გაისმა ქუჩაში ჯერ ყრუ გუგუნი, ხმაურობა თანდათან გაირკვა და მკაფიოდ მოისმა ორპირი სიმღერა:

„მაშულის დახსნის დღე არის,
ქვეყანა გვნუკავს შველასა,
თავისუფლების შოვნაი
სჯობს საშოვნელსა ყველასა!“ და სხვ.

ხალხმა სიმღერით და წითელ დროშით, რომელსაც ამშვენებდა ზედ წარწერილი მაცხოვრის მცნება — ძმობა, ერთობა და სიყვარული, ჩამოუარა, სხვათა შორის, იუდა ღეჭოვის სახლსაცა. სიმღერას რომ შეესწყვეტდა, ხალხი ჩაურთავდა ხოლმე: „ძირს ხალხის მტარვალნი! ძირს მონობის ჯაჭვის მჭედველნი! ძირს თვისი ერის მოღალატენი, ერის ენის მგლეჯელნი, მისი ვინაობის მსპობელნი!“... და კვლავ იწყებოდა ისევ სიმღერა.

„ნუ გეშინით, ძმებო! — გაისმა ხმა სანუგეშო ხალხში, — ნუ გეშინით! მტარვალთა ძალა იმუსრება, მტარვალნი წელში გაიზნიქნენ, ხავსს ეჭიდებიან თავის შესამაგრებლად. ერთი ძლიერი და მედგარი იერიში კიდევ, ერთი ძლიერი შერყევა დედა-ბოძისა და დარბაზი, მტარვალთა ბუდე, დაემხვლევა ბებერი მუხასავით და ჩვენ მოგვენიჭება შვება და დიდება, განთავისუფლდება კავკასიონის ქედზე მიჯაჭვული ამირანი და კვლავ ცეცხლს მოუვლენს ქვეყნიერებას; აიშვებს თავს არტახებ შეკრული ლეკვი ლომისა და მაშინ ჩვენს მონობასაც ბოლო მოეღება“....

ყველა ეს მკაფიოდ ესმოდა იუდას, ცხადად, თვით თავის დასაბრმავებელი თვალებით ჰხედავდა და რაღაც მისთვის უცნაურმა, გამოურკვეველმა ზარმა აიტაცა, ააცახცახა, თმა ყალხს შეუყენა; ვერ გაუძლო ორს იერიშს: იროდიონის წერილსა და ხალხის ძლევა მოსილობას, დაეცა ხატის წინ და პირჯვრის წერით სამგზის გაიმეორა: „უფალო, იესო ქრისტე, მაცხოვარო ჩემო! ვიჯმნი ეშმაკისაგან!“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაცხოვრის ხატმა პირი მიიქცია: იუდამ ყველა მხრიდან დაუწყო მზერა მაცხოვარსა, უნდოდა მისი ყურადღება მიექცია, მაგრამ ვერ იქნა, თვისი თვალი მაცხოვრის თვალს ვერ შეახვედრა.

VIII.

ერის გული, ანუ უკედ რომ ვსთქვათ, მისი გულის ფიცარი იგივე გრომოფონის ფირფიტაა, ფირფიტა ნაზი და წმინდა; ამ ერის ფირფიტაზე იბეჭდება ყოველივე ავი და კარგი, რაც კი ულმობელმა ცხოვრებამ მოუვლინა. დადგება ხოლმე ერის ცხოვრებაში ხანა ქარიშხალისა, ღელვისა, ჭექა-ქუხილისა; ირყევა ყველაფერი; აი მაშინ შეირყევა ხოლმე ერის წმინდა და ნაზი ფირფიტაც მთლად აჭრელებული იმის ვაი-ვაგლახითა; ჯერ ყრუ ხმა. ხმა გმინვისა და კვნესისა გაისმის, შემდეგ და შემდეგ ხმა ძლიერდება, სჭექავს, ზუზუნებს, აკვნესებს სხვა და სხვა გულის მომწყლავს, სევდიანს სიმღერებს, მოთქმით უამბობს ქვეყანას თავის ჭირ ვარამს, ამტვრევს ბორკილებს და ითავისუფლებს თავს მონობისაგან. ამ საშინელი ქარიშხალისა და მეხის ტეხის დროს სისხლი ნიაღვრად მიდის. იღლიტება უდანაშაულო ხალხი, მაგრამ ეს უმანკო სისხლი, როგორც სისხლი უმანკო და მართალის აბელისა, ცადმიმართ ღაღადებს და ღმერთი სიმართლისა ანიჭებს ძალას თავგანწირულთა. ამის მოწმე ისტორიაა. . .

ხალხის გამოფხიზლებამ, მისმა სამართლიანმა მოთხოვნილებამ, იმის გულის ფირფიტისაგან გამონაცემმა სიმღერამ ძმობა—ერთობა—თავისუფლების სამეფოს დამყარებისათვის ჩვენს გმირს იუდა ღეკოვს თავს ზარი დასცა. იგრძნო აღსასრულის მოახლოვება; სულთამხუთავი თავის ულმობელი ცელით თვალთა წინაშე აღემართა. გაითვალისწინა, რომ ხალხის გულის ფიცარზე სწერიან მისნი მოკეთენი და მტერნი, მოღალატენი და სისხლის მწოველნი. ბ. ღეკოვ, როგორც მცოდნე კაცობრიობის ისტორიისა, დიდხანს დარჩა ფანჯარასთან პირდაფჩენილი, თავში აზრები აუქოთქოთდა, ერთი აზრი მეორეს გაჰყვა და ამასობაში ისე შემოაბნელდა, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერ შეამჩნია, მინამ ოთახში შემოსულმა ბიჭმა არ გამოარ-
კვია.

— დღემდის რა კარგად მიდიოდა ჩემი საქმე. რომ იტ-
ყვიან, ერბოს გუდაში ცურაობსო, სწორედ მე ვიყავი: ღვთი-
სა და ხელმწიფის წყალობა—ერთის მხრივ, მთავრობისა და
მისს ხელქვეითთა—მეორეს მხრივ, ჩემი მეგობრებისა, და
თითქმის ჩემის ერის პატივისცემა—მესამე მხრივ.. დღეს
ხალხი აღელდა, ზვირთი ზვირთს მისდევს, ქარიშხალი მატუ-
ლობს, მთელი ერი გაიმსჭვალა თავისუფლების სიყვარულითა
და იმის მოპოვებისათვის სისხლს ღვრის; მსხვერპლი მსხვერპლს
მოსდევს, მაინც შუბლ შეუჭმუხვნელად მიდის წინ და ლამის
მივიდეს იმ წმინდა ასულთან, რომელიც ღმერთს სიმართლი-
სას უკავია ხელში და რომელიც არის თავისუფლება... მე...
მე რა ვარ ეხლა? რა მქვიან? მე ხომ ყოველივე ეს ვიცო-
დი... დიახ, ვიცოდი, მაგრამ... ვღალატობდი ყველაფერს,
ყველაფერი დავთრგუნე ჩემში.... აწკი ვხედავ, ღმერთმაც და
ხელმწიფემაც მიმატოვეს. დიახ, მიმატოვეს... თუ იმათ არ
მივეტოვებინე, ხომ არც ჩემი მთავრობა და მისი მოხელე
იროდიონ ვოროტილოვი მიმატოვებდა.... არც ხალხში შე-
მაჩვენებდა... მე მოღალატე ვარ!... ხალხის გულმა ამოიძახა და
ეს ამოძახილი ტყვიასავით მომხვდა გულში. აი აქ მადგია
ლუკმასავით ის ცხელი ტყვია და მარჩობს.. ჰმ! ჩაიშალა,
ჩაიშალა, ჩემი დაწყობილებანი, პლანები ჩემის ცხოვრებისა...
ისევ ობლად ვრჩები, ტიტველ-შიშველი. მხოლოდ დამრჩე-
ნიალა განვიმეორო სიტყვანი მართალის იობისა: უფალო,
შიშველ მოველ მუცლისაგან დედისა ჩემისა და შიშველივე
მივიქცევი სამარედ... ოჰ, ღმერთო ჩემო! რას ვროტავ!...
თითქო გონება მერყეკაო.

იუდამ თავზე ორთავ ხელები მოიჭირა და ისე დაიწყო
ოთახში სიარული...

— ა-ა-ა! სანუგეშო აზრმა გამირბინა თავში... ღმერთო,
გცოდე წელან: პირი შენი არ მიგიქცევია ჩემგან; ვიცრუე,
უფალო. ვიცრუე და მაპატივე მე შეცოდება ჩემი,—იუდამ
ცალი ხელი განაპყრო და თვალები ცად აღავლინა.... ვო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როტილოვი ხომ მოუსვლელ ალაგას გადააგდეს,—წავიდეს მამა-ჩემ თადეოზთან,—ეს ერთი. იმისი წერილი უძალოა, გალესოს და თვით დალიოს წამლად.... ხალხის მსჯავრი, რომელიც მან ჩემი ფანჯრების წინ წარმოსთქვა, მე ხომ არ შემეხება; მე არ მეკუთვნის იგი სავსებით... პირდაპირ ხომ ჩემთვის არ მოუმართნიათ.... მაშ რად ჩამწვდა ასე ღრმად გულში? მაშ რად მომიწამლა სიცოცხლე, დამირღვია ამდენის წლის სიმშვიდე?.... ბრბომ რა იცის, თუ ვინ არის მისი მოღალატე? ჩემი ვინაობისა იმან რა იცის? .....ოჰ, რას ვბედავ?! ... ხალხის გული ხომ უძირო ზღვაა, იქ ბევრი რამ იმალება, რომ აქოთდება, ნაძირალი ამოაქვს და ბურთივით ისვრის აქეთ-იქით.... აქ, იქ... იმის გულის ფიცარზე ყოველივე აღბეჭდილა, ღრმად აღბეჭდილა.... მეც იქა ვარ აღბეჭდილი!!.... დიახ, დიახ! აღბეჭდილი ვარ.... „ძირს თვისი ერის მოღალატენი! ძირს მისი ენის მგლეჯელნი, ძირს მისი ვინაობის მსპობელნი“ აი, აი! კვლავ მესმის ეს სიტყვები.... ოჰ, ოჰ!... ყურები მეწვის, თვალებში გამომტეხს ეს საშინელი ხმა!.. .

დაფიქრდება დიდხანს, სახე მოელრუბლება, თმაში თითი აქვს გაყრილი და ასეა დაყდნობილი მაგიდაზე.

ნწ! არა! არა!.... წამოიძახა და საჩქაროდ დაიწყო ოთახში სიარული. ნუთუ „მეც აღბეჭდილი ვარ ხალხის გულის ფიცარზე!? ..

ეს ნუთუ რამდენჯერმე გაიმეორა ბ. ლეჭოვმა, მერე ისევ ჩაფიქრდა და თავის თავს ხელების ქნევით დიდხანს ემასლაათა.

ბ. ლეჭოვს სრულიად დაეკარგა სულის სიმშვიდე, ძვალსა და რბილში გაუჯდა ის აზრი, რომ ის დღეს გაბათილებული, თავგახეული თამასლქია, ხალხმა ანდერძი აუგო და უნდა გადმოსკუპდეს იმ სკამიდან, რომელზედაც ბიუროკრატიულმა რეჟიმმა შეასკუპა. ენანება-ენანება ეს გადმოსკუპება, გული ეთუთქება, მაგრამ ვეღარას ახერხებს. ათას სხვა აზრს აიკვიატებდა, უნდოდა გამოსდგომოდა ამ აზრებს, გართობებილიყო, მაგრამ იალბუზის მთასავით მის წინ აიტუზებოდა უზარმაზარი დაფა, რომელზედაც წითელის მელნით ეწერა:

„ძირს მოღალატე!“ ამ დროს შორს-შორს სადღაც გაისმოდა მწარე ხარხარი, რომელსაც ბანს აძლევდა ღეჭვის გულიცა და რომელიც იმეორებდა: „ძირს მოღალატეე, ძირს!“ იუდა ამ დროს ხუჭავდა თვალებს, ხელებს მაგრა იფარებდა თვალებზე, დაფის დანახვა არ უნდოდა, მაგრამ თვალწინ ალიმართებოდნენ წითელ-ყვითელი პაწია ბურთები, მიდიოდენ პროწიალ პროწიალით და კედელზედ გრძნეულის ხელით აწერდნენ: „მოღალატე, მოღალატე!....“ მერე გულ-მკერდზე იჭერდა ორთავე ხელსა, მაგრამ გული უფრო მკაფიოდ ამოჰკიოდა: „ძირს, მოღალატეე, ძირსაო!...“

ბოლოს და ბოლოს ბ. ღეჭვმა ცხადად შენიშნა, რომ ოთხივ-კუთხივ იმის კაბინეტის კედლებზე წითლად ეწერა ის საზარელი სიტყვები. დაჰკარგა თავი, დაჰკარგა მშვიდობა, დაჰკარგა ძალა სულისა. გულით უნდა იდგეს, გამოვიდეს გარედ, ხალხს გაენდოს, აღსარება უთხრას: „პაპატივე, აღარ ჩავიდენ ერისა და ქვეყნის დასაგმობ საქმესაო, მაგრამ ამისათვის აღარც ხორცი ემორჩილება და აღარც სული. ბურანში გაება. ნელ-ნელა გადიქცა ტახტზე, მაგრამ ხელს აფათურებს რაღაცას იჭერს, იშორებს.... კარგა ხანს იყო ასე მიბნედილი. პატარა შეისვენა, გულმა დაშოშმინებით დაუწყო ცემა, მაგრამ დიდხანს არ გაუვლია, რომ რეტიანივით წამოვარდა, ხელებ გაშლილი დაიწყო ოთახში სირბილი და ყვირილი.

— მეც მკლამენ!... პეტრე მოჰკლეს მოღალატეობისათვის; აპოლონს გულში ჰკრეს ტყვია; ნესტორს ყუმბარა ესროლეს.... აგერ სისხლში სცურვენ.... ვერა, ვერ მომკლავთ!....

იუდამ დაიხურა ქუდი, გადაიცვა თავისი საყვარელი წითელ სარჩულიანი პალტო და ფეთიანივით გავარდა გარედ. მირბის ბატონი ღეჭვი, მირბის ისე, რომ უკან მიხედვისა ეშინიან. ბუტბუტებს: „უნდა მომკლან!“ ამ სიტყვების გახსენებაზე ნერწყვი უშრება პირზე, ენა სასას მიეკრა, ჩაყლაპვას ლამის რაღაცისას, მაგრამ ყელი არ ემორჩილება, ამიტომ ყვინჩილასავით იძაფავს ყელს-კისერსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იარა ბ. ღეჭოვმა დიდგანს, იარა და შარა გზაზე გავიდა, თავი გააშორა ქალაქსა სადაც იმას სულ სიკვდილი ელანდებოდა.

ბუნება კი ხარობდა: ტყე მინდვრის თავისუფალნი ძენი და ასულნი — ცელქი ჩიტები ჭიკჭიკობდენ, ცელქობდენ და ჰაერში პროწიალობდენ! იქვე ხევში ნაკადული თამამად მოჩხრიალებდა კლდეებზე, წინწკლებს ვერცხლის ფრად დაეფერადებინათ ჰაერი, შიგ მზის სხივს სვეტი ჩაედგა და ეს ზე აღფრენილი წინწკლები ნაკადულისა გაეჩირაღდნებინა. სოფლის გოგო-ბიჭები გამოსულან მინდვრად, ჰკრეფენ ყვავილებსა, სწნამენ გვირგვინებსა და ჰკრამენ ყვავილთ კონებსა.

იუდა კი გარბის, არა ესმისრა. აი მიადგა იმ მშვენიერს ჩხრიალა ნაკადულსა, თავაღებული გავარდა შიგ, წყალი შეეჭყაპუნა; ცხოველ-მყოფელი წინწკლები მიეპკურა სახეზე და გამოარკვია დარეტიანებული ადამიანი. მიიხედ-მოიხედა; ალაგი ეუცხოვა, ქალაქს კარგად გამოშორებოდა. შეკრთა, თავზე მაგრად გადისვა ხელი, პირჯვარი გადიწერა, ჩაიჭირა მაგრა მუჭაში ნიკაპ-პირი და ატირდა.

კუნლის ბუჩქზე მჯდარმა ჩხიკვმა სიცილი მორთო. კაჭკაჭი წინ გაუხტა, ჩაიჭახჭახა და იმ კუდრაჭამ ბ. ღეჭოვი მუშტრის თვალით აათვალიერ-ჩაათვალიერა, სოფლის ღორმა, რომელსაც უშველებელი კვანტი ეკიდა კისერზე, მედიდურად ჩამოუარა. შესდგა, შეათვალიერა და დრუნჩით თითქო რაღაც ანიშნაო.

— სად მივდივარ, რას გავრბივარ, ნეტა ვიცოდე!..... მხოლოდ მომეჩვენა.... ჯერ პირად ხომ არავის შემოუდვია ჩემთვის მოღალატეობა!.... წინ წინ რად ვიკლავ თავსა.

— მოღალატე, მოღალატე! ჩაიცინა მასხარა ჩხიკვმა და კოდალა თავი გადიქნ-გადმოიქნია.

— მოღალატე, მოღალატე! ჩაიჭიხჭიხა კუდრაჭა კაჭკაჭმა და ცალის თვალით შეასტერდა უცნაურს ადამიანსა.

— მოღალატე, მოღალატე! ჩაიღრუტუნა კუდის პრეხით ქუცუნიამ და ღობეს დრუნჩი ჰკრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამთა მოძახილს ბანი მისცა მოლად არემარემ და ეს ეს დამოში გაისმა ერთობილი და ხმაშეწყობილი ძახილი: „მოლალატე, მოლალატე“!...

ბ. ღეჭოვს მოეჩვენა, რომ ყველაფერი ახმაურდა, ქვათაც კი ენა ამოიდგეს და ღაღადებდნენ: „მოლალატე, მოლალატეო!...

თვალები დახუჭა, თითქო რცხვენოდა ბუნებისთვის თვალი გაესწორებინა. ეშინოდა, კიდევ არავინ მომაძახოს „მოლალატეო“. იბრუნა პირი შინისაკენ; მორბის და ესმის, რომ თან მინდორ ველი, მთა და ბარი, ადამიანი თუ პირუტყვი, ფრინველი თუ ჭიაღუა მისდევენ და მისძახიან ერთსა და იმავე სიტყვას: „მოლალატევ, მოლალატევ!“...

IX.

ერთიხანია სოფელ-სოფელ და ტყე-ტყე დაიარებოდა ერთი ჩერჩეტი კაცი. თმა და წვერი გაერთიანებოდა, ბეწვი ბეწვს მისწებებოდა თებოსაგან ისე, რომ სავარცხელი კი არა, გაალმასებული ფრჩხილები და სამურველიც ვერ გაუვლიდა შიგა. თავზე ჩამოფხატული ჰქონდა ძველი შლაპა, ჟამთა ვითარებისაგან დახვრეტილ-გახეხილი; ნახვრეტებში გუნჯალ-გუნჯალი თმა იყო ამოჩრილი; შლაპაც ისე დასწებებოდა თებოიან თმასა, რომ თავს არა სცილდებოდა, თვით მძლავრი ქარიშხალიც კი ვერ აცლიდა თავიდან. ტანზე ამ ჩერჩეტს ეცვა გძელი, დაძველებული პალტო. როგორც ეტყობოდა, ეს პალტო ერთ დროს დიდ ამბავში უნდა ყოფილიყო: საყელოდ კრავის ტყავი სდებია, ამჟამად კი ერთობ გაქუცულიყო და ხელის სისქედ ედო თებო; სარჩულად ძვირფასი ღირსების წითელი სარჩული ჰქონია გამოკრული; დღეს კი ეს ადრევ დიდებული პალტო ავს ყოფაშია; ღობე-ყორესა და ტყე-ღრეებში სიარულით შემოფლეთილა და ბოლოები ფარა-ფარად ჰკიდია; პერანგის ამხანაგიც სწორედ ამავე ყოფაშია. ჩერჩეტს კანჭებზე ტალახი შეხმობია, ბეწვებზე ასორსლებია და ზედ ჩამოჰკიდებია; ფეხის გულები ისე გასქელე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბია, თითქო ნალით დაუჭედიათო. ამ ჩერჩეტს ყელზე შემოკრული ჰქონდა ჭუჭყიანი ნაჭერი, ჭუჭყისა და თებოსაგან ბაწრად ქცეული და ზედ ეკონწიალა არც თუ სისხლის ჯვარი, არც თუ ნათლობისა, ის მიაგვანდა რაღაც ნაფოტივით გატალახიანებულს ნაფლეტს ლითონისას; ეტყობოდა კი, რომ რაღაც ორდენი უნდა ყოფილიყო.

ეს უცნაური კაცი მუდამ ტყე-ღრეებში დარბოდა. სჭამდა ნადირივით ყოველივეს, რაც კი მოხვდებოდა. ეჭირა უშველებელი ჯოხი და მთელი ცისმარა დღე დასდევდა ამ ჯოხით ჩხიკვებსა და კაჭკაჭებსა; სოფლის ღორები ხომ ვერ შეეკარებოდნენ იმის საბძანებელსა. ისე ჩარჩენილი ჰქონდა გუნებაში ამ სამი პირუტყვის სახე და ხსოვნა, რომ იმათებურ ენაზედაც კი ლაპარაკობდა: ჩხიკვივით იცინოდა, კაჭკაჭივით ჭახჭახებდა და ქუცუნიასავით ღრუტუნებდა. სოფლელები ვერ არჩევდნენ, ეგონათ, სწორედ მასხარა ჩხიკვი დაგვცინისო, კუდრაჭა კაჭკაჭი რაღაცას გვახარებსო და ქვეყნის დამქცევი ღორი აი აგერ რასმეს დრუნჩს ამოჰკრავსო. ბევრჯელ გადურჩათ ეს ჩერჩეტი სოფლის მწყემს ბიჭებსა მოუკლავი. როცა ჩერჩეტი ან ჩხიკვივით იცინოდა, ან კაჭკაჭივით ჭახჭახებდა, ან ღორივით ღრუტუნებდა, ბიჭები სხარტებით მიეპარებოდნენ და აი ეს-ეს არის უნდა ესროლონ მოღერებული სხარტი და ხელში კი ჩერჩეტი შერჩებოდათ ხოლმე; ბიჭები, თუ სხვა სოფლელები ამ დროს წყევლა-ქოქვას მიაძახებდნენ და ხელცარიელი გამობრუნდებოდნენ ხოლმე.

ამ გაპირუტყვებულს ადამიანს ერთი ფრაზა ღა შერჩენოდა ადამიანური და როცა ვინმე შეეხეჩებოდა და ჰკითხავდა ვინაობას, იმ ფრაზას იმეორებდა: „ასე ჩემო მანასეო: ხან ისე და ხან ასეო“! გონებაში უფრო უკანასკნელი წინადადება ჩარჩენიყო, რომელსაც ერთობ მკაფიოდ და ლოგიკურის ამაღლ-დამაღლებით ამბობდა, თითქოს სურს ამ ფრაზაში გამოხატოს თავის ცხოვრების ისტორიაო. სოფლის გოგო-ბიჭები შემოეხვეოდნენ და რამდენჯერმე გაამეორებინებდნენ ამ ფრაზას და როდესაც ჩერჩეტი უკანასკნელს ფრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზას ხმის ამაღლებით იტყოდა, საჩვენებელს თითს ჰაერში გაიშვერდა და თან აქნევდა, გოგო-ბიჭების სიცილ-ხარხარს საზღვარი არა ჰქონდა.

ხანდაზმით ჩერჩეტი ტყიდან სოფლად ჩამოვარდებოდა ხოლმე დამფრთხალი ირემივითა. ამდროს დაერევოდა თავის უცნაურის ჯოხით შინაურს ფრინველებს, განსაკუთრებით ღორებს და სულ მუსრს ავლებდა. იმის უცნაურს სანახაობას ძაღლებიც კი დაშინებული ჰყავდა. დაინახავდნენ თუ არა, მაშინვე მორთავდნენ ყეფასა, ერთი უბნის ძაღლები მეორე უბნისას მიჰპანებდენ და მთელს სოფელში გაიბმოდა საერთო ყეფვა. ჩერჩეტს არ ეშინოდა ძაღლებისა, დატრიალდებოდა ხოლმე თავის ჯოხით, აქეთ ის იყო და იქით ძაღლები; დაუჭერდნენ კბილებით ჯოხსა, აეკონწიალებოდნენ ზედ, ჩერჩეტი ორ-სამ ძაღლს, ჯოხზე კბილებით მოკიდებულს, მიათრევდა; დანარჩენი ძაღლები წინ და უკან მიუხტოდნენ. მოიქნევდა თუ არა ჯოხსა, ან ხელს გააქნევდა, ძაღლები ერთმანერთს აწყდებოდნენ, წკმუტუნით გარბოდნენ და კვალად მიესევოდნენ. როცა ეს უკნაური, არაჩვეულებრივი ყეფვა ასტყდებოდა, ხალხი გარედ გამოიფინებოდა ხოლმე, მგელი ხომ არ ჩამოვარდა სოფელშიო, მაგრამ მგლის მაგივრად ჩერჩეტი შეხვდებოდათ ხოლმე ხელში.

პირუტყვებს ჩერჩეტისა ეშინოდათ, იმას კი ადამიანისა: დაინახავდა თუ არა რომელიმე ადამიანს, თუნდა ბავშვიც ყოფილიყო, ჩერჩეტი ძაღლივით მოიბუძგებოდა, წელში საცოდავად მოიკაკვებოდა, თავის დიდ ჯოხზე დააყრდნობდა თავსა და შიშისაგან კანკალს მოაყოლებდა. სოფელს თან ებრალებოდა, თან ეზიზღებოდა ეს მისთვის უცნაური ადამიანი.

— ნეტავი ი ოჯახ დაქცეულ მწყემსებს არ ჩამოეხსნათ ხიდან და თავი დაერჩო ბარემაკ; ეგეც მოშორდებოდა ამდენ ტანჯვა-ვაებასა და ჩვენც მაგის საცოდაობის ცქერასა, იტყოდნენ ხოლმე სოფლელნი იმის დანახვის დროსა.

— საკვირველია, ღმერთმანი! ამოდენი ხანია ამ ჩვენს თემში ჩამოვარდა ეს კაცი და მაძებარი არა ვინ გამოუჩნდა; ალბად უპატრონო ვინმე თუაო, ამბობდნენ ზოგიერთნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვაი მაგის პატრონსა! იბრალებდნენ სოფლის მანდილოსნები; ვინ იცის, ცოლშვილს გამოტირებული ჰყავს და საბრალო მაგის დედას, თუ კიდევ ცოცხალია ჩაქოლვილი, ძუძუებზე ცეცხლი უკიდია, დაეძებს, ლოცვით, ვინ იცის, ხატებს პირზე ტყავი ჩამოაფხატნა, მაგრამ იმ ჩაქოლვილს ვერ უპოვნია.

სოფელმა ბოლოს ვეღარ გაუძლო იმის წარამარა ხეტიალსა, უფრო მოთმინებიდან ძალლებმა გამოიყვანეს სოფელი. ამიტომ მამასახლისმა მისწერა ბოქაულსა:

„თქვენო მაღალკეთილშობილებავ! ჩვენს თემში ერთი უცნაური კაცი ჩამოვარდა: გიჟია, არც გიჟია; ჭკვიანია, არც ჭკვიანია; უფრო ველური კაცი, ან ჭინკას რომ მოგახსენებენ, ის უნდა იყოს. არც ნაჭამი გვინახავს, არც ნასვამი, არც მძინარე. არ ვიცით მისი ვინაობა, ან კი საიდან გავიგებთ: როცა ჩავეკითხებით რასმეს, ან ჩხიკვივით ჩაიკასკასებს, ან კაჭკაჭივით ჩაიჭახჭახებს, ან ღორივით მოჰყვება ღრუტუნსა. თუ გუნებაზეა, მაშინ ამას მღერის: „ასე ჩემო მანასეო: ხან ისე და ხან ასეო“, და თან ისეთს სამაიას ჩამოუვლის, რომ თქვენი მოწონებული. ყოვლის ფრისაგან გაგვაჩანაგა, ღორის სახსენებელი ხომ ლამის გააწყოს ჩვენს სოფელში. აბა, რა ვუყოთ! მოვკლათ, როგორ მოვკლათ; მაინც, რაც უნდა იყოს, ქრისტიანი სული უდგია გვიშველე რამე, თქვენს მზესა, ბატონო ბოქაულო! მობძანდით და იქნება თქვენის წყალობით საგიჟეთში ამოვაყოფინოთ თავი“.

X.

უქმე დღე იყო. სოფელი მოქუჩებულიყო სალაყბოზე. „ერთობის“ კაცები ძმობა, ერთობა და თანასწორობაზე ელაპარაკებოდნენ სოფლელებსა.

— ეს „ერთობამ“, ძმობას გეფიცებით, ძალიან დააშინა ქვეყანა; თითქო ყველა გადაკეთდა, გამოიცვალა, განახლდა, ყველა ფერს ღალანი გააქვს წვიმისაგან გადარეცხილ ჯეჯილსავითა. ალარც ქურდობა, ალარც ავაზაკობა, ალარც მრუშო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა და ალარც სხვა რ მე, ადამიანის ღირსების დამამკირებელი საქციელი. მთა და ბარი თუმცა ჯერ მთლიანად არ გასწორებულა, მაგრამ დიდი ხანი ალარ გაივლის, გასწორდება; რაკი ხალხში „ერთობა“ დაითესა, გათავდა, იმის ძირს ველარათი ველარ ამოაგდებენ ხალხის გულიდანა, სთქვა ერთმა „ერთობის“ კაცთაგანმა.

— სახარებაშიაც სწერია, დაიწყო მოხუცმა, რომელიც ჩიბუხს კოწიწივით მოჰკიდებოდა და გულიანად აბოლებდა, დაეცა თესლი კეთილი კეთილს ნიადაგზე და გამოსცა ნაყოფიც კეთილი. ხალხის გული კეთილი ნიადაგია, „ერთობა“ კი კეთილი თესლი. კეთილისაგან კეთილი გამოვა მა რა იქნება.

— ვაჰ, დედასა! რა იყო უწინ და რას ვხედავთ ეხლა! დაიწყო მეორე მოხუცებულმა. ანა უწინ კი არ იყვნენ „ერთობის“ კაცები თუ!! .. იყვნენ, იყვნენ! მაგრამ სად იყო ჭკუა, რომ არას ვუგონებდით; იმათთვინ რომ გაგვეგონებინა, ეხლა ბევრი სისხლის ღვრა ალარ დაგვჭირდებოდა. აი ყური დამიგდეთ: ერთხელ აი ამ ჩვენ სოფელში ორი კაცი მოვიდა; ისე მოგვინადირეს უცბად ტკბილის ლაპარაკითა, რომ ერთმანეთს გული ქაღალდივით გადვუშალეთ, თითქო დიდიხნის ნაცნობებივითა. ბოლოს ერთმა იმათგანმა უბიდან ამოაცოცა ხელთნაწერი და წაგვიკითხა ერთი ამბავი... ზღაპარიაო, ასე გვითხრეს... იქ ეწერა, როგორ აძრობენ ნელნელა ათასნაირი ხარჯებით ტყავსა გლეხობასა. აძრეს ნელნელა საწყალს ერთს გლეხს ტყავი, აძრეს თავიდან დაწყობილი ჩლიქებამდე, ბოლოს სულ ერთიანად გააძრეს; გუდა ბატონს თურმე მიუტანეს, დარჩა ცარიელი ჩონჩხი ადამიანის ნაცვლად. შეეცოდა ერთს მადლიანს ადამიანს ეს ჩონჩხად ქცეული ადამიანი, უსვა რაღაც ტკბილი მალამო, ზილა-ზილა და ახლად გაუჩნდა კანი, გაცოცხლდა ჩონჩხი, გაახილა თვალი; მოიგონა შავი დღეები; წამოდგა მდევივით და ახლა თვით გააძრო თავის მჩაგვრელებს ტყავიო და ისე გააძრო, რომ იმის ჩონჩხს სულის ჩამდგმელი ალარავინ გამოუჩნდაო. აიო, გვითხრეს იმათა, სანამ ჩვენ ხალხს ძლიერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ დააეწვის კანი, მინამ კუდამდე ტყავს არ გააძროობენ, ხმას არ ამოიღებსო. აღსდექით, ძმებო, ჩამოვყაროთ ბატონები, დავამხოთ მისი სამთავროო.—როგორ თუ თქვენ მთავროობა და ბატონი ახსენეთო; ბატონი სადღა გვყავს, ღმერთმა ადიდოს ბატონი ხემწიფეო, იმან არ ჩამოგვაცალა ბატონიო; რაებს მიედ-მოედებითო, დასჭყივლა ხალხმა და,—ჰეიი! —დავძარით, შენ ხარ ჩემი ბატონი, ის პატიოსანი კაცები და სულ კუდით ქვა ვსროლინეთ. აი ასე ვექცეოდით მაშინდელ „ერთობის“ კაცებსა. ერთხელ კიდევ ერთი „ერთობის“ კაცი მოვიდა ამ ჩვენს სოფელში... რაზე ეჭმევინებით ამ ბერძნის ბერსაო. მე საშუალებას გასწავლით, ე საბერო მამულს სულ თქვენს სახელზე შემოვყორლნინებ „ზემლამერსაო“. ხალხმა შეაგდო ქვა და შეუშვირა თავი, არ გაუგონა; გვატყუებს ვიღაც ოხერიაო, მამული ჩვენი არ არის, მა ვისიაო. ის კი არა თუ, ეხლა ამოდენა სისხლი დავღვარეთ ბერთან ბრძოლაში და რამდენიმე კაციც ციხეში ამოალპეს...

— მაინც, ზურაბო, უთხრა მოხუცს, ახალგაზდა „ერთობის“ კაცმა, რაც უნდა იყოს, იმათ, იმ ადრინდელმა „ერთობის“ მქადაგებლებმა კეთილი თესლი დასთესეს ჩვენს გულში, ის თესლი დაფარული იყო, თბილ მზიანს დღეს უცდიდა, და აი დღეს ნაყოფი გამოაღებინა ახალმა დრომ, ახალმა მქადაგებლებმა. ქვეყანაზე კარგი საქმე არ დაიკარგება...

ამ დროს სოფლის გოგო-ბიჭებმა ჟრიამული შექმნეს. უცნაური კაცი ჩამოეყვანათ ტყიდან ბოქაულთან. ყველამ იქით მიაქცია ყურადღება.

— კაცო, დაიწყო ერთმა, იქნება ეგ უბედური კაცი „ერთობისათვის“ ციხეში იჯდა და იქ შესცდა ჭკუაზე. ბევრი პატიმარი სცდება თურმე ჭკუაზეო.

— იმისთანა კაცს ასე უპატრონოდ ვინ დასტოვებდა... ალბად აქ სხვა ამბავია... საიდუმლოებით არის მოცული მაგისი საქმე!..

— სწორედ სხვა თემიდან არის ჩვენში გადმოვარდნილი, ჩაერია მესამე; ეგ „ერთობის“ კაცი არ უნდა იყოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა გქვიან შენ! ჩაეკითხა ბოქაული უცნაურს კაცსა, რომელიც თავის დიდ ჯოხს დაჰბჯენიყო და ხალხის დანახვაზე კანკალებდა... შენი სახელი, კაცო, შენი!! ჩაჰყვირა ყურში ბოქაულმა, ნიკაპში ხელი ნოჰკიდა, აუწია და კვლავ ჩაეკითხა. ნუ გეშინიან, ნუ! რად კანკალებ? მითხარი!..

— ხან ისე, უჩვენა თითით ყელზე ჩამოკიდებულ ლითონის ნატეხზე და პალტოს წითელ სარჩულზე, ხან ასე, უჩვენა დაშაშრულ ფეხებზე.

— არაფერი არ მესმის, სთქვა თავის ქნევით ბოქაულმა.

ამ დროს ბავშვებმა ტაში დაჰკრეს. უცნაურმა კაცმა გაშალა ხელები, თავის ჯოხით ჩამოუარა სამაია და თან ღიღინებდა:

— ასე ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო.

სამაია რომ გაათავა ამ გაველურებულმა კაცმა, ხალხიდან გამოერჩა ერთი ახალგაზდა, რომელსაც რუსულ ქუდზე ორეტაჟიანი კაკარდა ეკრა. ახალგაზდას ულვაშები ყალყს შეეყენებინა და ნიკაპზე ერთობ შნოიანი „ბულანჟე“ დაეყენებინა. ეს „გაბულანჟებული“ ახალგაზდა მიუახლოვდა უცნაურ ადამიანს, ჩაასტერდა სახეში, გადუწია თმა-წვერი. ჩაფიქრებული გამობრუნდა, გადიწერა პირჯვარი, თავის „ბულანჟეს“ ძალზე დაუწყო წეწვა და თავჩაკიდებული წარმოსთქვა:

— დიდება განგებასა შენსა, უფალო!

ყველამ თავი ააღირა და სმენად გადიქცნენ.

— რა იყო? იცანი? ჩაეკითხნენ აქეთ-იქითგან.

— რაღა რა იყო! ეს კაცი დიდებული კაცია, გენერალი კაცი!... მე მაგისი გაბედნიერებული ვარ!... ეგ ერთს დროს სათავეში უდგა დიად საქმესა, გვერდში უდგა იროდიონ ვოროტილოვს და ერთად შეიმუშავეს გეგმა არა-რუსთა ერების გადაგვარებისა... ერთი ხანია გამოვარდა სახლიდგან და მისი ასავალ-დასავალი დღემდე არავინ იცოდა... ეს კაცი ეუდა ოადეოზის ძე დეჭოვია.

— ჰმ! ღეჭოვი!? სთქვა გაპტყელებით ბოქაულმა.

— ააა, აის მოლალატე!? იგრიალა ხალხმა. თვით ბუნე-

ბას დაუსჯია იგი. შორს ჩვენგან შენც. ღირსეულო მოწაფევ ღეჭოვისა რომელმაც ჩვენს წინაშე გუნდრუკი უკმიე მაგასა და ვოროტილოვის საგმირო საქმეებსა

სიტყვა — „მოღალატე“ ლახვარივით დაესო იუდას გულსა, ემცნაურა ეს სიტყვა და ხალხის გრგვინვა თვალწინ წარმოუდგა. იგი ერთს წამს თითქო მოცნობილდა, გამოერკვა და პირუტყვივით დაიბღავლა.

— ჰო, მე მოღალატე ვიყავ!

კვლავ ჩვეულებრივად გაშალა ხელები, ჩამოუარა სამაია და დაიმღერა თავისი ლექსი: „ასე ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო.“

— მაშინ ისე, ახლა კი ასეო!.... დიაღ!..... ცუდი დრო დაგვიდგა; ჩვენი ბოლო ეს არის, თავის ქნევით ჩაილაპარაბოქაულმა და ბ. ღეჭოვი წაიყვანა საგიჟეთში.

ძველი გურული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთების ერთობა

ბარს შეეთვალა მთებისთვის
უცხო რამ ერთი ქართული,
მაშინ როს მთების ანდაფი
ლრმა ფიქრში იყო გართული.
რასა ფიქრობდენ, ვინ იცის,
ჰსურთ დაებრუნათ წართმული,
თუ ცაში ასასვლელადა
სურდათ გაებათ მავთული?!
ორმა გორაკამ ითავა
ამცნონ მთებს ნება ბარისა,
იმ'ათ აუწყეს ყოველი
ქვეიდან დანაბარისა.
მთების შიკრიკებს გადასცეს
ახალი მცნება დიდია,
ორბსა და არწივს წერილი
გულ-მკერდზე გადუკიდია.
ბარს შეეთვალა მთებისთვის:
„მთაო, ერთობას სცვიდია,
ჩვენ კი ერთმანეთს შორისა
გავდეთ ერთობის ხიდია;
უწყოდეთ ბედნიერ-ყოფა
ამ მოძღვრებაზე ჰკიდია;
ბარად სუსტსა და ძლიერსა
ხელი-ხელს ჩაუკიდია.
მგელი ვერ ჰბედავს მგლობასა,
ეხლა კრავივით მშვიდია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხვარი სძოვს ბალახს უშიშრად,
სწამს ვერ უმტერებს ფლიდია
და კატას—თაგვების მტერსა—
ყელზე ეჟვანი ჰკიდია,
ერთობის გზაზე ვიაროთ,
კერძოობის გზა ფინთია.“

II

შიკრიკთა ფრთები გალესეს,
გაეკრნენ მკერდსა ცისასა,
ხევები, მთები გადავლეს,
ნაპრალებს აჰყვენ კლდისასა.
ხარბადა ჰყნოსვენ ჰაერსა
ლაღსა, მალალის მთისასა.
ჯერ იალბუზსა მიჰმართეს,
წერილს მიართმენ იმასა,
როგორც მამას მთებისას
თეთრის თმა-წვერით მკობილსა,
ის თავად შეატყობინებს
ყოველსა თავის შობილსა—
მთებსა, გორაკებს, ქანჩახებს,
გარშემოს შემოწყობილსა.

III

გარიჟრაჟია. მთებს სძინავთ.
ჯერ ბზე არ ამოსულიყო:
მადლი ნაძღვნევი ღვთის-მიერ
ქვეყნად არ ჩამოსულიყო.
ყვავილებს ისევ ეძინათ,
თავები ედოთ ერთადა—
ანგელოზებსა მიწისა—
და—ძმებსა გვერდის—გვერდადა.
ჰაერის ნაკვთი ულხო რამ
თავს დატრიალებთ ღმერთადა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ვნახე ძმობა მათ შორის
უწყიკვლო როგორც ლალია,
ერთს ვერ შევნიშნე სიძულე
და შურიანი თვალია...
დაჭკნობა ყვავილებისა
ღმერთო, რა დიდი ბრალია!
მადლი სდევს იმათ მოსვლასა,
წასვლაშიც მადლი ჩაჰყვება,—
განისვენებენ მიწაში,
როს ადგებიან,—აჰყვება.
თვალით ნანახი სიწმინდე
ჰნათლავს ბოროტ ფიქრთ კრებასა,
სულს ესხურება იაზმა,
ჭირთაგან იგრძნობ შვებასა.
მუდამ ერთს ფერზე არიან
ჰგმობ თუ შეასხამ ქებასა.
და მე როს ვუმზერ, მწყურვალი
ვსვამ უკვდავების წყაროსა.
დიდია, არ აქვს საზღვარი
ჩემს ქეიფს სანეტაროსა.
უბე მევსება მადლითა,
ვცდილობ არ დამღვაროსა...

IV

დასძინებოდა დეკებსაც,
კლდის წარაფებში ყუჩობდენ.
არა სწუნობენ საწოლსა,
თვის ბინას — არა ურჩობდენ;
არ სძინავ შურთხსა, უსტვენდა
ჯიხვების კვალზე მავალი,
არ უამბნია არვისთვის
თავის თავ-გადასავალი,
მთა აღ ის მისი სამოთხე,—
დილით მზე ამომავალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სადგურები ჯიხვების, —
იმათი ჩამონავალი;
არ ჰყოფნის სასიცილოდა
სთველ-ზაფხულ გადმომავალი
გუნდები წეროებისა
შიშ-ზარიანი, მყივანი.
მომთაბარეო ბუნება,
ტანი წლოკი და მცივანი.
არ დაეძინათ ჩანჩქრებსა:
მარგალიტებად ცვიოდენ
მაღლიდან გადმომქუხარნი
ძირს ჯურღმულებში შხიოდენ.
მთათ ნებიერი—ნიავი
მოსისინებდა ჩუმადა
და კლდეებს დაჟანგებულსა
ტანზე ესმოდა დუმადა.
ვერ მოაშორა სიყვითლე
და მური მრავალ-წლოვანი
შემკობილებსა ხავსითა,
არ უნახიათ მყოვანი;
ტახტად უდგანან იალბუზს,
ზედა ზის გმირი მხცოკანი.
მუდამ ყალიონს აბოლებს
დაჩრდილულია ბოლითა.
თავს მუზარადი ადგია
გადალესილი თოვლითა.
არც იმას დასძინებია
სულა ფიქრობდა წუხელა,
წერილი ბარით მიძღვნილი
მოება როგორც წურბელა.
წერილის აზრი აწონა,
თანაც განსაზრა ყოველი,
მრავალ წლის გამოცდილებით
საბრალო წუთისოფელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბანილს პირსა იწმენდდა
თეთრის, წიმარო ნისლითა.
არა სცხრებოდა გონება,
თან ბარში იყო ფიქრითა.
პირ-დაბანილმა უფროსმა
დასცქირა მთების ლაშქარსა,
უამს რომ ჰხედავს დინჯადა
დაჯარებულსა ამქარსა.
მარცხნივ გაჰსცქერდა, მარჯვნიდან
ესმა სალამი, თავაზა—
ჰხედავს წინ აჰყუდებიან
მყინვარ, ბორბალა, სპეროზა *)
ყველა აბჯარში ჩამჯდარი,
პირებიც მოელამაზა.
სალამზე იხდის ბოდიშსა,
პირი არც ამან დარაზა.
ეს უკვირს მხოლოდ იალბუზს
სცოცხლობს რამდენი ხანია,
არ მოსწრებია ჯერ ამას
კარს მოსდგომოდენ ძმანია.
სხვა მთებიც იდგნენ ტატნადა,
ვით ბატონის წინ ყმანია;
ეტყობათ არ ასვენებდათ
იმათაც გულის თქმანია.
გახიდულ-გამოხიდული
სივრცეს სჭრის იმათ ტანია,
უბძიმს, თუმც არ ეაძინება
მიწას გმირების ჯანია...
სახე ზოგისა საზარო
რაღაცას მოუჯღანია --
ვაჟკაცსა ჰშვენის მუდამა
წყლული სახეზე ჩნეული,

*) მთებია კავკასიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა მკლევდება ჭრილობით,
ხაზებით, მთების სხეული.
უკვირს იალბუზს მთათ მოსვლა,
სდუმს, ვერა უთქვამს ჯეროობით;
ელჩებმა თავად დაიწყეს
პირ და პირ, არა ფეროობით:
„ნუ გიკვირს, ჩვენო უფროსო,
ჩვენი აქ მოსვლა უცები.
საქმეა საყურადღებო,
ფიქრი ფიქრს მინატკუცები.
ხმა ერთობისა შაგვესმა
გამოგზავნილი ბარითა,
ბალახნი, ტყე და ლოდები—
იმსჭვალვის ამა მჭვალითა—
ქორნი, არწივნი, ყორნები,
ნეტავ გაჩვენა თვალითა—
ისინიც ერთობისათვის
თითქმის არიან ძალითა.
ჰაერიც ამას გასძახის
ვარსკვლავებ ნიავ-ქარითა.
მგლებიც ერთობას ღმუიან
ნებსითად, თავის ჯარითა.
მთელის ბუნების ღ ლადმა
ჩვენც ჩაგვაფიქრა ყველანი.
რად გავხდეთ თით-სალირებნი,
საგმობნი, გასაქელავნი.
რად დავრჩეთ სხვებზე უკანა
აზრით, შვენებით ქებულნი!
როგორლაც გვეჩოთირება
რომ ვიყვნეთ გამოკლებულნი;
შეგვშვენის დედა-მიწაზე
ვეყუდნეთ ჩირქ მოცხებულნი??!.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი ა ლ ბ უ ზ ი

კარგია, დარბაისელნო,
თქვენი რჩევა და თათბირი -
მეც წავიკითხე წერილში
რასაც მოსთქვამს ბარის საყვირი.
ბევრი ავიღე დავიღე,
ფიქრი ამეძრა სამ პირი:
ეხლავე გეტყვით იმასაც
რას, რაზე ვფიქრობ, როგორა, —
რას ნიშნავს წითელი კვერცხი,
ვინაც ჩვენ შემოგვიგორა.
ეგ კაცთა მოგონილია
თავის ცხოვრების წამლადა
ბევრია საწყლობაშია
გადაქცეული ნაცრადა—
სხვა ფუფუნებას განიცდის
ტანჯვა-ვაების ნაცვლადა.
კიდეც ეს გარემოება
ჰბადებს შურსა და მტრობასა—
ერთი მგელია კაცთ შორის
მეორე უწევს ცხვრობასა.
ეხლა თქვენ გკითხავთ, მითხარით
მგელი მოიშლის მგლობასა?
მე აქით თვალსა ვადევნებ
კაცთა ვნებათა ღლვასა—
ისე ვცნობ კაცის ბუნებას,
როგორაც ღრუბელთ ელვასა.

მ ყ ი ნ ვ ა რ ი

ეგ მართალია, ბატონო,
ვიდრემდის ცხვარი ცხვარია...
ან უნდა მგელი მოისპოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ან ცხვარი გააცალია.
ერთად იმათი ცხოვრება
მეტად შეუძლო არია,
ან ძაღლი უნდა რამდენიც
ფარაში თხა და ცხვარია.

ი ა ლ ბ უ ზ ი

მე ისიც ბევრჯელა ვნახე —
რომ კრავსა სცემდეს კრავია.
ცხვარს მტრადა მგელი არა ჰყავს,
ბევრჯელ თავისი თავია.
მაშასადამე ბუნებაც
თავად ცხვრებისაც ავია...
საფიქრებელიც ესაა
პირველი საკითხავია.
სპეროზავ, შენაც წარმოსთქვი
ჯამათის გასარკვევადა. —

ს პ ე რ ო ზ ა

რამდენი ჯიხვი ჯიხვისგან
ნაცემი ჩადგა ხევადა,
გადაგდებული კლდეზედა,
გულს დამსობია ეკლადა.
„მართალი არის, მართალი!“
ბორბალამა სთქვა ხელადა...
მან როდი დაიგვიანა
კვერისა დასაკვრელადა...

ი ა ლ ბ უ ზ ი

ჰო და განვაგრძოთ თათბირი,
უფალი გვყვანდეს მცველადა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიალ, ბუნება კაცების
არის სხვა და სხვა ჯურისა,
როგორც ცხოვრების პირობა
ერთი-მეორეს უდრისა;
ვნებათა ღელვაც დიდია
ხომ უწყით კაცთა შორისა —
ეს არის ამრევ-დამრევი
უსწოროსი და სწორისა.
იქ ბოსტანს რა ახვირებს
საცა დინგი სთხრის ღორისა.
ამიტომ ადამიანნი
ბოსტნებს ავლებენ ღობესა
და ნათესიან ადგილებს
გააშორებენ ღორებსა.
რომელიც ანგრევს სიმაგრეს,
იმასა სცემენ ტორებსა.
ადამიანნი თავის თავს
დღესა, ხვალე თუ გვიანა
მოუძებნიან წამალსა,
რამაც კი დააზიანა —
კაცთა საერთო ცხოვრება
მათი ძმობა და ერთობა.
ჩვენზე ვსთქვათ რამე, კაცებზე
ეს საუბარიც გვეყოფა.

მყინვარი ბორბალა და **სპეროზა** (ერთად).

ვისაც-კი ფეხი დაუდგამ
ჩვენს ქედზე ერთხელ, ოდესა
ჩასული ბარად დღე და ღამ
უნდა ამაზე ჰბჭობდესა:
ყველას გული და გონება —
ჩვენსკენ მუდამ-ჟამს რბოდესა...
ჩვენი სახელი დიდება
ჩვენვე გავთელოთ ფეხითა?...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვით განვაცხადოთ უარი,
უნდა მოვიქცეთ ხერხითა.
გამდგარნი მოღალატენი
მთებო, რას დაიკვეხითა!...

ვაჟა ფშაველა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხოვრება და ხელოვნება

ქართულის ენის დაცემა.

I

ხშირად ჩვენს მწერლობაში გაისმის ხმა ჩვენის სალიტერატურო ენის გარყვნისა და წახდენის შესახებ. მრავალი სასოწარკვეთილებით აღსავსე წერალებიც კი დაისტამბა ხოლმე. საჭიროა განვიხილოთ რამდენად სამართლიანია ეს ჩივილი და ყველრება ჩვენის დღეინდელის სალიტერატურო ენის მიმართ.

ჩვენ ხშირად გვითქვამს და ვიმეორებთ, რომ ამ საუკუნის ჩვენი ენა სრულიად სხვა გავლენის ქვეშ იმყოფებოდა და ამიტომ ყოვლად შეუძლებელი იყო ამ ენას ფერი არ ეცვალა. ძველ გავლენას ბიზანტიურ სპარსულ-არაბული ძალა ეკარგებოდა, ახალი კი ჯერ ვერ მკვიდრდებოდა და ენაც რყევაშია დღეინდელ დღემდის. ჩვენი ენის მამამთავრები ერთის მხრით ძველ კულტურას ეჭიდებიან ხელით და მეორეს მხრით ახალი ძალა უნებურად თავისაკენ იზიდავს მათ. მაგრამ ჯერ ჯერობით ენა გარკვეულ გზას ვერ დასდგომია, ვერ შეუმუშავებია ახალი სახე, ახალ გავლენათა ქვეშე შექმნილი და თითქმის უფერულადა სჩანს, ამიტომაც გვეჩვენება თითქოს ენა დაცემისა და გადაგვარების გზას დასდგომოდეს.

ენის სტილისა, კილოს და მიმართულების შექმნისა, დაცვისა და განვითარებისათვის მიუცილებელია სკოლა, სადაც ლიტერატურის სამაგალითო ნიმუშებს სწავლობენ და ამ სამაგალითო ნიმუშებზედ აღიზრდებიან ხოლმე. ჩვენში ამ საუ-

კუნეში ეგრეთი სკოლა, გაბწვრთნელი და აღმზრდელი ახალ-თაობისა, მწერლობისა არა ყოფილა და ამიტომაც ენის შესწავლა მოხდებოდა ხოლმე ოჯახებში. რასაკვირველია ოჯახს შეუძლია ხანდისხან სკოლაზედ უკეთესი ადგილიც დაიჭიროს ახალთაობის აღზრდაში, მაგრამ ამისათვის იმისთანა პირობებია საჭირო, რომელთა აღსრულება ქართულ ოჯახს არ შეუძლია. ჩვენში ერთი ორი თუ მოიპოვებოდა ისეთი ოჯახი, სადაც ქართულ ლიტერატურის შესწავლა მიუცილებელ საჭიროებად იყო მიჩნეული. და ასეთმა ოჯახებმა კიდევაც დიდად ხელი შეუწყვეს საუკეთესო ჩვენს მწერლებს. დღეს დღეობით ამგვარი ოჯახი ჩვენში სამთლით რომ ეძებო ვერ მოიპოვით. მართალია ეხლა ბევრს ნახავთ ჩვენში ისეთს ოჯახს, სადაც ქართულის ენისა და მწიგნობრობის შესწავლის სურვილი დიდია, მაგრამ მოხერხება კი სრულიად ცოტა. ხოლო ჩვენი მდგომარეობა ისეთია: საერო ნიადაგზედ აღგებულის სკოლის უქონლობის გამო მეტად დიდი ძალა და ღონეა საჭირო, რომ ოჯახმა გაუწიოს ახალთაობას სკოლის მაგიერობა.

ჩვენის ენის დაქვეითების ნიშნებად ისიც მიაჩნიათ, რომ ენაში ეცხო სიტყვები შემოგვეპარა და უცხო გავლენის მიზეზით ენის კონსტრუქცია ძირითადად შეიცვალა. ეს ნამდვილია, მაგრამ ესეც იმის მიზეზია, რომ ჩვენში აზრი განვითარდა და სრულიად ახალის საგნების გამორკვევა დაგვჭირდა ამით მე ის კი არ მინდა ვსთქვა, რომ კაცობრიობას საუკუნო კითხვების გარდაწყვეტაში რაიმე უფრო ახალი და უფრო ძლიერი შეექმნას, რაც ძველთა ფილოსოფიას არ შეუქმნია, მაგრამ ჩვენის საუკუნის ერთი დიდი თვისება ის არის, რომ ის ცოდნა და ის აზრები, რომელიც უწინ მარტო ორიოდე რჩეულის ხვედრი იყო, დღეს კაცობრიობის დიდ ნაწილს აქვს შეგნებული. ფილოსოფიურ, ესტეტიურ და მორალურს მოძღვრებასა და აზრს დღეს მრავალი მოწაფეები ჰყავს, მრავალი ჰყავს გულითა და სულით მონდომებული მისი შეგნებისა და შემეცნებისა. ის, რის შესახებაც უწინ ერთი ორი თუ ბაასობდა და სწერდა, დღეს თი-

თქმის ყოველი მწერლის საინტერესო საგნად შეიქმნა. ამის გამო ენაც შეიცვალა; ენა სცდილობს ეს აზრები უფრო გასაგების ფორმით გამოსთქვას. მწერალსა სურს ყოველ დღიურ საბაასო საგნად გაჰხადოს ის, რასაც უწინ იშვიათად თუ ალსძრავდნენ და ენაც უფრო მდაბიური შეიქმნა და ძალა უნებურად უნდა შეიქმნეს. აგრეთვე არის ისეთი სიტყვები დღეს ევროპიულ ლიტერატურაში, რომლის გადმოთარგმნა ყოვლად შეუძლებელია და რომლის თარგმანი, რაც უნდა კარგი იყოს ვერ გამოჰხატავს სავსებით მას, რასაც თვით ორიგინალური სიტყვა ჰხატავს — მაგ. პესსიმიზმი, ოპტიმიზმი, რეალიზმი, იდეალიზმი, სიმბოლიზმი, ნატურალიზმი, რომანტიზმი, ინდივიდუალიზმი, სოციალიზმი და სხვ. ან კი რა ნახეს გასაკვირვალი იმაში, რომ უცხოელ სიტყვებს ვხმარობთ და მასაც განყენებულის საგნების გამოსახატველად, მაშინ როდესაც ჩვენი მწერლობა ძალიან ხშირად ცხოვრების თვით უმთავრესი მხარეებისა და გრძნობების გამოსახატავად ხმარულობდა უცხოელ (თუ არ ლათინურსა და ფრანგულს, სპარსულსა და არაბულ) სიტყვებს. (მაგ. — მიჯნური, ტურფა, სუბუქი, სუმბული, სუფთა, სუსტი და სხვ.) და ეს სრულიადაც არ ამცირებს ჩვენს ენას. ფრანგული ენა ლათინური ენაა უმთავრესად, ინგლისური კი ფრანგულისა და გერმანულისაგან შესდგება, მაგრამ არცერთ ენას ამით არა დაშავებია რა.

მართლაც რომ გადაათვალიერეს კაცმა ენა ჩვენის ძველებისა და ახლებისა ნუთუ მაინცა და მაინც ძველი ახალს ემჯობინება? გაგვირკვევია ეს საგანი ჩვენ და ვსცდილვართ შაგალითებზედ მიგვეთითებინა? როდესაც ენის კილოს ადარებ ერთის ხანისას მეორეს, ჩვენის აზრით, უმთავრესად ის უნდა იყოს მიღებული მხედველობაში, თუ დაცულია გრამატიული და სტილისტიური არსებითი კანონები ენისა და გარდა ამისა თუ ნათლად გამომხატველია ამა თუ იმ აზრისა. რასაკვირველია აქ არ შეიძლება მივიღოთ მხედველობაში ის, როგორა აქვს გამოხატული მწერალს ესა თუ ის აზრი, გინდ გრძნობა. მხატვრობითი ნიჭი ერთის მწერლისა შესაძლოა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბევრად უფრო მაღლა იდგეს მეორე მწერლის აგრეთვე ნიჭზედ, მაგრამ ენით კი ვერა სჯობდეს. რამდენადაც უფრო ძლიერია პოეტის წარმოდგინებითი ძალა, მისი ფანტაზია, იმდენად უფრო მდიდარია მისი სურათების საუნჯე, იმდენად უფრო მოხდენილსა და ლამაზს სურათებს ხმარობს აზრის გამოსახატავად, მაგრამ თანაც ენით შესაძლოა ბევრად უფრო დაბლად იდგეს სხვებზედ. ამის მაგალითი მე მგონია ყველას ადვილად შეუძლია გაიხსენოს. ალ. ყაზიბეგზედ უარესად ჩვენში ენის გარეგანის მხრით, ძვირად რომელიმე მწერალი სწერდა, სამაგიეროთ მისი პოეტური ძალა, მისი სურათების სიმდიდრე აზრის და გრძნობის გამოსახატავად თითქმის შეუდარებელია ჩვენს მწერლობაში. გადამიშლია შემთხვევითა ყაზიბეგის თხზულებათა კრებული. ბედზედ ერთი საუკეთესო მისი ნაწარმოებთაგანი შემხვდა „ელისო“ (ტ. I.) წაიკითხეთ ეს ადგილი:

„აქამდის კიდევ აქა იქ მოისმოდა თითო ოროდა სიტყვა, ეხლა ისიც შესწყდა და ჩამოვარდა სრული სიჩუმე... ამ საიდუმლოებით სავსე სიჩუმეში, რომელიც მკვდართ სამეფოზედან მოგაგონებდათ, ერთბაშად გამოისმა ჭიანურის წყნარი ხმა და მას მოჰყვა წყნარივე ზუზუნი. მაგრამ, ღმერთო ჩემო! რა ხმა იყო ის? მე არ შემიძლიან გადმოგცეთ. აშკარად სჩანდა, რომ ეს ხმა სწყდებოდა გულის სიძირკვლიდგან, რომელიც ენთებოდა, სდუდდა, სწვავდა მოქმელს და გამგონს!... ოფანტებოდა შორს, შორს მინდორზედ, სადაც მსუბუქს ნიავს მიჰქონდა ფოფელ ხესთან, ფოფელ ბუჩქთან, ფოფელ ბალახთან და რა მიეკარებოდა, თითქოს იქამდის ძლიერად აგრძნობინებდა თავის ძალას, რომ მთლად აათრთოლებდა. ჩქარა ზუზუნი ერთის კაცისა გადაიქცა საერთო ზუზუნად, რადგანაც იმას ხმა მისცეს სხვებმა, და მთელი ეს ადგილი მოიფინა მტანჯველ-სევდიან ბოდვებით და გმინვით. ეს ხმა უსიტყვოდ ადმოამხდარი იმათ პირთაგან, ისეთ წარმოუოქმელი სატანჯველს გამოსთქვამდა, რომ სიტყვებზედ ერთი ათად მეტს გაგრძნობინებდათ, შეტად გიგსებდათ სევდით და ნაღვლით გულს, ნება-უნებლივ თანაგაგრძნობინებდათ იმათ უბედურებისათვის. თქვენს გტანჯავდათ, გაწუხებდათ ეს ხმა, მაგრამ უური ვერ მოგეშორებინათ. ეს იყო უკანასკნელი გამოსალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მება სულთ მობრძავის შვილისა, რომელიც სამუდამოდ ეთხოვებოდა თავის საუვარელს მშობელს, რომელთან ალერსს უსმობს შეუბრალებელი და შეუწყნარებელი უსამართლო ძალა! ეს იყო გოდება სანატრელთან დაშორებულისა, რომელიც ჰგრძნობდა, რომ უიმისოდ, ვეღარ იხარებს, ვეღარ იცოცხლებს!

წააკითხეთ ყაზიბეგის ნაწერების ნიმუში ზოგიერთ ჩვენ ენის დაცემის ამღვიარებელს და მე მგონია სტილისა და გრამატიკისათვის არ დააჯილდოვოს მწერალი, მაგრამ აბა დააწერიეთ რომელსაც გინდათ საუკეთესო მცოდნეს ქართულის ენისას თუ კი ყაზიბეგის ნიჭი არა აქვს ყაზიბეგის მსგავსი ხელოვნური სურათები, თვით ის სურათებიც რომ გადათარგმნოს თავისის მშვენიერის სწორის ენით, შეიძლება მაშვინაც კი დაჰკარგოს ამ სურათმა თავისი მოძხიბვლელობა, გრძნობათა აღმძვრელი თავისი ძალა. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ ეჭვი არ არის ვეფხვის ტყაოსანსა და ვისრამიანში ბევრს ნახავთ ისეთს ადგილებს, რომელთა მხატვრულ ძლიერებას ჩვენი დღეინდელი ლიტერატურის ნიმუშები ვერ შეედრება, მაგრამ ენა, როგორც გამომთქმელი აზრისა და გამომხატველი სურათისა, ენა როგორც სწორი მეტყველება გრამატიკისა და სტილის მხრით იქნებ კი ვერ ემჯობინოს დღეინდელ მწერლობას.

მივმართოთ ზოგიერთს მაგალითებს.

ამოღია სამაგალითოდ „ვისრამიანი", საუკეთესო პროზა მეთორმეტე საუკუნისა. მეთორმეტე საუკუნე ჩვენის ლიტერატურისათვის კლასიკური საუკუნე იყო, როდესაც ჩვენი ენა განვითარების თითქმის უმაღლეს საფერხურამდის მივიდა. ამ დროის სამაგალითო ნიმუში ჩვენის ლიტერატურულის ენისათვის ქვა კუთხედი უნდა იყვეს და შესადარებელი საგანი. იმის მიხედვით უნდა დავაფასოთ ჩვენი დღეინდელი სალიტერატურო ქმნილება, თუ რამდენად იგი უახლოვდება იმ დროის უკვდავ ნაწარმოებთ—ამოვიღოთ ჩვენის აზრით ერთი საუკეთესო ადგილი. დააკვირდით ამ სამაგალითო აღწერას ომისას:

„ორთავე დაშქართა ერთმანეთსა შეუტევს, თუ სთქუა, ორნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთანი ბასრისანი ერთმანეთისა შეეტაკნეს. მათ შუა მოციქულად ქორწილისა ისრები ირწივისა, ფერთოსანი, ბირბასრნი მიდიოდეს და მოდიოდეს; ავზომ სიუარელნი მოციქულნი იუენიან, რომელ გულსა შიგან დაესობდიან და თუალთა ზედან, სხუა ადგილი არ მოუწონებოდა, და რომელსაცა სახლსა შიგან მისთანა მოციქული მივიდოდის, მის სახლისა ბატრონსა და მასპინძელსა კიდე წაიუანდის. ასრე გაძნელდა ომი, რომელ სიუკუნო თუალად ნახეს ცხადად. ძმა ძმისაგან აბეზარ იქმნა და მას ჟამსა თავისა მკლავისაგან ქიდე მწე და მეშველი არავინ იუო. ვისცა მკლავი ძლიერი ჰქანდა, მოიკმარა კრმალი თავისა წადილისაებრ. მეომარნი უენოთა ჰგუანდეს ომისა ქარისა და ბუკისა კმისაგან. სხუა არა ისმოდა. ზოგჯერ ჯაჭუსა შიგან კრმალი შეეიდეს ვითა წუალი, ზოგსა თუალთა შიგან ისარი შეეპარის ვითა ძილი, ზოგსა გულსა შიგან შუბი შეეპარის ვითა სიუარული; ზოგსა თავსა ზეთი შეეიდის, ტვინი, თუ სთქუა, მხიარულმან იცოდა, თუ ღმერთმან სული კაცისა ტანსა შიგან სადა დაუმკუიდრა; მასმე კულსა მახვილი შეეიდის და მის კულისაგანვე სული გამოეიდის. ერგებელსა ჰგუანდა ლურჯსა ბასრის კრმალი, მაგრა წუიმდა და ლუარი მისი წითელი იუეის. ომსა შიგან ისარი მკერვალსა ჰგვანდა, მკერვალისებრ შეაკერის ხორცი უნაგირსა. (გვ. 29, 30)

მშვენიერი და დიდებული სურათია, მხატვრული ლირსება მისი დაუფასებელია, მაგრამ თუ განსაკუთრებით ენის გარეგან მხარეს მივიღებთ მხედველობაში, არა მგონია დღეინდელი კლასსიკურ მწერლის (ენის მხრით) პროზა უფრო დაბლა დააყენოთ:

ბევრჯელ მინახავს ირემი დამფრთხალი ძაღლისაგან, ბევრჯელ მინახავს და ბევრჯელ გაუტაცნია ჩემი გონება იმისს ლაღს სილამაზეს. გადუწევია ზურგზედ თავისი შტოიანი რქები, მორბის გამალებული, ლამაზი და ამაუი, უკან მოჰქუეფს ნაგეში ძაღლი. ძაღლს მიურბის საწყალი და ზედ-კი შეეხეჩება ხოლმე კაცსა, რომელიც ამ შემთხვევაში ძაღლზედ უფრო შეეებრალებელია და დაუნდობელი. შორიდამვე ესმის ირმის ფეხის-ცემა უურ-მახვილს მოსადირეს; ესმის და იმისი მოსისხლე გული ელდება და ელდება მეტის მოუთმენლობის გამო. აა, მოვიდა თოფის მანძილზედ, ფოთლებ და ბუჩქებ შეა გამოჩნდა მისი დალონებული, ნაღვლიანი თავი. ძაღლი დაუხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოვდა. იშვირა თვალი ირემმა და ისარიგით გადმოვიდა ბუჩქნარზედ. გგონია აგიქცევს გზასა და მიეცემა სუფარელის ტეის განსაცდელით სავსე თავისუფლებას, მაგრამ არა! დაუშტვენ და მაშინ უნდა ნახოთ, რა მწუხარებით შედგება, რა რიგ სოცარ მშვენიერებით მოიდერებს კისერს, რა გაფეთებითა და იმედ-გადაწყვეტილად დაიწყებს ნადვლიანის თვალების ტრიალს, ეურების ცქვეტას, გაგანიერებულის ნესტოებით სუნის ალებას! ისეთი ლამაზია, ისეთი ნაზია და ამ სინაზესთან ისეთი მიმზიდველი ამაყია, რომ, გგონია, რაც ბუნებისაგან მინიჭებული მადლი აქვსო, სულ ეხლა შემოიკრიფა, რომ სიკეთითა და თავისი სილამაზით მაინც შეაბრალოს თავი დამალულს მტერსო! მაგრამ კაცი მაგისთანა გულ ჩვილი არ არის, რომ მაგით მოტუუვდეს, რაკი იუნახა, კაცის სული აიღო, ირემმა დაანახა გაქცევა, მაგრამ თოფმა იგრიალა და ირემი, აქმადის ცოცხალი, თავისუფალი და ლაღი, გაირთხა ამ ბალახებზედ, რომელის კალთაშიაც ბირველად ანახილა თვალი, რომ მიესალმოს ქვეყანასა და ბოლოს უკანასკნელად დახუჭა, რომ სამუდამოდ გამოესალმოს; ის ბალახები იყო ამის აკვნად და ბოლოს საფლავადაც გადაექცა. უნდა ნახოთ ის ამაყი, თავისუფალი ნადირი რა რიგად უღრტვინველად და მშვიდად კვდება... მაგრამ მე ეოველთვის მის ცრემლ მორეულ თვალებში ეს აღმომიკითხავს: „ჩემო მკვლელო! ქვეყანა დვთისა დიდია და ფართო... რად შეგშურდა, რომ მეც, უბოროტოსა და მშვიდს, ამ დვთის მიუწდომელ ქვეყანაში ერთი მტკვალი ადგილი მეჭირა?

„გლახის ნაამბობიდან". ეს პროზა თ. ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის და მე აღარა მაქვს რა სათქმელი, თვით წამკითხველი გაიგებს მის ყოველ მხრივ მშვენიერებას, ეს კი უნდა დავსძინო, რომ ჩვენს ერთად ერთ ქრესტომატიაში „ბუნების კარშია" შეტანილი და ჰგავს სამაგალითო ნიმუშად უკვე მიჩნეულია.

ავიღოთ ეხლა მეთორმეტე საუკუნის პოეზია. ავიღოთ იმავე „ბუნების კარიდან" რამდენიმე ლექსი რუსთაველისა, სადაც ავთანდილია დასურათებული:

ავთანდილ იყო სპასპეტი, ძე ამირ-სპასალარისა,
სარფსა მჯობი ნაზარდი, მსგავსი მზისა და მთვარისა,
ჯერ უწვერული, სალარო, ბრიდ-მინა სანთბარისა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას თინათინის შვენება ჭკლეგდის, წამწამთა ჯარისა.

. . . . . .

თავსა ჭზის ბინ-მზე ავთანდილ, მწვრეტთაგან მოსანდომია,
სპათა სპასპეტი ჩაუქი, ვითა ვეფხვი და ლომია;
ვეზირი, ბერი სოგრატი, თვით მასთანავე მჯდომია.
სთქვეს თუ: „რა უმძიმს მეფესა, ანუ რად ფერი ჭკრთომია.

ახლა შევადაროთ ამას ჩვენი ეხლანდელი პოეზია, მივმართოთ ილია ჭავჭავაძეს და ამოვსწეროთ განდეგილის დასურათება.

არ იყო ხნიერ, მაგრამ ვით წმინდანს
სულის სიმაღლე ზედ დასჩნეოდა,
ზედ ეტყობოდა, რომ სული მისი
სულ სხვა მსოფლიოს შეჭვიზნებოდა.
სახე გამხდარი, კუშტი და მწყრალი
სიწმიდის მადლით დაჭშვენებოდა,
და მადლს შუბლსა, ნოგლად შეკრულს,
შარავანდედი გადაჭფენოდა.
მისთა მტერნად თვალთა დრმა მეტუკელება
ესოდენ იყო წუნარი და ტკბილი,
თითქო მათშიგან ჩასახებულა
თვით სათნოება კდეგმით მოსილი“.

არც ისა მგონია, რომ რუსთველს, რომ ეს ლექსი წაეკითხა სტილს დაუწუნებდა და ან ქართულის ენის უცოდნელობას შესწამებდა მის ავტორს.

მე XVIII საუკუნე ითვლება თითქმის მეორე განახლების ხანად ჩვენს ლიტერატურისათვის და ეხლა იმისი პროზის და პოეზიის ნიმუშები შევადაროთ დღეინდელს. მე მგონი ყოველი ქართულის ენის მცოდნე დამეთანხმება, რომ დღეინდელი ჩვენის ლიტერატურის ენა ბევრით მაღლა სდგას იმ საუკუნის ლიტერატურის ენასა და სტილზედ. პროზის სამაგალითოდ ავიღოთ „ქილიდა და დამანა“ ვახტანგ მეფის თარგმნილი, რომელსაც თარგმნაში შველიდა იმ დროის დიდებული მწერალი სულხან-საბა ორბელიანი, ავიღოთ შესავალი: „სრული სიბრძნე ამისად შემსგავსებულად საფუძველად და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უც, და ყოველთა წიგნებთა შინა მთქმელისაა სახელი დიდად უსახელოვნებია სიბრძნეთა იგავთა შეწყობათა მიერ სწავლისა აღმატებათა. ქილილას და მანას წიგნია ინდოელთა რიტორთაგან სასურველად გარდახალისებული. ბრძენთა და მეცნიერთა ფილოსოფოსთა ამისნი შეკრების რიგები მრავალი ერთ-რიგად სახენი შეუწყვიათ სასიბრძნო სწავლა—სამხიარულოდ, და საცრუვო არაკები ერთმანერთში აურევიათ. სიტყვით მაგალითნი მრავალთ ბუნებათა საწადელად საცდურის კალთათა გამოუხვევია: ნადირთა, მხეცთა, თევზთა და მფრინველთა ენათა მაგიერნი არაკნი და სიბრძნისა გზები მოუყვანიათ. ამა მეცნიერებისა სარიგებელთა რიგები ფერადფერადად. სიბრძნე და სწავლანი სვე ბედნიერობით გამოუჩენიათ.“ არა მგონია თვით ბ. პ. მირიანაშვილმა, ჩვენის ძველის მწერლობის დაუცხრომელმა ტრფიალმა, ამჯობინოს ეს პროზა შემდეგს განმარტებას არაკისას, რომელიც თ. ილია ჭავჭავაძის კალამს ეკუთვნის (იხ. „ივერია“ 1896 წლ. № 20 „ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე სიცრუე“).

„საბა ორბელიანმა რომ თავისი ზღაპრები დასწერა, სიბრძნე სიცრუის წიგნი დაარქვა. მე ხშირად ჩავფიქრებივარ ამ უცნაურს სახელს წიგნისას, მართლაც სადაც სიბრძნეა, იქ სიცრუეს რა ხელი აქვს? სიბრძნესთან სიცრუე რა მოსატანია? რა სიტყვის მასალაა? რა უგავთ ერთმანეთსა? საბა ორბელიანი—ეს ბრძენი, დარბაისელი კაცი, რად იკადრებდა სიბრძნეში გაერია სიცრუე ახ რა საზარბიელო საბელია სიცრუე?

„მე ვფიქრობ, რომ საბა ორბელიანს ამის თქმა უნდოდა: მე ზღაპარს გეუბნები და სიბრძნეს კი გამცნებო. ზღაპარი მოგონილი ამბავია, არა მართალი, მაშასადამე, სიცრუეა. ამ მხრით წიგნი საბა ორბელიანისა სიცრუეა, ის სიცრუე კი არა, რომელიც სწამლავს და შხამავს ადამიანს და სიცრუის მოქმედს უფრო სთხრის და აუწმინდურებს, ვიდრე სხვას. ის სიცრუე კი არა, რომელსაც აუდია ურცხვად თავი და ქურდულად იკბინება გესლიან მფრიელსავით და რომელიც ასე საზიზღარია და სამართლიანად დევნული ყოველ პატიოსან კაცისაგან....

„საბა ორბელიანის სიცრუე— ეჰ, რა ცუდი სიტყვა! სეტყვი ეს

ეროვნული

ს�ი სიტყვა ერთმანეთზე გადასაბმელი არ იყოს!... სიბა ორბელიანის სიტრფე მეოქი სულ სხვაა. სიბა ორბელიანის სიტრფე ზღაპარია, არაკია. იგავი, არაკი, ზღაპარი იმისთანა სახეა, კანი აზრისა, რომელიც საჯაგო და საზნეო ჯეშმარიტებას ზედმიწევნით გვიხატავს ხორცშესხმულად, ჯაგას გვასწავლის, გვარიგებს, ზნეს გვიწერთნის, ავსა და კარგს გვახიშნებს ერთმანეთში გასარჩევად. თუ სიბა ორბელიანისებური ზღაპარი, არაკი ამას არა სჩადის, განზრახვად, საგნად კი სწორედ ეს ენდა ჰქონდეს, თორემ ზღაპარი, არაკი, იგავი თავისს მიზეზს არსებობისას მოკლებულ იქნება. ამ მხრით ზღაპარი, არაკი, იგავი სიბრძნეც არის და სიტრფეც. სიტრფე თვითონ ამბავია, სიბრძნე—შიგ ჩასახული აზრია, ერთიც, მეორეც და მესამეც ხელოვნური ხორცთ სხმაა საჯაგო, საზნეო სწავლა-შთაგონებისა, განსახოვნებაა აზრისა, ისეთი განსახოვნება, რომელიც მარტო შემოქმედობითი ნიჭის საიდუმლოებას შეადგენს.

„ჩვენი ზღაპარი კი ტუეიდად არ იწყება „იყო და არა იყო რათი," „იყო" შიგ ჩასახული აზრია და აზრი ხომ ყოველთვის ყოფილა, არის და იქნება. „არა-კი იყო-რა" ეკუთვნის თვით ამბავსა, რომელიც არც ყოფილა და არც არის. ამიტომაც არაკი, რომელშიაც ცოცხლად, ცხოველად არის ჩასახული აზრი, იზიდავს ადამიანის გულისყურს იმდენად, რომ თვით არაკის სიტრფეც-კი მართალი გგონია და სულ გავიწყლებათ, რომ ყურს უგდებთ მოგონილ ამბავსა. ამ სასწაულს სჩადის ხელოვნება.

„მე მგონია, რომ თვით სიტყვა „არაკი" წარმომდგარია „არა-კი იყო-დამ", მხოლოდ შემოკლებულია... როცა მთქმელი ასე იწყებს ზღაპარს: „იყო და არა-კი იყო რაო", თითქო თავიდამვე სურს გაუწყოს, რომ არ ყოფილს, არ არსებულ ამბავს გეუბნებიო, ხოლო სულს ადევნე გულისყური და არა ხორცსაო, აზრსა და არა ამბავსაო, რადგანაც ამბავი მარტო აზრის გამოსასახვად არის აქ ჩართული და მოგონილიო. ამიტომაც თუ ზღაპარს, არაკს, იგავს აზრი არა აქვს, უგემურია, უმარილოა...

„ზღაპარი, არაკი, იგავი მხოლოდ მაშინ აიყოლიებს ხოლმე გატაცებით ადამიანის გულისყურს, როცა გამცნებთ რასმეს საჯაგოს და საზნეოს მართალს, რომელიც ისე შიშვლად, ხორცშეუსხმელად, უსახოდ, უსურათოდ, უფერადოდ ყველასათვის ადვილად დასანახი არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის. ვიმეორებთ: სწორედ იმიტომ ზღაპარი, არაკი, იგივე ურთსა და იმავე დროს სიბრძნეც არის და სიცრუეც, სიბრძნე გულით, სიცრუე ხორცით. აქ სიცრუე ხატებაა, განსახოვნებაა სიბრძნისა ამიტომაც ესეთი სიცრუე არამც თუ ცოდვაა, ასე სამართლიანად საზიზღარი კაცთა ურთიერთობაში... არამედ მადლია, რომლითაც ასე გამოჩენილი არიან ეზოპე, ლაფონტენი, გრიმმები—ძმანი; ანდერსენი ბრილიანტი, საბა ორბელიანი, და სხვანი, ამ სახით მქადაგებელნი სიბრძნისა და ჭეშმარიტებისა. თვითონ სიდმრთო წერილის იგავნი ამავე ორიგინალ თვისებისა და დირსებისანი არიან.

„მთელი ეგრედ წოდებული სიტყვა კაზმული ლიტერატურაც ამ საუკეთესოზეა აშენებული: მოგონილის ამბით ცხად ჭეშმარიტი. იგიც ამ საფუძველზეა აშენებული: მოგონილის ამბით ცხად ჭეშმარიტი. ამიტომაც ამგვარს ლიტერატურაში არ არის არც ერთი მოთხრობილი ამბავი, რომ მართლა მართალი იყოს, მართლა ნამდვილი იყოს: სულ ადამიანის თვისებით შექმნილა და ისეთის შემოქმედებით ხორცი შესხმული, სულთ-ჩასახული, რომ კაცსაც-კი არ ეჯავრება, დიდადაც მოსწონს და ესურვება. ტარიელი, ნესტან დარეჯანი, ავთანდილ, ფრიდონ, თინათინ არც თავისს დღეში ეოფილან და არც არიან, არც ოდესმე უცხოვრიათ და არც ეხლა სცხოვრებენ, მაგრამ აბა ჭნახეთ ჩვენი საკვირველი რუსთაველი როგორ ასწ-ულთ-მოქმედობს ადამიანზე, როცა იმათს ცხოვრებას გვიამბობს, მათის ცხოვრების მაჯის ცემას გვატყობინებს! შოთამ მის მიერ მოგონილ ამბავს ისეთი სული ჩაუტანა, რომ ამ ჭეშმარიტ სულისაგან თვით არა ჭეშმარიტი ამბავი მართალი გვგონია. აი ეს საფიცარი გარდაქმნა, ახუ უკედ ვთქვათ, ქმნა არეოფილისა ეოფილად მარტო შემოქმედს შეუძლიან და ამიტომაც ამ ღვთიურს ძალ-ღონეს ქმნისას შემოქმედობას ეძახიან. „დიდ, ესეთია იგი საიდუმლოება ერთ გარის მადლისა, რომელსაც ზეკარდმოშოგონება ჭმეიან და რომელიც თვით ცოდვილს სიცრუესაც-კი მადლს აქმნევინებს ხოდმე და უურ-მოჭრილ მსახურად უხდის სიბრძნესა“.

ეს გრძელი ციტატა იმიტომ მოვიყვანეთ, ჯერ ერთი იგი საუკეთესოდ ამტკიცებს, რომ ჩვენი ენა დაცემისა კი არა განვითარებისა და გამშვენიერებისაკენ წასულა. ამდენი სიღრმე აზრისა (მთელი იდეალური ფილოსოფია) მთელი ესტეტიური მიმართულება ასეთის მშვენიერის სახით და ასეთის

მშვენიერის ენით ჩვენს ენაზედ თავის დღეშიაც არ გამოთქმულა; მეორე ისა, რომ ეს ერთი საუკეთესო ნიმუშია ილიას პროზისა და მაშასადამე მე-XIX საუკუნის ჩვენის პროზისა და ამგვარად საქრისტომატიო ადგილია, რომელიც შეიძლება ჯერ ორიოდე კაცსაც არ წაეკითხის რადგან გაზეთშია მოთავსებული და „ჯიბრიელის“ ფსევდონიმით არის მოწერილი. მე XVIII-ე საუკუნის დიდებული პოეტი იყო დ. გურამიშვილი, ჩვენის პოლიტიკურის ცხოვრების გედი, რომელმაც უკანასკნელი სიმღერა უგალობა ჩვენს ცხოვრებას, სიმღერა სევდითა და კაეშნით აღვსილი, სიმღერა ცრემლითა და ვაებით შეთხზული და შეზავებული. ეს კი ასე იყო, მაგრამ მისი პოეზია ჩვენის ახალის ლიტერატურის საფუძვლად და ქვა კუთხედ შეიქმნა და ეს არ წინათ უგრძვნია, თორემ შეიძლება მის მწუხარე კილოს მეტი სიმტკიცე და მეტი გაბედულება დაეტყობოდა. მისი ენა ჩინებული ენაა, ის ენაა, რომელმაც მისცა დასაბამი ი. ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ენას და აბა გავსინჯოთ მავალითები მისი სტილისა და ვნახოთ მამა სჯობია თუ შვილები.

ისმენე, სწავლის მძებნელო, მიჭვევ დაყითის მტნებასა,
ჯერ მწარე ჭამე, კვლავ ტკბილი, თუ ეძებ გემოვნებასა;
თავს სინანული სჯობიან ბოლოს ყამს დანანებასა.
ჭირს მეოთი, ლხინში შესული შვებად მიითვლი ვნებასა.
დედამ რა შვას ძე, პირველთა ჭირთ აღარ მოიხსენებსა,
ძის სიხარულით დაჭკარგავს ოდესმ მსგავსა სენებსა,
მაშინ იხარებს მწოდნავი, ოდეს მიითვლის მტევნებსა
ეგრეთ მოსწავლე, სწავლასა რა სრულ ჭეობს გახისვენებსა.

ეხლა ავიღოთ თ აკაკი წერეთლის რომელიც გინდათ ლექსი და შეუდაროთ ამას. „ბუნების კარშია“ მოქცეული აკაკის ჩანგური:

მე ჩანგური მისთვის მინდა, რომ სიმართლეს მსახურებდეს,
გასამტკიცოს ახრი წმიდა, გულს სიწმიდით ახურვებდეს;
რომ დაჩაგრულს მის სიმღერით თვალთ ცრემლები ეშრობოდეს,
და მჩაგვრელს კი გულში ძგერით ისარივით ესობოდეს.
გამიქვავდეს მე ეს ენა, თუ რომ ვისმე მიგეფერო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გამიხმეს ეს მარჯვენა, თუ სიმრუდით სიმთ ვაჟდერო.
რა გინდ ბედით ვიუო კრული, საშინელიც მექმნეს ბოდო,
არ შედრკება ჩემი გული, გინდ ქვითაც დავიქოდო.

არა მგონია თ. აკაკი წერეთლის ლექსი უფრო დაბლად იდგეს სტილის სიმშვენიერებით გურამიშვილის ლექსზედ. აქ ის არის მხოლოდ გასაკვირველი, რომ ჩვენი ენა დ. გურამიშვილის შემდეგ ძლიერ ცოტა გამოიცვალა და ძალიან ძნელად შესამჩნევად განირჩევა ენა აკაკისა გურამიშვილის ენისაგან; გარდა ამისა ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ ენა და სტილი არ არის გაქვავებული მოვლენა, იგი იზრდება ვითარდება და იცვლება დროისა და გარემოების მიხედვით, იმის მიხედვით თუ რა გზას ადგია აზროვნება კაცისა. ენა რომანტიულის პოეზიისა, თავისდღეში არ ემსგავსება რეალურის პოეზიის ენას, და ეს ორივე განსხვავდებიან კლასიკურის ენისაგან.

ყოვლად შეუძლებელია არ შეამჩნიოთ, რომ სულ სხვა არის ენა გრ. ორბელიანისა და ნიკო ბარათაშვილისა და კიდევ სულ სხვა ენა ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლისა, რომელიც განსხვავდება რასაკვირველია „ვეფხვის ტყაოსნის“ და „ვისრამიანის“ ენისაგან. მაგრამ ამ ორ უკანასკნელთ შორის განსხვავება იმდენია, რამდენიც რეალიზმსა და კლასიციზმს შორის.

კიტა აბაშიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ომის შემდეგ

(საფრანგეთის წარსულიდან)

გათავდა ბრძოლა, გათავდა ომი...
მტერმა აიღო ბარიკადები,
უსწორ ბრძოლაში დაიჭრა ლომი,
აქა იქ ყრია გმირთა გვამები!

—

გამარჯვებული მტერი ქეიფობს,
ხალხზე უფლება კვლავ მის ხელთ არი,
ჭიქათ წკრიალში მას უტკბობს გულსა
უბედურების გლოვისა ზარი!

—

ესმის გმირობის ტაში, ვაშაა,
ნანადირევიც მასვე ერგება,
გუშინ შემკრთალი, ფეხ მოტეხილი
დღეს კვლავ გამაგრდა, კვალად ღმერთდება!

—

ლხინობს დარბაზი და ყუჩობს ქუჩა,
მხოლოდ ქოხის წინ მთლად ფერ მიხდილი
დგანან, ქალაქის გზას გასცქერიან
მოუთმენელათ დედა და შვილი!

—

— „ნუ, ნუ სტირი, მამის ნუგეშო,
ის მალე მოვა და პურს მოიტანს,
დღეს გვეშველება, დღევანდელი დღე
წელში გაჰმართავს ღარიბს და ღატაკს“!

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანუგეშებდა დედა პატარას,
მაგრამ მოესმა გლოვისა ზარი,
იცნო ნიშანი ომის წაგების,
იცნო ნიშანი მან შესაზარი!

—

აკრემლდა თვალი, აკვნესდა გული,
მკერდზე მიიკრა თვისი პატარა,
მ.მის ამბავი მათ ქოხის თავზე,
ზარმა ღმუილით გადაატარა!

—

— „კვლავ მონები ვართ დაჰქვითინა შვილს,
ისევ სიცივე, ისევ შიმშილი“.
და გმირთ გვამებზე ჩვენს გლოვის ზართან
ისმის მტარვლების ლხენა, სიცილი!

—

ჩემო პატარავ, შენ რაღა გელის,
როდესაც მკლავი გაგიმაგრდება
და მამის ლანდი სისხლში მოსვრილი
ბარიკადისკენ წინ გაგიძღვება!
ვამარჯვება თუ გლოვისა ზარი....?

ი. ევდოშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფალი აღზრდა ბავშვის

პსიხოლოგიის მიხედვით.

ბავშვების სწავლებისა და აღზრდის საქმე ჩვენს დროში ყველა ერისთავის ერთს უსაჭიროესს და მწვავე საკითხს წარმოადგენს. ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ ამ საკითხის სამართლიანად გადაწყვეტა და სწავლების რაციონალურად მოწყობა და წარმართვა ახალს სხივს შეიტანს ყველა ერის ცხოვრებაში, გაანათებს და გააშუქებს ხალხის ცხოვრების ყველა მხარეს, ხელს შეუწყობს ხალხის ცხოვრების ქონებრივს და ზნეობრივს გაუმჯობესობას და საზოგადოთ ქვეყნის აყვავების საქმესაც.

ჩვენი მიზანია ამ წერალში გამოვარკვიოთ ბავშვების აღზრდის ერთი საკითხი, რომელსაც „თავისუფალ აღზრდას“ უწოდებენ. ამ სიკითხის შესახებ უკანასკნელ ხანებში ბევრსა სწერენ რუსეთისა და უცხო ქვეყნების პედაგოგიურს ლიტერატურაში და ყოველის მხრით არკვევენ ამ საკითხს. უმთავრეს ფაქტორად „თავისუფალ აღზრდის“ საკითხის გამორკვევაში ბავშვის პსიხიური მოვლენანი უნდა იქმნას აღიარებული. ამ თვალ საზრის თ უნდა ხელმძღვანელობდეს ყველა ამღზრდელი. ჩვენც ამ ჟამად მხოლოდ ამ მხრით შევეხებით ამ საკითხს და ვსარგებლობთ ფ. ტოოლის წერილით „პრინციპები ბავშვების თავისუფალ თვით განვითარებისა“ და ვ. რახმანოვის ვრცელი მოხსენებით, რომელიც წაკითხული იქმნა 16 ნოემბ. მოსკოვში „ბუნებრივ აღზრდის მოამხრეთა საზოგადოებაში“. ეს მოხსენება, რომელმაც საზოგადოებისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრესის ყურადღება დაიმსახურა, ზოგიერთის შემოკლებით პირდაპირ ნათარგმნია ამ წერილში.

I

ბავშვი, სხვათა შორის, იმით განსხვავდება დიდებისაგან, რომ მისი სულიერი მდგომარეობა მუდამ განვითარებაშია, მაშინ როდესაც ეს პროცესი დიდებში უკვე დასრულებულია. ეს ძირითადი განსხვავება გვაძლევს საბუთს, რომ ყველამ, ვისაც კი რაიმე დამოკიდებულება აქვს ბავშვებთან, კარგად უნდა შეისწავლოს ბავშვის პსიხიური სიცოცხლის ყველა მოვლენა, უამისოდ კი ვერც მშობელი და ვერც მასწავლებელი ბავშვის აღზრდაში სასურველ მიზანს ვერ მიაღწევენ.

ბავშვის საკუთარი „მე" ძლიერ სუსტია, მუდამ რყევაშია; თავდაპირველად იგი სავსებით მემკვიდროებით გადაცემულ ინსტიკტზეა დამყარებული. შემდეგში, როცა ბავშვი თანდათან წამოიზრდება, იმის სულში ფესვს იკიდებენ სხვა და სხვა შთაბეჭდილებანი, წარმოდგენილებანი და ცნებები; ეს უკანასკნელნი თან-და თან უკავშირდებიან თანდაყოლილს ინსტიკტს, რის გამო ჩნდებიან, ცოტად თუ ბევრად, რთულნი მგრძნობელობანი შემდეგში ყველა ეს მოწესრიგდება ერთად და წარმოადგენს ერთს პსიხიურ მთელს.

ცხადია, რომ ამ დროს ბავშვის პიროვნების განვათარების პროცესსში ყველა შეგნებას და წარმოდგენილებას, რომელთაც ბავშვები გაეცნობიან, ერთნაირი მნიშვნელობა არა აქვს. ამ მხრით მეტი მნიშვნელობა იმნაირ შეგნებას, შემეცნებას და წარმოდგენილებასა აქვს, რომელიც მჭიდრო კავშირით შეერთებულა ბავშვის თან დაყოლილ ინსტიკთან, ან იმ წარომდგენილებათა საერთო ჯგუფთან, რომელთაც ორგანიულად უკვე ფესვი გაუდგამთ ბავშვის სულში. ამ კავშირს, მკვიდრს ასსოციაციას ისეთი დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვის აღზრდაში, რომ საჭიროდ მიგვაჩნია ამ საკითხს დაწვრილებით შევეხოთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენში რომ მხოლოდ მკვიდრი ასოციაცია ყოფილიყო, ვერაფრით განვირჩეოდით იმ მანქანისაგან, რომლის ნაწილებიც ერთმანეთთან მჭიდროთ არიან დაკავშირებულნი, ასე რომ ერთი რომელიმე ბორბლის მოძრაობა აუცილებლად გადაეცემოდა სხვა ნაწილებს და მთელი მექანიზმი წინ-და-წინ განსაზღვრული სახით ამოძრავდებოდა. თუ ესეთივე მოვლენა არ შეინიშნება ცხოველებში და ადამიანში—ეს იმიტომ, რომ იმათ არ აქვთ მკვიდრი ასოციაცია, რის გამო გონებაში წარმოდგენილებათა მიმდინარეობა იღებს ამა თუ იმ მიმართულებას. რომ უფრო ცხადად წარმოვიდგინოთ ნათქვამი, მოვიყვანთ მაგალითს: ვიღვიძებ დილით, ვახელ თვალებს და ვხედავ, რომ უკვე გათენებულა. სინათლის შესახებ წარმოდგენილებას არავითარი მკვიდრი კავშირი არა აქვს სხვა წარმოდგენილებასთან, ამიტომაც ჩემი აზრის მიმდინარეობა თითოეულს შემთხვევაში შეიძლება სხვა და სხვა ნაირი იყოს, მაგალითად—თუ ზაფხულში გამომღვიძა და უნდა ამდგარ-ვიყავი დანიშნულს დროზე მაგ. 7 საათზე, მაშინ მთელი ჯგუფი წარმოდგენილებათა, რომელნიც გაირჩენენ ჩემს თავში, მიმიყვანს საათის წარმოდგენილებაზე, მე ასე თუ ისე დავხედავ საათს, რომ გავიგო ხომ არ დამგვიანებია. სულ სხვაა ზამთარში: იგივე სინათლე, იმავე პირობაში, რომ უნდა 7 საათზე ავდგე, გამოიწვევს ჩემში სულ სხვა წარმოდგენილებებს; გავიღვიძებ და დავინახავ თუ არა საკმაო სინათლეს, მეგონება, რომ უკვე დამაგვიანდა და ჩემს გონებაში გაირჩენს მთელი რიგი წარმოდგენილებათა, რომელნიც დაკავშირებულნი არიან იმ უსიამოვნებასთან და შედეგებთან, რომელიც მოჰყვება ჩემს დაგვიანებას. ეხლა მე სხვანაირად მოვიქცევი, ვიდრე ზაფხულში; მშვიდად ხელს არ გავიწვდი საათისკენ, პირიქით სწრაფად წამოვხტები ლოგინიდან და სხ.

სულ სხვა იქნება იმ შემთხვევაში, როცა გონებაში თავს იჩენს ისეთი წარმოდგენილება, რომელსაც მჭიდრო ასოციატური კავშირი აქვს სხვა წარმოდგენილებასთან. ეს უკანასკნელი უსათუოდ სწრაფად მოჰყვება პირველ წარმოდგენილებას. მჭიდრო ასოციაციის მაგალითს წარმოადგენს ნივ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თის სახელი და წარმოდგენილება თვითონ ნივთზე. მაგალითად—მესმის სიტყვა დ.ნა, ჩემს გონებაში მაშინვე გაიღვიძებს წარმოდგენილება დანაზე და არა ჩანგალზე. ბავშვებს, რომელნიც ლაპარაკს სწავლობენ, ეს ასოციაცია მკვიდრი არ აქვთ და ამიტომაც ხშირად ურევენ სიტყვებს; იგივე შეინიშნება ზოგიერთ შემთხვევებში პსიხიურ სნეულების დროსაც.

მკვიდრი კავშირი შეიძლება არა მარტო ორ წარმოდგენილებათა და ცნებათა შორის, არამედ ორ გრძნობათა და გრძნობისა, წარმოდგენილებისა ან ცნების შორისაც. ამ მკვიდრი კავშირების წყალობით წარმოსდგება ურიცხვი რთული გრძნობანი: მაგალითად სარწმუნოებრივი გრძნობა, სიყვარულის გრძნობა და სხ. მკვიდრი კავშირები შთამომავლობით, მემკვიდრეობით იბადიან ბავშვებზე და მათში ინსტიკტის ფორმით გამოიცხადება. მაგალითად ფრინველების მიერ ბუდის კეთების ალღო (ინსტიკტი) წარმოადგენს მთელს რიგს მემკვიდრეობით გადაცემულის მკვიდრი ასოციაციებისას.

ცნობილია, რომ ყოველივე წარმოდგენილება მოქმედობის შესახებ, თუ არ შეიცვალა რომელიმე სხვა წარმოდგენილებით, გამოიხატება საქმით, იქცევა მოქმედებად. თუ წარმოდგენილება მოქმედებაზე მჭიდროდ დაკავშირებულია რომელიმე გრძნობასთან, მაშინ ამ გრძნობის გაღვიძების თანავე ჩნდება ნათქვამი წარმოდგენილება და შემდეგ ამას მოჰყვება თვითონ მოქმედებაც.

თვითონ გრძნობას შეუძლიან გამოიწვიოს რომელიმე წარმოდგენილება თუ მასთან იგი მჭიდროთ დაკავშირებულია: მაგალითად ყუმბარების ხმა იწვევს მცხოვრებლებში შიშის გრძნობას და ეს უკანასკნელიც მჭიდრო ასოციაციით არის დაკავშირებული გაქცევაზე წარმოდგენილებასთან. ამიტომაც, თუ გადაგდებული საგანი იწვევს გონებაში გაქცევის შესახებ წარმოდგენილებას, ყველანი სწრაფად გარბიან აქეთ იქით.

ნუ გვგონია, რომ მკვიდრი ასოციაცია სასტიკად განირჩევა არა მკვიდრ ასოციაციისაგან, მათ შორის უეჭველად არსებობს მთელი რიგი გარდამავალი საფეხურებისა; უფრო კანონიერი იქნებოდა გვეთქვა ასოციაციებზე მათი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმკვიდრის მეტ-ნაკლებლობის მიხედვით, მაგრამ თუ ჩვენ ვამბობთ მკვიდრსა და არა მკვიდრ ასოციაციებზე, ამას ვშვრებით მხოლოდ იმიტომ, რომ საგანი უფრო მარტივი და ადვილად გასაგები იყოს ყველასათვის.

მჭიდრო და განუყრელი ასოციატიური კავშირები წარმოსდგებიან უმეტესად სამის წესით. პირველად რომელიმე ასოციაციის გონებაში ხშირი გამეორებით ე. ი. შეჩვევის გზით. ამ გზით ჩნდება მაგალ. მჭიდრო კავშირი საგნებსა და მათ სახელებს შორის. შეჩვევას უაღრესი მნიშვნელობა აქვს მჭიდრო კავშირების შედგენაში; მას შეუძლია რამდენამდე ინსტიკტის დარღვევაც. მაგალითად კატა ინსტიკტიურად აიბურძგნება და კრუტუნებს ძაღლის დანახვაზე. მაგრამ, რომ ავიყვანოთ კატის კნუტი და ძაღლის ლეკვთან ერთად გავზარდოთ, ორნივე მეგობრულად იცხოვრებენ და არც ერთმანეთის შიში ექნებათ. შეჩვევაზეა დამყარებული ცხოველების გაწრთვნა, ხელოსნობისა და ხელოვნების სწავლებაც ი ვაზეა დაფუძნებული.

მეორე გზა მკვიდრი კავშირების შესადგენად არის ერთს დროს რომელიმე ძლიერი გრძნობის წარმოშობა. ვსთქვათ ბრბოს რაიმე განსაცდელი მოელის, რომელიც ბევრსაც იმსხვერპლებს, მაგრამ, ვინც ამ განსაცდელს გადარჩება მისს გონებაში ბრბოს სახე და შიშზე წარმოდგენილება განუყრელის კავშირით შეერთებიან. უძლეველ გულის თქმას სწორედ კავშირი აქვს რომელიმე ძლიერ გრძნობასთან. ეს გრძნობა მტკიცე კავშირით აერთებს რომელიმე წარმოდგენილებასა და საქციელს. რამდენადაც გრძნობა ძლიერია, იმდენად ეს კავშირიც უფრო მტკიცე და მკვიდრი, ამიტომაც უფრო საძნელოა ნებისადმი ძალდატანებითაც მოვსპოთ ეს კავშირი.

ჩაუფიქრდით ორატორებისა და მქადაგებლების საქციელს და თქვენ შენიშნავთ, რომ ისინი გამსჭვალულნი არიან იმ მისწრაფებით, რომ გამოიწვიონ მსმენელებში ძლიერი გრძნობა და ამ სახით შეიპყრან, დაატყვევონ მსმენელთა ნება. პოლიტიკური ორატორი მაგალითად მიმართავს სამდუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რავის გრძნობას და რისხვას, პატრიოტულს ან თავმოყვარეობის გრძნობას, ცდილობს დაარწმუნოს მსმენელები, რომ მხოლოდ სულელს ან ფლიდს არ შეუძლია გაიზიაროს მისი შეხედულობა. სარწმუნოების მქადაგებელი ხშირად მიმართავს შიშის გრძნობას, იმუქრება ღვთის რისხვით. ამავე გრძნობით სარგებლობდენ ყველა მძლავრი მოძალადენი ყოველ დროს და ყველა ქვეყნებში.

ჩვენ მიერ ზემოთ ნაჩვენები ორი წყარო მკვიდრი კავშირების წარმოშობისათვის არის ჩვეულებრივი გზა, რომელსაც მიჰყვებოდნენ აღმზრდელები, რომ ბავშვის სულში შეეტანათ ესა თუ ის წარმოდგენილებანი, ცნებანი და გრძნობანი. მთელი აღზრდა ძველ დროში იმაში მდგომარეობდა, რომ ბავშვი პირუტყვისებრივი გაწრთვნით შეჩვევოდა საგანს და დახელოვნებულიყო. რომ სასუველად ემოქმედნათ ბავშვის ნებაზედ და გამოეწვიათ მკვიდრი კავშირები ამა თუ იმ წარმოდგენილებათა შორის, ძველად ცდილობდნენ აღეძრათ ბავშვების სულში სხვა და სხვა ძლიერი გრძნობები. ყველაზე უფრო ძლიერი გრძნობა, რაც ბავშვს შეუძლიან გამოსცადოს, უეჭველად არის შიში და აგრეთვე ტკივილის გრძნობა. ამიტომ ბავშვის აღზრდის დროს მისი დაშინება და ფიზიკურად დასჯა ერთად ერთ საშუალებად მიიჩნდათ.

წარსულ საუკუნის დასასრულს მკვიდრი კავშირების გამორკვევაში დასახელებული იქმნა მესამე გზის მნიშვნელობა. ამ გზას განსაკუთრებით ჰიუიო ურჩევდა ყველას. ჩვენ ვამბობთ ჰიპნოტიზმზე და შთაგონებაზე.

მართლაც მკვიდრი კავშირების შექმნაში შთაგონებასაც ძლიერ გრძნობასავით შეუძლიან იმოქმედოს.

უნდა შევნშნოთ, რომ შთაგონება ხდება არა მარტო ჰიპნოტიური ძილის დროს: ზოგჯერ მაღალის ხმით წარმოთქმულს სარწმუნო და ავტორიტეტულ სიტყვასაც ისეთივე გავლენა აქვს, როგორც ძილის დროს შთაგონებას. ცხადია, რომ ავტორიტეტზე დამყარებულს შთაგონებას დიდი ადგილი ეჭირა და დღესაც უკავია ბავშვის აღზრდაში. მაგრამ არც ავტორიტეტზე დამყარებული პრინციპი მიიჩნიათ უნაკ-

ლულოდ ბავშვების „თავისუფალი აღზრდის“ მომხრეებს. ისინი სამართლიანად აღიარებენ, რომ ეს პრინციპი უარ ჰყოფს ბავშვში თვით-არსებობის განვითარების ნასახს. მას მოსდევს თვითნებობა ადამიანის ბუნებასთან მოპყრობაში, მექანიკური მუშაობა, სხვა და სხვა გვარი წრთვნა, დატვირთვა მეხსიერებისა უსარგებლო ცოდნით, ერთგვარობა, გონების საზრდოება მოუნელებელი მასალით და სხ.

პიროვნების განვითარების პროცესში დიდი მნიშვნელობა აქვს მკვიდრი ასოციაციების ან კავშირების აღორძინებას, ამიტომ აღზრდის მთელი ხელოვნება იმაში გამოიხატება, რომ ბავშვის სულში მტკიცედ გაიდგას ფესვები იმ მკვიდრმა კავშირებმა, რომლებიც ასე თუ ისე სასურველად მიაჩნია აღმზრდელს. მაშასადამე განსხვავება ამა თუ იმ საშუალებათა შორის, რომელიც ხმარებაშია ბავშვის აღზრდის დროს, იმაში გამოიხატება, თუ რა გზას აირჩევს აღმზრდელი სასურველ და მკვიდრ ასოციაციების გასავითარებლად. მაგრამ, ვიდრე ამ გზების განხილვას და დაფასებას შევუდგებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია შევჩერდეთ საკითხზე თუ როგორ გამოიხატება ბავშვის „მე“ მისსავე მოქმედებაში.

დიდი შეცდომა იქნება თუ დავიჯერებთ, რომ ადამიანის ყველა მოქმედება ნებითი აქტის ხასიათს ატარებს. პირიქით მრავალს საქციელს, როგორც დიდებისას აგრეთვე განსაკუთრებით პატარა ბავშვებისას სულ სხვა ნიშანი აზის.

აღვნიშნოთ ყოველთ უწინარეს მთელი რიგი მოქმედობა საქციელისა, რომელიც უნდა განვიხილოთ, როგორც გამოჩენა რთული რეფლექსისა. იმათ მჭიდროთ ამოუდგება გვერდში ავტომატიური დაჩვეული მოქმედბა, რომელთაც ჩვენი შეგნების გარეშე ვასრულებთ. ჩვენი ნება ამ მოქმედებაში მონაწილეობას არ იღებს ისე, როგორც არ იღებს იგი მონაწილეობას ნამდვილ რეფლეკტორულ მოქმედებაში, ცხადია რომ ადამიანის ნება მონაწილეობას არ იღებს შთაგონებულ მოქმედებაშიაც.

შთაგონებასთან ბევრი საერთო აქვს, მიმბაძველობასაც, რაც უფრო ცხადად იჩენს თავს იმ შემთხვევაში, როდესაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიბაძვა იწვევს ისეთს საქციელს, რომელიც იზადავს და იპ-ყრობს ჩვენს ყურადღებას. ცნობილია, მაგ, მთელი გადამდე სენი თვით-მკვლელობისა მიბაძვით. იმ შემთხვევაში, და საზოგადოთ ყოველ შემთხვევაში, როცა მიბაძვით გამოწვეული საქციელი სრულიად უმიზნოა, უნდა ვაღიაროთ, რომ აქაც ნება არავითარ მონაწილეობას არ იღებს. არ შეიძლება ნებსითი ვუწოდოთ ისეთს საქციელსაც, რომელიც ჩადენილია განსაკუთრებით ძლიერი აღელვების, ემოციის გავლენით. კაცი, რომელიც შიშისაგან გარბის აქეთ იქით თავ-ქუდ მოგლეჯილი, ან ბავშვი, რომელიც რისხვის გავლენით სიცოცხლეს იმოკლებს და წუთისოფელს ესალმება, მოქმედებენ არა თავისი ნების მიხედვით, არამედ, პირიქით, თავისი ნების წინააღმდეგ.

მხოლოდ ისეთი საქციელი შეიძლება ჩაითვალოს თავისუფლად, რომელიც დაკავშირებულია ჩვენს „მე“ სთან, როგორც პსიხიურად მოწესრიგებულ მთელთან. ჩვენი ნება ორნაირად იჩენს თავს. ჩვენ შეგვიძლია ან ჩავიდინოთ რაიმე საქციელი, ან პირიქით, თავი შევიკავოთ ისეთის საქციელისაგ ნ, რომელიც ავტომატიურია, ან ძალად თავს გვახვევენ შთაგონებით, მიმბაძველობით ან სულისძლიერ ამოძრობით— ემოციით. მაგრამ რითაც უნდა გამოიხატოს ჩვენი ნების მოქმედება საქციელის ჩადენით, თუ თავშეკავებით სულ ერთია, ამ მოქმედების დედა ძარღვი, მექანიზმი ერთი და იგივე რჩება. ეს დედა ძარღვი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ ჩვენი ნებისადმი ძალდატანებით მივაპყრობთ ჩვენს გულის ყურს წარმოდგენილებაზე იმ საქციელის შესახებ, რომელიც უნდა ჩავიდინოთ, ან და მივაქცევთ ჩვენს გულის ყურს იმ საქციელის მოწინააღმდეგე წარმოდგენილებას, რომ თავი შევიკავოთ. ნებსითი ყურადღების მოქმედებაში მონაწილეობას იღებს მთელი ჩვენი „მე“. ამას ამტკიცებს თუნდა ისიც, რომ რამდენადაც უფრო მომზადებულია, რამდენადაც უფრო განვითარებულია ეს „მე“, იმდენად უფრო შეგვიძლია გამოვიჩინოთ ნებსითი ყურადღება. ამიტომაც ბავშვები, რომელთა „მე“ მცირედ განვითარებულია, თითქმის ვერ ახერხებენ და ვერ იჩენენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიჭს ნებსითი ყურადღებისას, ამის გამო მათი ნებაც განსვა-თარებელი რჩება.

მეორე საბუთს ამავე აზრის დასამტკიცებლად ჩვენ ვპოულობთ პატალოგიაში. ცნობილია, რომ იმ სნეულების დროს, რომელსაც სევდის ქარს უწოდებენ, ავადმყოფის „მე" თითქოს მოშლილია და ეს სენი თავს იჩენს სხვა და სხვა გვარი ნიშნებით, რომელიც დამოკიდებულია იმისაგან, რომ სნეულმა დაჰკარგა ნიჭი მოუაროს თავის გულისყურს, ყურადღებას

პიერ ჟანე [1]) დაწვრილებით აგვიწერს ამ სნეულების რამდენიმე შემთხვევას. აი მაგალითად სნეული სახელად მარსელი: იგი მოკლებულია ნების ყოველგვარ მოქმედებას, არ შეუძლიან მიაპყროს რასმე თვისი გულისყური. ძლიერ დამახასიათებელია შემდეგი შემთხვევა: ერთხელ ჟანე წინდაწინ შთააგონებს მარსელს, რომ მეორე დღეს წაიკითხოს მის თანდასწრებით რამდენიმე სტრიქონი. მაგრამ, როდესაც ეს აღასრულა მან და ჟანემ მიუოლოცა მარსელს ასეთი წარმატება, პასუხად მიიღო შემდეგი: თქვენ, მგონია, იცით რომ მე ჩემის ნებით ეს არ ამისრულებია, თქვენ დამატანეთ ძალა, რომ წამეკითხნაო. ამ შემთხვევაში ავადმყოფს ის შეგნება ჰქონდა, რომ მისი „მე" მოკლებულია მოქმედობას.

დიდის ყურადღების ღირსია ნევროპატალოგების აზრი, რომ სევდის ქარი, უფრო ხშირად, მის შემდეგ ჩნდება, როცა სნეული განიცდის ძლიერს მღელვარებას.

უმეტეს შემთხვევაში—ეს შიშია, ზოგჯერ—სიყვარულის ემოციაა და ზოგჯერ სქესობრივი გადაჭარბება. ერთს შემთხვევაში, რომელიც აწერილი აქვს ჟანეს, სევდის ქარი გაუჩნდა კაცს აღელვების გამო, რომელიც განიცადა მან ძლიერი შენანების ნიადგაგზე.

ჩვენთვის ამ მაგალითს ის დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ის გვიმტკიცებს თუ რა გავლენა აქვს ჩვენი „მე"-ს გან-

---

[1]) Пьеръ Жане „Неврозы и факсированныя идеи" თარგმანი ფრანგულიდან ლიტვინოვისა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვითარებაზე ძლიერს ემოციებს. თუ ცოტად თუ ბევრად მოზრდილ კაცის განვითარებულს პიროვნებაზე ასე დიდად მოქმედობს ძლიერი ემოციები და არღვევს მას, მით უმეტეს ბავშვის სუსტი „მე“ ირყევა ყოველ გვარი ძლიერი აღელვებით. საინტერესოა ხერხი, რომელიც ჟანეს უხმარია ერთს შემთხვევაში, რომელიც სევდის ქარზედაც უარესია. საქმე ეხება ერთს ავადმყოფს სახელად ჟიუ'ტინას. ის 40 წლისა. ოცდაორი წლიდან ავად ყოფილა. მისი პიროვნება მოშლილია მისი შთაგონება ისეთი ძლიერია, რომ შემთხვევით გაგონილი ფრაზაც კი უძლეველ ჰიპნოტიურ შთაგონების ხასიათს იღებს. მ.გ. შემთხვევით გაიგონებს ამბავს, რომ ვიღაც ცოლი ჰკლავს თავის ქმარს. ეს წარმოდგენილება უძლეველის ძალით შეიპყრობს მის შეგნებას, ასე რომ იგი მივარდება დანით თავის ქმარს. ჟანემ მოსარჩენად დააწყებინა მას აქტიური ყურადღების ვარჯიშობა. ამისთანა ყურადღების გამოწვევა ადვილი საქმე არ იყო და ჟანემაც ორი წელიწადი მოანდომა მას. მაგრამ ბოლოს მაინც იქამდის მიაღწია, რომ ავადმყოფს შეეძლო ერთი საათის განმავლობაში თავისი გულის ყური მიეპყრო რომელიმე ერთი საგნისადმი. შედეგად მოჰყვა ავადმყოფის მომჯობინება და შესამჩნევად მცირე მიდრეკილება შესაგონებელ საგნისკენ.

ჩვენ დიდხანს შევჩერდით სევდის ქარზე მისთვის, რომ ეს სნეულება გვაძლევს ძვირფასს ჩვენებას როგორც აქტიური ყურადღების ბუნების, აგრეთვე ჩვენი „მე“-ს დაშლის და აღდგენის პროცესის შესახებაც. ჩვენ დავინახეთ, რომ კაცი მაშინ უფრო იჩენს თავის ნებას, როცა მისი „მე“ უფრო განვითარებულია და მოწესრიგებული და, პირიქით, ნების ყოველივე გაძლიერება და აქტიური ყურადღების გამოჩენა ამაგრებს და ავითარებს ჩვენს „მე“საც.

ბოლოს ჩვენვე დავინახეთ, რომ ძლიერი მღელვარება ჰშლის „მე“-ს. ასეთივე ძალა, როგორც ჟანე ამტკიცებს, აქვს ჰიპნოტიურ შთაგონებასაც: ის ავითარებს, ხელს უწყობს სომნაბულისტურ მდგომარეობას ე. ი. ისეთს მდგომარეობას, როცა კაცი დადის სიზმარში სრულიად შეუგნებლად, და

ავადმყოფის ნებასაც შთაგონებისაკენ მიმართავს *). ეს ეს გარეშეა, რომ ასეთივე მოქმედება, თუმცა შეიძლება უფრო მცირე ხარისხით, მაგრამ მაინც უნდა გამოიჩინოს ბავშვზე უფროსის ძალდატანებითმა ავტორიტეტმა. თუმცაღა ისედაც მარტივია ჩვენ მიერ წამოყენებული აზრები, მაგრამ მაინც საჭიროდ მიგვაჩნია ერთს არსებითად საჭირო საკითხზე ვუპასუხოთ.

რომელი საქციელია თავისუფალი პსიხოლოგიური თვალსაზრისით? რასაკვირველია მხოლოდ ისეთი საქციელი, რომლის ჩადენაშიაც მონაწილეობას იღებს კაცის მთელი „მე", ან ნების გაძლიერება.

აქ შეიძლება თავი იჩინოს ერთმა გაუგებრობამ, რომელიც გვინდა ეხლავე ავიცილოთ თავიდან. ჩვენ არ გვინდა იმის დამტკიცება, რომ ყოველი საქციელი, რასაც ჩავიდენთ ამა თუ იმ გრძნობისა ან ძლიერი ემოციის ზეგავლენით, არა თავისუფალია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ საქციელი არა თავისუფალია იმ შემთხვევაში, როცა ჩვენი გრძნობა თავისი არსებობით არ შეეწყობა მთელს ჩვენს „მე"-ს. მაგრამ ძლიერი ემოციაც თუ კი არ ეწინააღმდეგება, არამედ, პირიქით, მთლად ეთანხმება ჩვენს „მე-"ს, მაშინ ამნაირი საქციელი სრულიად თავისუფალია. მაგალითად ბუნებით კეთილმა ადამიანმა რომ განრისხების დროს ცუდი საქმე უყოს სხვას, ეს საქციელი არა თავისუფალია, რადგანაც ბოროტი გრძნობა მრისხანებისა ეწინააღმდეგება იმის კეთილ „მე"-ს. პირიქით თუ ასეთი ცუდი საქციელი ჩაიდინა ბუნებით ბოროტმა და შურის მაძიებელმა ადამიანმა, მაშინ ეს საქციელი, როგორც შეთანხმებული და შეწყობილი მთელს იმის „მე"-სთან, შეიძლება განვიხილოთ, როგორც თავისუფალი მოქმედება.—

ასეთი მსჯელობა შეიძლება ვიქონიოთ იმ საქციელის შესახებაც, რომელიც გამოწვეულია მიმბაძველობით ან სხვი-

*) პიერ ჟანე გვ. 426. აღვნიშნავთ აგრეთვე იმასაც, რომ რასაც ავადმყოფი ჩადის ამ შემთხვევაში შთაგონების გავლენით თვისი ნებითი ჰგონია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სი ავტორიტეტის დამორჩილების გამო. ამ გვარი საქციელი, როგორც თავისუფალი, შეიძლება განვიხილოთ მხოლოთ იმ შემთხვევაში, როდესაც ის არ ეწინააღმდეგება მთელს ჩვენს პიროვნებას. ამნაირად თავისუფლად ყოფნის ცოდნა, კარგად განვითარებული ნების შეძენა—ნიშნავს მთელ ადამიანად დარჩენას, ეს ნიშნავს კარგად და შეთანხმებულად განვითარებულ „მე"ს ქონებას. ყოველგვარ აღზრდას სამნაირი მიზანი უნდა ჰქონდეს:

პირველად ის უნდა ცდილობდეს ბავშვის ნების განვითარებას და, მაშასადამე, მისი „მე"ს მთლიანობასაც. მეორედ ის უნდა ზრუნავდეს, რომ ეს „მე" შეუგუოს ცხოვრებას საზოგადოებაში ე. ი. ამ „მე"ს შემადგენელად საზოგადოებრივი გრძნობებიც (ზნეობრივი) უნდა იყოს, როგორც: გრძნობა გულშემატკივრობისა, ინტელექტუალური გრძნობა, ე. ი. ის გრძნობა, რომელიც გვაიძულებს ცოდნისადმი მისწრაფებას თვით ცოდნისათვის, ესტეტიური გრძნობა და სხ. მესამედ აღზრდას მიზნად უნდა ჰქონდეს მიაწოდოს ბავშვს მისთვის ბოლოს უსაჭიროესი ცოდნა, დახელოვნება.

აღზრდის მთელი სიძნელე იმაში მდგომარეობს, რომ არც ერთი ამ მიზანთაგანი უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს.

პსიხოლოგია გრძნობაზე, გონებაზე და ნებაზე გვეუბნება როგორც ელემენტებზე, რომლიდგან შესდგება ჩვენი პიროვნება. ეს უსაჭიროესი ღონის ძიებაა, რომელიც გვაძლევს ზოგიერთს შემთხვევას აუარებელ რთულ მოვლენათა გარკვევაში. მაგრამ პრაკტიკულ პედაგოგიას მუდამ სახეში უნდა ჰქონდეს, რომ ნამდვილად ასეთი დაჭყოფა არ არსებობს. აღმზრდელიც ყოველს ნაბიჯზედ უნდა ხელმძღვანელობდეს ამ მოსაზრებით. როცა ვავითარებთ ბავშვის გონებას, როცა ვცდილობთ მივცეთ ბავშვს ესა თუ ის დახელოვნება, ჩვენ არ შეგვიძლია ასე თუ ისე გავლენა მოვახდინოთ მის ნებაზე და გრძნობაზე. მეორე მხრით ბავშვის ნების განვითარებას და მაშასადამე მისი პიროვნების განვითარებასაც ვაღწევთ ბავშვის აქტიური ყურადღების ვარჯიშობით; აქტი-

ური ყურადღება კი, როგორც ზემოთ დავინახეთ, შეადგენს უმთავრესს არსს ნების ყოველგვარ მოქმედებაში, ყოველგვარს თავისუფალ ძალ-დატანებას ბავშვის მხრით. აქტიურ ყურადღების საგნად შეიძლება გავხადოთ ამა თუ იმ ცოდნისა და ხელოვნების შეძენა, სულ ერთია ეს ცოდნა დახელოვნება წიგნურ ცოდნას წარმოადგენს თუ ხელით მუშაობას. ამას გარდა თავისუფლად მიმართული აქტიური ყურადღება უნდა გამომდინარეობდეს მხოლოთ ბავშვის მთელის პიროვნებიდან—ე. ი. იმ გრძნობებიდან, რომლიდგანაც შესდგება ჩვენი „მე"ს უმთავრესი გული. ამის მიხედვით ის დახელოვნება და ცოდნა, რაც უნდა მივსცეთ ბავშვს, უნდა სრულად შეესაბამებოდეს მისს გრძნობებს და მიდრეკილებებს.

ამნაირად საქმით არ შეიძლება აღზრდა გავყოთ გრძნობის, გონების და ნების განვითარებად და ერთი სკოლას მივანდოთ და მეორე ოჯახს. აღზრდაც ისეთი მთლიანი უნდა იყოს, როგორც მთელია თვითონ პიროვნება.

II.

რამდენადაც უმეცარნი უნდა იყვნენ მშობლები თავისი ღვიძლი შვილი მაინც უყვართ და სურთ მათთვის ბედნიერება: ეს თვით ბუნების ხმაა. მაგრამ თვით ცნება ბედნიერების შესახებ იცვლება იმის მიხედვით, თუ რამდენადაც კაცი განვითარებულია და მაშასადამე ზნეობრივადაც მაღლა დგას. უმეცარ მშობელს, რომელიც ჩაფლულია თავისი ფიზიკური მოთხოვნილების, გულის თქმის და ინსტიკტის დაკმაყოფილებაში, დიდ ბედნიერებად მიაჩნია, რომ მისმა შვილმა მაინც მიაღწიოს იმ საწადელს, რასაც მშობელი ეტრფოდა მთელს თავის სიცოცხლეში. ამისთანა მშობლები ცდილობენ, რომ მათმა შვილებმა მომავალში კარგი მომგებიანი და საპატიო სამსახურის ადგილი იშოვნონ. აქ აღზრდის მიზნად ჩნდება გარეგნული სიმდიდრე, ჩინები, პატივი და სხ. ბავშვის ბუნება კი აღიარებულია, როგორც რაღაც პასსიური,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც მასსა, რომლისგანაც ყველაფრის გაკეთება შეიძლება, რასაც მშობლები მოისურვებენ და საუკეთესოდ დაინახავენ. პირიქით უფრო განათლებული მშობლებიც, რომელთაც უგემნიათ განათლების ნაყოფი, დიდად ცდილობენ თავიანთ შვილებს მეტი განათლება მისცენ, ამის მიხედვით აწვდიან ბავშვებს აუარებელს ცნობებს, იმისდა მიუხედავად თუ როგორ და რანაირად შეუძლიან ბავშვებს, თავიანთი ბუნების მიხედვით, შეითვისონ ყველა ეს მიწოდებული ცნობები. აქედან ის გამოდის, რომ ბუნებრივი ინსტიკტი მშობლიურის სიყვარულისა არის მხოლოდ სურვილი შვილების აღზრდისა, რომელიც მოკლებულია გონიერ ხელმძღვანელობას, რადგანაც იგი არ ამყარებს აღზრდის დასაწყისის და მიზნის შეურყეველ შეგნებას. მშობლები, ან ისინი, ვისაც ბავშვებს აბარებენ აღსაზრდელად, ხელმძღვანელობენ ამ ინსტიკტით. თითოეული მათგანი თავისებურად ხსნის ადამიანის ბუნებას, თვითნებობით მოქმედობენ ბავშვებზე, ასწავლიან ყველაფერს მექანიკურად, წრთვნიან მათ ცხოველივით, ასხამენ ისეთს ყალიბში, რომელიც საუკეთესოდ მიაჩნიათ, ულაყებენ ტვინს ათასნაირი უსარგებლო ცოდნით, უმძიმებენ მეხსიერებას, არ აქცევენ არავითარს ყურადღებას ბავშვის ნიჭსა და მიდრეკილებას, ასაზრდოვებენ ბავშვების ვონებას შეუმუშავებელი მასალით და სხ. ჩვენც ყველანი ასე ვართ აღზრდილნი და და უეჭველია ბევრი ჩვენთაგანი თავის თავზე გრძნობს ასეთი აღზრდის შეუსაბამობას. ბევრს ჩვენთაგანს, როცა ცხოვრებაში გამოსულა, უეჭველად უგრძნია, რომ აღზრდას მისთვის მიუცია არა ის, რაც მისი ბუნება მოითხოვდა და უნიშნავდა მას, რომ ბევრი მხარე განუვითარებელი დარჩენილა, ზოგიც განვითარებულა მრუდედ, არა თან და თანობით, ზოგიც დამახინჯებულა და მცირე სარგებლობა კი, რომელიც ამ გვარ აღზრდას მოჰყვება, სრულიად ვერ გამოისყიდის იმ ბუნებრივი ძალის უთანხმოებას, რომელიც არის შედეგი ცუდი აღზრდისა. ამნაირად აღზრდილი, ახლად ცხოვრებაში შესული კიდევ კარგი თუ შეუდგება ხელახლად თავის თავის აღზრდას, და მთელს სიცოცხლეში არ განიცდის შინაგან

უთანხმოების ნაყოფს. აქ ჩვენ სიტყვას არ გავაგრძელებთ ისეთი პირების შესახებ, რომელნიც თავის სიცოცხლეში ვერ გრძნობენ ამ შინაგან უთანხმოებას, ისინი, კმაყოფილნი თავის მდგომარეობით, სამუდამოდ ზნეობრივად მახინჯად რჩებიან. იმათი მდგომარეობა კიდევ უარესია, რადგანაც ისინი მოკლებულნი არიან თავისი თავის ხელახლად აღზრდის ნიშან წყალსაც.

რა მიზეზს უნდა მიეწეროს ადზრდის ასეთი სამწუხარო შედეგები? მიზეზი, რასაკვირველია, დახავსებული აღზრდის პრინციპებშია. ამისთანა პრინციპად აღიარებულია ავტორიტეტი, რომლის შესახებაც ზემოთ გაჰკვრით მოვიხსენიეთ. ავტორიტეტის პრინციპს საფუძველი აქვს ბავშვის ბუნებრივ დამოკიდებულებაში უფროსებთან და აღმზრდელებთან. ბავშვი სუსტია, უძლურია; იმაში მხოლოდ განვითარების ნასახია. აღმზრდელები მისთვის ის არიან, რაც მას ჯერ კიდევ აკლია და რის შევსებასაც ითხოვენ ბავშვისგან, მისდა სასარგებლოდ, დარიგების სასტიკ ასრულებას. ბავშვი მიღებულია, როგორც უგუნური არსება; აღმზრდელები კი გონიერი, განვითარებული და ბრძენი არსებანი არიან. აი ამაში გამოიხატება ავტორატეტის პრინციპის შინაგანი შეუძლებლობა. აღმზრდელები წარმოადგენენ ავტორიტეტს მხოლოდ თვისი განვითარებით; მაშასიდამე ბავშვიც თავისი განვითარების კვალობაზე გამოდის ავტორიტეტად ნაკლებ განვითარებულზე და ბოლოს თავისუფალი ხდება აღმზრდელის ავტორიტეტისაგან. რადგანაც ჩჩვილი ბავშვი, ვიდრე ენას ამოიდგამდეს, იჩენს აბსოლუტურ განუვითარებლობას და შემდეგ თან და-თან ვითარდება, ამიტომ ავტორიტეტის პრინციპი მისთვის სავსებით არ გამოდგება. ავტორიტეტის პრინციპი ყურადღებას არ აქცევს ბავშვის ნებას, ის ისე ეპყრობა ბავშვს, როგორც უსულო საგანს, უმორჩილებს ბავშვს აღმზრდელის წუთიერის გულის თქმას გარეგან მიზეზებს ან მის პირად წადილს. ავტორიტეტის პრინციპი უარჰყოფს ბავშვში გონებრივს მასალას, ცდილობს კაცის განვითარებას გარედან, აწვდის ცოდნას, რომელიმე მოწოდებას, რომელიც შეიძლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა ბავშვს არც ჰქონდეს. ერთი სიტყვით წრთვნის მას ერთ-ნაირის საზომით. ეს პრინციპი ცუდია იმ მხრითაც, რომ გამოდის ისეთის მოტივიდან, რომელიც ეუცხოვება ბავშვის პიროვნებას, ამზადებს ბავშვს ისეთის მიზნისთვის, რომელიც მისი მოწოდების გარეშეა, ისეთი იდეების და მისწრაფებათათვის, რომელთაც არაფერი საერთო არ აქვს ცოცხალ სინამდვილესთან, დღეინდელ ცხოვრებასთან, ამიტომაც ავტორიტეტის პრინციპი სავსებით დაგმობილია ყველა ქვეყნის საუკეთესო მეცნიერ პედაგოგების მიერ.

ახალი პედაგოგია და აწინდელი მეცნიერება წინ აყენებს მეორე პრინციპს: ეს პრინციპია ყოველმხრივი, თავისუფალი, ინდივიდალური განვითარება ბავშვისა. ამ პრინციპის მიხედვით ბავშვის აღზრდის დროს მხედველობაში უნდა იქმნას მიღებული, რომ ბავშვი საზოგადო კაცობრიული პიროვნებაა, რომელსაც მინიჭებული აქვს ინდივიდუალური თვისება. მაშასადამე პატივისცემით უნდა მოეპყრან ბავშვის საზოგადო კაცობრიულს და ინდივიდუალურს ბუნებას, ბავშვის ბუნების გაღვიძება განვითარებას და თვით მოქმედების საქმეს. ბუნების თანახმად ნებაყოფლობით ასწავლონ ისეთი საგნები, რომელიც არ არის მოსაწყენი ბავშვებისათვის. განვითარება გრძნობის ორგანოებისა, გამაგრება მუსკულებისა, აღძვრა სხვა და სხვა გამოგონებისა, განვითარება მოთხონილებისა დაინახონ ყველაფერი საკუთარის თვალით, არ დაკმაყოფილდნენ სხვისი ცდით და მოსძებნონ პასუხი მათ მიერ აღძრულს საკითხზე საკუთარის ღონისძიებით; საზრდოება სულისა ადვილად მოსანელებელის მასალით და ბავშვის თანდათანობით წარმატება შეადგენენ უსაჭიროესს პირობებს საღის პედაგოგიისას.

ამ გვარი შეხედულობის მიხედვით ბავშვის აღზრდა სულ სხვა ხასიათს იღებს. ბავშვი აქ მთელი თავისი საზოგადო კაცობრიული და ინდივიდუალური თვისებებით, მთელი თავისი საზოგადოკაცობრიული და ინდივიდუალური სახით გამოდის აღზრდის გამოსასვლელ წერტილად, მიზნად კი საზოგადო კაცობრიული და ეროვნული იდეალია ინდივი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დუალური ტიპის სამოსელში. ბავშვი აღმზრდელისათვის არც თიხაა, რომლისაგანაც შეუძლია მას გააკეთოს რაც უნდა და არც სუფთა ქაღალდი, რომელზედაც დასწეროს რაც მოუნდება, არამედ მზა ორგანიული არსებაა, რომლის წესიერს და სრულს განვითარებას შეიძლება ან ხელი შეუწყოთ ან შეუშალოთ. განვითარების პრინციპის მიხედვით არც ერთი აღმზრდელი არ მოინდომებს ცოცხალი და მკვირცხლი ბავშვისაგან ნაცარ ქექია გახადოს, როგორც ცხვრის პატრონი არ მოისურვებს ცხვარი სულთამხუთავ მგლად გარდააქციოს. აღმზრდელი, როცა ამ პრინციპებს გაითვალისწინებს, შეუდგება თვის პრაქტიკულ მოქმედებას იქიდან, რომ შეისწავლის მოწაფის ბუნებრივს ნიჭს, მიდრეკილებას, ხასიათს და იმისდაგვარად შეუდგება მასზე მოქმედებას; ყურადღებას აქცევს ბავშვის ნიჭს, მიდრეკილებას, ავითარებს და მოაწყობს მათ ისე, რომ მოწაფე, რაც კი შეიძლება დაუახლოვდეს საზოგადო კაცობრიულს იდეალს არ აცდეს ეროვნულს ნიადაგს და არა დაჰკარგოს რა თვისი ინდივიდუალურ სახიდან.

რადგანაც აღმზრდელს სახეში არ ექნება ბავშვიდან გამოიყვანოს ეს თუ ის თანამდებობის პირი, არც უყურადღებოთ დასტოვებს ბავშვის მიერ თან დაყოლილს რომელიმი თვისებას და არც ამოფხვრის ბავშვებში ისეთს თვისებას, რომელიც მას არ მოსწონს ან არ უდგება მის ყალიბს; მეორე მხრით აღმზრდელი არ შეეცდება გააძლიეროს ბავშვში ისეთი თვისებები, რომელიც მის ბუნებას არ შეეფერება, თუ ის არსებითი არ არის ადამიანის ბუნებისათვის. აღმზრდელი არ დაუწყებს დევნას ისეთს ბავშვს, რომელშიაც შენიშნავს ოცნებობას თუ ეს უკანასკნელი მისი ბუნების თვისებაა, თუმცაღა შეიძლება ამან ხელი შეუშალოს ბავშვის საღს და ფხიზელ მოქმედებას. მაგრამ ამას აღმზრდელი უყურადღებოთ ვერ დასტოვებს და უსათუოდ მიიღებს სახეში სამუშაოს განაწილების, საკითხავ მასალისა და ბავშვისთვის საზოგადოების არჩევის დროს, შეეცდება მისცეს ამ თვისებას ახალი, გამამხნევებელი მიმართულება. იქ, სადაც ოცნებობა წარმოდგება სისუსტისა და სხეულის უძლურების გამო, აღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზრდელი ცდილობს სხეულის გამაგრებაზე. იქ, სადაც ოცნებობის დასაწყისი ღრმა და შეუკავებელ ფიქრებშია, აღმზრდელი შეეცდება ამ ნიჭს საღი საზრდო მიაწოდოს, ან უჩვენებს მოწაფეს ისეთს საშუალებას, რომ შეიპყრას გულის ზრახვანი. აღმზრდელი არასოდეს არ მიჰმართავს ისეთს ძლიერ საშუალებას, რომ ოცნებობის დროს ბავშვი ძალდატანებით გაჰოაფხიზლოს, მაგრამ თუ ამგვარი მდგომარეობა ბავშვისა გაგრძელდა, აღმზრდელი შეეცდება ისე მოაწყოს გარემოება, რომ თითონ ბავშვმა გაიფანტოს ოცნებანი და მოითხოვოს საქმე. ამავე დროს აღმზრდელი იმდენად აღძრავს მოქმედებისკენ და განავითარებს ბავშვის სხვა ნიჭთა, რომ ისინი შეადგენენ მაგარ ზღუდეს შეუკავებელი ფანტაზიის წინააღმდეგ. ბუნების კანონების გაცნობა, ზნეობრივი თვითმოქმედება, მოშორება ყველაფრის, რაც მოჩვენებით ასაზრდოებს ფანტაზიას, შემოწმება საკუთარ შთაბეჭდილებათა — დაასრულებენ საქმეს ბავშვის ბუნებისადმი ძალდაუტანებლად. ოცნებისკენ გონების მიქცევის ნიჭი შერჩება მოწაფეს, მაგრამ ვნების მაგიერ კეთილ გავლენას მოახდენს მისს ზნეობრივს მხარეზე, მოულობს ზედ მეტ პრაქტიკულ და მშრალ შეხედულობას ცხოვრებაზე, დაიცავს ზომიერებას განმხილველ გონებისა და მსჯელობის ელემენტებს შორის.

ამ პრინციპის მიხედვით პედაგოგიის მეცნიერება, ადამიანის ბუნების გადასხვაფერების მაგიერ, როგორც წინად იყო, ხდება რეალურ მეცნიერებად, ტეხნიკურ საგნად, როგორიც არის მაგალითად ბაღოსნობა, სოფლის მეურნეობა, საქონლის მოშენება და სხ. აწინდელი პედაგოგია ცდილობს ადამიანის განვითარების კანონების შესწავლას, როგორც არის მთელი მისი საზოგადო კაცობრიული თვისებებით და ნიშნებით, ადგენს წესებს ბავშვის სხვა და სხვა ინდივიდუალური თვისებათა და ვითარებათა შესასწავლად. საზოგადო კაცობრიულ და გამოცნობილ ინდივიდუალურ თვისებათა და ვითარებათა მიხედვით აწინდელი პედაგოგია ცდილობს ადამიანის განვითარების კანონების შემუშავებას. ამ აზრით პედაგოგია პირველ ხანს მაინც სისტემას დიდს მნიშ-

ვნელობას არ აძლევს. ადამიანის ბუნება თავის განვითარების მსვლელობაში უსაზღვროდ სხვა და სხვა გვარია და არც მოთავსდება სავსებით რომელიმე სისტემაში. ყოველი სისტემა, რამდენადაც ფართო იყოს იგი, მაინც უსათუოდ შეავიწროებს საზოგადო კაცობრიულს ან ინდივიდუალურს ბუნებას და ამიტომაც აღზრდაში შეაქვს ავტორიტეტის პრინციპი. პედაგოგია ბავშვის თავისუფალ და ყოველ მხრივ განვითარების საქმეში უფრთხის ერთგვარობას და პიროვნებათა ერთს ყალიბში მოქცევას. მიუხედავად სისტემების მრავალი მიმზიდველობისა, ახალი პედაგოგია პირველ რიგზე მაინც არ აყენებს სისტემას და უფრო საუკეთესოდ სცნობს პრინციპებით ხელმძღვანელობას და ამას იმ მოსაზრებაზე ამყარებს, რომ პრინციპი შემოქმედ ძალას შეიცავს, რაც არც ერთს სისტემაში არ არის, როგორც განგებ შემოზღუდულს მთელში. ამ აზრით ახალი პედაგოგია არ მიისწრაფვის გაეკეთოს რამე ადამიანისაგან, იგი პირველ რიგზე მიზანს არ წამოაყენებს, რომელსაც კაცი უნდა მიუახლოვდეს, არ ცდილობს ნიჭის შეზღუდვას, ნიჭის ერთს ფარგალში, ერთს ყალიბში მოქცევას; ის მხოლოდ გამოცდილ პედაგოგს უჩვენებს გზას, რომელსაც უნდა აჰგეს იგი განვითარების პრინციპის საქმეში და რომელიც მიილტვის ბუნების შემოქმედების ძალისკენ და ხელმძღვანელობს ამ ბუნების მიხედვით. გამოცდილი პედაგოგი ყოველგან და ყველაფერში თავისი აღმზრდელობითი საშუალებით და მოქმედებით რწმუნდება, რომ ერთად ერთი ფაქტორი აღსაზრდელ ბავშვისა ამ უკანასკნელის ბუნებაა, რომლის სავსებით შესწავლას იგი ცდილობს ყოვლთ უწინარეს.

III.

ეხლა განვიხილოთ თუ რას აძლევს მოწაფეს აწინდელი სახელმწიფო სკოლა. მთავარი ნაკლი ღღევანდელი ოფიციალური სასკოლო განათლებისა იმაში მდგომარეობს, რომ სკოლა არა თუ არ აქცევს ყურადღებას მოწაფის ინდივიდუ-

ალურ მხარეს, პირიქით შეგნებულად ცდილობს მოწაფის პიროვნების ამოფხვრას, გასრესას და დაჩაგვრას, არ აძლევს მას თავისუფლად და ფართოდ განვითარების ნებას.

ოფიციალურ სკოლებში მთელი სწავლება ისეა მოწყობილი, რომ ის არ იძლევა პასუხს ბავშვის სულის შეკითხვაზე, არ აინტერესებს და არც შეუძლია დააინტერესოს მოწაფე.

ამისთანა პირობებში მოწაფის მეცადინეობაში წამქეზებელ მოტივებათ გამოდის ან უგნური თავ-მოყვარეობა (უკეთესს შემთხვევაში) ან შიში, ან უფრო მოზრდილებისა და შეგნებულებისათვის სურვილი კარიერის შეძენისა, სიმდიდრის და პატივის მოპოვებისა. სწავლის ნიშნები, საჩუქრების და წარჩინების სისტემა ეფეთარებს ამგვარ თავმოყვარეობას. შიშს, და აგრეთვე კარიერის სურვილსაც მხარს უჭერენ, როგორც ოჯახში, აგრეთვე სკოლებშიაც. ამ სახით ოფიციალურ სკოლას არ შეუძლია სთქვას, რომ ის აწვდის მოწაფეს მხოლოდ ცოდნას და გრძნობებისა და ნების აღზრდას ოჯახს უტოვებს. ჩვენ ვხედავთ, რომ ეხლანდელი სკოლა ბეჯითად ავითარებს მოწაფეში უგნურ თავ-მოყვარეობის გრძნობას და გრძნობათა და მისწრაფებათა მთელს რიგს, რომელთაც კავშირი აქვს კარიერის შეძენასთან. რაც შეეხება ნებას, ჩვენ დავინახეთ, რომ ისეთი გრძნობა, როგორიც შიშია, ხრწნის პიროვნებას და მაშასადამე ნებასაც შლის. ნების დაშლას ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში მოწაფის მოქმედებაში თავს იჩენს არა მთელი მისი პიროვნება, არამედ ზოგიერთი მისი მხარეები და ისიც უფრო ისეთები, რომელთაც უარმყოფლობითი ხასიათი აქვს. როდესაც მოწაფე სკოლაში ეჩვევა თავისი ყურადღება, თავისი ნების ძალა შეუერთოს უგნურ თავ-მოყვარეობის და კარიერის შეძენის სურვილს, იგი ცხოვრებაშიაც უძლური ხდება გამოიჩინოს შეურყეველი ძალა იმ შემთხვევაში თუ არ შეუჩიჩხვირეს და არ შეეხეს თავ-მოყვარეობისა და კარიერის საგანს. როგორც გვგონია ამაშია ერთი უმთავრესი მიზეზი ჩვენის უძლურებისა, ჩვენი ხასიათის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სისუსტისა, მიზეზი იმისი, რომ ჩვენი აღმაფრენა, უცბად გატაცება რომელიმე საქმით, ბოლოს ოცნებად და ცარიელ სიტყვებადვე რჩება. ამნაირად ოფიციალური სკოლა იძლევა არა მარტო ცოდნას, არამედ იგი გრძნობების და ნების განვითარებასაც ემსახურება. ეს ცოდნა კი ფრიად საეჭვოა, აღზრდაც სრულიად უარსაყოფელი. ცოდნისა და სწავლის შეძენის მისწრაფებას ღრმად აქვს ფესვები გადგმული როგორც დიდის ისე პატარა ბავშვის ბუნებაში. საჭიროა მხოლოდ სარგებლობა ამ მისწრაფებით, შეკავება იმისი, რომ არ ჩაჰქრეს, არ ჩაჭკნეს. თვით ახალი ცოდნის შეძენის პროცესში არსებობს წყარო სიამოვნებისა, რომელიც მჭიდროთ არის შეკავშირებული ნების თავისუფალ მოქმედებასთან, ნების თავისუფალ გაძლიერებასთან. აქ არის ერთი მთავარი მიზეზი იმისი, რომ ოფიციალურმა სწავლებამ სკოლა ბავშვებისათვის სიამოვნების და სიმხიარულის წყაროს მაგიერ საპყრობილეთ გარდაქმნა. ამგვარი სწავლება ყველაზე უფრო ნაკლებ ეწყობა, რომ მოწაფეებში გამოიწვიოს შემოქმედებითი ნიჭის და მისწრაფების გაძლიერება, ის არც აფასებს ამას. აღმზრდელს კი მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ ახალი ცოდნის შეთვისება-შეგნების დროს უმთავრეს როლს ნებსითი. ყურადღება ასრულებს და მაშასადამე ნების გაძლიერებაც, ურომლისოდაც უკანასკნელიც შეუძლებელია. მოწაფემ აქტიურად უნდა შეიძინოს ცოდნა, როგორც მცენარის ფესვები სწოვენ საჭირო საზრდოს დედა-მიწიდან. ეს შესაძლებელია მაშინ თუ გადაცემული ცოდნა თავის თავად საინტერესო და სახალისოა მოწაფისათვის, თუ ცოდნა მოკლებულია ცოდნის გარდა სხვა გარეშე მიზნებს და შეეფერება ბავშვის ძალებს.

ამ სახით ჩვენ ვხედავთ, რომ სწავლების დროს თავისუფალი აღზრდის ძირითადს მოთხოვნილებას შეადგენს მოწაფეში ხალისის გამოწვევა ყველაფერში, რასაც კი მას ასწავლიან. მაგრამ როგორ უნდა მოვარიგოთ, რომ აღზრდას, სხვათა შორის, მიზნად უნდა ჰქონდეს გადაცემა ცხოვრებაში გამოსადეგი უსაჭიროესი ცოდნისა და დახელოვნებისა. რა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქნება მაშინ თუ ბავშვები ვერ გამოიჩენენ ხალისს იმ ცოდნის შეძენაში, რაც მათთვის საჭირო იქნება ბოლოს.

თავისუფალი აღზრდის ზოგიერთი მომხრეები ასეთს პასუხს იძლევიან ამ საკითხზე. ისინი ამბობენ, რომ შეუძლებელია ბავშვებს დამოუკიდებლად არ აღეძრას ხალისი ამა თუ იმ ცოდნის და დახელოვნების შესაძენადო. რასაკვირველია არიან ისეთი ბავშვები, რომელთაც ცხადად და განსაზღვრულად ეტყობა ეს თუ ის მიდრეკილება და ნიჭი. არიან მაგალითად ბავშვები, რომელნიც იჩენენ მიდრეკილებას მხატვრობაში, მუსიკაში. მათემატიკაში და სხ. მაგრამ ასეთი ბავშვები გამონაკლს შეადგენენ. ბავშვების უმეტესობა კი საზოგადოთ სწავლისადმი მისწრაფებას იჩენს, მათ არ ეტყობათ განსაკუთრებული მიდრეკილება რომელიმე განსაზღვრული ცოდნისკენ. ეს უფრო სამართლიანია პატარა ბავშვების შესახებ, რომელთა პიროვნება ჯერ კიდევ გაუფურჩქვნელია.

ამის გამო ჩვენ გვგონია, რომ აღმზრდელს არ შეუძლიან და არც უნდა ეცადოს ბავშვების ჩვენებას თუ რა უნდა ასწავლონ მათ. აღმზრდელს ცხადი წარმოდგენა უნდა ჰქონდეს იმის შესახებ თუ რა ცოდნაა ყველაზე უფრო საჭირო ცხოვრებისათვის. ამას გარდა მას კარგად უნდა ჰქონდეს შესწავლილი, როგორც ბავშვის პსიხოლოგია მისი ასაკის მიხედვით, აგრეთვე სული თითოეულის მოწაფისა, რომელთანაც საქმე აქვს. ასეთი გაცნობა ხელს შეუწყობს აღმზრდელს არ მიაწოდოს მოწაფეებს ისეთი ცოდნა, რომელიც არ შეესაბამება მათ განვითარებას და ძალას.

მაგრამ შეიძლება გვკითხოს ვინმემ, რა ჰქმნას აღმზრდელმა იმ შემთხვევაში, თუ მოწაფეები ვერ გამოიჩენენ ხალისს იმ ცოდნის შეძენაში, რომელიც მას ცხოვრებაში უსაჭიროესად მიაჩნია. თუ ბავშვები არ იჩენენ განსაკუთრებულ ცალმხრივ მისწრაფებას რომელიმე განსაზღვრულ ცოდნისაკენ, თუ მათში არ ჩამქრალა ბავშვის ბუნებრივი სურვილი შეიძინოს საზოგადოთ ცოდნა, ჩვენ არავითარი საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ისინი ამა თუ იმ განსაზღვრულ ცო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლნას სიძულვილით შეხვდებიან. თუ ბავშვები ხალისს არ იჩენენ რომელიმე საგნის შესწავლაში, ამის მიზეზი თვითონ ბავშვები კი არა აღმზრდელი იქმნება. ამ შემთხვევაში აღმზრდელს ან არ უყვარს თვითონ თავისი საგანი, ან არ შეუძლია ეს სიყვარული მოწაფეებსაც ჩაუნერგოს გულში, არ შეუძლია გამოიწვიოს მოწაფეებში თავისუფალი ძალა ახალი ცოდნის შესაძენად, ან აწვდის ბავშვებს ძალაზე გადაჭარბებულს მოთხოვნილებას ე. ი. ვერ შეუსწავლია ბავშვების სული და კერძოთ ნიჭი თითოეულის მოწაფისა. აღმზრდელს, რომელიც მოკლებულია გულკეთილობას, ან რომელიც ცდილობს დაჩაგროს ბავშვის პიროვნება და თავზე მოახვიოს თავისი ნება, არ შეუძლია გამოიწვიოს ბავშვის სიყვარული. მასწავლებლისადმი სიძულვილს მოწაფეები საგნებზედაც გადაიტანენ. პირიქით თუ მოწაფეები მიენდობიან მასწავლებელს, შეიყვარებენ მას, მაშინ ისინი იმ საგანსაც შეიყვარებენ, რასაც აღმზრდელი აწვდის მათ და რაც აღმზრდელსაც უყვარს. სიმპატიური გრძნობა ერთი ძირითადი გრძნობათაგანია ადამიანის სულისა. ნორმალურ ბავშვებში ეს გრძნობა არასოდეს არ მიიღებს ეფფექტის სახეს ე. ი. სიამოვნებისა თუ უსიამოვნების ცხოველ შეგნებას: ამიტომაც მას არ შეუძლია ბავშვის პიროვნებაში დეზორგანიზაციის შეტანა, იმის მსგავსად როგორც სხვა ძლიერ გრძნობებს—შიშს და ჰიპნოტიურ შთაგონებას. ამ სახით თუ ამ გრძნობასაც დაემყარება აღმზრდელი, სრულიად საშიში არ იქნება მოშალოს ბავშვის ნება. პირიქით, თუ აღმზრდელი ამ გრძნობას გახდის შუაგულ წერტილად, რომლის გარშემო თავს იყრიან ბავშვების ყველა წარმოდგენილებანი და მიდრეკილებანი, იგი დიდად შეუწყობს ხელს ბავშვის მთელი ზნეობრივი პიროვნების განვითარებას.

ამ სახით ჩვენ მიუახლოვდით იმ საშუალებათა დაფასებას, რომლითაც შეერთდებიან ბავშვის სულში მჭიდრო ასოციაციები და კავშირები.

ზემო ნათქვამიდან ცხადად ჩანს, რომ უარ ყოფილი უნდა იქმნას ყველა ის საშუალებანი, რომელნიც დაფუძნე-

ბულია ძლიერი გრძნობების გამოწვევაზე (როგორიცა: ტკივილი, შიში, უგნური თავ-მოყვარეობა და სხ.) ეს გრძნობები ადვილად იქცევიან ძლიერ აფექტებად და ამით არღვევენ ბავშვის პიროვნებას და მაშასადამე ჰშლიან იმის ნებასაც. ამავე მიზეზით ჩვენ უნდა უარ ჰვყოთ წესი ჰიპნოტიური შთაგონებისა და ბავშვის ნების დამორჩილება აღმზრდელის ავტორიტეტულ ნებასთან. ერთიც და მეორეც ჰშლის ბავშვის პიროვნებას და მაშასადამე მის ნებასაც ასუსტებს. მიმბაძველობა, როგორც ვსთქვით, თავისი თვისებით უახლოვდება ჰიპენოტიზმს, მაგრამ ნორმალური ბავშვების უმეტესობისათვის მიმბაძველობას ისეთი ნაკლულევანება არ აქვს, როგორც ჰიპნოტიზმს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში თუ ბავშვები ჰბაძავენ ისეთს პირს, რომლისადმი სიმპატიით არიან გამსჭვალულნი. მიმბაძველობა თავის თავად ვერ შეჰქმნის ბავშვის სულში მკვიდრს კავშირებს, მაგრამ მის მიერ გამოწვეული მოქმედება თუ ხშირად და დიდხანს გამეორებულ იქმნა, გადიქცევა ჩვეულებად, რომელიც, როგორც ჩვენ დავინახეთ, ერთი იმ საშუალებათაგანია, რომელიც ხელს უწყობს ამ კავშირების შექმნას.

რაც შეეხება ჩვეულებას, უნდა ვსთქვათ, რომ ეს ერთად ერთი საშუალებაა მკვიდრი ასოციატიური კავშირების შესადგენად, რადგანაც ორი სხვა საშუალება ჩვენ უკვე უარ ჰვყავით.

ამ სახით ჩვენ მივედით ძლიერ საჭირო დასკვნამდის, რომელიც გვეუბნება შემდეგს: ერთად ერთი საშუალება, რომელიც ხელთ აქვს აღმზრდელს ბავშვის ზნეობრივი პიროვნების განსავითარებლად, არის მეთოდიური გამეორება იმ საქციელისა და მოქმედებისა, რომელიც დაკავშირებულია ბავშვის სასურველ ზნეობრივს გრძნობიერებასთან და მისწრაფებასთან. საჭიროა მხოლოდ, რომ ეს საქციელი და მოქმედება თავისუფალი იყოს, საჭიროა, მაშასადამე, რომ ისინი არ მოახვიონ ბავშვს თავზე არც ტლანქ ძალდატანებით, არც უფროსის ამომფხვრელ ავტორიტეტით. მეორე მხრით აღმზრდელმა ყოველი ღონისძიება უნდა იხმაროს, რომ

ბავშვმა თავი შეიკავოს ისეთი საქციელისა და მოქმედებისაგან, რომელსაც კავშირი აქვს უარმყოფელობით ზნეობრივს გრძნობიერებასთან და განსაკუთრებით აფფექტებთან, რადგანაც ამ გზით ეს არა სასურველი მხარე მაგრად გაიდგამს ფესვებს ბავშვის სულში. ჩვენ უკვე ვცდილობდით განგვემარტა ბავშვის რომელი საქციელი შეიძლება ჩავთვალოთ თავისუფლად. ყველაფერი, რასაც ბავშვები სჩადიან, თავისუფალ მოქმედებას არ შეადგენს. თუ ბავშვი ყვირის ან ჩხუბობს - ეს არ იქნება თავისუფალი საქციელი, იმიტომ რომ ის გამოწვეულია ცალმხრივი აფფექტიური მდგომარეობით და არ გამომდინარეობს ბავშვის მთელი პიროვნებისაგან. გულგრილად რომ უყურო ასეთს საქციელს ეს იმას ეგვანება, რომ აღზარდო არა თავისუფალი ადამიანი, არამედ აფფექტების საბრალო მო ა, მომამავალი ნევრებ აშლილი სევდის ქარიანები.

ამნაირად თავისუფალი აღზრდა ბავშვის საქციელის განურჩეველ დამოკიდებულებაში კი არ მდგომარეობს, არა ისეთს თავისუფლებაში, რომ გამოიჩინონ თუნდაც ცუდი მიდრეკილებანი, არა ყოველი სურვილის ასრულებაში, სულ ერთია რაშიაც უნდა გამოიჩინოს ეს სურვილი ბავშვმა, არამედ ბავშვის საქციელის ხელმძღვანელობის ცოდნაში, რომ ძალა არ დაატანონ ნორჩს პიროვნებას, არ დაშალონ ის, არამედ ხელი შეუწყონ მის გამაგრებას და სიმტკიცეს.

რაც შეეხება სწავლებას იგივე უნდა ვსთქვათ. ბავშვებს რომ ჰქონოდათ ამ საქმეში განსაზღვრული მტკიცე სურვილები, რასაკვირველია ამ სურვილებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა იმ საკითხში თუ რა უნდა ასწავლონ მათ. მაგრამ ბავშვი იმით განირჩევა მოზრდილისაგან, რომ მისი „მე“ საკმარისად არ არის განვითარებული, და მაშასადამე მას არ ექნება მკვიდრი შეურყეველი სურვილებიც. ღღეს ბავშვს უნდა იცოდეს ღურგლობა, ხვალ ხატვა, ზეგ არითმეტიკა. ცოტაც რომ დავუცადოთ, თვითონაც არ ეცოდინება თუ რა სურს. ბავშვს გაუვითარდება ჩვეულება ერთი საგნიდან მეორეზე გადახტომისა, ხან ერთს საგანს კიდებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელს, ხან მეორეს, იფანტება და საქმეს ზერელე ეკიდება. ამ-ნაირად ბავშვებისაგან ვერ მოველოდებით ჩვენებას თუ რა უნდა ისწავლონ მათ. აღმზრდელს, თუ კი ის მთელი პიროვ-ვებაა, არ შეიძლება არ ჰქონდეს თავისი გულნადები აზრი იმის შესახებ თუ რა ცოდნას და დახელოვნებას აქვს მეტი ფასი. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ ის აწვდის ბავშვს ამ ცოდნას. მაგრამ აღმზრდელი ამავე დროს უნდა ცდილობ-დეს, რომ მიწოდებული ცოდნა ბავშვმა თავისუფლად შეი-თვისოს.

სწავლების თავისუფლება კი იმაში მდგომარეობს, რომ მასწავლებელმა დაინტერესოს მოწაფეები და შეაყვაროს მათ სასწავლო საგანი. ამისათვის საჭიროა, რომ თვითონ მასწავ-ლებელსაც უყვარდეს თავისი საგანი, უყვარდეს ბავშვებიცა და უფრო საჭიროა, რომ თვითონ ბავშვებსაც უყვარდეს და პატივსცემდენ მას. საჭიროა, რომ აღმზრდელს ჰქონდეს ისე-თი თვისება, რასაც საზოგადოთ იშვიათად ვხედავთ—ჩვენ დროში. ის უნდა იყოს საზოგადოთ სწორ-ზომიერი, საღი ნერვების პატრონი, ზნეობრივად გრძნობიერი ადამიანი, რო-მელსაც შეუძლიან ღრმად ჩაიხედოს ბავშვის სულში. უნდა იყოს კეთილი და ლმობიერი ადამიანი, რომელიც არ დაი-მონავებს ბავშვებს თავისი ავტორიტეტით. ამასთანავე მან უნ-და დაიცვას ბავშვების წინაშე თავისი „მე“, აგრძნობინოს ბავშვებს, რომ მასწავლებელში და აღმზრდელში ისინი ხედა-ვენ კარგად განვითარებულს პიროვნებას, რომელიც არ ემორჩილება მათს უხიაკობას და ჟინიანობას. მხოლოდ ამის-თანა პიროვნება უყვართ ბავშვებს და პატივსაც სცემენ მას. გარეგანის მხრით აღმზრდელი თავისუფალი უნდა იყოს, არა ნაკლებ თავისუფალი, ვიდრე ბავშვები არიან. მხოლოდ თა-ვისუფალ ადამიანს შეუძლიან მისცეს თავისუფალი აღზრდა. აღმზრდელსა და მასწავლებელს თავის საქმეში არავითარი უფროსი არ უნდა ჰყავდეს, არც მთავრობის და არც მშობ-ლების მხრით. იგი პასუხს აგებს მხოლოდ თავისი სვინიდი-სის წინაშე.

ეროვნული

მხოლოდ ამისთანა პირობებში შეუძლია მასწავლებელს გახდეს არა უფროსი ბავშვებისა, არამედ—მათი მეგობარი. თავისთავად ცხადია, რომ ამ მეგობრობაში ორივე მხარე თანასწორი უნდა იყოს; იმის და გვარად, როგორც ბავშვები წამოიზრდებიან, იმისდამიხედვით თუ როგორ განვითარდება მათი შეგნება და ნიჭი გაიგონ განზრახვა და მიზანი მასწავლებლისა, ამ უკანასკნელმაც მონაწილეთ უნდა გახადოს ბავშვებიც თავისი სწავლების გეგმაში. რამდენადაც უფრო მოზრდილი არიან მოწაფეები, იმდენად მეტი გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს მათ ხმას ამ საქმეში. მხოლოდ ამ შემთხვევაში იგრძნობენ ისინი თავისთავს თავისუფალ აქტიურ მონაწილეთ ახალი ცოდნისა და დახელოვნების საქმეში, და მხოლოდ ამ შემთხვევაში ისინი მოეპყრობიან სწავლის საქმეს სიყვარულით და სწავლებაც მხოლოდ ამ შემთხვევაში ვახდება სიხარულისა და ბედნიერების წყაროდ. ამნაირად სწავლების დროს სიმძიმის ცენტრი მასწავლებლის პიროვნებაშია. იგივე უნდა ვსთქვათ ზნეობრივი აღზრდის შესახებაც. ყველა საქმე აღმზრდელის პიროვნებაშია.

ყველაზე წინ აქ დიდი მნიშვნელობა ექნება მიმბაძველობას. თუ მოწაფეებს აღმზრდელი უყვარს, ისინიც მიჰბაძვენ მას საქციელში და, თუ ეს უკანასკნელი ზნეობრივი მოტივებიდან გამომდინარეობს, მაშინ ბავშვების საქციელიც დაუკავშირდება მათი პიროვნების ზნეობრივს მხარეს. თუ ბავშვებს უყვარსთ თავისი აღმზრდელი, ისინი მალე მიხვდებიან თუ რა საქციელი არ ესიამოვნება მას და ეცდებიან თავიდან აიშორონ ყველაფერი, რაც აღმზრდელს ეჯავრება. ზოგჯერ ბავშვებს უნდა ასწავლონ თავიანთი თანამდებობის ასრულება, მაგალ. მილაგ მოლაგება და სხ. ამ შემთხვევაში ხშირად საჭიროა მეტი სიმტკიცე. შეიძლება დაჯერებით, დარწმუნებით მოქმედება, მიზიდვა ბავშვის სულის უკეთესი მხარეებისა. საჭიროა ბავშვებმა საქმით შეიგნონ ის აზრი, რომ ყველას თავ-თავისი მოვალეობა აწევს კისერზე. ამაში დიდების მაგალითი დიდს სამსახურს გაუწევს. დეე დაინახონ ბავშვებმა, რომ დიდები დაუცხრომლად გართული არიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმეში და ისინიც მიმბაძველობით აღასრულებენ თავიანთ საბავშვო მოვალეობას.

ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს ზნეობრივი ატმოსფერის შექმნას ბავშვების გარშემო... ყველა საქციელი, რომელიც ცუდი გრძნობიდან გამომდინარეობს, ამისთანა ატმოსფერაში იმდენად შეუსაბამო იქნება საზოგადო ღირსებასთან, რაც ბავშვს გარშემო არტყია, რომ ბავშვი ადვილად შენიშნავს და იგრძნობს იმ უთანხმოებას, რომელიც უსიამოვნებას აგრძნობინებს და შეეცდება თავი შეიკავოს იმ გვარი საქცელისაგან.

ამნაირად შექმნა ზნეობრივი ატმოსფერისა, სიყვარულის და სიმპატიის ატმოსფერისა ბავშვის გარშემო, გახდე მისთვის მისაბაძავი მაგალითი, შეაყვარო თავი—აი უმთავრესი საშუალება თავისუფალ ზნეობრივ აღზრდის საქმეში. მაგრამ ეს საშუალება ყველასათვის ადვილად მისაწდომელი არ არის. რომ ისარგებლოს აღმზრდელმა ამ საშუალებით, მას უნდა ჰქონდეს ჩვენს დროში იშვიათი თვისება, რაც ზემოთ მოვიხსენიეთ.

ნების აღზრდა, როგორც შევნიშნეთ, მჭიდროდ დაკავშირებულია სწავლებასთან და ზნეობრივ აღზრდასთან. ყოველთ უწინარეს აღმზრდელი უნდა ზრუნავდეს, რომ არ ავნოს რამე ბავშვს, არ დაშალოს მისი ნორჩი პიროვნება. თუ აღზრდის საქმეში განდევნილი იქმნება ყველა საშუალებანი, რაც დაფუძნებულია ძლიერი გრძნობის გამოღვიძებაზე, ან უფროსის დამჩაგრავ ავტორიტეტზე, მაშინ ნების აღზრდის შესახებ ნახევარი საქმე უკვე გაკეთებული იქნება. აღმზრდელს დარჩება მხოლოდ განავითაროს ბავშვში ნების გამოჩენის ნიჭი. ეს ნიჭი მჭიდროდ არი დაკავშირებული ბავშვის საზოგადო ჯანსაღობასთან. ჩვენი ცხოვრების პსიხიური და ფიზიოლოგიური მხარები, გვგონია ისე არსად არ არის გადაკვანძული ერთმანეთში, როგორც ნების ჩოქმედების ძალაში. აჭის გამო ნების აღზრდა უნდა იწყებოდეს ფიზიკურად საღი ორგანიზმის აღზრდით. აღმზრდელმა უნდა იცოდეს საზოგადოთ ჰიგიენა და ბავშვისა კერძოდ, თუ მას უნდა აღზარდოს ბავშვში მტკიცე ნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიზიკური აღზრდის საგანს ჩვენ აქ არ შევეხებით, მაგრამ უნდა მოვიხსენოთ ბავშვის ცხოვრების ერთი მოვლენა, რომელიც ჩვენი ცხოვრების ფიზიოლოგიურს და ფიზიკურ მხარეთა საზღვარზეა. ჩვენ ვამბობთ აღმძვრელობაზე.. ზოგიერთი აღმძვრელობა ს.ჭ-როა, როგორც ჩვენი ორგანიზმის ისე გონებისთვისაც. ფიზიკურად და ψსიხიურად საღი ადამიანისათვის საყვარელი და ძალის შესაფერი შრომა შეადგენს წყაროს ნორმალურ აღმძვრელობისას. შეგულიანებისას. ეს აღმძვრელობა ჩვენ ყოველთვის სიამოვნებას გვაგრძნობინებს ამიტომაც ძალის შესაფერისი შრომა, რომელიც ჩვენს მიდრეკილებას შეესაბამება, არის წყარო სიამოვნებისა, კმაყოფილებისა. ნების გაძლიერება, ახალი ცოდნის შეძენა, ყველა ეს იქნება წყაროდ ნორმალურ აღმძვრელობისა; ამავე როლს ასრულებს საბავშვო სათამაშოებიც. მაგრამ უკანასკნელის შესახებ უნდა ვსთქვათ, რომ თამაშობა შეიძლება გახდეს ზედ მეტ აღმძვრელობის მიზეზად. აღმზრდელმა უნდა შენიშნოს ის წუთი, როცა ნორმალური აღძვრა თამაშობიდან იღებს გადაჭარბებულს ხასიათს. ასეთი გადაჭარბებული აღმძვრელობა არა თუ სასარგებლო არ არის ორგანიზმისათვის, პირიქით მავნებელია ბავშვის ნერვების სისტემისათვის. იგი შეასუსტებს ნერვებს. ბავშვს გამოაჩნდება ნერვების სისუსტე, ან ძლიერი მოქმედება ნერვებისა; ამასთან ერთად მისი გალეული ნერვები მოითხოვს უფრო მეტს აღძვრას, იმის ისგავსად, როგორც ლოთი კმაყოფილდება ხოლმე თან და თან უფრო მეტი მაგარი სასმელებით, რომლის შხამს აღმძვრელობითი თვისება აქვს,

თუ თამაშობა მოკლებულია ნორმალურ აღმძვრელობას და ნერვებ აშლილი ბავშვი იჭასვე გრძნობს, რასაც ლოთი მაგარ სასმელებში, მაშინ აღმზრდელის ვალია შეებრძოლოს მას; ამ მოვლენაში აღმზრდელი უნდა ხედავდეს ბავშვის არა თავისუფალი პიროვნების გამოაშკარავებას, არამედ სნეული ნერვების სისტემის არანორმალურს მოთხოვნილებას.

თავის თავად ცხადია, რომ გონიერი აღმზრდელი ამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შებრძოლებაში არ მიმართავს ისეთს ზომებს, რომელიც უფრო ხელს უწყობს ნერვების აშლას, ჰშლის ბავშვის პიროვნებას და მაშასადამე მის ნებასაც ასუსტებს. აღმზრდელი არ მოჰყვება არც ყვირილს, არც მიმართავს ძალდატანებას და არც მის მსგავსს რასმე. იგი შეეცდება ბავშვის ყურადღება თამაშობიდან სხვა საგანზე გადაიტანოს, დაინტერესოს რითიმე, რაც დაამშვიდებს იმისი ნერვების აღმძვრელობას.

სწავლებისა და ზნეობრივად აღზრდის დროს უყურადღებო არ უნდა დარჩეს ნების განვითარება. უნდა გვახსოვდეს, რომ ნება ვითარდება გაძლიერების საშუალებით, ხალისისა და საგნისადმი სიყვარულის აღძვრით და თვით მოქმედების დაცვით მოწაფეთა მხრივ.

ზნეობრივ აღზრდაში უნდა ცდილობდნენ ყოველ ზემო ნაჩვენები საშუალებით. პირველად, რომ თავისთავად თავი შეიკავონ ბავშვებმა ყოველგვარ საზოგადო საწინააღმდეგო საქციელისაგან; მეორედ ბავშვები ცდილობდნენ იმის შესრულებას, რაც თავის მოვალეობად მიაჩნიათ და საზოგადოთ ყველა იმისა, რაც ხელს უწყობს გარშემო არსებულთან კეთილ განწყობილების დამყარებას. მესამედ უნდა ცდილობდნენ ძალის შესაფერის რომელიმე ნაყოფიერ და ცხოვრებაში საჭირო შრომაში ვარჯიშობას.

ცხოვრებაში ყველაზე უსაჭიროესი შრომა, რასაკვირველია, მიწის შემუშავებაა; იგი უეჭველად უფრო საღი შრომაც არის. აი ამიტომაც თავისუფალ ბუნებრივ აღზრდის საქმეში მიწის შემუშავება, რომელიც შეიცავს ადამიანის ზნეობრივი გრძნობის, ნების და ფიზიკურად საღი ადამიანის აღზრდისთვის ბევრს ელემენტებს, ძნელია შეიცვალოს სხვა შრომით. ტყუილად კი არ ამტკიცებენ ზოგიერთი მოაზრენი, რომ მხოლოდ ის ხალხი, რომელიც ამ შრომაზეა აღზრდილი, შეადგენს საუკეთესო საწინდარს ჩვენი საზოგადო ცხოვრების მოწყობისათვის.

დასასრულ ჩვენ ვიკითხავთ, რა არის მაინც საჭირო თავისუფალი სკოლის შესაქმნელად?

გვგონია პასუხი ამ საკითხზე ცხადად სჩანს ზემო ნათ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვამიდან: პირველ ყოვლისა საჭიროა აღმზრდელები, რომელთაც შეეძლოს მისცენ ბავშვებს თავისუფალი აღზრდა და განათლება. მოძებნეთ ასეთი აღმზრელები, გახადეთ ისინიც თავისუფალნი, ჩააბარეთ თქვენი შვილები და თქვენ შექმნით თავისუფალ სკოლას. უამისოდ თავისუფალი სკოლა არ იქნება და ვერც ვერავითარი პროგრამები და მეთოდები ვერ შექმნიან მას.—

კახაბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკის პედაგოგიური აზრების მოკლე მიმოხილვა.

ყველა დიდებული ადამიანი, რომლისთვისაც ბუნებას მიუცია მაღალი ნიჭი, ნაზი გრძნობა და კეთილშობილური მისწრაფებანი, ერის საუკეთესო აღმზრდელად ითვლება. ბე-

აკაკი 1908 წ.

ლინეერია ის ერიც, რომელიც წარმოშობს ასეთს დიდ ბუნებოვან ზეგარდმო მადლით სავსე ადამიანს, რომელიც შუქურ

ვარსკვლავივით ანათებს სამშობლო ქვეყნის წყვდიადში, ანათებს მას ბნელ გზას, ამხნევებს და უნერგავს გულში ადამიანურ გრძნობებს.

პოეზიას საზოგადოთ, ისეთი ღრმა მნიშვნელობა აქვს, რომ ის არა დროს არ კვდება, იგი თანშეზრდილია ადამიანის სულთან და წარმოადგენს მისი სულიერი ბუნების უსაჭიროესს და უკვდავ ნაწილს. შექსპირი ამბობს: „უბედურია ის კაცი, ვინც უურს არ უგდებს იმ ჭანკს, რომელიც გაისმის თითოეულ ჩვენგანის სულშიო“. მართლა პოეზია თავისი ძლიერ ენით, რომელიც ადამიანს გულის სიღრმემდის სწვდება, წარმოადგენს ისეთს განსაკუთრებულ ძლიერ ნიჭს, რომელიც აფხიზლებს ადამიანს და უღვიძებს მას მიძინებულს ძალას. უბრალო, უვიცი ხალხი პოეზიის გავლენით იღვიძებს გონებით ძილისაგან, რადგანაც მასში ხალხი ხედავს თავის თავს; პოეზია ჩასძახის მას იდეალურ აზრებს, რომელშიაც იხატება ზნეობრივი სიმართლე, გამთბარი ღრმა კაცობრიული გრძნობით, რომელსაც შეადგენენ: სიყვარული, სიმხიარულე, სიმწუხარე, ჩივილი ან სამდურავი, წუხილი, იმედი, ეჭვიანობა რწმენა და სხვა, რომელიც ბუნდოვანად გაისმის ყოველ ადამიანის საკუთარ სულში, მაგრამ ყველაზე უფრო მისი გამოხატვა, დასურათება და გადაცემა მკითხველთათვის ბუნებას წილად ურგუნებია რჩეულ პირთათვის—მგოსნებისათვის. პოეტურ ნაწარმოებში გამოხატული საგულისხმიერო ჰანგები აღამაღლებს ადამიანს, კაცობრიობას, აშორებს მას გაქსუებულ ანგარებით ცხოვრებას, ხელს უწყობს მკითხველს გახდეს სასურველი წევრი. როგორც თავისი ერისა, ისე კაცობრიობისა, მართლა არსებობდეს ქვეყანაზე, თუ არსებობა ნიშნავს იმას, რომ ადამიანს ჰქონდეს უსათუოდ შეგნებული სული, ხოლო ასეთი სულის ქონება ნიშნავს კაცობრიული გრძნობის ქონებასაც, იცხოვრო ქვეყანაზე თავისთვის და სხვისთვისაც, გაინტერესებდეს თავისი მოყვასის ბედ-ილბალი, გიყვარდეს ადამიანობა იმ საზღვრამდის, რომელშიაც უნდა იყოს მოქცეული თავის თავი, შენი ოჯახი, სამშობლო, კაცობრიობა, ბუნება და ღმერთიც.

ეროვნული

ამას ქადაგებენ ბუნების მიერ მაღალის ნიჭით დაჯილდოვებული, ღვთისგან რჩეული ადამიანები, ამასკე გვასწავლის ჩვენი სახელოვანი პოეტის აკაკის ჩანგიც, რომლის მომხიბლავი ხმები გულის სიღრმემდის სწვდება მკითხველს—დაჩაგრულს იმედს აძლევს, ამხნევებს, თავის ხსნის გზას უჩვენებს და ერის მჩაგვრელს კი ისარივით ესობა გულში.

დიახ, ჩვენი დიდებული და საყვარელი მგოსანი აკაკი ჩვენი ერის გზის მაჩვენებელი, წინამძღვარი და დიდებული მასწავლებელიც არის, რომელიც ნახევარი საუკუნის განმავლობაში გზას უკვლევს ერს საუკეთესო ცხოვრებისათვის და, როგორც მაღალის გონებით, ნიჭით და გრძნობით აღჭურვილს ჩვენს საყვარელს მგოსანს უპირველესი ალაგი უჭირავს ჩვენი ხალხის მოკეთეების მკირე რაზმში...

ჩვენი მიზანია ამ სტატიაში განვიხილოთ ზოგიერთი პედაგოგიური მოსაზრებანი ჩვენის მგოსნისა. რადგანაც დღეს დღეობით სრული გამოცემა აკაკის ყველა ნაწერებისა არ მოგვეპოვება, ამიტომ მაინც ვბედავთ შევეხოთ ამ საკითხს და ვსარგებლობთ ამ ჟამად მხოლოდ ზოგიერთი მასალით. იმედი გვაქვს ამ საკითხს კვლავ დავუბრუნდებით.

I

ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ ბავშვის აღზრდა ისეთს პირობებში უნდა იქნეს ჩაყენებული, რომელიც ხელს უწყობს მისი ნორჩი გონების აღზრდა განვითარებას. უმთავრესი ამ პირობათაგანი ბუნება და მისი წიაღია, სადაც ბავშვი ხედავს მრავალ გვარ ცხოველ სურათებს, აკვირდება და სწავლობს მათ. ბუნებაში ყოველი სიტყვა ცხოველ სურათს წარმოადგენს, თითოეული გამოთქმა ცოცხალი აზრია, ბუნების ჭვრეტა და დაკვირვება ნორჩი გულის გამამტკიცებელია და შეადგენს ისეთს საღს და ძლიერს აღმზრდელობითს ძალას, რომლის გარეშე საღი და ჭეშმარიტი აღზრდა ბავშვისა შეუძლებელია. ბუნება და მასთან სოფელიც მთელს სიცოცხლეს წარმოადგენენ, იქ არის ღვთიური ნიჭი გაფანტული, იქ არის სიცოცხლე მრავალგვარი ჭირ ვარმით და სიმხიარუ-

ლით შეზავებული, იქ არის შრომა ადამიანის, შრომა სული და პატიოსანი, რასაც აღრე უნდა ეცნობოდნენ ბავშვები და პატივის ცემით, თანაგრძნობით უყურებდნენ ისეთს შრომას, რომელიც უშინსკის აზრით „არის ერთად ერთი დირსეული ბედნიერება, რაც კი ხელ მისწვდომია კაცისთვის ქვეყანაზე.“

ჩვენი დიდებული მგოსანი აკაკი ამ საკითხს არკვევს თავის „თავ-გადასავალში“ და სრულიად სამართლიანად ხსნის თუ რა გავლენა აქვს ბავშვის ნორჩს გონებაზე სოფელში, ბუნების წიაღში მის აღზრდას. ამოვწერთ სიტყვა-სიტყვით ამ ადგილს: „ეშაწვიდი, რომელიც კი სოფელში არ გაზრდილა, ბუნებაზე სრულიად მოსხლეტილია. ის არის მოკლებული უზირველესს ბედნიერებას. ქალაქში გაზრდილ ბავშვს, გეხიოსიც რომ იყოს მისი მასწავლებელი, სიტყვით და ნახატებით ისე ვერ გაცნობს ბუნებას, როგორც სოფელი იცნობს თავის საკუთარი ნახულობით. სოფელს თვალწინ უდგას ყოველთვის ბუნება, მისის სხვა და სხვა ფერობით, გაცნობილი ჰყავს ყოველგვარი ოთხფეხი, ფრინველი, ქვეშმძრომი, მწერი, მცენარე და იცის მათი ზნე და ჩვეულება; ეველა მის თვალწინ იბადება, იზრდება, იფურჩქნება, აჰყვავდება, მოაქვს ნაყოფი და კვდება,—ეველა მათგანის ჭირისა და ლხინის თანამოზიარეა და ამიტომაც ეთვისიანება მათ. რომელ მხატვრობას შეუძლია გადასცეს ბავშვს ის, რასაც სოფელში მეოფი თავის თვალით ჰხედავს? ავიდოთ, თუ გინდა, სულ უკანასკნელი: აი, მოდის მოდრეჩუნებს დედა-ლორი და მას ტეტრიალით უკან მოსდევს პატარ-პატარა ჭეიკილა გოჭები. ძუძუს ეხვეწებიან... დედა მიდის ჩრდილში სადმე და წამოგორდება მხარეაყოზე: მისცვივდებიან შვილები და მიეკაბრებიან ძუძუებს; სიამოვნების ნიშნად აქიცინებენ პატარა გადაპრეხილ კუდებს და დედაც თვალ დახუჭული დაჰხარის, დადრეჩუნებს მათ. . აგერ კრავები კუნტრუშობენ, თიკნები დახტიან... გოჭები ჭიდაობენ, კვიცები კოტრიალობენ და სხვანი—სულ მრავალ ფერობა და სხვა-და სხვა სანახაობა .. ეეურებს ბავშვი და თვითონაც გულშექნილი, ხტის და თამაშობს!. ამაებს ეველას მოკლებულია ქალაქელი“... („ჩემი თავგადასავალი“ გვ. 11—12).

საზოგადოთ ბავშვებს ძლიერ უყვართ ცხოველები, რომლებიც მათ ხშირად ამხანაგობასაც კი უწევენ თამაშობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროს. ვსთქვათ სოფელში, რაც ხშირად მოხდება ხოლმე, ბავშვი უვლის საქონელს, მცენარეს, შინაურ ფრინველებს და სხვ. გარდა იმისა, რომ ამ მოვლით ბავშვი ზედ მიწევნით სწავლობს ცხოველთა ბუნებას, ზნეს და ჩვეულებებს, სწავლობს აგრეთვე მოთმინებასაც. ვის არ შეუნიშნავს, რომ მოუთმენელი ბავშვი უდროოდ გადაშლის ჯერ გაუფურჩქვნელ ვარდის კოკორს, არ აცლის თავისუფლად გაშლას; ვის არ გამოუცდია ბავშვობაში თუ რა დიდ დროდ ეჩვენება ბავშვს მისი ქათმის კვერცხების დადებიდან, ვიდრე წიწილა გამოიჩიკებოდეს, ან თავისი ბაღის ალუბლის აყვავებიდან ნაყოფის დამწიფებამდის. აი სწორედ სოფელში, სადაც ბავშვების უმრავლესობა ამ პირობებში იზრდება, ძლიერ ჩქარა და არა მწარე გამოცდილებით ეჩვევა მოთმინებას, რომელიც შემდეგ ცხოვრებაში იფარავს მას მრავალის უსიამოვნებისაგან.

ამნაირად სოფელი მრავალ ფეროვან გონებითს საზრდოს აწვდის ბავშვს, ბევრსაც სწავლობს იგი თავის დაკვირვებით და უფრო საყურადღებო ის არის, რომ სოფელში ბავშვი შრომასაც მალე ეჩვევა, შეიყვარებს მას და ჯანსაღობითაც ხომ ქალაქელი ბავშვი მას ვერ დაედრება. გლეხის ოჯახის სურათს სოფელში პოეტი ასე აგვიწერს: „გლეხის ოჯახი დილიდან სადამამდე სულ მოძრაობაშია, საქმე არ გამოელევათ და ამიტომაც ბავშვების გრძნობა-გონება სუფთაველთვის გართულია. კაცები დილითვე ადრე მიდიან სამუშაოდ ველებში, თუ ტყეში, სადილი და სამხარიც იქ მიუდისთ და დალამებამდე ძვირად ბრუნდებიან სახლში-ქალები კი საოჯახო საქმეზე ტრიალებენ. მათ ხელშია საქონლის მოვლა, ფრინველების პატრონობა, სახლის დაგვა დასუფთავება, სადილ-ვახშმის მზადება და მრავალი სხვა საწვრილმანო რამეები. ბავშვი რომ თვალყურს ადევნებს იმათ მუშაობას, ივითონაც ძალუნებურად მონაწილე ხდება და სწავლობს". („ჩემი თავ-გადასავალი" გვ. 7).

საზოგადოდ განათლებულს ისეთს კაცს უწოდებენ, რომლის სულიერი და სხეულის ძალა წესიერად არის განვითარებული, მაგრამ ეს საზოგადო განმარტება უფრო მყვირალა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და განუსაზღვრელ ცნებას წარმოადგენს, ამიტომ ვეცდებით ავხსნათ თუ როგორ უნდა გვესმოდეს ეს განმარტება.

ყველა ადამიანი ვითარდება ერთი შეუცვლელი კანონის მიხედვით, რომელსაც თვით ადამიანის ბუნება წამოაყენებს. ეს კანონი უმთავრესად იმაში მდგომარეობს, რომ ყველა საღ ადამიანს ქვეყანაზე გაჩენის დღიდან თან დაყოლილი აქვს ნიჭი მხედველობისა, მსმენლობისა, შეხებისა, გემოვნებისა და ყნოსვისა, ან როგორც იტყვიან ხუთი გრძნობა; ამ გრძნობათა ორგანოების საშუალებით ნორჩი ბავშვი ცნობილობს ყველა მის გარშემო არსებულს საგნებს, ან იღებს მათგან შთაბეჭდილებათა, რომლიდგანაც ჩნდებიან ყველა წარმოდგენილებანი, ცნობები, ძალჯელობანი, გრძნობანი, სურვილები და სხ. ამ სახით, ყველა იმისი შეთვისებით, რაც ბავშვის გარშემოა, ვითარდება ბავშვის ძალა და ნიჭიც. აქედან ცხადია, რომ ბავშვის წესიერი განვითარება მდგომარეობს ყველა იმ შთაბეჭდილებათა შეგნებით შეთვისებაში, რაც მოქმედობს ბავშვზე და რაც მის გარშემოა.

ჩვენი დიდებული მგოსანი ღრმად დარწმუნებულია, რომ ჩვენებური სწავლა განათლება არ მისდევს ამ ბუნებრივ გზას, უხვევს მას, ღობე-ყორეს ედება და შედეგიც სამწუხაროა. აი რა ნამდილ ჭეშმარიტს და საღ პეოდგოგიურს აზრს გადმოგვცემს ჩვენი პოეტი: „ახალგაზდა ნორჩ გრძნობა გონებას ეჭირვება ვარჯიშობა მისთანა საგნებზე, რომელიც მის ახლოს, მას გარშემო არის, რომელსაც ის კარგად იცნობს და რომელზედაც, მაშასადამე, თვითონაც შეუძლია სჯა. წინაადმდეგ შემთხვევაში, როცა უმაწვილი გაუგებრად იზეპირებს, მესხიერებას ატანს ძალას, გონება უწლუნგდება და კაჭ კაჭ-თუოუუშს ემსგავსება, და ამიტომაც დღეს ჩვენ ინტელეგენტებში მრავალი ქარაფშუტაა“ („ფიქრები ბუხრის წინ“). სრული შეშმარიტებაა! რომელი ნამდვილი პედაგოგი იქნება წინააღმდეგი ჩვენი მგოსნის აზრისა თუ არა ვინმე სინდისზე ხელაღებული გარეწარი მოხელე, რომელიც მოვლენილა ნორჩი გონების დამმახინჯებლად და ერის გადასაგვარებლად.

ყველაფრის შეგნება და შეთვისება, რაც ბავშვის გარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოა, მაშინ არის შესაძლებელი, როცა ბავშვები ცხადად გრძნობენ, იგებენ მას და ითვისებენ თან-და-თანობით, საჭირო დროს განმავლობაში. სხვანაირად შეთვისებული ცოდნა ცნობები, გრძნობები და სურვილები ბუნდოვანი, უჯერო, უსაფუძვლო, ურიგო იქნება და, მაშასადამე, ამისთანა პირობებში ბავშვის მთელი განვითარებაც—უწესრიგობას წარმოადგენს. რაც ბავშვის გარშემოა, ყველაფერი ერთბაშად უწესრიგოდ ახდენს მაზედ შთაბეჭდილებებს და ისიც მხოლოდ გარეგანის სახით, თავის გარეგნობით. აქედან ცხადია, რომ სწავლების დროს თუ შეეჩერდით მხოლოდ ბავშვის გარშემო არსებულლი საგნებიდან მიღებულს გარეგან შთაბეჭდილებაზე, ბავშვს ეცოდინება მხოლოდ გარეგანი სახე საგნისა, ე. ი. ბავშვი საგანს მხოლოდ ზერელე გაიცნობს და მასთან ეს ცოდნაც მოუწესრიგებელი იქნება, მაშასადამე ამისთანა პირობებში ბავშვის ყველა ცნობებს, სჯას, გრძნობებს და სურვილებსაც არა სრული, უსაფუძვლო და ზერელე ცოდნის ხასიათი მიეცემა. ამიტომ პოეტის სიტყვები „ვარჯიშობა მახლობელ საგნებზე“ ნიშნავს ამ საგნების არა მარტო გარეგანის მხრით, არამედ ყოველ მხრით მათ შესწავლას.

ბავშვი ჩნდება ქვეყანაზე, ცხოვრობს, იზრდება თავის ქვეყანაში, თავისიანებში. იმის გარშემოა ხალხი, ცნობები, ზნე ჩვეულებანი და საზოგადოთ მთელი ცხოვრების სახე, აწმყო და წარსული, ადგილი და ყველა მისი ბუნებრივი სიმდიდრე; ყველა ეს ბავშვზე შთაბეჭდილებას ახდენს, ბავშვიც იღებს ამ შთაბეჭდილებებს თავის გრძნობათა ორგანოების საშუალებით და შემდეგ ითვისებს მათ წარმოდგენილებათა ცნებათა, მსჯელობათა, გრძნობების და სურვილების შედგენით, რაც ბოლოს შეადგენს მთელს მის სულიერ სიმდიდრეს. ამასთან ერთად ხდება ბავშვის სულიერი განვითარებაც ე. ი. თანდაყოლილი ნიჭი ვარჯიშობაშია გარეგან შთაბეჭდილებათა მიღებით და შეგნებით და ამ ვარჯიშობასაც შედეგად მოჰყვება განვითარება; გრძნობა, გონება ბავშვისა უფრო მკვიდრი ხდება, უფრო ძლიერი და უკეთ შეეძლება მას შეითვისოს შემდეგი შთაბეჭდილებანი, სწორედ ისე, როგორც

ჩვენი-მუსკულები, ჩვენი სხეულის ყველა ძალები და მთელი ჩვენი სხეული ვითარდება საზრდოობით, მოძრაობით და რომელიმე ფიზიკური მუშაობით. ყველა ჩვენთაგანმა გამოცდილებით კარგად იცის, რომ თუ ძალაზე მეტს ვსჭამთ, ან ცოტას, ან ისეთს სასმელ საჭმელს ვხმარობთ, რომელსაც ჩვენი სტომაქის მოშლა შეუძლია—ჩვენ ან ავად ვხდებით და ან ვსუსტდებით. თუ ძლიერ ავამოძრავებთ სხეულს, ან მძიმე ტვირთს ავიკიდებთ, წელს მოვიწყვეტთ; თუ ჩვენ დიდი ხნის განმავლობაში ვმუშაობთ ფიზიკურად, ან ხელს ვკიდებთ ძალაზე გადამეტებულს ფიზიკურს სამუშაოს, ძალა გაოგველდა დავსუსტდებით. ცხადია, რომ ყველა ამ შემთხვევებში და ამის მსგავს შემთხვევებში ჩვენი სხეული წესიერად არ განვითარდება; პირიქით ჩვენი სხეული მიიღებს სნეულ განვითარების სახეს. რაც სხეულს მოუვა იგივე დაემართება ჩვენი გონების განვითარებასაც, როცა გონების სავარჯიშოთ აღებულია სულიერ ძალასთან შეუფარდებელი და საზოგადოთ ურგები მასალა. რამდენია ეს ურგები მასალა, რასაც დღევანდელი დუხჭირი სკოლა აწვდის მოწაფეებს, ესეც ყველასთვის ცხადი უნდა იყოს.

მაშასადამე როგორც სხეულს, ისე ჩვენი სულიერი ძალების წესიერი და საღი განვითარება ყოველი მხრით სასარგებლო ვარჯიშობაზეა დამოკიდებული. ეს ვარჯიშობა კი მიმართული სულიერ ძალთა გასავითარებლად, როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ და რასაც დიდებული მგოსანი გვირჩევს მდგომარეობს გარეგან შთაბეჭდილებათა მიღება-შეთვისებაში, იმ შთაბეჭდილებათა, რასაც ვიღებთ ყველა იმისგან, რაც ჩვენს გარშემოა. რა არის ჩვენს გარშემო? ადგილი, სადაც ჩვენ ვიმომყოფებით და ხალხი, თავისი ზნე ჩვეულებით რომელთანაც ჩვენ ვცხოვრობთ, ათასფეროვანი ბუნება, რომელიც გარს გვარტყია. ეს ჩვენს გარშემო არსებული ცხოვრება შეადგენს ნამდვილს ბუნებრივს, შეუცვლელს და საკმაო მასალას ადამიანის ნიჭის ყოველ მხრით გასავითარებლად და, მაშასადამე, საზოგადო განათლებისთვის იმდენად საკმაოა და აუცილებელი ყველა ეს, რომ თუ ის, რაც გარშემოა მოწა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეს საკმარისად შესწავლილი არ აქვს, ვერც სხვას მასზედ უშორეს მასალას შეიგნებს თუ მეტი განათლების მიღების მსურველია და პოეტის თქმისა არ იყოს კაჭკაჭ-თუთიყუშებისა და ქარაფშუტების რიცხვი ჩვენში უფრო გამრავლდება.

დიდი მოვალეობა აწევს ამ მხრით ჩვენებურს მასწავლებლებს, თავისი ერის ზნე-ჩვეულების შესწავლა, კარგის კარგად აღიარება და ცუდის დაძრახვა, დაგმობა, გონებრივი და ზნეობრივი აღზრდის ერთს უმთავრეს პირობას შეადგენს. ამის აუცილებლობა აღწერილი აქვს ჩვენს მგოსანს ერთს გალექსილს „ნამდვილ ამბავში („გამზრდელი“), რომელსაც ავტორი უძღვნის ჩვენს პედაგოგებს. როდესაც გაზრდილი საფარ-ბეგი ჩადის უსინიდისობას, პირშაობას, არღვევს ხალხის ზნე-ჩვეულებას, გმობს იმას, „რაც ქვეყანას მიაჩნია რჯულზე უფრო უმტკიცესად“. საფარბეგის გამდლის შვილი, ბათუ სულგრძელობით აპატიებს საფარ-ბეგს იმ შეურაცხყოფას, რაც უკანასკნელმა მიაყენა მის ოჯახს, მხოლოდ იგი ავალებს საფარ-ბეგს, რაც მან უსინიდისო საქციელი ჩაიდინა უამბოს თავის გამზდელს ჰაჯი უსუპს. ჰაჯი უსუპი ნაღვლიანად მოისმენს მუხთლობის ამბავს და ბოლოს მოკვლას უპირებს თავის გაზდილს.

„მაგრამ უსუბ ეუბნება:
„შენ სიკვდილის რა ღირსი ხარ?!
სასიკვდილო მე ვარ მხოლოთ,
რომ კაცათ ვერ გამიზდიხარ!“

—

წარმოთქვა და საფეთქელში
მიიჭედა ცხელი ტყვია!..
ჩაიკეცა სულთან-მბრძოლი,
წამლის კვამლში გაეხვია“...

თუ გაზდილი ცუდი ზნე ხასიათისა გამოვიდა და შეურაცხმყოფელი იმისი რაც ქვეყანას, ხალხს წმიდათა წმიდათ მიაჩნია, ეს გამზრდელის ბრალიც არისო, გვეუბნება პოეტი მრავალ მნიშვნელობით და ამას ხალხიც ბანს აძლევს შემდეგის სიტყვებით: „ცემა გმართებს გამზრდელისა, რა ყრმა ნახო ავად ზრდილიო“.—

ეროვნული ბიბლიოთეკა

II

ბავშვების სულის და სხეულის ერთს მოთხოვნილებათაგანს შეადგენს სხვა და სხვა გვარი თამაშობა თამაშობა არის სხეულის ერთგვარი მოქმედებათაგანი. ეს მოქმედება არსებითად განირჩევა სერიოზულ სამუშაოსაგან. ყველა სერიოზულ სამუშაოს მიზნად აქვს დააკმაყოფილოს პრაქტიკულ ცხოვრების რომელიმე მხარე, მაშინ როდესაც თამაშობას არავითარი წინასწარი მიზანი არ აქვს დასახული, მაგრამ, როგორც გვამცნევენ გერმანელი ფილოსოფოსები, რომელთაც არსებითად გამოარკვიეს საკითხი თამაშობის შესახებ, იგი თავის თავად შეიცავს მიზანს, მოქმედებას და სიამოვნებასაც. ავხსნათ ეს მაგალითით. ჩვენ წინ არის კატის კნუტი, რომელსაც ეს არის სიარული დაუწყია, იმას შეხვდა წინ ბურთი, რომელსაც კნუტი აგორებს, ცდილობს ერთი ადგილიდან მეორე ადგილამდის მიაგოროს. ბურთი მიგორავს, კატაც ტან მიჰყვება. ეს პირველი ცდაა თამაშობაში. მაგრამ აი კნუტი წამოიზარდა და იმავე ბურთის თამაშობაში დაუღალავად ერთობა მთელი საათი. კატის ამ დაუღალავ თამაშობაში მოძრავ საგნებთან ზოგიერთები ხედვენ თაგვების ჭერაში პირველს ვარჯიშობას, თუმცა შეუგნებელს, და სასტიკად არჩევენ ამ ვარჯიშობას იმ მოქმედებიდან, რომლითაც კატა გამოდის შემდეგ თაგვების საჭერად უკვე განსაზღვრულის მიზნით. ამ ნაირი განმარტებით თამაშობა ისეთი მოქმედებაა, რომელსაც წინ და წინ მიზანი არ აქვს დასახული, იგი წარმოებს მხოლოდ შინაგანი ფიზიოლოგიური და პსიხიური მოთხოვნილების თანახმად მართლაც თამაშობაში, როგორც სული, ისე სხეულიც პოულობს სრულს კმაყოფილებას. ამის მიხედვით პირველი ცდა ბავშვისა მოძრაობაში, პირველი ცდა ხელ-ფეხით მოძრაობის სარგებლობაში, ბევრს მიაჩნია, როგორც პირველი ნაბიჯი, მიმართული თამაშობისაკენ. რამდენადაც ბავშვი წამოიზრდება, იმდენად მოძრაობისა და აგრეთვე თამაშობის პირველ ყოფილი ფორმა თანდათან ვითარდება და ბოლოს გადადის საკმაოდ ძლიერ მოძრაობაზე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორიც არის: სირბილი, ხტუნაობა, ცეკვა და სხ. მაგრამ, რომ კარგად დავუკვირდეთ ყველა ამ მოძრაობის არსებით მხარეს, შევნიშნავთ, რომ ეს არის შედეგი ძოზარდი სხეულის მოთხოვნილებისა. ვის არ შეუნიშნავს რა სიამოვნებით ეთამაშება აკვანში ჩაკრული ბავშვი აკვანზე დაკიდებულ ჟღარუნებს. რასაკვირველია თავდაპირველად ჩჩვილი ბავშვი შეუგნებლად ამოძრავებს ხელ-ფეხს სათამაშოთ, მაგრამ, სხეულის განვითარების მიხედვით, ბავშვს თან და თან აღეძვრება შეგნებული მოძრაობა გარშემო არსებულ საგნებთან თამაშობაში.

ბავშვების შესაქცევად მოუგონიათ აუარებელი სათამაშოები. ამაში მონაწილეობა მიუღია თითქმის ყველა ერს. ბერძნების ცნობილი ფილოსოფოსი არისტოტელი ამტკიცებდა, რომ ბავშვების აღსაზრდელად საჭიროა სხვა და სხვა გვარი სათამაშოები, უამისოთ ბავშვები ოჯახში იწყებენ საჭირო ნივთების მტვრევასაო. ფილოსოფოს არხიტასს ჟღარუნების მოგონებას მიაწერენ. დავფატერმა მოიგონა ხის აგურები შენობების ასაგებად და სხ. ჩვენი სახელოვანი პოეტი აკაკი სამართლიანად შენიშნავს, რომ ქართველების ოდენა სხვა და სხვა გვარი სათამაშო თითქმის არც ერთს ხალხს არ აქვსო, და ეთვალგვარი სათამაშოც იხეთია, რომელიც ბავშვ გონებასა და სხეულს წრთვნის, ვვარჯიშებსო". („ჩემი თავ-გადასავალი")— დიახ, ქართველებს მრავალი სათამაშოები აქვს და ძველადაც ჰქონიათ, მაგრამ დღეს ესენი სრულიად მივიწყებულია და არც ამას აქცევენ დღეს ჩვენი ახალთაობის აღმზრდელები სასურველ ყურადღებას. პროფესორმა სამოკვასოვმა, როცა მცხეთის ძველი სასაფლაოები გასთხარა, აღმოაჩინა აუარებელი სხვა და სხვა გვარი სათამაშოები ბავშვების ჩონჩხებთან ერთად; მათ შორის საყურადღებოა თიხის მტრედი, რომელსაც ცარიელ გულში უდევს რაღაც ხმის გამომცემი მოძრავი ნივთი.

როდესაც ბავშვი მიეჩვევა მის გარშემო არსებული საგნების ხმარებას, იგი თანდათან თამაშობაში ჰბაძავს სხვებს. პატარა ბავშვს აკვირვებს ფრინველის ხმა, ძაღლის ყეფა, კატის კნავილი და ისიც თამაშობაში ჰბაძავს მათ. მიაქციეთ

ყურადღება, როცა ბავშვი თავისუფლად გარბის, ამ სირბილში ის უნებლიეთ ჰბაძავს ვისმეს: მამას, ძმას, ცხენს და სხ. სადღაც კუთხეში ხედავთ პატარა ქალს დედოფლებით, იგი მათ ჰბანს, ვარცხნის, ასმევს, აჭმევს, ართობს ტკბილის მუსაიფით, ერთი სიტყვით თამაშობაში ჰბაძავს დედას, მეზობელს, ან სხვა დედაკაცს, რომელსაც ხშირად ხედავს.

ამ ნაირი მიბაძვით ბავშვი უნებლიეთ სწავლობს რასმე, შემდეგ ცდილობს განვითარებით წინ წაწევას, ბავშვის სულში ჩნდება ანალიზის მოთხოვნილება: ცდილობს სათამაშო ნივთის შინაგან მოწყობილობის გაგებას, ადგება სასტიკ გზას, ამტკრევს სათამაშო ნივთს და შემდეგ გულდაწყვეტილი შეჰყურებს დამსხვრეულ სათამაშოს და თვითონაც არ იცის თუ რად ჩაიდინა ასეთი ბოროტება.

ანალიზიდან ბავშვი ჩქარა გადადის შემოქმედებაზე. შეხედეთ ჯოხზე მჯდარ ბავშვს, რომელსაც თავისი ჯოხი მერანად წარმოუდგენია და თავისი თავი მხედრად. რაებს სჩადის, სცემს წკეპლით ცხენს, ცხენი ჭიხვინებს, მირბის, მიჰქროლავს, ყალყზე დგება, უნდა მხედარი ძირს გადმოაგდოს, მაგრამ გაუხედნელი ცხენი სამაგალითოდ ისჯება მიაქციეთ ყურადღება სხვა თამაშობასაც. ყველა თამაშობას და უფრო ქართულ სათამაშოებს თავისი წესი აქვს, რასაც ბავშვები იცავენ, მაგრამ არც ერთი თამაშობა არ არის ისეთი, რომლის დროსაც ბავშვის ფანტაზია არ მუშაობდეს. სცადეთ და რომელიმე თამაშობა მოაქციეთ სასტიკად განსაზღვრულს ფარგალში, თქვენ შენიშნავთ, რომ ბავშვებს ამისთანა პირობებში ეკარგებათ სიმხიარულე, მხნეობა და ასეთი თამაშობაც მალე მობეზრდებათ. პირიქით ყველაზე უფრო სამხიარულო ყველაზე უფრო სიცოცხლით სავსე ის თამაშობაა, რომელშიაც ბავშვებს შეაქვთ თავისი გულის ზრახვა, შემოქმედება და თვით მოქმედება. ყველაზე უფრო საყვარელიც ის სათამაშო ნივთია, რომელიც ბავშვს თვითონ თავისი ხელით, გონებით შეუქმნია. „ბავშვი თამაშობის დროს რისგანაც რა უნდა იმას აკეთებს: ჯოხი თოფად გადიქცევა, ხის ნაჭერი — ხმალადა, ჩვარი დედოფლებად და ყოველი კუთხე ქოხად“ ამბობს გიოტე. მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ მივმართოთ, ისევ პოეტის სიტყვებს: „ქართულ სათამაშოებს ბავშვები თავის ხელით აკეთებენ, მაგალითად, ტაფარიკას თვითონ გამოაჭრიან ხოლმე, შეიდგამდამდს — იკეთებენ, ბურთს თავის ხელით ამზადებენ და ეს შრომა კიდევ უფრო აუვარებს პატარა პატრონს თავის საკეთრებას! ნაუადი სათამაშოები და მუქთად ნაშოვნი ტიკინები ქალაქებში მუქთა-ხორობას აჩვევენ უმაწვილებს და უფრო უფუჭეენ ხასიათს... პატარებს უყვართ დიდების მიბაძვა და მეც რომ ხეხეულა სახლებსა და ბედელ-სასიმინდე-წისქვილებს ავაშენებდი ხოლმე, — ჩემს სიამოვნებას საზღვარი ადარა ჰქონდა. თავი მოამქონდა, რომ მე თვითონ ვაკეთებდი. აბა წარმოიდგინეთ სოფლელი ბავშვი, რომელსაც თავის ხელით გაკეთებული ბურთი ხელში უჭირავს და თავისუფლად გაჭკრავს-გამოკრავს ხოლმე ხტუნვითა და სირბილით, და შეუდარეთ ქალაქელს! იმ საცოდავს უჭირავს ხელში ძაფზე გაბმული ბუშტის ბურთი და შიშით ვედარ ინძრევა, არ გამიფრინდესო“....

აწინდელი მეცნიერება ბავშვის ფიზიკურად განვითარებაში უპირველეს ადგილს თამაშობას უთმობს, რადგანაც გონივრულად მოწყობილი თამაშობა უფრო შეეფერება ბავშვის სულიერსა და სხეულის მოთხოვნილებას. გიმნასტიკა, რომელიც ცოცხალ ბავშვებს ისედაც ეჯავრებათ, აწინდელი საუკეთესო მეცნიერების მიერ დაგმობილია. ჩვენი სასიქადულო პოეტიც მეცნიერის თვალით ზომავს და ამბობს: „გიმნასტიკა მხოლოდ ტანჯვაა ბავშვის და სხეულის ჯორჯვა. სხვა და სხვა ნაწევრებს ადამიანის გვამისას განა ერთი და იგივე მოთხოვნილება აქვს?.. მე ეგება მარტო ფეხი მინდა ვავარჯიშო და იმ დროს ხელი შევასვენო. ყველაფერს თავისი დრო აქვს, და ამ დროს თვითონ ბუნება უფრო უტეეგრად უჩვენებს. „გიმნასტიკის“ დროს კი, წინააღმდეგ ჩემის მოთხოვნილებისა, უნდა მხოლოდ სხვის ბრძანებით ვიმოძრაო. მაგალითად, მე, რაცა სირბილი მინდა, ის კამეჩურებს ერთს ადგილზე, მოშტემს ხელში მძიმე რკინებს, და, კინდა თუ არა, ხელები ავარჯიშეო... ხელოვნებას შეუძლია, რომ დაიმორჩილოს, ე. ი. დაამხინჯოს ბუნება, მაგრამ რომ შესცვალოს და თავისი სურვილით ვითომ გააკეთოსოს, არა მჯერა. აბა, წარმოიდგინეთ ერთი მხრით თავისუფალი, შველივით მონავარდე, სოფელი

ბავშვი და მეორე მხრით „დაჩანჩურებული“ ქალაქელი უმწეოდ!.. ფეხსაცმელი უწერს და მაზოლები (ბედები) სტახჯავს... გაშოსულ-ლა ტანთ-საცმელში, საძრობა ადარა აქვს, ეუბნებიან: ჭეგიანად ეცვი, რაც ჩვენ გირჩიოთ, მხოლოდ ის იკისრე შენცო!.. იმ საბ-ალოს ერთი გაკოტრიალება ქვეუანას ურჩევნია, მაგრამ განა გაბედავს, რომ ტანისამოსი დასვაროს?.. იზრდება ბრძანებით მოშავალი ჭლექი და შუბია“ („ჩემი თავ-გადასავალი“).

გარდა იმისა რომ პოეტი სრულიად უარ ჰყოფს გიმნასტიკას და მავნებლადაც მიაჩნია იგი, რაც მისივე სიტყვებიდანა სჩანს, ამონაწერიდან ის აზრიც გამოდის, რომ ბავშვს ნაძალადევად არაფერი არ უნდა მოახვიო თავს, იგი უნდა იზრდებოდეს მისი ბუნების მიხედვით, მაშასადამე „რაც ჩვენ გირჩიოთ, მხოლოდ ის იკისრე შენო“ ეს ნიშნავს ბავშვში ბუნებრივი ძალის განვითარების წინააღმდეგობას, ბავშვის სულიერი და ხორციელი ძალის ტანჯვას, რასაც სასტიკად ეწინააღმდეგებიან ყველა „თავისუფალი აღზრდის“ მოტრფიალენი.

აუარებელ ქართულ სათამაშოებში ზოგი ისეთია, რომელსაც სიმბოლიური მნიშვნელობა აქვს, მაგალითად „ქორობია“, ზოგი ისეთები, რომელიც ავითარებს ბავშვში თვითმოქმედებას, სიმკვირცხლეს, ფიზიკურ ძალას, ამხანაგურ გულითადს განწყობილებას. აბა, რომელი გიმნასტიკა შეედრება „ბურთობასაო“ — ამბობს პოეტი — ბურთობის დროს თვალი, ხელი, თავი, ტანი და ეოდიფერი თანასწორად ეჩვევა სიმარდესო“.

იმ სათამაშოებს, რომელიც გონებას უვითარებს ბავშვებს, ეკუთვნიან ისეთებიც, რომელიც თავისი ხასიათით, პრაქტიკულ ცხოვრების მოთხოვნილებასთან ახლოს არის. ამ ჯგუფში მოექცევა ისეთი სათამაშოებიც, რომელიც ასწავლიან ბავშვებს ანგარიშს, სახლების აგების წესებს, სიმღერას, კეთილ მიდრეკილებაში გაჯიბრებას და სხ. ეს ისეთი სათამაშოებია, რომელით სარგებლობას ჭლატონის დროიდანვე ურჩევენ პედაგოგებს ბავშვის ბუნებრივი ნიჭის, გონება მახვილობის და ხასიათის შესასწავლად. Pro patria est, dum ludere videmur ამბობდენ რომაელები ე. ი. ჩვენის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაშობით სამსახურს ვუწევთ სამშობლოსაო. მეორე მხრით ეს ისეთი სათამაშოებია, რომლითაც სხვა ქვეყნებში პედაგოგები არისტოტელის დროიდანვე სარგებლობენ, რომ იმათი საშუალებით გზა გაურკვიონ ბავშვს ამა თუ იმ მხრით, ადრევე ჩაუნერგონ გულში სიყვარული ამა თუ იმ საქმიანობისა და თან და თან მოამზადონ ბავშვები მომავალ ცხოვრებაში სამუშაოდ.

არის აგრეთვე საზოგადოებრივი საბავშო სათამაშოები, რომელშიდაც მრავალი ბავშვი იღებს მონაწილეობას, თავის ამხანაგებთან ურთიერთობა იძლევა ნაყოფიერ ზნეობრივს საზრდოს, სერიოზულად აცხოველებს გონებას, აკეთილშობილებს და აახლებს მას. ეს ურთიერთობა ამხანაგთა შორის შეადგენს ბავშვის აუცილებელს მოთხოვილებას. თავის ამხანაგებთან ბავშვი ისე გრძნობს თავს თითქოს ის იმყოფებოდეს ნათესავების, ძმების წრეში. ამხანაგებთან ურთიერთობაში და მათთან გაჯიბრებაში ბავშვის გონებას სამუშაო არ გამოელევა. ტყუილად კი არ ამბობენ, რომ სიცოცხლე სიცოცხლით აღიგზნებაო, როგორც ალიალისაგან ამ გამაცოცხლებელ სკოლაში ბავშვი იძენს გამოგონების ნიჭს, გონება მახვილობას, გამბედაობას; აქვე იძენს ბავშვი ზრუნვას საზოგადო ინტერესების შესახებ და განიმსჭვალება მისდამი პატივის ცემით, აქვე იკვანძება ძმობა-მეგობრობის სიმპატიური კავშირი, აქვე ეჩვევიან წესიერებას, დაკვირვებას, სწრაფ-აზროვნებას, მესხიერების სიმტკიცეს, გონება მახვილობას, სიმკვირცხლეს, სივრცე-სიფართოვის თვალით გაზომვას და სხვათა.

ასეთი ღრმა პედაგოგიური მნიშვნელობა აქვს საზოგადოთ ბავშვების თამაშობას, რომელიც სრულიად მივიწყებულია ჩვენში და რასაც ჩვენი დიდებული პოეტი სიმწუხარით აღიარებს.

III

ერთი მთავარი საკითხი პედაგოგიაში არის თუ როგორ უნდა მოეპყრას აღმზრდელი ბავშვს. აქვს ადგილი ბავშვის

დასჯას თუ სრულიად განდევნილი უნდა იქმნას ეს უძლური საშუალება. ყველგან და ჩვენშიაც ძველად ასე იყო, რომ იშვიათი ბავშვი დარჩებოდა დაუსჯელად სიყმაწვილეში. ამას მაშინდელი შეხედულობით ამართლებდენ: ბავშვს შიში უნდა მისცე, „შიში შეიქმს სიყვარულსაო“, და რამდენადაც მეტს სასჯელს მიაყენებდნენ ბავშვს, ეგონათ მით უკეთესი ადამიანი გამოვაო. მართალია ამგვარმა შეხედულობამ თავისი დრო და ჟამი უკვე მოჭამა, მაგრამ არ შეგვიძლია მაინც დამშვიდებით ვსთქვათ, ვითომ დღევანდელ აღმზდელებში ყველა გაბსკვალული იყოს ახალის აზრებით და იდეალებით და ზოგჯერ მაინც არ მიმართავდეს ისევ ძველებურს მამაპაპურს წესს ბავშვის აღზრდაში. საკითხი ბავშვის დასჯის შესახებ აწინდელს მეცნიერებაში საკმაოდ გარკვეულად მიგვაჩნია. მეცნიერები და საუკეთესო პედაგოგები ბავშვის დასჯას უარს ჰყოფენ, როგორც ყოველის მხრით გამოუსადეგარსა და მავნე საშუალებას. დასჯას სოზოგადოთ არავითარი სასურველი შედეგი არ მოჰყვება და ამიტომ მიზანსაც ვერ აღწევს. ენერგიული ბავშვის მხრით დასჯა წინააღმდეგობას გამოიწვევს, რომელსაც თან მოჰყვება თავ-ნებობა, სუსტი ენერგიის პატრონს დასჯა გარეგნულად დაამშვიდებს, მაგრამ გულში მაინც ჩარჩება მტრობისა და ბოროტობის დაფარული გრძნობა, რაც ყოველ შემთხვევაში უარესია, ვიდრე ბავშვის ეშმაკობა და ცელქობა. ასე თუ ისე დღევანდელ სკოლას მაინც ჯერჯეროობით მთლად ხელი ვერ აუღია ბავშვის დასჯაზე და ამ მხრით დიდად საყურადღებოდ მიგვაჩნია ჩვენი დაუღალავი მოღვაწის სასიქადულო პოეტის აკაკის წერილი აზრი, წმინდა მეცნიერული შეხედულობა იმაზედაც, თუ როგორ უნდა მოეპყრან აღმზდელები და მშობლები პატარა ბავშვებს.

მწარე ნიღვლიანი სიტყვებით მოგვითხრობს პოეტი თავის „თავ-გადასავალში“ იმ ამბავს თუ როგორ სტანჯავდენ საცოდავ ბავშვებს უდიერი აღმზრდელები ცალკე უხერხულო სწავლებით, ცალკე ცემა-ტყეპით. და უგულო მოპყრობით: „წარმოიდგინეთ 7—8 წლის ბავშვი დილის შვიდი საათიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაშუადღევის ორ საათამდე მშიერ-მწყურვალი, და მაშინ იგრძნობთ, თუ რა ტანჯვაში იყვნენ ის საწყალები. ზოგს გულს ეფრებოდა, ზოგს თავ-ბრუ ეხვევოდა და ეტეშოდა ძირს, მაგრამ ეურადღებას არავინ აქცევდა".

დღევანდელ პირობებში მართლა გულ ასამღვრევ სურათებს გვიხატავს პოეტი თუ რა აუარებელი სასჯელი იყო სკოლაში შემოღებული. „წკეპლა" სტოროჟებს ურმებით მოჰქონდათ ყოველ დღე ახალ ახალი. მოსწავლის გალახვა ყველას შეეძლო დირექტორიდან დაწყებული „სტოროჟებამდე". მიზეზს არავინ კითხულობდა. ვინ იცის რამდენი დასნეულებულა, რამდენი დამახინჯებულა, და რამდენს კიდევ ხასიათი გაფუჭებია საუკუნოთაო, ნაღვლიანად იგონებს პოეტი ბავშვობის დროს. ვერც ჩვენი საყვარელი მგოსანი გადარჩენია სკოლაში გამეფებულს სენს, სახაზავი დაუკრავთ და ეს სურათი ისე აღბეჭდილა პოეტის გონებაში, რომ გულიდამ დღემდინაც ვერ გადაუგდია. „წერაში ხელი გამიფუჭდა და დღესაც კიდევ გაურკვევლად ვწერ, ვინც ჩემ ნაწერებს დახედავს, გაუკვირდება, რომ ზოგან კარგი ხელია და ადგილ-ადგილ კი ნაჯდაბნი და გაუგებარი. ეს მაშინ შემართება, როცა ინსტიკტურად მაგონდება ხოლმე მაშინდელი ჩემი ტანჯვა. ეს შემთხვევა რა გასაკვირველებელი იყო, მაგრამ ჭეშმარიტად ვამბობ, რომ მშობლებმა და მასწავლებლებმა იგულისხმონ, თუ რა ძნელია სუთუ ბავშვებთან სასტიკად მოპყრობა და რა შედეგი მოჰყვება ხოლმე."

საყვარელი პოეტის სიტყვებმა მოგვაგონა ერთი ეპიზოდი რუსსოს ცხოვრებიდან. „ემილის" ავტორი გულ ამღვრევით იგონებს თავის ბავშვობის დროს, როცა მასწავლებელმა უმიზეზოდ სცემა. ამ ამბავს, შეურაცხყოფის მიყენებას რუსსო იგონებს ორმოც და ათი წლის შემდეგ და აღელვებულად ამბობს: „ის წუთიო—ამბობს რუსსო— არ გაჰქრება ჩემის მეხსიერებიდან თუ გინდ ათი ათასი წელიც ვიცხოვროვ".—დიაღ, ბავშვების ცემა ტყეპა აღმზრდელის უძლურების და უმეცრების ნიშანია და ყველა გულითადი აღმზრდელი უნდა ერიდებოდეს ბავშვებთან ასეთს მოპყრობას.

ერთს პატარა საყმაწვილო მოთხრობაში („პატარა ტა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიელი"; ჩვენს საყვარელ მგოსანს გამოყვანილი ჰყავს ტიპი ლირსეული აღმზდელისა, რომელიც „ცდილობს ნორჩი მოწაფეების გულში კეთილი სურვილი აღძრას და ახალგაზდობა სწორ გზაზე დააყენოს". ამისთანა განწყობილება მოსწავლისა და მასწავლებელს შორის შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა აღმზრდელს და მოწაფეს შორის ნამდვილი მეგობრული კავშირი არსებობს. მხოლოდ ამ პირობაში შეუძლია მოწაფეს თავისი გული გაუხსნას მასწავლებელს და შეგ ჩაახედოს, მხოლოდ ამ პირობაში შეუძლია მასწავლებელს მეგობრულის რჩევა დარიგებით კარგს გზაზე დააყენოს გზა დაბ ეული მოწაფე, უწინამძღვროს მას და გახდეს მოწაფისათვის ნამდვილი გზის მაჩვენებელი. „მასწავლებელი სიმტკიცდობით და მამაშკიდურად ექცეოდა მოწაფეს. დიტო (მოწაფე) ავსებდა მის ეურადღებას, სულით და გულით უეკვრდა მხოლოთ ის ერთათ-ერთი კაცი და რომ გაღაეხადა რითიმე მისი სიკეთე, მის საგანს საუტხოვოთ სწავლობდა, მაშინ როდესაც სხვებისას ეურადღებასაც ადარ აქცევდა. ბევრჯელ საკმაო იყო ხოლმე იმ მასწავლებლის ერთად ერთი ალერსიანი სიტყვა, რომ გაბოროტებული დიტო კარგ გუნებაზე დაეყენებია. — ერთ სადამოს დაიბარა სახლში; დიტოც, რასაკვირველია, სიხარულით მივიდა მასთან. მასწავლებელი ისე კი არ დაუჩოდა ბატარა სტუმარს, როგორც უფროსი უმცროსს,—ამხანაგურთ მიიღო, მოისვა გვერდით და იმდენი ელაპარაკა სხვა და სხვა საქმეებზე, რომ სულ დაავიწყდა ბავშვს თავისი ვინაობა. ბატარა სტუმარმა წარმოიდგინა, რომ ჩემ ტოლ შეგობარს ვუზიავარ გვერდითო, გაიხსნა ნელ-ნელა გული და თითო კაკლათ უამბო თავისი თავ-გადასავალი".

საყურადღებოა ისიც თუ როგორ გულ დასმით, ოსტატურად უხსნის მასწავლებელი მეგობრულ ლაპარაკში მოწაფეს მის „კუდაბზიკობას". აქ სიტყვას არ გავაგრძელებთ და ვურჩევთ მსურველთ თვით წაიკითხონ ეს მოთხრობა, ვიტყვით მხოლოდ, რომ პატარა მოწაფე მთლად გამოაფხიზლა მასწავლებლის მეგობრულმა რჩევამ, ჭკუაში მოუვიდა მასწავლებლის დარიგება, „აღტაცებით ისმენდა მოძღვრის სიტყვებს და ტანში რალაც უჩვეულო, სანეტარო ერუანტელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულლიდა". გათავდა იმით, რომ „ერთმა წამმა შესცვალა სამარადისოთ დიტოს ბედი, სასიკეთილოთ თავგადადებული ბავშვი გამობრუნდა, გამოცოცხლდა და გაუსვა სწავლას ხელი". —

ყველა ადამიანში და მით უფრო ბავშვების სულში მოიპოვება კეთილ-შობილური გრძნობები, აღმზრდელის მოვალეობაა ამ გრძნობათა გამოწვევა მოწაფეში და მათი კეთილ გზაზე წარმართვა, ამას ახერხებს ჩვენი მგოსნის მიერ დასურათებული ტიპი მასწავლებლისა და ეს ტიპი იდეალურად უნდა მიაჩნდეს ყველას, ვისაც ახალთაობის ბედ-ილბალი აბარია. —

IV

ვინ არ იცის რა უნუგეშო მდგომარეობაშია ჩვენში ქალების აღზრდის საქმე. ქალი, მომავალი დედა, ოჯახის ბურჯია, მაგრამ ისეთი ბურჯი, რომლის ხელშიაც იზრდება შვილები, მომავალი თაობა. რომ დედას უფრო მეტი გავლენა აქვს შვილზე, ვიდრე მამას ამას დამტკიცება არ უნდა. „რატომ ვჩანვარ მე შენ თვალშიო"?. — ეკითხება მუხლზე მჯდომი პატარა ბავშვი თავის დედას. „იმიტომ, რომ შენ ჩემს გულში ზიხარ და იქიდან გამოიცქირებიო", უპასუხებს დედა. მართლა განა შეიძლება დედაზე უფრო სხვა ვინმე უყვარდეს ბავშვს, ან შვილზე უფრო სხვა უყვარდეს დედას, თუ ეს უკანასკნელი გონებით და გრძნობით მახინჯი არსება არ არის? ყოველთვის დედის სიტყვებში, დარიგებაში მეტი სიყვარულია, ვიდრე მამისაში. ამით აიხსნება ის ნაზი და ღრმა პატივისცემით გაჯსჭვალული მოგონებანი, რომელთაც უკანასკნელ წუთამდის თან ატარებენ ყველა დიდებული და სახელოვანი პირები თავიანთ აღმზრდელ დედების შესახებ. დედ-პირველი და საუკეთესო აღმზრდელია შვილისა. ყველა დიდებული ფილოსოფოსები აღიარებენ დედის აღზრდის უპირატესობას. „თუ გინდა ბავშვს ასწავლო, ჯერ დედას უნდა ასწავლო". ქალებში განათლების გავრცელება იმათი ცოდნით ალ-

ჭურვა, განვითარება ქალების გონებისა და ხასიათისა ... ველესი ამოცანაა ყველა ერის ცხოვრებაში. ჩვენებური ანდაზა „როგორიც ბერი ისეთი ერიო“ ითქმის დედაზედაც როგორიც დედაა — შვილიც ისეთია. ყველა დიდებულ პირებს, ვისაც კი ასე თუ ისე კარგი სახელი მოუხვეჭიათ ამ ქვეყნად, დიდებული დედებიც ჰყოლიათ. „მე ვისურვებო — ამბობს რუსეთის ცნობილი პედაგოგი უშინსკი — რომ დედამ თვითონ გამოცადოს ის ღრმა სიამოვნება, რასაც იძლევა დედის მიერ შვილის სწავლება და განვითარება, რომ მან ეს სიამოვნება სხვას არ დაუთმოსო“. — „თუ თქვენ ხუთ ქალს გაზდით, სულ ერთია ვითომ 25 კაცი გაგეზარდოს, რადგანაც ამ თქვენ გაზდილ ქალებს შვილები ეყოლებათო“ და სხ.

ჩვენი სახელოვანი პოეტი აკაკი არც ქალების აღზრდის საკითხს სტოვებს უყურადღებოთ. რომ მკითხველმა ნათლად დაინახოს ჩვენი საყვარელი მგოსნის შეხედულობა ამ საგანზე, აქვე მოვიყვანთ პირდაპირ მის აზრს:

„სახლი როგორც უნდა განათლდეს ელექტრონის სხივებით, თუ ოჯახში საკუთარი ტეტხლი არ ანთია და კერა გაცივებულია, სითბო არ იქნება. რაც უნდა განათლებულნი იყოს ჩვენი ქალები, თუ საკუთარ ნიადაგზე ფეხი არ უდგიათ, ჩვენთვის ეფფექტივის უნაყოფო და გამოუსადეგარი იქნებიან!.. ანა რა ქართველ ქალობა უნდა განწიოს იმან, ვისაც „ქრისტე ადსდგაც“ კი ვერ ეხერხება რომ ქართულადა სთქვას; ეველაფერი იცის გარდა თავის ქვეყნისა; მარაოს იწერს ხელში, რომ მუნჯურად აალაპარაკოს და ნეკნის ადება კი არ შეუძლია, რომ შვილს ბერანკი გაუკერონ!.. — დიში ქაშისაგან ვერ გაურჩევია და შვილი სათმაშო დედოფალა (კუკლა) ჰგონია? ცხადია, რომ დღევანდელი ჩვენი ქალები, ძველ ქართველ ქალებთან, იმ ნამდვილ დედებთან, მისატოლებელი კი არა, სახსენებელიც არ არიან. საჭიროა, რომ ტოტალი მიინც მივამსგავსოთ ძველებს და ისეთი სასწავლებელი დავარსოთ, რომ ნაკლი შევუვსოთ.

— „ჯერჯერობით დღევანდელ მოთხოვნილებისა — დაკვალად თავის შვილების გამოზდა, მომზადება სხვა და სხვა სახელმწიფო სასწავლებელში მისაღებად ოჯახშივე შეეძლოთ დედებს, სხვაგან გაუბარებლად. წარმოიდგინეთ ერთის მხრით სოფელში მშობლებისაგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომზადებული ათი წლის ბავშვი და მეორით ათი თერთმეტი წლისა-ვე მეორე უმაწვილი, სხვაგან გაბარებული მოსამზადებლად, დედის კალთას მოშორებული, უცხოების ხელში!.. ერთი სუფთაც და ხორცითაც მთელი იქნება და მეორე კი გატეხილი, დაკნინებული და ნადრიბა! ბირველი, რასკვირველია მეტს აიტანს შრომას, სადაც უნდა იყოს, უფრო მალეც შეეგნებს ყოლიეერს და დაწინაურდება. ეს ისეთი ცხადია, რომ ამაზე ბევრი დაპარაკი საჭირო აღარ არის, და მხოლოდ ერთხელ კიდევ გავიმეორებ, რომ დღევანდელი ჩვენი უვარგისობა დამახინჯებული აღზრდის ბრალია, რომელსაც მომავლისთვის ბოლო უნდა მოეღოს.

ქალები! ქალები!! და კიდევ ქალები!!! ჯერ ისინი უნდა დავაყენოთ დედისა და კაცის სასიამოვნო და სასარგებლო გზაზე, რომ მერე იმათაც გამოგვიზარდონ ნამდვილი ქართველები და არა მისთანა უსაქმური და მხოლოდ წარა ძარად მოქალაქე თავხედი კუდაბზიკები, რომელთაც არც უხნავთ როდისმე, არც უოესიათ და მხოლოდ „უდრეოთ და უდგილოთ ნამგალს სხვის კალთაზე ატრიალებენ და „ჭოჭუნას“ ნაცვლად „ჭკა მაგასო!“ იძახიან და უთითებენ იმათზე, ვისაც მართლა რამე უმუშავნიათ და დგაწლი მიუძღვისთ!..

როდესაც ეს სტრიქონები პირველად დაიბეჭდა, ზოგმა ჩვენმა ქარაფშუტა, ვითომც და მოღვაწეებმა მორთეს განგაში და მოჰყვნენ თავისებურ დასკვნას—აკაკი იდეალს წარსულში ეხედავს და, წინმსვლელობის მაგიერ, უკან დახევას გვიქადაგებსო. ბედაგოგიურის და ბეშმარიტების თვალსაზრისით, რომ განეხილათ აკაკის აზრი ყველა იმ დასკვნამდის უნდა მისულიყო, რომ ხალხის განათლებას თუ საფუძვლად ეროვნული ნიადაგი არ აქვს, თუ ამ განათლებას და თავის ცხოვრებას ერი წარსულზე არ ამყარებს, აწმყოზე არ ზრუნავს და მომავალზე არ ფიქრობს, ის გადაშენების გზაზეა და ვინც ამ გზას ადგას იმათ შესახებ პოეტი სამართლიანად ამბობს:

„გადაგვარების მოსურნე ბუნებისაგან კრულია,
მისი პირადი ღირსება ყოველგან დაჩაგრულია.“

ლ. ბოცვაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლ. ნ. ტოლსტოის პედაგოგიური აზრები.

რუსეთის შესანიშნავ მწერალს ლ. ნ. ტოლსტოის, რომელსაც წელს შეუსრულდა 80 წელიწადი, პედაგოგიურს მწერლობაშიაც თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. ტოლსტოი არის თავისუფალი აღზრდის მოტრფიალე და მიმდევარი. თავისუფალი აღზრდა ბავშვისა ისეთი საკითხია, რომელიც არ დაუ-

ლ. ნ. ტოლსტოი.

ტოვებია უყურადღებოდ არც ერთს ცნობილს მეცნიერს და ფილოსოფოსს, მაგრამ რუსეთში პირველად ტოლსტოიმ აღიარა „თავისუფალი აღზრდის“ იდეა, ტოლსტოი თავ-გამოდებით იცავს ბავშვის პიროვნებას, იძლევა განსაზღვრულ ფილოსოფო-პედაგოგიურს თეორიას, რომელიც დაფუძნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულია ბავშვის პიროვნების პატივის ცემაზე. მართალია ლ. ტოლსტოის პედაგოგიურს პრინციპებს ზოგი მოწინააღმდეგეც ჰყავდა, მაგრამ დღეს რუსეთში ყველა თავისუფალი აღზრდის მომხრენი ტოლსტოის პრინციპებს სწავლა აღზრდის საქმეში საფუძვლიანად აღიარებენ და ამაზე ცდილობენ ააგონ რუსეთში თავისუფალი აღზრდის შენობა.

სამოციან წლებში ლ. ნ. ტოლსტოიმ მიატოვა უნივერსიტეტი წავიდა თავის სოფელში და შეუდგა გლეხის შვილების აღზრდას. მაგრამ იასნო პოლიანსკის სკოლა დღეგრძელი არ გამოდგა. ტოლსტოის ხელს უშლიდა სხვა და სხვა გარემოებანი, ამის გამო იძულებული გახდა გაშორებოდა თავის სოფელს დროებით და მხოლოდ ათი წლის შემდეგ, დიდებული მწერლის სახელით, უბრუნდება ისევ თავისი იდეების განხორციელებას. ტალსტოის ისევ იზიდავს სკოლა და ბავშვებისადმი მხურვალე სიყვარული, მაგრამ ძის ავადმყოფობამ, როშელიც იმ დროს საზღვარ გარეთ იყო სამკურნალოდ წასული, ხელი შეუშალა შესდგომოდა ეხლა თავისი აზრების განხორციელების საქმეს. ტოლსტოი მიდის საზღვარ გარეთ, მოგზაურობს ევროპაში—გერმანიაში, ინგლისში და საფრანგეთში, ეცნობა სკოლის საქმეებს, საუბრობს ადგილობრივს საუკეთესო პედაგოგებთან. დაბრუნდა თუ არა რუსეთში ტოლსტოიმ დაუყონებლივ მხურვალედ მოჰკიდა ხელი სკოლის საქმეს. მასწავლებლობდა თვითონ. იგი არ კმაყოფილდება მარტო სკოლაში მუშაობით, იწყებს პედაგოგიური ჟურნალის გამოცემას და ამცნევს მკითხველებს თავისს გამოცდილებისა და დაკვირვების შედეგებს.

იმ დროს ახალი ცხოვრების განთიადიც ამობრწყინდა. თავისუფლების პირველმა სხივმა თავი ამოჰყო ცისკიდურზე, გაჰფანტა წყვდიადით მოცული არე-მარე და გააშუქა ბნელი მხარე. ბატონყმობის მძიმე უღელი იმსხვრევოდა. ცხოვრებამ უფლების ძალით წამოაყენა საკითხი გლეხთა სულიერად განთავისუფლების შესახებაც. ამ მაზნისადმი მისაღწევად ერთად ერთ საშუალებად სკოლების გამრავლება და სწავლების მოწყობა იქმნა აღიარებული. ტოლსტოი იცავს „თავისუფალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწავლების“ იდეას. იგი დაუცხრომელი მტერია ყოველგვარ ძალ მომრეობისა და სიცრუისა. ლ. ნ. ტოლსტოი სამართლისა და ხელშეუშლელობის პრინციპებზე აგებს სკოლაში სწავლების საქმეს. მისი სისტემა მარტივი და ცხადია. „ნუ ჩაქრობთ ბავშვებში ცხოველ სულს“. ჩვენ ჩვენს იდეალს წინ შევყურებთ, როდესაც იგი ჩვენს უკან არისო, ამბობს ტოლსტოი. ბავშვობის ასაკი წარმოადგენს გარმონიის პირველ სახეს. ბავშვებშია ყველა დიდებული დასაწყისი სიმართლისა, სიმშვენიერისა და სიკეთისა, ამიტომ ყოველ გვარი ხელის შეშლა მის განვითარებაში იქნება მოზარდი სულისადმი ძალდატანება და მისი დამახინჯება.

ლ. ნ. ტოლსტოის სკოლაში მოწაფეებმა არ იცოდნენ რას ჰქვიოდა „გაკვეთილები“, იმათ გაკვეთილებს არ აძლევდნენ, არ ეუბნებოდნენ „აქედან აქამდის დაისწავლეთო“, ბავშვები მოდიოდნენ სკოლაში და მიდიოდნენ სახლში, როცა მათ სურდათ, ყურს უგდებდენ იმას, რაც მათ აინტერესებდათ და მოსწონდათ. ჩვენ არ შეგვიძლია არ მოვიყვანოთ აქ ტოლსტოის ნაწერებიდან ერთი ადგილი, რომელიც ცოცხლად აქვს დასურათებული დიდებულს მწერალს. მეორე თუ მესამე გაკვეთილის შემდეგ, ნასადილევს, ორი თუ სამი ბავშვი შემორბიან ოთახში, იღებენ ქუდებს და აპირებენ სახლში წასვლას. „რა ამბავია?—შინ მივდივართ.—„სწავლა?—ეხლა გალობაა“!—ბავშვები ამბობენ შინ წავიდეთო, დაუმატა ერთმა ბავშვმა და თან მოემზადა გამძვრალიყო.—როგორ იქნება ასე?—ჰკითხავს განცვიფრებული მასწავლებელი. დარჩით!!! მაგრამ ამ დროს ოთახში შემოვარდება სხვა ყმაწვილი ანთებულის, ნაღვლიანის სახით „რაღას სდგეხარ?—გაჯავრებით ეუბნება დაკავებულს ამხანაგს: ბავშვები აი სად არიან, სამჭედლოს მიუახლოვდნენ“.—წავიდნენ?—„წავიდნენ“. ორნივე ფიცხლავ გამორბიან კლასიდან და კარებიდან იძახიან: მშვიდობით ივანე ივანეს ძევ! ან ვინ არიან ის ბავშვები, რომელთაც გადასწყვიტეს შინ წასვლა, ან როგორ გადაწყვიტეს? ღმერთმა უწყის იმათი საქმე. ვინ გადასწყვიტა იმას ვერას გზით ვერ იპოვით. „ბავშვები მიდიან“—ჩაიბრახუნეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიბის საფეხურებზე, ზოგი ყირამალა გადაკოტრიალდა კიბის საფეხურებიდან, ჩაგორდა თოვლში, ფიცხლავ წამოხტა, ერთმანეთს ეცილებიან გაა'წრონ ვიწრო გზით, ყვირილით გარბიან ბავშვები სახლისკენ".

ამ თავის შეხედულობას თავისუფალ აღზდაზე ლ. ნ. ტოლსტოი იმეორებს შემდეგშიაც, უფრო გვიან, ერთს კერძო წერილში, რომელიც უკანასკნელ ხანებში იქმნა გამოქვეყნებული. „თუმცა ძლიერ გვეუცხოვება—სწერს იგი—რადგან დუხჭირად გვაქვს განათლების საქმე დაყენებული, მაგრამ სრული თავისუფლება სწავლებისა ე. ი. რომ მოწაფეები როცა უნდათ თვითონ მოდიოდნენ სასწავლებლად, შეადგენს ყოველგვარ ნაყოფიერი სწავლების აუცილებელს და უსაჭიროესს პირობას, ისე, როგორც აუცილებელ პირობას საზრდოებისას შეადგენს ის, რომ ვინც საზრდოობს მას ჭაშა უნდოდეს. ტოლსტოის სკოლაში, რასაკვირველია, ბავშვის დასჯას ადგილი არ ჰქონდა. „ბავშვების ბუნება, როგორც მარტივი და დამოუკიდებელი ადამიანებისა, ამბობს ტოლსტოი, უნდა დარჩეს წმინდათ თვით მოტყუების და დასჯის კანონიერების უსამართლო რწმენის გარეშე, იმ რწმენისა და თავის მოტყუებისა, რომ ჯავრის ამოყრის გრძნობა სამართლიანი ხდება, როგორც კი მას დასჯას ვუწოდებთ".

ლ. ნ. ტოლსტოის წარმოდგენილი ჰქონდა, რომ მას ჩვეულებრივ პასუხს გასცემდნენ; მოწაფეების თავისუფლად ყოფაქცევის დროს მასწავლებელს არ შეეძლება მოუაროს კლასს და დავთარი აერევაო. ამაზე ტოლსტოი ასეთს პასუხს იძლევა: „სიძნელე წარმოგვიდგება მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ არ შეგვიძლიან თავი დავახწიოთ ძველს შეხედულობას სკოლაზე, როგორც გაწვრთვნილ ჯარის კაცებზე, რომელსაც დღეს ერთი ეფროსობს, ხვალ მეორე. მასწავლებლისათვის, რომელიც შესისხლხორცებია სკოლის თავისუფლებას, თითოეული მოწაფე წარმოადგენს განსაკუთრებულს ხასიათს, რომელიც იჩენს განსაკუთრებულ მოთხოვნილებებსა. ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება კი შეუძლიან თავისუფალ არჩევას. მხოლოდ თავისუფალი არჩევით შეიძლება მოვსპოთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვეულებრივი მოვლენა. შეზიზღება საგნებისა, რომელიც, თავის დროზე და თავისუფლად რომ ისწავლებოდეს, საყვარელი შეიქნებოდა. მხოლოდ თავისუფალ სწავლების დროს შეიძლება გამოირკვეს თუ რომელ სპეციალობისკენ იჩენს მიდრეკილებას ესა თუ ის ბავშვი; მხოლოდ თავისუფლება არ არღვევს აღმზრდელობითს გავლენას". ამიტომაც არც შეიძლება რომელიმე განსაზღვრული მეთოდი სწავლებისა აღიარებული იქმნას ერთად ერთ საუკეთესოდ და მიზნის შესაფერისად. სკოლაში სწავლება თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარ წინასწარ იდეებისაგან, ხელოვნურად შედგენილი „პროგრამებისაგან", რომელსაც გარედან ახვევენ. სკოლა არის პედაგოგიური ლაბორატორია, და მხოლოდ მაშინ, როცა სკოლა ნამდვილად ასეთი შეიქნება, „ის არ ჩამორჩება საზოგადო პროგრესს და ამნაირ ცდას შეუძლია მკვიდრი საფუძველი ჩაუდგას განათლების მეცნიერებას .

საუკეთესო მეთოდი იქნება ის, როცა მასწავლებელსა და მოწაფეთა შორის ჩამოვარდება ძალდაუტანებელი დამოკიდებულება, როცა მოწაფეები ხარბად იტაცებენ მასწავლებლის სიტყვებს და თავისუფალნი არიან აზროვნებისა და ყოფაქცევის სახეში. აქედან ცხადია ტოლსტოის უარმყოფელობითი დამოკიდებულება არსებული სასკოლო „სისტემასთან". ჯერ კიდევ 1862 წელს ლ. ნ. ტოლსტოი სრულს წინააღმდეგობას აცხადებს იმ სასკოლო პროექტების შესახებ, რომლითაც მთავრობას უნდოდა სახალხო სკოლების ხელში ჩაგდება. ამის შესახებ, სხვათა შორის, ტოლსტოი სამართლიანად შენიშნავს, რომ ბრძენ მოხელეებს, რომელთაც შემოუვლიათ გერმანია და ადგენენ განსაზღვრულ პროგრამებს სახალხო სკოლებისათვის, ცხადია, აზრადაც არ მოსდით, რომ გაცილებით უკეთესი იქნებოდა „თვითხალხს, რომელსაც ეხება პროექტის საქმე, თვისი წარმომადგენლების საშუალებით შეედგინა თავისივე სისტემა განათლებისა". ამ მოსაზრებით ტოლსტოი ჰგმობს საშუალო სკოლასაც და უნივერსიტეტსაც, რომელიც იძლევა სხვა და სხვა უფლებებს და პრივილეგიებს, თავისი ლექციებით, რომლის შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახებაც კრინტის დაძვრა აღკრძალულია იმ დოღმატის ძალით „რომ პროფესორებიც რომის პაპასებრ უცოდველნი არიანო.“

„ის, რასაც ჩვენ განათლებას ვეძახით—სწერს ტოლსტოი—ნახევარზე მეტს ბოროტებას და სიცრუეს შეიცავს, ამიტომაც რამდენადაც შორს უდგევართ იმ განათლებას, რასაც იძლევა ჩვენი სასწავლებლები, იმდენად უკეთესია ბავშვისთვის... საზოგადოებრივი აღზრდა, როგორც ის სწარმოებს ჩვენში, პირდაპირ მიმართულია და ძლიერ ხელოვნურადაც მოწყობილი ბავშვის ზნეობრივად დასამახინჯებლად.“

და მართლაც: შეხედეთ ერთსა და იმავე ბავშვს ოჯახში, ქუჩაზე ან სკოლაში: ხან თქვენ ხედავთ, სიცოცხლით სავსეს, ცოდნის მოყვარულ არსებას, რომელსაც ღიმი უქრის თვალებში და ტუჩებზე, ყველაფერში ეძებს სასიამოვნო ცოდნას; ხან ხედავთ დატანჯულს, მოკრუნჩხულს არსებას, მოქაწცულობის, შიშის და მოწყინილობის გამომეტყველებით, რომელიც იმეორებს მარტო ტუჩებით სხვის სიტყვებს, სხვის ენაზე,—ხედავთ არსებას, რომელსაც თავისი სული სადღაც მიუმალავს, როგორც ლოკოკინა მიიმალება თავის სადაფში. ძნელი გასაგები არ არის თუ ამ მდგომარეობაში რომელი უფრო სასარგებლოა ბავშვის სულიერად აღზრდისათვის.

ლ. ნ. ტოლსტოი ეხება შინაური აღზრდის სიკითხსაც და უჩვენებს, რომ კარგი აღზრდის პირველი პირობა ის არის „ბავშვმა იცოდეს, რომ უფლისფერი, რითაც სარგებლობს, მზამზმრეულად ზეციდან არ ცვივა, არამედ სხვა ხალხის შრომის ნაყოფს შეადგენს„ მშობლის პირადი მაგალითი დიდს როლს ასრულებს ბავშვის აღზრდის საქმეში. „აღზრდა გვეჩვენება რთულ და ძნელ საქმედ იმ დრომდის, ვიდრე ჩვენ გვინდა, თავისი თავის აღუზრდელად აღვზარდოთ ჩვენი შვილები, ან სხვა ვინმე.“ ამიტომ მართლად და სერიოზულად თავის დაჭერა ბავშვებთან, არ დაფარვა იმისი, რაც სულში ხდება, შეადგენს ერთად ერთს აღზრდას. ერთს თავის მეგობართან მიწერილს ბარათში ტოლსტოი გამოსთქვამს თავისს შეხედულობას, ერთს, მისივე სიტყვით, ძნელ საკითხზე,—რელიგიოზურ აღზრდის შესახებ.

.საზოგადოთ აღზრდაში—სწერს იგი—როგორც ფიზიკურს, ისე გონებრივშიაც, ჩემის აზრით, უმთავრესია, რომ ძალდატანებით არაფერი არ მოახვიოთ თავზე ბავშვს, არამედ შეურჩიოთ დრო და პასუხი მისცეთ მასში აღორძინებულს მოთხოვნილებაზე; მით უფრო საჭიროა ეს აღზრდის უმთავრეს საგანში—სარწმუნოებრივ აღზრდის საქმეში. როგორც უსარგებლო და მავნებელია ბავშვისთვის საზრდოს მიწოდება როცა მას არ ჰშიან, ან გადაცემა ცოდნისა იმ საგნებიდან, რომელიც მას არ აინტერესებს, ან არ სჭირდება, აგრეთვე უფრო მეტად მავნებელია ბავშვისათვის შთაგონება რომელიმე სარწმუნოებრივი ცნებისა, რომლის შესახებაც ის არ გეკითხებათ... საჭიროა მსოლოდ სრულის სიმართლით გასცეთ პასუხი ბავშვს მის შეკითხვებზე... თუ თქვენ გსურთ ჩემგან უფრო განსაზღვრული რჩევა იმის შესახებ თუ რა უნდა მისცეთ ბავშვს ხელში წასაკითხად სარწმუნოებრივად აღზრდისათვის, მე მგონია არ უნდა დავჯერდეთ მარტო ერთი სარწმუნოების შინაარსის ნაწერებს—ჩვენში ქრისტიანულს მოძღვრებას,—ქრისტიანული მოძღვრების ლიტერატურასთან ერთად უნდა ვისარგებლოთ ბუდდას, ბრამინის, კონფუციის და ებრაელთა სარწმუნოებრივი ლიტერატურითაც.“

ასეთია საზოგადოთ ლევ. ტოლსტოის პედაგოგიური იდეები. შეიძლება ზოგიერთ აზრებში ლ. ტოლსტოის ვინმე არ დაეთანხმოს, მაგრამ უეჭველია რომ მისი შეხედულობა წინ გვიყენებს სასტიკს და მთლიან თეორიას სწავლა აღზრდის საქმეში ბავშვის პიროვნების უსაზღვრო პატივისცემის საფუძველზე. თვითონ ტოლსტოიმ თავის სკოლაში გამოცდილებით შეუკავშირა თეორია საქმიანობას და ამ ცდის საშუალებით დაამტკიცა, რომ სწავლების საუკეთესო მეთოდი იქნება ის, როცა მასწავლებელი მოწაფის ბუნებაში ეძებს ჩვენებას, ნაზი ყურთა სმენით იგებს მის მოთხოვნილებას, მისწრაფებას და მიდრეკილებას. დღეს რუსული პრესსაც მხარს უჭერს ლევ ტოლსტოის იდეებს სწავლა აღზრდის შესახებ. მრავალი წერილები იბეჭდება რუსულ პედაგოგიურს ჟურნალებშიაც.—ლ. ნ. ტოლსტოის ბევრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პედაგოგიური აზრები დღემდის მიჩდილული იყო, მის გამომზევებას ყოველ გვარ ღონისძიებით სდევნიდნენ; მაგრამ დღეს, დღევანდელს მომენტში ტოლსტოის პედაგოგიური აზრები განსაკუთრებულ ღირებულებას და ინტერესს ღებულობს; ამიტომ უნდა ისარგებლოს ყველა მასწავლებლებმა, აღმზრდელებმა და მშობლებმა. სკოლების ძირითადი რეფორმის საკითხი წამოყენებულია. დიდებული გენიოსი და მასწავლებელი ცხოვრებისა—ლევ ტოლსტოი მოზარდ თაობის სწავლა აღზრდის საქმეშიაც გვიწევს საღი მიმართულებისკენ, რომელსაც უნდა მივჰყვეთ ამ სერიოზული საკითხის გადაწყვეტაში.

Ignotus

პროფესორი ვ. მ. პეტრიაშვილი და ოდესის უნივერსიტეტი.

ვ. მ. პეტრიაშვილმა ოდესის უნივერსიტეტს შესწირა თავისი ძალები, თავისი ენერგია, თავისი სიცოცხლე. ოცდა თვრამეტი წლიწადი (1870—1908 წ.) ემსახურობდა ვ. მ. ოდესის უნივერსიტეტში მეცნიერებას, გულითა და სულით შეიყვარა იგი, და მოი-

ბოდა აქ საუოველთაო სიყვარული და პატივისცემა. ბოლოს ვ. მ. ედირსა უმაღლეს პატივს და მიიღო რექტორობა უნივერსიტეტისამ უკანასკნელ ხანას მინდა შეგეცნო ორიოდე სიტყვით.

ძალიერ სამწუხარო მდგომარეობაში არის ამ ბოლო დროს ოდესის უნივერსიტეტი. რექტორმა განადგურა უნივერსიტეტი და განბტონა შიგ უკიდურესი ფანატიკოსები, ობსკურანტები, რომლებსაც არავითარი კავშირი არა აქვს უმაღლეს მეცნიერებასთან. თანდათან განდევნეს უნივერსიტეტიდან პატიოცემული მეცნიერები და მეცნიერებისთვის თავდადებული მუშაკები. განძევებულთა ადგილზედ დასვეს უკიდურესი ობსკურანტები. არავითარი ზომები არ დაზოგა რექტორმა, და უკუღმართობით, უსამართლობით „გასწმინდა“ უნივერსიტეტი მავნე ბირებისაგან. დღეს თითქმის „განწმედილია“ უნივერსიტეტი და რექტორ ძალიერ კმაყოფილია.

სენატის გახარგილებით 27 იგლისს 1907 წ. ოდესის უნივერსიტეტის რექტორი ი. მ. ზანჩევსკი (ბირველი რექტორი ავტონომიის მიღების შემდეგ) გადაყენებული შეიქმნა და მიცემული სამართალში (საქმე ჯერაც არ გარჩეულა). 10 მარტამობისთვეს 1907 წ. მინისტრის განკარგულებით რექტორად დანიშნული იქნა ვ. მ. პეტრიაშვილი, რომელიც უხუცესი დეკანი. ვ. მ. დანიშნული იყო ახალი რექტორის არჩევამდე.

ვ. მ. პეტრიაშვილმა ძალიერ ცუდ დროს მიიღო რექტორობა უნივერსიტეტში. პროფესორები გაიყო ორ ბანაკად. მომეტებულ ნაწილს შეადგენდა ეგრეთ წოდებული „მემარცხენე“ პროფესორები, უმცირესს „მემარჯვენენი“, რომელთა მხარეზედ სხვათა შორის იყო ოდესის მზრუნველი გრ. მუსინ პუშკინი. პროფესორების უმცირესობა არავითარ ზომებს არ ზოგავდენ მოწინააღმდეგეებთან ბრძოლაში. უნივერსიტეტის პროფესორების კრება წარმოადგენდა მტრის ბანაკს. ასეთი კრების თავმჯდომარეობა, და ასეთი საქმეების უნივერსიტეტში ხელმძღვანელობა მოითხოვდა რექტორისაგან დიდ ენერგიას, ბევრ მუშაობას და გულგრილობას. ვ. მ. როგორც უნივერსიტეტის რექტორი შესაფერ ნებად და დიდის მხნეობით ასრულებდა თავის როლს, ეროვნული სტუდენტობა აუშორებია აუცილებელი შეტაკება და უკანონო ბრძოლა, რომლის მოსაგვარებლად ეროვნული ეკუთვნოდა უმცირესობას. ვ. მ. ეროვნული პოლიტიკა ოდესის უნივერსიტეტის საუკეთესო პროფესორებს შორის დახმარებას და სამაგალითოდ მიუძღოდა საქმეს. ეროვნული პროფესორების კრება უცხადებდა თავის თანხმობას ვ. მ. მუშაობას. რადგან ვ. მ. მოღვაწეობაში ვერაფერი უკანონობა ვერ აღმოაჩინეს, მიმართეს ბრუნდ გზას. ოდესის მზრუნველი განსაკუთრებულად თვალყურს ადევნებდა უნივერსიტეტის პროფესორთა კრებებს, მუდმივ წამოუყენებდა ამა თუ იმ საკითხს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც არ იყო სასიამოვნო უმცირესობისათვის, თხოულობდა კანონის დაცვას, რომელიც დარდვეული არ ეოფილა. ერთის სიტყვით უნივერსიტეტის ავტონომიას გამოუჩნდა ახალი მზრუნველი; ამ ავტონომიაში თავთური დაიწყო ოდესის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა. ვ. მ. როგორც თავისუფალი უნივერსიტეტის წარმომადგენელი, გამოესარჩლა უნივერსიტეტის ავტონომიას, შეიქნა მიწერ-მოწერა რექტორსა და ოდესის მზრუნველს შორის [1]) ვ. მ. დიდის მხნეობით იცავდა უნივერსიტეტის ავტონომიას, და ეოველთვის ტდილობდა გარესაზღვრა ოდესის მზრუნველის დამოკიდებულება თავისუფალ უნივერსიტეტთან. დამოუკიდებელად, მხნედ ავტონომიის დაცვამ ძლიერ დაუთიქრა უმაღლესი ადმინისტრაცია ოდესისა, რასკვირველია, ასეთი რექტორი როგორიც ვ. მ. ᲞᲔᲢᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ იყო, სასურველად არ მაჩნდათ, იგი განდევნილი უნდა ეოფილეო. მაგრამ რაგორ? რა მიზეზით? ვინაიდგან კანონიერი მიზეზის მოძებნა ძნელი იყო, მამართეს სხვა საშუალებას, ორ დეკემბერს 1907 წ. ოდესის მზრუნველმა გრ. შუსინ-ᲗᲣᲨᲘᲜᲛᲐ მიიღო მინისტრისგან შემდეგი შინაარსის ტელეგრამმა: „ვანთავისუფლებ პროფესორ პეტრიევს რექტორის თანამდებობიდან, ამ თანამდებობის ასრულებას ვანდობ მის შემდეგ უფროსს დეკანს პროფესორს ლევაშოვს“. ვ. მ. დათხოვნილი იქმნა, მიზეზი, როგორც სჩანს ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ნაჩვენები არ არის, მხოლოდ ცხადია, ვ. მ. როგორც რექტორი, როგორც უნივერსიტეტის ავტონომიის მხნე დამცველი, არ მოსწონდა უმაღლეს ადმინისტრაციას და რექტორობა გადასცეს მემარჯვენე ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲗᲐ უკიდურესს წარმომადგენელს. ამის შემდეგ ოდესის უნივერსიტეტის ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲔᲑᲘᲡ საუკეთესო ნაწილმა მიართვეს ვ. მ. ადრესი, რომელშიც გამოსთქვეს თვისი უდრმესი პატივიცემა პეტრიაშვილისადმი, შესაფერათ დაუფასეს მისი რექტორობა და გულწრფელი სამსახური თავისუფალი უნივერსიტეტის საესრგებლოთ. 10 მარტამბის თვეს 1907 წ. ვ. მ. დანიშნულ იქნა რექტორათ ოდესის უნივერსიტეტში 2 ქრისტეშობის თვეს 1907 წ. დათხოვნილი იქნა, ვინაიდგან გულწრფელათ და თავდადებით ემსახურებოდა თავისი alma mater-ის თავისუფლებას [2]).

---

[1]) ახლო მომავალში გავაცნობთ ამ საინტერესო მიწერ-მოწერის შინაარსს ჩვენ მკითხველებს. ჯერ-ჯერობით უდროვოთ მიგვაჩნია.

[1]) იხ. Журналъ засѣданій Новорос. Унив. за осеннее полугодіе 1907 г.

სიმ. ᲐᲕᲐᲚᲘᲐᲜᲘ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრიოფ. პეტრიაშვილის ხსოვნას.

ხუთი თვე გავიდა თითქმის, რაც გარდაიცვალა ბრიოფ. პეტრიაშვილი და მაინც თვალწინ მიდგას ერთი მისი ძვირფასი თვისებათაგანი, მით უფრო, რომ ეს მხარე მისის ბუნებისა თითქმის რომ არავინ გაიხსენა. მე მოგახსენებთ განსვენებულის სამშობლოში მუშაობის გეგმაზე და განზრახვაზედ.

მართალია, უველამ, ვინც კი ცოტა რამ დასწერა პეტრიაშვილის შესახებ, თან ისიც დასძინა, რომ იგი აპირებდა წრეუელს სამშობლოში დაბრუნებას და მუშაობასო... თითქოს მას წინათ არ ჰქონოდეს ეს სურვილი, არამედ მარტო მაშინ აღძვრია მას იგი, როდესაც სამოც წელს გადასცილდა...

განსვენებული პეტრიაშვილი ისეთ პირობებში აღიზარდა, რომ არ შეეძლო შეეწუვიტა კავშირი თავის სამშობლოსთან. ჯერ ისევ ემაწვილი, გულ-მხურვალე მოსურნე და მოტრფიალე საზოგადო საქმისა, იგი ებმება საზოგადო მოღვაწეობის უღელში და თვის დონეს სცდის ბელეტრისტიულ ნაწარმოებებში, სადაც ეხება გლეხთა ბედს და უბედობას. სოფლის მდგომარეობა შვილს კარგად ჰქონდა შესწავლილი სოფელი, უფვარდა ის, და რასაკვირველია, ვერც დაივიწყებდა და ვერც შესწყვეტდა იმ სულიერ კავშირს, რომელიც არსებობდა მის და სამშობლოს შუა. და აი ჩვენ ვხედავთ, რომ, როცა იგი უკვე ჰშორდება თვის სამშობლოს და თვის სპეციალურ საქმის გამო იძულებულია იცხოვროს უცხო მხარეს, იგი არ ჰკარგავს თვის სამშობლოს თვალთა ხედვიდგან. მუდამ ფიქრობს და ზრუნავს მასზედ. მხოლოდ არა ისე, როგორც სხვანი უცხოეთში მეოთხი, ვისაც ეს სიყვარული ცარიელ სიტყვის მსგავსთ გადაუქცევია და მარტოოდენ ტკბილ საუბრის დროს თუ მოაგონდება ხოლმე თვისი სამშობლო. ამიტომაცაა საეურადღებო კვიგოთ აქ პეტრიაშვილის ბუნება, რადგან იგი არ წარმოადგენდა იმ ტიპს, ვისაც სამშობლო მარტო მიტომ უეგარს, რომ ეს მხარე მისი დაბადების ადგილია, მიტომ, რომ სძულს სხვა ხალხი და თვის ხალხზედ მეტი არავინ არ მიჰ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნია.... არა, მის ჭეშმარიტ ბუნებას ესეთი მამულიშვილური გრძნობა ვერ მიეკარებოდა, იგი სულ სხვა გვარად წუვეტდა და სხვა გვარად ასაბუთებდა თვისი მუშაობის საკირაოებას სამშობლოსათვის და ეი სწორედ ეს არის ჩვენთვის საგულისხმიერო, მით უმეტეს, რომ ჩვენ არ მიგვეცით მას საშუალება ამ თვისი მიზნის მიღწევისა და თვისი აზრი წავადებინეთ მას საფლავში.

თუ სამშობლოში ნატრობდა პეტრიაშვილი ჩამოსვლას, არა მიტომ, რომ სიბერის დროს აქ გაეტარებინა თვისი დღენი, როგორც ჭეიქრობდნენ და დღესაც ჭეიქრობენ მისი კარგა ნაცნობნი, არამედ და მხოლოდ მიტომ, რომ ჩაედგა საძირკველი ქართულ სამეცნიერო ენისა, რომ პირველს გადაედგა ნაბიჯი მის დასაფუძნებლად. ბევრს ეცადა განსვენებული მიეღწია ამ მიზნისადმი ისე, რომ სამშობლოში არ დაბრუნებულიო, რადგან ეს მან ვერ მოახერხა ვერც როდის, მაგრამ დარწმუნდა, რომ ეგელოფერი ამაო იყო.... დასწერა „ღვინის დაუენება", „რძე" „ვაზი", აპირობდა კიდევ მოკლე-მოკლე წერილების დაბეჭდვას არა მარტო სპეციალურ სამეურნეო ხასიათის და შინაარსისას, არამედ საზოგადო გახსოვითარებულ შინაარსისაც. მაგალითად გეოლოგიურის და სხვა. მაგრამ, როდესაც იგი ამნაირ გაცხარებულ მუშაობაში იყო და წერილებს წერილებზედ ამზადებდა, იგი ნათლად დარწმუნდა, რომ ფუჭი იყო მისი ცდა. ჯერ არ გაეთავებინათ „ღვინის დაუენების" ბეჭდვა, რომ შეატყობინეს, ძვირათ გვიჯდება და ჩვენთვინ სამძიმოა მაგნაირ წერილების ბეჭდვა. ისიც იცოდა, რომ თუ მეორე წელიწადს „მოამბეშიგე" იბეჭდებოდა მისი „რძე", ისიც მხოლოდ მიტომ, რომ მისთვინ არ ეწუენინებინათ.... რაკი ჭხედავდა, რომ დიდი მეცნიერული წერილების დაბეჭდვა ჩვენში ჯერ ნაადრევია, იგი შეუდგა პატარა-პატარა წერილების შედგენას, მაგრამ აქაც ნახა, რომ მას ერთ წერილზედ მეტი ადარ დაუბეჭდეს.—დაბეჭდვას ვიდა სჩიოდა, მთელი წელიწადი სდია განსვენებულმა ერთ-ერთს ჩვენს რედაქციას, რათა გაეგო თვისი სელთ-ნაწერის ბედ-იბნელი, მაგრამ მგონი ვერ ედირსა მას, სანამ თვითონ არ ჩამოვიდა თბილისში და არ მოიკითხა და მოითხოვა ხელთნაწერი. არ ვიცი, მიიღო იგი უკან თუ არა, ესეი მახსოვს, რომ როცა შევხვდი თბილისში, ძალიან გაჯავრებული იყო იმნაირ წესით ავტორთა პირობების პატივისცემის შესახებ, რომელიც არსებობდა ჩვენს

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქციებში.—მართალია, რედაქციას განმარტებელ სიბუთად ჰქონდა ის გარემოება, რომ მას არ მოეპოებოდა ფული იმისთანა წერილების დაბეჭდისთვინ, რომელთაც დიდი განავალი არ ექნებოდათ, მაგრამ ერთი მითხარით ზრდილობიან—ეროვ-ქტევისათვინ რა-და განმარტებელი სიბუთია საჭირო, რათ უნდა სდევდეს ავტორი რამოდენიმე წელიწადს რედაქციას, შემატყობინეთ ჩემი ხელთხ-წერის ბედ-იდბალი და მაინც არ ადირსოს რედაქციამ იგი ამ პა-სუხს, სანამ თავის ფეხით არ მივა იქ. ჩვენ არ ვიტყვით აქ არაფერ-ს იმაზედ, რომ ხელთ-ნაწერი ეკუთვნოდა მაინცა და მაინც პატივსაცემ პირს, რომ მის მიერ ამ წერილის დაწერა მარტო უანგარო შრომაა, საქმის სიყვარულით გამოწვეული და მომეტებული იდეალიზმით წა-ხალისებული. თორემ აბა ერთი მითხარით, რა დაწერინებდა სხვას ვისმე წერილს კიდევ, როდესაც წინა წერილების დაბეჭდვაზედ დ-ვი-დარაბის და ხვეწნის მეტი არ გამოდიოდა რა, თუ არ გარდამე-ტებული იდეალიზმი დამწერისა.... მაგრამ სინამდვილემ აქაც ფერთა შეუკვეცა პეტრიაშვილის მისწრაფებას, ის წერილი ისევ ისე დაუ-ბეჭდავი დარჩა, (არ ვიცი ხელთხაწერი მაინც ჩაიგდო ისევ ხელში თუ არა), და აქ კი ისიც, კვლავ მორწმუნე—ურწმუნო გახდა, ისე რომ მან თავი დანება შემდეგი წერილების დამზადებასაც და განა გასაკვირველიც არის?

რაკი ამნაირად მიხვდა პეტრიაშვილი, რომ თავის მიზანს იგი ვერ მიაღწევდა პატარა-პატარა წერილების დამზადებით და დაწერით, იგი დაადგა სხვა გზას, უფრო სწორეს მისის აზრით. მან ადირა რწმენათ, რომ თუ არ შექმნით მსმენელ აუდიტორიასა მას არ ძალ-უძს სამშობლო ენაზედ მეცნიერულ ლიტერატურის განვითარება. რომ საჭირო მან ადზარდოს რამოდენიმე ქართულ ენაზედ მეცნიე-რულ საკითხზედ მოსაუბრე თობა, რათა ამით ჩაედგას საძირკველი ამ დიად საქმეს... კიდევ მისთვის იყო საჭირო აუდიტორია, რომ წერის დროს ავტორს კარგად ვერა აქვს წარმოდგენილი წამკითხველთ მომზადება და უნარი გაგებისა, და დექტორს კი, თუკი მოინდომა, მუდამ შეუძლია თავისი ენა შეუფერთოს მსმენელთ მომზადებას და განვითარებას, ერთხელ სახმარი, მსმენელთათვის გაუგებარი სიტყვა და აზრი, მას შეუძლიან ეორედ ისე შეაზავოს, რომ გასადოს ის ადვილ გასაგებათ. და აი პრაქტიკა, დღე—მუდმივი პედაგოგიური

ᲢᲔᲓ, ᲗᲥᲕᲜᲘᲡ ᲘᲛᲘᲡ, ᲠᲘᲡᲐᲪ ᲬᲔᲓᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲓᲐ ᲗᲐᲗ ᲬᲔᲓᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲒᲐᲜᲣᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ, ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲡᲛᲔᲜᲔᲚᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲗ ᲕᲔᲠ ᲛᲘᲐᲦᲬᲔᲓᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ. ᲣᲕᲔᲚᲘ ᲔᲡ, ᲠᲘᲡᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘᲐ, ᲓᲐᲛᲐᲯᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲓᲔᲙᲔᲢᲝᲠᲘᲡ ᲡᲘᲐᲕᲙᲐᲠᲒᲔᲖᲔᲓ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲐᲓᲕᲘᲚᲐᲗ ᲛᲘᲮᲕᲓᲔᲑᲘᲗ, ᲗᲣ ᲠᲐ ᲡᲬᲝᲠᲔ ᲒᲖᲐᲡ ᲐᲓᲒᲘᲐ ᲞᲔᲢᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲓᲐ ᲠᲐᲡ ᲛᲘᲐᲦᲬᲔᲓᲐ ᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲡᲘᲖᲐᲯᲐᲒᲐᲜᲔᲑᲐᲡ ᲛᲐᲔᲪᲐ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲛᲘᲡ ᲡᲘᲣᲯᲚᲔᲑᲐ... ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲥᲪ ᲛᲐᲡ ᲬᲘᲓᲚᲐᲓ ᲩᲮᲕᲔᲓᲐ ᲒᲣᲚᲘᲡ ᲡᲘᲣᲠᲔᲔ ᲓᲐ ᲗᲕᲚᲘᲡ ᲡᲘᲑᲠᲫᲕᲔ ᲡᲘᲖᲐᲯᲐᲒᲐᲜᲔᲑᲘᲡᲐ, ᲐᲥᲪ ᲛᲐᲡ ᲓᲘᲩᲕᲔᲓᲐ ᲙᲐᲠᲘ ᲓᲐᲮᲣᲚᲘ. ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐ ᲠᲐᲛᲔ ᲔᲛᲥᲛᲔᲓᲐ ᲛᲐᲡ, ᲠᲝᲪᲐ ᲛᲘᲮᲕᲓᲔᲑᲝᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲨᲘ ᲨᲔᲡᲐᲤᲔᲠᲘ ᲜᲘᲐᲓᲐᲒᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲛᲐᲡ ᲮᲔᲚᲓᲗ ᲐᲠ ᲘᲧᲝ ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲗᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲪᲕᲚᲐᲡ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲡᲔ ᲐᲠ ᲛᲝᲐᲥᲪᲜᲔᲜ ᲘᲡᲘᲜᲘ, ᲕᲘᲡᲪ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲛᲐᲜ. ᲘᲡᲘᲜᲘ ᲡᲘᲮᲐᲛᲓᲒᲘᲚᲔᲡ ᲛᲐᲒᲘᲔᲠ ᲓᲔᲓᲔ ᲛᲔᲓᲚᲛ ᲐᲬᲕᲔᲓᲘᲚᲜᲔᲜ ᲘᲛᲔᲓᲡ, ᲕᲘᲗᲐᲛᲓᲐ ᲖᲠᲓᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲣᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲘᲡ ᲙᲘ ᲐᲠ ᲘᲪᲝᲓᲜᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲢᲔᲣᲚᲘᲐ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲤᲠᲝ ᲡᲐᲬᲛᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲒᲣᲚᲘ-ᲡᲮᲚᲘᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲓᲐ ᲛᲬᲐᲠᲔ ᲛᲘᲠᲗᲘᲐ. ᲯᲔᲠ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲗᲮᲣᲗᲛᲔᲢᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲓ ᲛᲘᲡ ᲗᲘᲗᲝᲜᲕᲔ ᲡᲘᲗᲮᲝᲕᲔᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲗᲘᲗᲕᲐᲓ-ᲐᲖᲜᲘᲣᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ ᲔᲙᲘᲡᲠᲜᲐ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝᲗ ᲔᲡᲬᲠᲘᲡᲐᲕᲔᲚᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲕᲐᲠᲡᲜᲐᲗ ᲝᲫᲘᲡᲨᲘ, ᲔᲠᲔᲘᲗᲘᲗᲕᲘᲡ ᲛᲔᲠ ᲨᲔᲬᲐᲠᲣᲚ ᲛᲐᲛᲔᲚᲘᲨᲘ... ᲘᲒᲘ ᲓᲐᲡᲗᲐᲜᲮᲛᲓᲐ: ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲐ ᲐᲛᲝᲫᲠᲐᲕᲔᲑᲓᲐ ᲛᲐᲡ, ᲠᲝᲪᲐ ᲡᲪᲕᲔᲓᲐ ᲑᲠᲝᲗᲔᲡᲗᲠᲘᲡ ᲙᲐᲗᲔᲓᲠᲘᲡ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔᲓ? ᲓᲐ ᲐᲘ ᲠᲐ ᲒᲐᲛᲘᲒᲘᲐ ᲛᲘᲡᲒᲐᲜ ᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ: „ᲝᲓᲘᲜᲓ ᲙᲘ ᲗᲥᲛᲜᲓᲔᲡ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ, ᲑᲠᲔᲖᲠᲘᲢᲔᲨᲘ ᲓᲐ ᲛᲡᲛᲔᲜᲔᲚᲘ ᲐᲣᲓᲘᲢᲝᲠᲘᲐ ᲕᲘᲥᲜᲘᲗ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐ ᲠᲐᲜᲐᲘᲠ ᲙᲣᲠᲡ ᲬᲐᲕᲘᲙᲘᲗᲮᲐᲒ, ᲓᲐᲑᲐᲓᲡ, ᲡᲐᲨᲣᲐᲯᲨᲘ, ᲗᲣ ᲣᲛᲐᲯᲓᲔᲡᲡ ᲩᲔᲛᲖᲔᲚ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲯᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ?“. ᲐᲛᲑᲝᲑᲓᲐ ᲘᲒᲘ ᲓᲐ ᲠᲝᲪᲐ ᲘᲡ ᲣᲒᲖᲐᲕᲜᲐᲓᲐ ᲛᲐᲗ ᲒᲔᲒᲛᲐᲡ, ᲛᲐᲠᲢᲝᲜ ᲔᲠᲗᲘᲡ ᲡᲪᲓᲘᲚᲝᲑᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲜᲘᲕᲗᲔᲑᲘ ᲣᲛᲝᲫᲐᲓᲘᲣᲚᲘ ᲘᲛᲜᲐᲘᲠᲐᲓ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲘ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲡᲫᲚᲔᲑᲝᲓᲐ ᲛᲐᲡ ᲣᲛᲯᲓᲔᲡᲡ ᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲬᲐᲕᲘᲙᲘᲗᲮᲐ, ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘᲡ ᲙᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲘᲛᲔᲓᲐ ᲗᲥᲛᲜᲓᲐ. ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐ ᲐᲛ ᲛᲮᲠᲘᲕ ᲘᲒᲘ ᲡᲪᲓᲔᲑᲝᲓᲐ? ᲠᲐᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲐ, ᲡᲐᲨᲣᲐᲯᲨᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲓᲐᲚᲘ ᲙᲣᲠᲡᲘ ᲔᲠᲗ ᲓᲐ ᲘᲒᲘᲕᲔ ᲡᲐᲒᲜᲘᲡ, ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲗᲔᲮᲣᲠᲡ, ᲨᲔᲣᲡᲐᲕᲔᲑᲣᲚᲡ ᲓᲐ ᲓᲐᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲣᲚᲡ ᲨᲔᲓᲐᲒᲝᲒᲘᲣᲠᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐ ᲜᲣ ᲗᲣ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲡ ᲨᲔᲓᲐᲒᲝᲒᲡ ᲐᲠ ᲫᲚᲔ-ᲣᲫᲡ, ᲗᲕᲘᲗᲝᲗ ᲛᲡᲛᲔᲜᲔᲚᲗᲐ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲔᲗ ᲔᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲗᲔᲮᲣᲠᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲓᲐ ᲓᲐᲒᲕᲐᲠᲓ ᲛᲝᲐᲒᲕᲐᲠᲝᲡ ᲓᲐ ᲨᲔᲡᲪᲕᲚᲓᲐᲡ ᲠᲘᲡᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘᲐ. ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲐᲛᲐᲨᲘ ᲡᲪᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲞᲔᲢᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲓᲐ ᲛᲘᲮᲓᲝᲓ ᲛᲘᲡᲨᲘ, ᲠᲝᲛ ᲘᲒᲘ ᲜᲓᲝᲑᲘᲗ ᲐᲓᲡᲘᲡᲕᲚᲔ ᲘᲧᲝ ᲛᲐᲨᲘᲜᲓᲔᲓ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲡᲘᲖᲐᲯᲐᲒᲐᲜᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ... ᲛᲝᲬᲧᲝᲓᲔᲑᲐ ᲛᲝᲬᲧᲝᲓᲔ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბად დარჩა, ბევრჯელ იდაპარაკეს და მაშინ თუ ლის იმედიც კი ქონდათ (მართალია ბოლოს ამასაც უმტკუნა მათ), მაგრამ საქმე მიტომ ჩაიშალა, რომ პარტიელის მოსაზრებით ზოგი წინააღმდეგი, ზოგი მომხრე იყო ამ საქმისა. გაიარა თითქმის ხუთმა წელიწადმა ამ ტუილ-უბრალო დაპარაკში, ამ მიწერ-მოწერაში და მარტო მაშინ მიეგზავნა პეტრიაშვილი, რომ სუფთა-თერი მარტო ენის ქაღალდით აღძრული იყო, და მარტო ის რწმენით ექცეოდა ამ საქმეს... და აკი მან მიახლა კიდეც საქმეს თავი. მაგრამ იმელ-გაცრუებულს კიდევ მიაჩეჩეს იმელი, კიდევ აღუძრეს მაღა, მიტომ მხოლოდ, რომ ისევ და ისევ მარტო გაეჯავრებინათ. ეს საქმე იყო ამ ხუთი წლის წინათ, როდესაც ამერ და იმერ თავად-აზნაურობამ დაადგინა დაეარსებინათ სამეურნეო საშუალო სასწავლებელი.. აქაც მისწერეს ოფიციალური წერილი, მაგრამ ეხლა კი პეტრიაშვილი უფრო გათვრთხილებული იყო, რადგან ჭეშმარიტობა, რაკი წინათ უკვე გაგზავნილი იყო ძიბ მიერ გეგმა ამხაირ სასწავლებლისა, საჭირო აღარ იქნებოდა ხელმეორედ მისი დაწერა და გადაწერა...

გავიდა კარგა ხანი და როდესაც მე კომისიის ერთ-ერთ წევრის თხოვნით მივწერე პეტრიაშვილსა, რატომ არ აძლევთ პასუხს, გარწმუნებთ, რომ ეხლა კი ნამდვილი საქმეა, და არა ტუილ-უბრალო დაპარაკი, დამჯერიყო თურმე და დაეწერა მთელი გეგმა, გაეგზავნა ეს ილიასთვინ და მას კი, როგორც შემდეგ ილიას წერილიდგან აღმოჩნდა, გაეგზავნა თავად-აზნაურობისთვინ, რადგან თვითონ ილიას თავჯდომარეობაზე იმ კომისიაში უარი ეთქვა... გაჭრა ის წერილი, გავიდა ერთი წელიწადი, და როდესაც ბერლინში შევხვდი პეტრიაშვილს, მაშინ კი გავიგე, რომ ეს საქმეც ტუილ უბრალო ენის ქაღალდი იყო. მეწუინა ძრიელ, არა მარტო მიტომ, რომ საწყალ მოხუცს არ უსრულდებოდა თვისი მცირე გულის საწადელი, არამედ უფრო მიტომ, რომ მე შევიყვანე ის შეცდომაში, გულით ურწმუნოს ჭვლავ აღვუძარი იმედი, მხოლოდ მისთვის, რომ ეს რწმენა უფრო დაჭკარგვოდა... მე თვითონ ვგრძნობდი რა უხერხულ მდგომარეობაში ჩავაყენე პეტრიაშვილი. მაგრამრა მექნა... წავებულს საქმეს მარტოდენ მიზეზების გამოკითხვა მოჭყვება ხოლმე, და აი მეც მივმართე ამ წესს. მივწერე წერილი იმ კომისის წევრს, თან საუკეთესოთ, რათ შემიყვანეთ თვით მე და შემაყვანინეთ შეცდომაში პეტრიაშვილი, მაგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიეწერა ილიასათვინ, და გამოირკვა საქმე, რომ კომისიის წევრთ არცკი ჭეოდნოდათ თუ არსებობდა პეტრიაშვილის მიერ შედგენილი გეგმა. ილიამ მოსწერა პეტრიაშვილსა და იმართდა თავი. მით, რომ ის თავჯდომარეთ ადარ იყო და ქალაქლები სულ გაღასცა მარშალს... სასაცილოა, რომ სტორელი არ ეოთვილიეო ეს პეტრიაშვილისთვინ, რომ ამ საქციელში მას არ ეგრძნო უპატივისმცემლობა, თვისპირობნება, დავწერილსა და დირსების შესახებ ხომ ნუღარას ვიტყვით...

მაგრამ ბედმა პეტრიაშვილს მის თავ-მოყვარეობის შესალახავათ ეს არ აკმარა... თუ ამერთ უეურადღებობით და უპატივისცემლობით მოსდიოდათ ეს, იმერთ უარესი ჩაიდინეს თავისი საქციელით პეტრიაშვილისადმი, რომელიც განსვენებულს მთელი ხუთი წელიწადი ვერ დეევიწყნა. და ვერ დაეეიწყნა არა მიტომ, რომ მას ჭსურვოდეს შურის ძიება, არამედ მხოლოდ მიტომ, რომ თვით მათი საქციელი ისეთი კომიზმით ადსაგსე იყო, რომ თვით შელახულ თავმოყვარე პეტრიაშვილსაც ოხუნჯობის კილოთი გადმოეცია ეს ამბავი ჩემთვინ და მეც რამდენათ შ

სუფლი, გაეჭანება გემით ბითუმისაკენ მრავალად მიტომ, რომ სამი დღე დრეს ქეთილსმოა, მერე ისევ დიბრუნდეს უკან, რადგან სახელმწიფო გამოცდები ჰქონდა. წარმოიდგინეთ თქვენ რომ დიდი და ძალიანი მოხუცი, ხუთი დღით ზღვით ნამგზავრი, სამი დღე დასდგება ამშენებელ კომპასიანს და სულ ადგილს ათვალიერებენენ, ისე რომ ვეტრიაშვილმაც კი იგრძნო ბოლოს ნამეტანობა ადგილის ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და უსახსრობის გამო". ხელს აწერდა მისი მეგობარი სამსონ თოფურია. ელდა ეცა ვეტრიაშვილს, აქ ხალხი მოტუუა, იქ იმედი გაუტრუეს და თითონ მოტუუეს... დადადგას ვიდა სჩიოდა... და უფრო მეტით ისა სწუინდა, რომ მისივე ამხანაგები თვისდა უნებურათ იდენდნენ ამ საქციელს... „თუ ფული თავიდანვე აღარა ჰქონდა, მაშინ რადა საჭირო იყო ასე დაჩქარებით გამოწერა, მიხდა-მოხდა, თუ არა და ნუ თუ ერთი თვის ან და ნახევარი თვის განმავლობაში ისე დაეცა ორთავე დაწესებულების საქმეები, რომ უცბათ ფულიც გაჰქრა". აი რა ვერ მოენელებინა ვეტრიაშვილსა... თუმცა კი იგი დარწმუნებული იყო, რომ ეს ჩადენეს მათ არა განგებ, არამედ მარტო „ნამეტნობისგან" „ნაზ-მგრძნობიერებისა" ნიტოს მანძილი ვერ გაუშინჯეს. ვეტრიაშვილსაც რადა დარჩომოდა, რომ დარტყვენილის თავით ისევ თვის ამხანაგებს მიჰყოლებოდა, უკანასკნელთ სიხარულით მიიდეს თვისი საუკარელი ამხანაგი და, რასაკვირველია, თუ სრულად არა, ტოტათი მაინც მიჰყვანენ საქმის გარემოებასო... წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა, როდესაც პირველად მივედი ამხანაგებთან და მოამაძახეს „აკი გითხარითო". ასე დაათავა ვეტრიაშვილმა თვისი ნაამბობი. მაშინ, როდესაც ის ტოტა არ იყოს ეპიგურის გრძნობით უცქერდა ამ საქმეს....

საარაკო ამბავია, მაგრამ ნამდვილი კია... და თუ ჩვენ ეს აქ გავიხსენიეთ არა იმ მიზეზით, რომ ვისმე საყვედური გამოვუცხადოთ, ანდა ვისმე დავცინოთ, არამედ მხოლოდ მისთვის, რომ დავსურათოთ ის მდგომარეობა, ის ატმოსფერა, რომელშიაც იმყოფებოდა ვეტრიაშვილი.—

გიორგი ჯავახიშვილი.

(დასასრული იქნება)

სქესობრივი საკითხი ბავშვის ცხოვრებაში.

სქესობრივ საკითხს ბავშვების ცხოვრებაში დიდ ყურადღებას აქცევენ ამ ბოლო დროს უცხოეთში, მომეტებულად კი ინგლისში, ჩვენ ვამჩნევთ იმის ნიშნებს, თუ როგორ ცდილობენ აიშორონ თავიდან ის აშქარა ყალბი აზრი, რომელიც სდევნის ადამიანის მომზადებას ცხოვრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაში უფრო რთულ და მძიმე საქმისათვის, რომლისაგანაც დამოკიდებულია წინმსვლელობა ერისა და კაცობრიობისა.

ჩვენში ჩვენებური პედაგოგიური საბჭოები და გამოცდილი მასწავლებლები ძველებურად სიჩუმით გვერდს უხვევენ სქესებრივ საკითხს. მშობლებიც არავითარ ყურადღებას არ აქცევენ ამ საკითხს. ისინი ყურადღებას აქცევენ უფრო ფორმალურ მხარეს. საკუთარი სამწუხარო გამოცდილება, არც საკუთარი იმედების გაცრუვება, არც ავადმყოფობა იმათ ყურადღებას არ იპყრობს. აუცილებლად სერიოზული მომზადებაა საჭირო ამ დიდებულ მომენტისათვის ცხოვრებაში.

საჭიროა მივაქციოთ ყურადღება მას, რომ თუ სქესობრივი ცხოვრება და ქორწინება არის შედეგი ადამიანის და ცხოველების საერთო სქესობრივი ინსტიკტისა, მაშინ ადამიანს, როგორც გონიერ არსებას, შეუძლია ისარგებლოს თავისი და წინაპრების გამოცდილებით, როცა აეშლებიან ეს ინსტიკტები და ლტოლვილებანი და ამის გამო მას შეუძლია დაიმორჩილოს ინსტიკტი: შეიკავოს ან განავითაროს ის იმის და მიხედვით, თუ რა ბოლო მოჰყვება მას. ამასთანავე მას შეუძლია ძლიერ გრძნობას ინსტიკტისას წინ დაუყენოს უფრო ძლიერი იარაღი—გონება, რომელსაც შეუძლია წარმოიდგინოს და გაითვალისწინოს ის შედეგები, რომელიც მოჰყვება ამ ინსტიკტს. რასაკვირველია, შეგნებას შეუძლია შესაფერი გავლენა იქონიოს ადამიანის ინსტიკტებზე. როცა მასალა საკმაოდ მოგროვდება, მაშინ გონება შეურყეველათ აყენებს თავის მოთხოვნას, რომ გაფანტული უნდა იქნეს ის ბურუსი, რომელიც გარს ახვევია ბავშვებისათვის სქესობრივ კითხვას ცხოვრებაში.

ყველასათვის ცხადია, რომ თვით ბავშვებს არ შეუძლიანთ არ მიაქციონ ყურადღება იმას, რომ ბევრი, მათ გარშემო მომხდარ ფაკტებთაგანი, ცხოვრებაში საიდუმლოების ბურუსით არის მოცული. მეორე მხრით, თვით ბუნება არ ფარავს მათგან უმთავრეს მოვლენას—გამრავლების მოვლენას, რომელთანაც მჭიდროთ არის დაკავშირებული მთელი რიგი ფაქტებისა, რომელიც ყოველდღე გვეჩხირება თვალში: გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაფხულზე ფრინველების გალობა, პეპლების სხვა და სხვა ფეროვნება, მავლობა ჩვენი შინაური ცხოველებისა, გაჩენა ახალი არსებისა და დაბოლოს თვით თავისი გაჩენა და წარმოშობა.

ბავშვები თხოულობენ პასუხს მათ ბუნებრივ შეკითხვაზე, ისინი მზად არიან ამასაც მოეპყრან ისე გულახდით და სადათ, როგორც სხვა რომელიმე მოვლენას, რომელიც ხდება მათ გარშემო ბუნებაში, მხოლოდ მშობლების მხრივ კი ხშირად შეხვდებით ამ შეკითხვების გამო უეცრივ შეკრთომას, აშკარად საკითხის ბანზე აგდებას, ან მოუხეშავ და მტკნარ სიცრუეს, ან კიდევ სასტიკ აღკრძალვას, რომ არ შეეხონ ამ საკითხებს. ამ გვარი ულოდიკო და ყოველმხრივ უგვანო საქციელი მშობლებისა, უნებლიედ აჩერებს ბავშვებს იმ პესიმისტურ აზრებზე, რომელიც გატარებული აქვს კოროლენკოს თავის მოთხრობაში „ღამეში". ბავშვები ღამით თავს იყრიან სანთელთან და ბაასობენ. იმათ იციან, რომ „დედას შალე ეყოლება ქალი"... „წინათ არ იყო ქალი და უეცრივ, არის... საოცარია, საიდან ჩნდება?" ისინი უკვირდებიან ამ საკითხს; იგონებენ მოხუცი გამდელის მოთხრობებს ამის შესახებ, მოშია ურიის ამბებს და დაბოლოს პერანგის ამარა მიდიან „იქ" ამ საკითხის გამოსარკვევად. იქ ჩამოვარდება საყურადღებო ლაპარაკი ბავშვებისა და ორ ბიძის შუა, ამათ ბავშვები დედის ოთახის კარებთან შეხვდებიან. „აქ როგორ მოხვედით"?—„ჩვენ გავიგონეთ, რომ ბავშვი ტიროდა".—„მერმე რა გინდათ"?—„ჩვენთვის საყურადღებოა", წარბ შეხრით უპასუხა მარკოზმა, „საიდგან არის ეს"? ამაზე ძია მიხეილმა, პროფესიით ექიმმა, მოიყვანა ჩვეულებრივი სისულელე რაღაც კალათაზე, რაღაც ძაფზე, რომელიც ზეციდგან იყო ჩამოშვებული; მაგრამ ბავშვებს არ სჯერათ ეს და თვით მარკოზი უხსნის თავისებურათ მოშია ურიის თეორიას ორ ანგელოზზე. გაათავებს თუ არა თვითონვე იძლევა კითხვას: „განა ყველა ეს მართალია?".. ოხ, რა მხურვალე მოთხოვნილება ისმის ამ კითხვაში. „ყველა მართალია ბავშვო, ყველა ეს მართალია!".. სერიოზულად უპასუხა ძია გენრიხმა. მაშინ მიხეილი,

რომელიც რამდენიმე წუთის წინ ამტკიცებდა, რომ ბავშვებს პოულობენ კალათაში, მოუთმენლად ბოტრიალდა სკამზე. „ნუ დაუჯერებ, მარკოზ! ყველა ეს სისულელეა... სულელი მოშიას ზღაპრებია... რა არის, რომ—მოუბრუნდა ის გენრიხს,—ბავშვის თავს ავსებ სისულელით!?“—„შენ კი ამ წუთში არ უვსებდი თავს რაღაც კალათის და ძაფის ზღაპრებით?„—„ეს ისეთი სისულელეა, რომელიც ბავშვს თავისუფლად შეუძლია მოიცილოს თავიდგან.“

დიახ, თუ ჩვენ შეგვიძლია ვუპასუხოთ სიცრუვით, მაშინ ჩვენ უნდა ვუპასუხოთ ბავშვებს ისეთი სიცრუვით, რომ მათ ადვილად შეეძლოსთ მოიცილონ ეს სიცრუვე თავიდგან. მაგრამ, განა ეს კითხვის განმარტებაა? განა ეს დააკმაყოფილებს ბავშვებს? განა ეს პედაგოგიური საშუალებაა? არა არა და ათასჯერ არა!.. ამის წინააღმდეგ ღაღადებს გრძნობაც და აზრიც. ნეტავ თუ ჰგონიათ ზოგიერთ მშობლებს, რომ ასეთი საქციელით აღწევენ სასურველ მიზანს და ბავშვის თავში ძირიან-ფესვიანათ ფხვრიან „საშიშ კითხვას.“ მაგრამ ეს არც ასე ადვილია. ამ კითხვებს აყენებს თვით ცხოვრება. ცხოვრებაში ეს კითხვები თან და თან ახლდებიან ახალ ახალი ფაქტებით, რომელიც თავს იჩენს ბავშვის გარშემო.

მაგრამ თუ ნაჩვენები საშვალებანი სასურველ მიზნამდის ვერ მიგიყვანს, არც მთლად უმნიშვნელო დარჩებიან ბავშვის ცხოვრებაში. მკრთალი, ცრუ და მოუხეშავი პასუხები მშობლებისა, ან აღკრძალვა საყურადღებო შეკითხვებისა უშედეგოდ არ რჩება. მაგრამ როგორი შედეგი მოჰყვება ამას? ნდობა და მეგობრობა მშობლებთან შესწყდება და ეს გასტანს მთელ ცხოვრებაში, ბავშვები იმედს ჰკარგავენ, და რომ ვერავითარ პასუხს ამ საკითხზე მშობლებისაგან ვერ მიიღებენ, პირიქით კიდევაც უნდა დამალონ მათგან, რაც საკითხი დაებადებათ მათ ამ საგანზე. ამ სახით კითხვები კითხვებათ რჩებიან და თხოულობენ პასუხს, რომლისთვისაც ბავშვი მიმართავს ამხანაგებს, მოსამსახურეებს დ- ხანდისხან თვით ცდილობს თავისთავად ახსნას და განმარტოს საკითხი. როგორ განმარტავს ბავშვი თავისთავად, ეს ბევრისთვის ცხადია, და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე არას ვიტყვი. როგორ პასუხს მიიღებს ბავშვი გაუნათლებელ და ხშირად ზნე დაცემულ ადამიანებისაგან, რომელთანაც გადისროლეს მშობლებმა ბავშვი—ესეც ადვილი წარმოსადგენია. ჭკვიანი და განათლებული მშობელი, რომელიც აღზრდილა „შიშს და პატიოსნებაში“ თავის განათლებულ და ჭკვიან მშობლებისაგან, ისევე ზრდიან თავიანთ შვილებსაც. ცხადია ასეთი საქციელი მშობლებისა იწყევს ბავშვების მხრით უნდობლობას მშობლებისადმი და ეს არღვევს ბავშვის წმინდა იდეალს და ჩირქს სცხებს ბავშვის იმ წმინდა გრძნობას, რომელიც აქვთ მათ მშობლებისადმი.

მართლადაც, ნუ თუ ეს მშობლების შიში სქესობრივ კითხვაში არ შეადგენს ისეთ რასმე, რომელიც აფერხებს შვილებსა და მშობლებს შორის მეგობრულ და დაახლოვებულ განწყობილებას? ნუ თუ სასტიკობა არ არის და ნამდვილი დამახასიათებელი მშობლების გაუნათლებლობისა, რომ ისინი არ ხელმძღვანელობენ შეგნებით, არც მისწრაფებით იმ იდიალისადმი, რაც ცხოვრებას დაუსახავს შვილებისათვის, რომელსაც ისინი აძლევენ სიცოცხლეს?..

განათლებული და პატიოსანი მშობლების შიში შორს მიდის ცხოვრებაში. ისინი ვერ ბედავენ მოაცილონ თვალი თავიანთ შვილებს და მათ კერძო ცხოვრებაშიდაც კი ეროვიან უადგილო ადგილას. 14—15 წლის ქალს, როცა გიმნაზიიდან ბრუნდება ხშირად ახლავს ლაქია ან მოსამსახურე ქალი; მოზრდილ ყმაწვილებს არ შეუძლიანთ ნება დაურთველად წაიკითხონ საუკეთესო ნაწილი მხატვრული ლიტერატურისა და სხვა მრავალი ამგვარი. როცა კარგად უკვირდებით ამ ულოლიკობას, ჩვენ წინ იშლება აწინდელი მღგომარეობა საქმისა თავის საზარელ სურათით. ბავშვები ვერ ბედავენ კრინტი დასძრან თავიანთ მშობლების წინ მათ სქესობრივ ორგანოების ავადმყოფობაზე, თუმცალა მათ არავითარი კავშირი არ ქონიათ სქესობრივ ცხოვრებასთან; ხშირად ისინი სირცხვილის გამო საათობით თავს იკავებენ ბუნებრივ მოთხოვნილებისაგან მხოლოდ მისთვის, როს ის გარემოცულია მათთვის რაღაც საიდუმლოებით და აღკრძალვით. გიმ-

ნაზიაში, უფრო ხშირად ვაჟებისაში გარყვნილება გავრცელებულია მოარულ სენივით რომელიც იჩენს თავს თუ არა, მერმე ძნელი ამოსაფხვრელია ექიმების შემოწმებით არ არის ისეთი გიმნაზია, სადაც მომეტებული პროცენტი ბავშვებისა არ იწამლავდენ სიცოცხლეს ჩუკუნობითა. ქალების სასწავლებლებიდგანაც გამოდიან „უცოდველი“ ქმნილებანი, სუსტნი და მოუწყობელნი მათ მომავალ დანიშნულების შესრულებისათვის. ისინი ყოველივე საშვალებას ხმაროben დაჰფარონ. როცა გამოაჩნდებათ დედათა წესი და ამის გამო ხშირად იძენენ განუკურნავ ავადმყოფობას; ბოლოს კი სასოწარკვეთილებით გარბიან თავიანთ ქმრებიდგან, რადგან იტანჯებიან რაღაც გაუგებრობით და ზიზღით, მთელ მომავალ ცხოვრებაში იმათ მოაქვთ თავიანთ თავისათვის აუარებელი ვნება, რადგან არ იციან თუ როგორ უნდა მოუარონ თავიანთ სხეულსა. ისინი აჩენენ შვილებს, როცა არ იციან და არ ელიან; შემდეგ კი აწვალებენ მათ იმ გაუგებრობის გაჟო, რომ სრულებით არ იცნობენ ადამიანის ორგანიზმს და მის მოთხოვნილებას.

ჩვენ დანამდვილებით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ თვითეული მშობელთაგანი, რომელიც ერთი წუთით შეჩერდება თავის წარსულზე და მოიგონებს მას, აუცილებლათ მოაგონდება თავის ცხოვრებიდგან ის ფიზიკური და ზნეობრივი ტანჯვა, რომელიც გამოიარა მან იმის გამო, რომ მშობლებმა დასტოვეს ის ბედის ამარა, როცა საჭირო იყო მისთვის შეგნებული დახმარება.

ამ სამწუხარო შედეგების დანახვის დროს, უნებლივ მიჩნდება საკითხი—„როგორ მოვიქცე?“ ნუ თუ დრო არ არის გავფანტოთ მძიმე ბურუსი, რომელმაც დაჰფარა ყველა უმთავრესი, მაღალი და იდეალური მხარე იმ აქტში, რომელმაც უნდა შექმნას მომავალი შთამომავლობა, მომავალი ძალა და შეგნება და მისცა მას სამაგიეროთ ცრუ და გარყვნილი ფორმები, რომელიც იზიდავს, შიშს ჰგვრის და ითრევს უფსკრულისაკენ?.. როგორ მოვიქცეთ? აი საკითხი, რომელიც თხოულობს პასუხს.

ეროვნული

მუქარით და სასჯელით ყოველად შეუძლებელია მოელინებულ უბედურების ამოფხვრა, ასეთ უაზრო მოქმედებაზე ტყუილად დაიკარგება მთელი ძალა და ენერგია; ამისათვის მთელი ძალა და ენერგია უნდა მოხმარდეს დადებით მუშაობას, ე. ი. სქესობრივი საკითხი ისე უნდა აუხსნათ ბავშვს რომ მან წარმოიდგინოს ამ საქმის დიდებული და სერიოზული მხარე, მაშინ ცუდი მხარეები თავისთავად უკანასკნელ ადგილს დაიჭერს, რადგან ბავშვის ყურადღება მიპყრობილი იქნება უფრო ბუნებრივ, უფრო მეცნიერულ და მასთანვე უფრო დამაკმაყოფილებელ და განმავითარებელ შეგნებისაკენ.

სქესობრივ საკითხს აწინდელი პედაგოგია დიდ ყურადღებას აქცევს საზღვარ გარეთ, უფრო ამერიკაში და ინგლისში, სადაც ზოგიერთ სკოლებში ბავშვებს შეხვდებით განსაზღვრული შეხედულობით სქესობრივ საკითხზე. საზღვარ გარეთელ მწერლობაში შეხვდებით არამც თუ თეორიულ განმარტებებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გააცნონ ბავშვებს მათი ორგანიზმის ბუნებრივი მოთხოვნილების საკითხი, არამედ პრაქტიკულ განმარტებებსაც თუ როგორ, ან რა წესით უნდა გააცნონ ბავშვი ამას.

ყოველს იქვს გარეშეა, რომ მშობლებს მოუწევთ სერიოზული მუშაობა და მომზადება მისთვის, რომ გასაგები ახსნა მიაწოდონ თავიანთ ბავშვებს; მაგრამ ეს სერიოზული მუშაობა ნუ თუ არ შეიტანს მათ ინდივიდუალურ ცხოვრებაში ახალ შინაარსს და ახალ სულიერ მისწრაფებას, რომლითაც მეტად ღარიბია ჩვენი ინტელიგენტური კლასები?.. უპირველეს ყოვლისა სქესობრივი საკითხის სერიოზულ გამოსარკვევათ საჭიროა თავის საკუთარი ორგანიზმის შესწავლა; აქ მოგვეშველება ბუნების მეტყველება, რომლის მნიშვნელობა თანდათან ძლიერდება ჩვენს სკოლებში. ამის წყალობით ჩვენ ადვილად შეგვიძლია თანდათანობით გავაცნოთ ბავშვებს გამრავლების პროცესი, რომელიც იპყრობს ბავშვების გონებას და ჯეროვან გავლენას ახდენს მათზე.

მე არ შეუდგები იმ მეთოდების და გეგმების ახსნას, რომელიც მიღებულია სხვა და სხვა ადგილას საზღვარ გარეთ-

მხოლოდ ვიტყვი, რომ ვიდრე ამ საკითხის ახსნას და განმარტებას შეუდგებოდეთ, ბავშვები გაცნობილი უნდა იყვნენ მცენარეების, ქვეწარმავალის, თევზების, ფრინველების და რძით მკვებავ ცხოველების გამრავლების პროცესს. აგრეთვე აუცილებლათ ოჯახშივე ბავშვები უნდა ღებულობდნენ უფროსებიდგან პირუთვნელ პასუხს ყველა იმ შეკითხვებზე, რომელიც მათ ებადება სქესობრივ საკითხის გამო ცხოვრებაში. ამასთანავე საჭიროა, რომ წინ არ გავიქცეთ ახსნაში, მხოლოდ უნდა ვუპასუხოთ იმ შეკითხვაზე, რომელიც მათ ებადებათ. თუ კი ზოგიერთ შემთხვევაში მშობლებს რაიმე მოსაზრებით გაუძნელდებათ პასუხის მიცემა რომელიმე საკითხზე, იმ შემთხვევაში უმჯობესია უთხრან ბავშვს, რომ ის ამ კითხვაზე მიიღებს სკოლაში პასუხს, ხოლო არასფრის გზით ბავშვები მოტყუვებული არ უნდა იქმნენ. ბავშვი ამ პასუხითაც დაკმაყოფილდება და გაცილებით აჯობებს იმ მოტყუილებას, რომელსაც ეხლა ხმარობენ ზოგიერთი მშობლები.

ვათავებ ამ მოკლე წერილს, რომლითაც მინდა მივაქციო მკითხველის ყურადღება ამ სერიოზულ სქესობრივ საკითხზე, რომელიც არ აღძრულა ჯერჯერობით ჩვენს ისედაც ღარიბ პედაგოგიურ ლიტერატურაში, თუმცა ეს საკითხი არა ერთი და ორი მასწავლებლის გონებას იპყრობს. სასურველია ამ საკითხის აღძვრა და განმარტება ჩვენს დროში. ადვილი შესაძლებელია, რომ ეს ახალი საკითხი საგსებით მალე ვერ გამოირკვეს ჩვენში, მაგრამ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ჩვენი შრომა და მეცადინეობა ამ საქმეში ტყუილად არ ჩაივლის და მომავალ თაობას მისცემს უფრო მეტს მასალას, ამ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტაში.

ნიკო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიბლიოგრაფია

დახასიათებანი სკოლაში გამოკვლევა ა. ფ. ლაზურსკისა. სპტ 1908 წ.

სამეცნიერო პედაგოგია ამ უკანასკნელს დროს შესამჩნევი ნაბიჯით წინ მიდის. ევროპაში და რუსეთშიაც შეუდგნენ სწავლა-აღზდის საქმის შესწავლას და მის თეორიის შემუშავებას სრულიად ახალს ნიადაგზე. ამ მიმართულებას უწოდებენ სახელად საექსპერიმენტო პედაგოგიურს პსიხოლოგიას. ჩვენ მივაქცევთ ამ დარგში მკითხველის ყურადღებას ორს შესანიშნავ შრომაზე, რომელიც დაწერილია საექსპერამენტო მეთოდით, რა გვარათაც იგი გამოკვლეული იქმნა საზღვარ-გარეთ. მე მაქვს სახეში პროფ. ა. პ. ნეჩაევის ნაწერები საპედაგოგიო პსიხოლოგიაში და ა. ფ. ლაზურსკის წერილები ამ წლის განათლების სამინისტრო ჟურნალში. ამ უკანასკნელის გამოკვლევა დახასიათებანი სკოლაში ბევრს საყურადღებო საგანს ეხება და პრაქტიკაში მისაღებ მეთოდად ჩაითვლება.

მოსწავლის პიროვნების შეგნება, მისი აგებულების და ბუნებითი თვისებათა გათვალისწინება უადვილებს მასწავლებელს სწავლა-აღზდის საქმის მტკიცე საფუძველზე დაყენებას და გაძღოლას. აი სწორედ ამ მხრივ არის საინტერესო და სკოლაში გამოსაყენებელი მეცნიურულად მომზადებულის ლაზურსკის ცდა და დაკვირვება ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ ორს-სამს მაგალითს, რომლითაც იგი ხელმძღვანელობს მოსწავლის გონებითი ფარგლის წარმოსადგენად. ათს შეგირდზე ექვს თვის განმავლობაში გამოსცადა მან თავისი ექსპერიმენტალური მეთოდი. თვითოეული მათგანი ექვსჯერ იყო გამოცდილი 20—30 წამის განმავლობაში. გამოცდა მდგომარეობდა ოთხნაირი საქმის შესრულებაში: მძიმის დასმა,

ხმა მაღლივ თვლა, ასოების გამორჩევა და ლექსის ზეპირად დასწავლა. მძიმეს დასმა ტემპერამენტის გამოსაკვლევად არის მიღებული. მოსწავლეს აძლევენ ფანქარს, რომლითაც უნდა თეთრს ქაღალდზე დასვას წერტილები ორ ხელად, 15 წამის განმავლობაში! პირველი იმ სისწრაფით, ტემპით, რომელიც მას ემარჯვება, მეორედ, კი, რაც შეიძლება მეტი სიჩქარით. შედარება ამ საქმის შესრულებისა მოწაფის დამახასიათებელ თვისებებთან იძლევა რამდენსამე საყურადღებო დასკვნას. ამ გვარადვე თვლა ნახევარ წამის განმავლობაში ერთიდან მოყოლებული ასაბუთებს ენის სისწრაფეს და შეგუებულია წერტილის სიჩქარით დასმასთან. ასოების ამორჩევა იმაში მდგომარეობს, რომ მოსწავლეს ეძლევა დაბეჭდილი დედანი და რამდენიმე წამის (5—10) განმავლობაში უნდა გახაზოს ან დათვალოს რამდენჯერ შეხვდება მასწავლებლის (გამომცდელის) მიერ დანიშნული ასო. ეს ცდა საუცხოოდ ახასიათებს მოსწავლის ყურადღებას, მის დაკვირვებას და სიმტკიცეს. ზოგნი შეგირთაგანი უნაკლოდ აღნიშნავენ დასახელებულს ასოს ზოგნი მეტ-ნაკლებობით ასრულებენ ამოცანას შეთვისებული დაკვირვების თანხმად. ამავე მხარეს და მოწაფის ნიჭს ნათელს ჰფენს ლექსის დასწავლა. ათი წამის განმავლობაში გრძელი ნაწყვეტიდან უნდა დაისწავლოს მოსწავლემ იმდენი სტრიქონი, რამდენიც შეუძლიან. აქ გამოჩნდება ბავშვის განვითარება, მეხსიერების ძალა, დაკვირვება, შეზომება, დროის და შეძლებისა.

ამ ნაირი გამოცდა ბევრნაირია, სხვათა შორის ბ-ნს ლაზურსკის მოჰყავს გამოცდა, რომელიც თხოულობს შეგირდებისაგან ერთი-ორი წამის განმავლობაში შეადგინონ წინადადება მიცემულს სიტყვებიდან. მაგალითად უნდა შეადგნოს ფრაზა, რომელშიაც სამი სიტყვაა: ბავშვი, მდინარე, საღამო; ანუ: მზე, დედამიწა, ხე; ან ოთხი სიტყვითგან: ეკკლესია, ბანი, თოვლი, კედელი, ანუ: ჯილდო, სიყვარული, ჭეშმარიტება, კაცი. წინადადება უნდა იყოს შედგენილი იმ გვარად, რომ შეიცავდეს დასრულებულს აზრს. ამ გვარი წინადადება უნდა შესდგეს სამნაირად, სხვა და სხვა ზმნების

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სახელების დახმარებით. ეს გამოიდა ასურათებს მოსწავლის გონების საკომბინაციო მოქმედებას და აზროვნობის თვისებას.

არ მომყავს ის მაგალითები და დასკვნა, რომელსაც აღნიშნავს ბ-ნი ლაზურსკი, რადგან საბიბლიოგრაფიო წერილს გაგვიგრძელებდა. სასურველად მიგვაჩნია, რომ ამ მეცნიერის მეთოდით გამოკვლევას ყურადღება რიაქციონ ჩვენმა მასწავლებლებმა.

ხანი.

დედა და შვილი ელლენ კეჰი*)

აწინდელ პედაგოგთა შორის დასავლეთ ევროპაში ძლიერ საპატიო ადგილი უჭირავს ელლენ კეჰის (Ellen Key). ამ სახელოვან დედაკაცს მრავალი საყურადღებო ნაშრომი აქვს [1]) მოზარდი თაობის აღზრდა-განათლების, თანამედროვე ოჯახის წეს-წყობილების, დედაკაცისა და მამაკაცის ურთიერთ შორის დამოკიდებულების შესახებ. ე. კეჰის ნაშრომები უფრო მნიშვნელოვანია იმ მხრით, რომ თითოეულ ზემოაღნიშნულ საკითხს იგი განიხილავს არა განყენებულად; არამედ ცდილობს განმარტოს თუ რა გვარი კავშირი არსებობს ამა თუ იმ პედაგოგიურ, ზნეობრივ საკითხსა და აწინდელ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ წეს-წყობილებათა შორის. ცხადია, პედაგოგიური და ზნეობრივი საკითხების განმარტება ელ. კეჰის ნაშრომში ყოველთვის შეიცავს ბურჟუაზიული წეს-წყობილების კრიტიკას და ავტორის მისწრაფენი მიმართულია იმ მომავალი საზოგადოებრივი და პოლიტიკური წეს-წყობილებისაკენ, როდესაც კაცობრიობა განიკურნება ოჯახის და სკოლის აღზდისა და განათლების უკეღმართობისაგან. ელ. კეჰი დიდი ენერგიის დედაკაცი არის, იგი მხურვალე მონაწილეობას იღებს დასავლეთ დედაკაცის ბრძოლაში პიროვნების და არსების განთავისუფლებაში. მჭერმეტყველება, ღრმა მეცნიერული მომზადება, გატაცებული ხასიათი მომხიბლავ გავლენას ახდენს მისი ნაშრომების მკითხველზედ და ამიტომაც ელ. კეჰის აზრები შესაფერ ნიადაგს პოულობს. მაშასადამე, ურიგო არ იქნება რომ ცოტად მაინც გავეცნოთ ამ საყურადღებო მწერლის აზრებს და მისწრაფებას.

---

*) ზოგიერთი ნაშრომი ელ. კეჰისა უკვე თარგმნილია რუსულად, ასე რომ მსურველთ შეუძლიან ვრცლათ გაეცნოს ავტორის აზრებს: 1). Э. Кей. Вѣкъ ребенка, 2) Любовь и Бракъ, 3). Очерки, 4). Мать и Дитя.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ უანასკნელ ხანში გამოვიდა საყურადღებო ნაშრომი ელ. კეჰისა რომელშიაც ავტორმა თითქოს წინეთ ნაწილ-ნაწილათ გამოთქმულ აზრებს თავი მოუყარა, ახალი ნაშრომის სახელით: „დედა და შვილი,“

ელ. კეჰის აზრები შემდეგში გამოიხატება: ჩვენს ავტორს სურს გამოიკვლიოს დამოკიდებულება დედა და შვილს შორის თანამედროვე ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. ძლიერ ხშირი მოვლენაა ამბობს ავტორი, რომ გაუთხოვარი ქალი შვილი იძულებულია დედად გახდეს, ასეთი მდგომარეობა კი მიზეზია უდიდესი დანაშაულობისა, როცა ასეთი დედა ჰკლავს „უკანონოდ“ შეძენილ შვილს. ამ დანაშაულობის ნამდვილი მიზეზი კი საზოგადოებრივ შეხედულებაში არის, რომელიც დევნის „უკანონო“ შეძენილი შვილის დედას თავის წრიდან. ეხლანდელი საზოგადოებრივი და ზნეობრივი შეხედულება მხოლოდ ისეთ დედას ხდის თავის ყურადღების დამხრუნველობის ღირსად, რომელსაც ეს უფლება შეძენილი აქვს მამაკაცთან არსებული „კანონიერი“ შეულლებით ეკლესიის, ან სხვა ოფიციალური დაწესებულების შემწეობით.

არა ნაკლებ გაჭირვებულ მოგომარეობაში არის დედა-მუშა, რომელიც დილიდან საღამომდის გაბმულია ქარხნებში ძნელ და ძლიერ მავნე მუშაობაში. ასეთი დედა იძულებულია მომეტებული დრო სახლკარს გარეშე გაატაროს, მაშასადამე ყოველგვარ ღონის ძიებას მოკლებულია თვალყური ადევნოს და ზედამხედველობა იქონიოს თავის შვილებზედ. უკანასკნელთა მხრუნველი და აღმზრდელი ქუჩა არის. თუ ჩვენ ზევით ავიწევთ და კარებს შევაღებთ წვრილ ბურჟუაზიის ოჯახშიო, განაგრძობს ელ. კეჰი, ბევრს სანუგეშოს ვერას ვნახავთ. მართალია, აქ დედას საშუალება აქვს მოუაროს თავის ბავშვებს, ზედამხედველობაც იქონიოს მათზე, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ასეთ ოჯახში დედას ბევრი შვილები ასევია, ბევრი ოჯახური დავიდარაბა აწევს თავზედ, ცხადია დედას არც საშუალებანი და არც ძალღონე ეესწევს შესაფერათ აღზარდოს თავისი შვილები.

თუ ჩვენ ეხლანდელ საზოგადოების უმაღლეს საფეხურზედ ავიწევთ, აქ უფრო სამწუხარო სურათებს ვიხილავთ. დიდ ბურჟუაზიულ ოჯახში დედას სულ არა სცალიან, ბავშვების აღზდა და განათლება გადაცემულია განგებ დაქირავებულ პირების ხელში.

ზემო მოყვანილი ფაქტები გვეუბნება თუ რა ცუდი დამოკიდებულება არსებობს დედასა და შვილს შორის ეხლანდელ საზოგადოებაში. თუ ჩვენ ზემო დასახელებულ შემთხვევებს გამოვრიცხავთ, მაშინ მცირე რიცხვი დაგვრჩება ისეთი პირებისა, რომლებიც შესაფერათ ასრულებდეს დედის და აღმზრდელის დანიშნულებას. უბედურება კიდევ იმაში არის, რომ დღევანდელ დედას არავითარი იურიდიული და პოლიტიკური უფლებები არა აქვს და ხშირად მონა მორჩილი უნდა გახდეს ქმრისა, რომელსაც ყოველთვის ბატონობა ეკუთვნის, როგორც ოჯახში, ისე ოჯახს გარეთაც. ასეთი მდგომარეობა, უკუღმართი მდგომარეობაა და ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა უკუღმართობისაგან წაღმართობა შევქნათ. მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რანაირად, რა ძალების შემწეობით—გვეკითხება ავტორი და გვაძლევს პასუხსაც. ვინ იტანჯება დღევანდელი ოჯახის უკუღმართ აგებულებისგან? იტანჯება ბავშვი, იტანჯება და იღუპება მომავალი თაობა, რომელსაც არავითარი დანაშულობა არ მოუძღვის არც დედმამისა და არც საზოგადოების წინაშე.

საზოგადოება მხოლოდ მაშინ განიკურნება სნეულობისაგან, როდესაც არსებითად შეიცვლება ხასიათი ცოლისა და ქმრის დამოკიდებულებისა; მშობლებმა უნდა შეიგნონ თუ რა დიდი და მძიმე მოვალეობა აწევთ მათ თავზედ საზოგადოების წინაშე; ახალმა წეს-წყობილებამ უნდა განასპეტაკოს დამოკიდებულება დედა შვილს შორის, ეს არის კაცობრიობის იდეალი. დღევანდელი დედა უნდა მიესწრაფებოდეს „დედის უფლებების" შეძენისკენ. რასაკვირველია, ოჯახს და ცოლ-ქმრობის კავშირს ძალას და ზნეობრივ დიადობას აძლევს არა ოფიციალური წესები, რომლებიც წინ მიუძღვის ყოველ გვარ შეუღლებას მამაკაცისას დედაკაცთან, არამედ ძალა და არსებობა ცოლ-ქმრობისა გრძნობაშია, რომელსაც ვერ განსაზღვრავს ოფიციალური წესები და დაწესებულებანი. ძლიერ გავრცელებულია აზრი, განაგრძობს ელ. კეჰი, რომ ვინც იცავს დღევანდელი ცოლ-ქმრობის წეს-წყობილებას, იგი უნდა წინააღუდგეს ეგრეთ წოდებულ თავისუფალ სიყვარულს, გრძნობას. ჩვენი ავტორი წინააღმდეგია ასეთი აზრისა, თავისუფალ სიყვარულს, ანუ თავისუფალ დამოკიდებულებას ცოლსა და ქმარს შორის (ე. ი. ისეთ დამოკიდებულებას, შეუღლებას, რომელიც ოფიციალური პირებისაგან ნაკურთხი არ არის) თავისი ღრმა მიზეზები აქვს,—ცხადიაო, ამბობს ელ. კეჰი, უნდა გავითვალისწინოთ ეს მიზეზები და შემდეგ ვთქვათ, რომ თავისუფალი სიყვარული უსინდისო და უზნეო საქმეაო. ეკონომიური მიზეზები ხელს უშლის ოფიციალურ შეუღლებას; გაჩნდენ ახალი გვარის პირები, ისინი მხოლოდ თავისუფალ სიყვარულს აღიარებენ, ვინაიდგან მათი აზრით ცოლ ქმრობის კავშირს ძალას და ძლიერებას აძლევს არა ეკლესიის ან სხვა ოფიციალური დაწესებულების სანქცია, არამედ თავისუფალი და დამოუკიდებელი გულ-წრფელი გრძნობა. ახალი ზნეობრივი შეხედულება ეწინააღმდეგება ისეთ წეს-წყობილებას, რომელიც ნებას არ აძლევს ჯანმრთელი ახალგაზდობის აუარებელ რიცხვს შეიქნეს მშობლებათ. ძველი ზნეობრივი შეხედულებანი არავითარ ყურადღებას არ აქცევს ბავშვის ჯან-მრთელობას, ძველი ზნეობრივი შეხედულების მიმდევარნი ძლიერ კმაყოფილნი არიან, რომ მათი შვილები შედეგია კანონიერი შეუღლებისა. გარეგანი ფორმა დაცულია და მეტი დარდი საჭირო არ არის.

ახალი ზნეობრივი შეხედულების მიმდევართ სახეში აქვთ არა მარტო შთამომავლობის გაგრძელება, არამედ შთამომავლობის მომავალი ჯან-საღობა და მისი ვარგისობა. ჰეშმარიტი იდეალი მომავალი ოჯახისა იმაში გამოიხატება, რომ დედაკაცისა და მამაკაცის შეუღლება, ამ შეუღლების კანონიერათ აღსარება განთავისუფლებული იქნება ყოველგვარი ოფიციალური ზედამხედველობისაგან. დედაკაცი და მამაკაცი თავისუფალნი უნდა იყვნენ, ისინი თვითონ აირჩევენ ისეთ ფორმას შეუღლებისას და საერთოთ ცხოვრებისას, რომელიც მათთვის ხელ-საყრელი იქნება, შეუღ-

ლების ფორმასთან საზოგადოებრივ ეთიკას არავითარი საქმე არა აქვს. არ უნდა დავივიწყოთ მხოლოდ შემდეგი: დედაკაცის და მამაკაცის შეუღლების შედეგია მესამე პირი: ბავშვი, უკანასკნელის ინტერესები დაცული უნდა იქნეს, მაშასადამე, თავისუფალი შეუღლების ფორმის არჩევაში დედაკაცი და მამაკაცი ვერ აცილებენ ვალდებულებას ამ მესამე პირის წინაშე. ცოლის და ქმრის ვალდებულება გამოიხატება საზოგადოების წინაშე, ვინაიდგან საზოგადოება უყურადღებოთ ვერ დასტოვებს შთამომავლობის გამრავლებას, მისს აღზდას და განათლებას. ახალი ეთიკის გაბატონებას მოსდევს, როგორც აუცილებელი შედეგი, საზოგადოების ვალდებულება ახალი თაობის წინაშე ე. ი. საზოგადოებას არავითარი დარდი არა აქვს თუ რა სახით შეუღლდა მამაკაცი და დედაკაცი, მხოლოდ საზოგადოება თვალყურს ადევნებს და იცავს ბავშვის უფლებებს, რადგანაც ბავშვი შეიქნება წევრი იმავე საზოგადოებისა.

ზემო მოხსენებული აზრებიდან, ელ. კეჰიმ შემდეგი აუცილებელი მოთხოვნილებანი წარმოაყენა დედა შვილის ახალი დამოკიდებულების და ოჯახის ახალი წეს-წყობილების შესახებ: 1. ახალგაზდა ქალს და ყმაწვილს ექიმმა უნდა აუხსნას ვრცლათ თუ რას წარმოადგენს დედაკაცისა და მამაკაცის შორის სქესებრივი სიყვარული, შემდეგ ახალგაზდობამ უნდა შეიგნოს, რომ დედაკაცისა და მამაკაცის შორის სიყვარული უნდა იყვეს ღრმა და სპეტაკი და მხოლოდა უკანასკნელი მისცემს დიად ელფერს შეუღლებას, დასასრულ ექიმმა უნდა აუხსნას ახალგაზდობას, რომ მხოლოდ ჯან-მრთელ და ჯან-საღ პირებს აქვს უფლება შთამომავლობა დატოვოს.

2. როდესაც ახალგაზდები დააპირებენ შეუღლებას, ე. ი. როდესაც ისინი დანიშნავენ ერთმანეთს, მაშინ ისინი სწერენ პირობას, პირობას შეამოწმებს ორი პირი. თუ შემდეგ ესენი არ შეუღლდებიან და განშორდებიან, და თუ განშორების დროს დარჩებიან ბავშვები, ასეთი ბავშვები კანონიერათ ითვლებიან და დედაკაცი მამაკაცთან ერთათ, რომელთა შეუღლება არ მოხდა, ვალდებულნი არიან იზრუნონ ბავშვებზედ.

3. საცოლომ და საქმრომაც წლიური საერთო ბეგარა უნდა გადიხადონ. ე. ი. ერთი წლის განმავლობაში გასათხოვარნი ვალდებულნი არიან გეცნონ რაციონალურ ოჯახობას, ბავშვის სულიერ და ხორციელ აგებულებას.

ვისაც ექნება ექიმის მოწმობა, სადაც ნათქვამი იქნება, რომ მოწმობის პატრონს აქვს წარმოდგენა სქესებრივი სიყვარულის შესახებ, პირობაც დაწერილი დანიშვნის დროს, მოწმობა ბეგრის შესრულების შესახებ, ასეთ დედაკაცს უფლება აქვს მიიღოს პრემია ე. ი. ისეთი მატერიალური დახმარება, რომლის შემწეობით შეძლებს ოთხი შვილის აღზდას სამი წლის განმავლობაში. დასახელებულ პრემიას კი მიიღებენ ასეთი პირები, რომელნიც: 1) თვითონვე აღზდიან ბავშვებს, 2) მოკლებული იქნებიან მატერიალურ საშუალებას ბავშვების აღზდაში, 3) დამორჩილებიან ასალ ინსპექციას, რომლის დანიშნულება იქნება ბავშვის ჯან-მრთელობის თვალ-ყურის დევნა.

ფონდი დასახელებული პრემიისა შესდგება:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. გადასახადისაგან, რომელიც აღებული უნდა იქნეს მემკვიდრეობითი შეძენილი ქონებისაგან, უშვილო მემკვიდრის გადასახადი კი უნდა უდრიდეს მამულის ღირსებულების ნახევარს

2. გადასახადისაგან, რომელიც იძულებული იქნება გადიხადოს თითოეულმა მამამ, სანამდის მისი შვილები არ შეიქნებიან 18 წლ. გადასახადი იმდენათ დიდი იქნება, რამდენათ მეტი შეძლება ექნება მამას.

აი, ბატონებო, ძლიერ საყურადღებო აზრები თანამედროვე მწერალ პედაგოგისა.—

სიმ. ავალიანი.

წერილი რედაქციის მიმართ.

დიდათ პატივ-ცემულო ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესათ გთხოვთ ამ ჩემ მცირე შენიშვნას ადგილი დაუთმოთ თქვენი ჟურნალის მახლობელ ნომერში.

ჟურნალ „განათლების“ მე-№-3-4-ში მოთავსებულია ბ-ნი კოტე ელიოზიშვილის ბიბლიოგრაფიული შენიშვნა ჩემ მიერ თარგმნილი ე. ფერიერის თხზულების-დარვინიზმის შესახებ.

ბევრი შეცდომა სრულებით სამართლიანათ აქვს ბ-ნ კოტე ელიოზიშვილს ნაჩვენები, ამიტომ მე მათ არ შევეხები. ვიტყვი—მხოლოდ, რომ ჩემ თარგმანში მართლაც ბევრი კორექტურული შეცდომა მოიპოვება. გარდა ამისა, კორექტორისავე ბრალია, რომ ერთი ადგილი ტექსტისა გამოტოვებულია, რადგან სრულებით არავითარი საბუთი არა მქონდა ის ადგილი დედნისა გამომეტოვებია. მაგრამ არ შემიძლია, ზოგი შენიშვნა ბ-ნი კოტე ელიოზიშვილისა უყურადღებოთ დავტოვო.

1. „ატროფიას“ ბ-ნი კოტე ელიოზიშვილი თარგმნის სიტყვით „გალევა“.—მგონია კი, რომ უფრო შესაფერი იქნება, ვიხმაროთ სიტყვა ნალევა, რადგან ხალხი ასე ხმაროს. მაგ., ხალხი იტყვის, ნალევა ჰკერცხია, ე. ი. ის კვერცხები, რომელიც ქათამმა სულ ბოლოს დადო და მერმე კვერცხების დება შესწყვიტა და რომელიც ამასთანავე მცირე ტანისაა. აქედან კი ხალხი ყოლიფერს, რაც კი შესაფერ ტანსა და ზომაზე ნაკლებია, ნალევას უწოდებს.

2. სრულებით იმ აზრისა არცა ვყოფილვარ და არც არაოდეს ვიქნები, რომ ყოველი უცხოური ტერმინი უნდა უეჭველათ გადმოვაქართულოთ. იმის წინააღმდეგი როდი ვარ,

ეროვნული

რომ სიტყვა ინდივიდი ქართულში ვიხმაროთ, და ვხმარობთ კიდეც. მაგრამ იმ აზრის გამოსათქმელათ, რომელიც რუსულ სიტყვას личност-ს აქვს და რომელსაც ზოგ შემთხვევაში სიტყვა ინდივიდიც შეეფერება, სრულებით ზედ-გამოჭრილია ქართული სიტყვა პირადობა. გვაქვს კიდევ სიტყვა პიროვნება, მაგრამ მგონია, რომ ეს უკანასკნელი ძალათ შეთხზულია და ძალზე აწიგნობრულია. სიტყვა პირადობა კი სწორეთ იმ თვისებას უფრო მკაფიოთ აღნიშნავს, რომელიც მართლაც კერძო პირისათვის ნიშნობლივია. პირადობაა, ე. ი. მას მოეპოვება პირადი ღირსება და თვისება, ფიზიკური თუ გონებრივი, აგრეთვე მორალურიც, სრულებით განსაკუთრებული. აი, ამიტომ ამ ტერმინს უნდა მიეცეს უადრესობა და იგივე უნდა დავიცვათ მტკიცეთ ქართულ ენაში.

3. ბ-ნი კოტე ელიოზიშვილი ხმარობს წარმოსაშობი სისტემა. უნდა უეჭველათ იყოს ხმარებული წარმოშობი სისტემა, რადგან ეს სისტემა კი არ არის წარმოსაშობი, არამედ ეს სისტემა წარმოშობს ხოლმე.

4. ტერმინს Umbrosa=тѣнистыя ბ-ნი კოტე ელიოზიშვილი თარგმნის სიტყვით ჩრდილიანი და არ იწონებს ჩემ სიტყვას ნაჩრდილარი: ეს ცხადი შეცდომაა, რადგან ეს მცენარ ნი განსაკუთრებული თვისებისა იმიტომ კი არ არიან, რომ ჩრდილი აქვთ, და მაჩრდილობელი არიან, არამედ იმიტომ, რომ დაჩრდილურ ადგილს იზრდებიან, იმიტომ რომ ისინი ნაჩრდილარნი არიან. ასეთ მცენარეთა ნიშნობლივ თვისებას მაღალი და წვრილი ღერო შეადგენს, ამიტომ მაჩდილობელათ როდი გამოდგებიან.

5. რუსულ ტერმინს устьице ბ-ნი კოტე ელიოზიშვილი თარგმნის—სასუნთქი ნაჩვრეტები, ჩემი თარგმანი კი—ამოსაფშვინავი ბაგე, არ მოსწონს. ვერც ამაში დავეთანხმები ბ-ნს კოტე ელიოზიშვილს. ამ устьице-ებს ისეთი რთული და თავისებური აგებულება აქვთ, რომ ნაჩვრეტის წოდება სრულებით არ შეეფერებათ. თანახმა ვარ, ვიხმაროთ ამოსაფშვინავი ბაგეს მაგიერ სასუნთქი ბაგე.

6. არ შემიძლია დავეთანხმო ბ-ნ კოტე ელიოზიშვილს, რომ რუსული ტერმინი ископаемое ვთარგმნოთ სიტყვით ამონათხარი. ჩემ მიერ ნახმარი ტერმინს—სამთხრებლოს—განმარტება სწორი აქვს ბ-ნს კოტე ელიოზიშვილს, ხოლო იგი აქედან შესაფერ დასკვნას ვერ შვრება. საქმე ის არის,

ეროვნული

რომ რუსული ტერმინი ископаемое სრულებით შესაფერი ტერმინი არ არის, მაგრამ იგი მიღებულია რუსულ სამეცნიერო მწერლობაში. ისიც უნდა ვთქვათ, რომ ტერმინის ამ შეუფერებლობას რამდენათმე ჩრდილავს საშუალო სქესის დაბოლოვება. ამ რუსული ტერმ ნის პირდაპირი და გულუბრყვილო თარგმანი, რასაკვირველია, იქნება სიტყვა ამონათხარი. მაგრამ საქმე ის არის, რომ ეს სიტყვა ქართულათ, ასე უსახელ-არსებოთ ნახმარი, უაზრობას თუ მრავალ აზრობას იწვევს, რაიც აზრს აბნელებს. ქართველი კაცი უეჭველათ იკითხავს, რა არის ამონათხარი: მიწა, ქვა თუ თვით თხრილი? ცხადია ტერმინის უხერხულება. მე კი, როცა ახალი სიტყვა ნამდვილი ქართული სიტყვისაგან შევადგინე, მხედველობაში მქონდა ფრანგული ტერმინი fossile, რომელსაც ზედ-მიწევნით შეესაბამება ჩემი ტერმინი სამთხრებლო. მართლაც ნიშნობლივი თვისება სამთხრებლოსი ის კი არ არის, რომ იგი ამონათხარია, არამედ ის, რომ იგი მთხრებლში, ხრმაში მუდამ მდებარეა და იქიდან ამა თუ იმა შემთხვევითი გარემოებისა გამო ამოღებულა. ამიტომ თუ გვინდა, აზრის ბუნდოვანობას ავცდეთ და ტერმინიც ცნების ნამდვილი შესაფერი იქნეს, უნდა მივიღოთ ჩემი ტერმინი სამთხრებლო, და არა ამონათხარი.

7. Борьба за существованіе ნათარგმნი მაქვს სასრსებო ბრძოლა და არსებობისათვის ბრძოლა (იხ. გვ. 4). უკანასკნელი ნახმარი მაქვს ისე, როგორ მას ხმარობდენ მწერლობაში. ხოლო პირადათ მე კი დაბეჯითებით დარწმუნებული ვარ, რომ უფრო მართალი, ქართული ენის შესაფერი იქნება ვიხმაროთ სასრსებო ბრძოლა. რაც შეეხება იმას, რომ ზოგან დაბეჭდილია არსებითი ბრძოლა, ეს ცხადი კორეკტურული შეცდომაა, მეტი არაფერი.

8. Низшія животныя-ს ბ-ნი კოტე ელიოზიშვილი თარგმნის დაბალი ცხოველებიო, რადგან სიტყვა მდარე ღირსების ნაკლულევანებას აღნიშნავსო. შეიძლება ეს მართალიც იყოს, თუმცა ისიც ცხადია, რომ დაბალი არსებანი მართლაც მდარე ღირსებისა არიან, რადგან მათ ორგანოთა შორის დანაწილებული არა აქვთ ფუნქციები; ამიტომაც ისინი მდარე არსებანი არიან. გარდა ამისა, თუ მაინც და მაინც ეს სიტყვა არ მოგწონთ, მაშინ დამეთანხმეთ, რომ დაბალს ისევ მდაბიო სჯობია და ეს უკანასკნელი მეორე ნახმარი მაქვს (იხ. გვ. 9).

9 Пахъ — ფერდი არ არისო, ამბობს ბ-ნი კოტე ელიოზიშვილი. შეიძლება ესეც მართალია. მაგრამ მაგარი ის არის, რომ ჩუბინოვის რუსულ-ქართულ ლექსიკონში სწერია: пахъ — საზარდული, ფერდი, ბუშტუკი. ხოლო ქართულ-რუსულ ლექსიკონში კი ფერდი ნათარგმნია пах-ათ. ხალხში ხმარობენ ამ ცნების გამოსათქმელათ სიტყვას საბარსაგი. მე ვერ გავბედე ამ უკანასკნელი სიტყვის შემოტანა, რადგან იგი საჩოთიროა ხოლო საზარდული სრულებით უდრის იმერულ სიტყვას ტრიკი, რომელიც დიალაც საჩოთიროა. ეს რომ ასეა, იქიდან ჩანს, რომ ზემო იმერეთში და ქართლში იტყვიან: საზარდული ჩამოუვიდა; ქვემო იმერეთში კი იტყვიან: ტრიკი ჩამოუვიდა. ამ გარემოებისა გამო, შესაძლებელია მივიღოთ ნამდვილი ხალხური სიტყვა საბარსაგი пах-ის გამოსათქმელათ, ან-და, ამას თუ საჩოთირო ცნებათ მივიმჩნევთ, უნდა ახალი სიტყვა სასაზარდულო შევადგინოთ, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ეს უკანასკნელი ენის სამტვრევი სიტყვაა.

10. Грудная полость მართლაც ცუდათ მაქვს ნათარგმნი, რადგან მაშინ ვერ მოვუპოვე ამ ცნებას შესაფერი ქართული სიტყვა. ხოლო შემდეგ ჩემ მიერ ნათარგმნი ფიზიოლოგიაში ეს დაბრკოლება მგონია ავიცდინე. грудь — მკერდი; грудная клѣтка — გულმკერდი (ასე ხმარობს ხალხი), грудная полость — მკერდის (გულმკერდის) სიდრეკე (იხ. ფიზიოლოგია. გვ. 11).

11. ბ-ნი კოტე ელიოზიშვილი რუსულ позвоночник-ს და позвонокъ-ს ქართულათ ერთმანეთში ურევს. ცხადათ და მკაფიოთ მაქვს ნაბმარი позвоночникъ — ზურგის ძვალი, ხოლო позвонокъ — ხერხემალი. აქ ორი აზრი შეუძლებელია.

12. Ягодица დვრილა (ძუძუს-თავი) არ არისო და დუნდულს უწოდებს. პირადათ არც ამის წინააღმდეგი ვარ. ხოლო ავხსნი, თუ საიდან მოხდა, რომ ეს ასე ვიხმარე. საქმე ის არის, რომ ჩუბინოვის რუსულ-ქართულ ლექსიკონში ასეა ნაჩვენები: ягодица — უკანა დუმა, საჯდომი ადამიანისა, ძუძუს თავი. მისივე ქართულ-რუსულ ლექსიკონში კი დვრილა განმარტებულია ძუძუს-თავათ. მეც ამ ორმა გარემოებამ მაფიქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებია, რომ ягодица დვრილათ უნდა გადამეთარგმნა, რადგან ჩემთვის ცხადი იყო სრული შეუფერებლობა სიტყვა საჯდომისა.

ამით მინდოდა გამეთავებია, მაგრამ ვსარგებლობ შემთხვევით და აქვე მომყავს ზოგი ტერმინი, რომელნიც ჩემ ნათარგმნებში არიან ნახმარნი. ბევრი მკითხველისათვის სრულებით მოუხერხებელია ნათარგმნებიდან ტერმინების ამოწერა. ამიტომ, რადგა მკითხველს გაუადვილდეს ტერმინების ხმარება, აქვე ჩამოვწერ ამ ტერმინებს

სასუნთქი ბაგე . . устьице.
ამბოკარი (ს. ს. ორბელიანი) . . . . пролетарій
ბიძგი (ჩუბინოვი) . толчекъ.
გარდაგვარება (ჩუბინოვი) . . . . вырожденіе.
გარდაშენება (ჩუბინოვი) . . . . вымираніе.
განსახულება . . . зарадышъ emzdyen
გაღიზიანება . . . раздражительность.
უჯრედის განმწვალვა—дѣленіе клѣтки.
გუძონძღო . . . грудная клѣтка.
დაგრილება (ჩუბინოვი) . . скрещеніе.
ზურგის ძვალი . позваночникъ.
კიდური (ჩუბინოვი) конечность
კვირხალი (თხმელისა, ფიჭვისა ტ სხ) шишки
კორტოხი . . . водораздѣльная линія
კუდიანი ქარი . . смерчь.
კუდუსუნი (ჩუბინოვი) кончикъ.
კაცუნა, ჩიაკაცი (ჩუბინოვი). . . . посредственность.

ყვავილის მტვერი. . пыльца
მასკნე (ვაზის ბრტყელები. ჩუბინოვი— усикъ виноградный.
მენჯი (ჩუბინოვი) . тазъ
მატლი (ჩუბინოვი) . личинка—гусеница
ᲧᲔᲡᲘ (ს ს. ორბელიანი . . . . . сухожилье.
მონარუქება (რ. ერისთავი. ჩუბინოვის ლექსიკონში კი არის ნარუქი . . . . новизна—изобрѣтеніе.
მაკება (ჩუბინოვი) . беременность
მტერობა (ჩუბინოვი) коменсилизмъ
მდაბიო (ჩუბინოვი) низсшій.
გუძონძღოს სიღრუვე—грудная полость.
ნიკარა (ჩუბინოვი) . раковина.
ნამშვი . . . . . обзолъ.
ნატამალი (ჩუბინოვი) рудиментъ.
ნალეკვა (ჩუბინოვი) . атрофія
ნაჩრდილარი. . . тѣнистыя—umbrosa
პირადობა. . . . . личность.
სამთხრეველო. . . ископаемое fossile.
სახიჩრობა (ჩუბინოვი) уродство.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხაპარპალებელი გარსი мигательная перепонка
ხაარსებო ბრძოლა . борьба за существованіе
ტატნობა (ვაჟა-ფშაველა) . . . . горизонтъ
უხმობელა . . . . вѣчнозеленное дерево.
უტეხი ტყეური . . . дѣвственный лѣсъ.
უპუ (რ. ერისთავი) . эхо.
უნაწლეო . . . . coeleuterata.
ფარფლი (ჩუბინოვი) плавникъ
ქერეტი (ჩუბინოვი) მწერთა ფრთა.
ყვლივი (ს. ს. ორბელიანი) . . . . плечевая кость.
ყია საყლაპავი (ს. ს. ორბელიანი) . . пищеводъ.
ყურიმალი (ს. ს. ორბელიანი) . . . скула
ყვავილის ფერადი ფოთოლი . . . —лепестокъ.
ყვავილის სამტვერეული . . . . —тычинка.
მეხაძება (ჩუბინოვი) . . . . соотношеніе.
შუათანა . . . . промежуточный.
შეგუვება (ჩუბინოვი) приспособленіе.
ძუძუებიანი . . . —млекопитающіе mammabia.
ჭუკრა (ჩუბინოვი) куколка.
ხოკო . . . . жукъ.
ხერხემალი (ჩუბინოვი) . . . позвонокъ.

მკითხველიც ხედავს, რომ აქ ფრჩხილებში ნაჩვენებია, თუ საიდან არის ამოღებული ესა თუ ის სიტყვა. მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ნაჩვენებ ავტორს ისე ქონდეს განმარტებული ყოველი ეს სიტყვები, როგორც მე მაქვს აქ. გარდა ამისა მკითხველი იმასაც ამჩნევს, რომ ზოგიერთი სიტყვები ლექსიკონებში არ მოიპოვება და პირველათ ჩემ მიერ არის ნახმარი, ან ჩემ მიერ შედგენილი, ან ჩემ მიერ ხალხში შეკრებილი.

ი. ფანცხავა.

რედაქტორ-გამომცემელი ლ. გ. ბოცვაძე.